

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ნიკო ბერძნებიშვილის ინსტიტუტი

ნიკო ბერძნებიშვილის
ინსტიტუტი

« 50 »

შრომაბილ VI



გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი

**МИНИСТЕРСТВО ОБРАЗОВАНИЯ И НАУКИ ГРУЗИИ
ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ**

**ИНСТИТУТ
НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ**

< 50 >

ТРУДЫ VI

Издательство «Государственный университет Шота Руставели»
Батуми
2008

**MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE**

**NIKO BERDZENISHVILI
INSTITUTE**

< 50 >

Transactions VI

Publishing House "Shota Rustaveli state University"
Batumi
2008

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომების მექანიზმი გძლიერდა
ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავს. ტომში განხილულია ინსტიტუტის
დაარსების, მისი ფუნქციონირების, ისტორიის, მიღწევების, განყოფილებათა
სამეცნიერო-კვლევითი და ორგანიზაციული საქმიანობის პროცესები.

რედაქტორი – ვ. შამილაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

სარედაქციო კოლეგია – პროფესორი ვ. შამილაძე (რედაქტორი); პრო-
ფესორი რ. მალაკმაძე (მოადგილე); პროფესორი გ. ჩაგანავა (პა-
სუხისმაგებელი რედაქტორი); პროფესორები: ნ. ინაიშვილი, თ. ში-
ოშვილი, ნ. კახიძე, ჟ. მიქაშვილი, მ. ქამადაძე, მ. სიორიძე; მ. პე-
ლკანსი (პოლანდია); დ. ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი); მ. ვიკერსი
(დიდი ბრიტანეთი); ლ. აბრამიანი (სომხეთი); ლ. სოლოვიოვა
(რუსეთი); მ. აგლაროვი (რუსეთი), მ. რაგიმოვა (აზერბაიჯანი)

Шестой том трудов Института Нико Бердзенишвили посвящен 50-летию основания Института. В этом томе рассматриваются актуальные проблемы основания, функционирования, научно-исследовательская и организационная деятельность отделов института.

Редактор - В. Шамиладзе , член-корреспондент АН Грузии, профессор

Редакционная коллегия - профессор В. Шамиладзе (редактор); профессор
Р. Малакмадзе (заместитель редактора); профессор Г. Чаганава (ответственный
редактор); профессора: Н. Инаишвили; Т. Шиошвили; Н. Кахидзе;
Ж. Микашавидзе; М.Камададзе; М.Сиоридзе; М.Пелканс
(Голландия); Д. Браунд (Великобритания); М. Викерс (Великобритания);
В. Л. Абрамян (Армения); Л. Соловьева (Россия), М. Агларов
(Россия); М. Рагимова (Азербайджан)

The sixth volume of Niko Berdzenishvili Institute is dedicated to the 50-th anniversary of Institute. In this issue are discussed the actual problems of foundation, activity, scientific-research and organizational activity of the departments of Instituty.

Editor - V. Shamiladze, The corresponding member of the Georgian Academy of Sciences, Professor

Editorial Board - Professor V. Shamiladze (editor); Professor R. Malakmadze
(depute editor); Professor G. Chagavava (managing editor); Professors:
N. Inaishvili; T. Shiosvili; N. Kakhidze; Zh. Mikashavidze; M. Kamadadze;
M. Sioridze; M. Pelkmans (Netherlands); D. Braund (Great Britain); M.
Vikersi (Great Britain); L. Abramian (Armenia); L. Soloviova (Russia);
M. Aglarov (Russia); M. Ragimov (Azerbaijan)

ISSN 1512-4991

გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2008

Издательство «Государственный университет Шота Руставели» - 2008

Publishing House "Shota Rustaveli State University" - 2008

შინაარსი - Содержание - Content

რთინ მალაკმაძე-ნიკო ბერდენიშვილის ინსტიტუტის მოკლე ისტორია	6
Роин Малакмадзе - Краткая история Института Нико Бердзенишвили	14
Roin Malakmadze -The Short History of Niko Berdzenishvili Institute	15
გახტანგ შამილაძე - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 6. ბერდენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 50 წლისთავი. მიღწევები და პერსპექტივები	17
Вахтанг Шамиладзе -50-летие Батумского научно-исследовательского института им. Н.А.Бердзенишвили АН Грузии. Достижения и перспективы	38
Vakhtang Shamiladze -50 Anniversay of N. A. Berdzenishvili Batumi Scientific-Research Institute of Georgian Academy of Sciences. Achievements and Perspectives	40
ნოდარ კახიძე - ნიკო ბერდენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განვითარების 50 წლისთავი	43
Нодар Кахидзе - К 50-летию отдела этнологии и культурной антропологии института Нико Бердзенишвили	59
Nodar Kakhidze - To the 50th anniversary of the Ethnology and gultural Anthropology Department at N. Berdzenishvili Institute	60
გალეაზ სიორიძე - ისტორიის განვითარების ანგარიში	61
Малхаз Сиоридзе - Отчет отдела истории	70
ნინო ინაიშვილი - არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის განვითარება	72
Нино Инаишвили - Отдел археологии и истории искусства	86
Nino Inaishvili - Department of Archeology and Art History	87
მიხაელ კამადაძე - ფოლკლორისა და ლინგვისტიკის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები	88
Михаил Камададзе - Итоги полувековой научно-исследовательской работы отдела фольклора и лингвистики Института Нико Бердзенишвили	109
Mikhael Kamadadze - The results of the Semicentennial Scientific Research Work of the Department of Folklore and Linguistics of Niko Berdzenishvili Institute	110
ჯანი მიქაშავიძე - ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევა-ძიება ნიკო ბერდენიშვილის ინსტიტუტში	111
Жан Mikashavidze - Экономическое и социологическое исследование в институте Нико Бердзенишвили	139
Zhan Mikashavidze - Economic and socialogical research Niko Berdzenishvili Institute	140

როინ მალაშვილი

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მოკლე ისტორია

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი კომპლექსური, მრავალდარგობრივი საზოგადოებრივ მეცნიერებათა პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა.

2008 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ინსტიტუტში ირიცხება 56 თანამშრომელი, აქედან ძირითად შტატშია – 51, ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობს 5 თანამშრომელი. ინსტიტუტში 10 მეცნიერებათა დოქტორია და 19 მეცნიერებათა კანდიდატი (აკადემიური დოქტორი).

ინსტიტუტი სამართლებრივი მექანიზმი 1930 წელს ბათუმში დაარსებული მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო ბიუროსი.

1930 წელს საქართველოს სამიერ ავტონომიურ ერთეულში – აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და აჭარაში გაიხსნა მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო ბიუროები, რომლებიც შემდეგ მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტებიდან გადაკეთდა. აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის სამხარეთმცოდნეო ინსტიტუტები შემდგომში მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში იქნენ შეუვანილი და შესაბამისი სტატუსიც მიიღეს. აჭარაში კი ასეთივე დაწესებულების მიმართ რამდენადმე განსხვავებული მიდგომა გამოიჩინეს, რის შედეგადაც 1952 წელს აღნიშნული დაწესებულება დახურეს, ხოლო მისი ფონდები (ხელნაწერი შრომები, ბიბლიოთეკა) აჭარის სახელმწიფო მუზეუმს გადასცეს. სამწუხაროდ, ასეთი დაუფიქრებელი გადაწყვეტილების მიღების მსურველები დღესაც გვხვდებიან. ზოგიერთი ამგვარი “რეფორმისტი” ამტკიცებს, რომ საბაზო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით ის სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც მოგებას არ იძლევიან, უნდა დაიხუროს. მეორე ტიპის “ნოვატორები” კი აცხადებენ, რომ, რადგან ჩვენი ქვეყანა განვითარებადია, ხოლო მეცნიერება კი მდიდარი ქვეყნების უპირატესობაა, ამიტომ სამეცნიერო მოღვაწეობაზე თანხების გამოყოფა უაზრობაა. კიდევ უფრო შორს მიდიან ე.წ. ევროპული ორიენტაციის პროპაგანდისტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სამეცნიერო დაწესებულებები და განსაკუთრებით ეროვნული კულტურის ღირებულებების შემსწავლელი ინსტიტუტები (ერთ-ერთი ასეთია ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი), რომლებიც სწავლობენ ქართულ კულტურას, თითქოს ვერ თავსდება ევროპული კულტურის ჩარჩოებში და ამიტომ უნდა დაიხუროს. სამწუხაროდ მათ ვერ გაუგიათ, რომ ქართული კულტურა ჭეშმარიტი ევროპული კულტურია და მისი შენარჩუნება და განვითარებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობაა ეკროპულ კულტურასთან ზიარების საფუძველი, ხოლო ის, რასაც ხშირად ჩვენ ევროპული კულტურის სახით გვთავაზობენ – ეგროპული კულტურის სუროგატია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო არც ევროპულ და არც ქართულ კულტურასთან. ამგვარად, თუ უკუგების პრინციპის საფუძველზე ვაფინანსებთ კვლევით დაწესებუ-

ლებებს, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული დირექტულებების შემსწავლელი დაწესებულებები უნდა დავაფინანსოთ. ეროვნულ სამეცნიერო დაწესებულებებზე შემოტევა არ არის ახალი, მაგრამ ყოველთვის არიან ისეთები, რომლებიც იცავენ ეროვნული დირექტულებების შემსწავლელ დაწესებულებებს. ასეთ პიროვნებათა რიცხვს მიეცუთვნებოდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს კა აჭარის საოლქო კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი დ. მამულაძე და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე ა. თხილაიშვილი. მათი ინიციატივით 1956 წელს საქართველოს კა აჭარის საოლქო კომიტეტის შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს კა ცენტრალურმა კომიტეტმა ბათუმში მოავლინა აკადემიკოსები – ნიკო ბერძენიშვილი და ანგია ბოჭორიშვილი. მათ მიერ საქართველოს კა ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ “განმარტებით ბარათში” ჩამოყალიბებული იყო ის დებულებები და პრინციპები, რომელთა საფუძველზე გადაწყდა ბათუმში პუმანიტარული მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების აუცილებლობა. ბარათში ნათქვამი იყო: “სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გახსნა ბათუმში საჭიროცაა და შესაძლებელიც. მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც შეეხება აჭარის ასსრ ისტორიას, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას და ეკონომიკას, საჭიროებენ საფუძვლიან მეცნიერულ შესწავლას. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სხვა სამუშაოებით გადატვირთულობის გამო, ვერ აიღებენ თავის თავზე აღნიშნული პრობლემების შესწავლას. ეს მოითხოვს ახალი ძალების ჩაბმას აჭარის ასსრ ტერიტორიაზე. ასეთი მუშაობა დიდ როლს შეასრულებს აგრეთვე აჭარის ასსრ ადგილობრივი კადრების მომზადების საქმეში, რაც ამჟამად გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს”.

1957 წლის 4 დეკემბერს საქართველოს კა აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დავით მამულაძე შეახსენებდა საქართველოს კა ცენტრალურ კომიტეტს, რომ საჭიროა დაჩქარდეს ბათუმში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გახსნა.

1958 წლის 16 იანვრს საქართველოს კა აჭარის საოლქო კომიტეტმა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება “ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბინის შესახებ”, რომლითაც ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაეგალა “1958 წლის ბოლომდე მცხოვრებთაგან გაათავისუფლოს კიროვის ქ. 2-ში მდებარე სახლი, ჩაუტაროს რემონტი და გადასცეს იგი ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტს”.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზაციის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 21 იანვრის N51 გ განკარგულების საფუძველზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1958 წლის 23 იანვარს (სხდომის ოქმი N2, §2) დაადგინა:

„I. დაარსდეს 1958 წლის 23 იანვრიდან ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ... VII. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შესრულება დროებით დაევალოს ისტორიის მეცნ. კანდიდატს ასლან ქესეგნის ძე ინაიშვილს“. განკარგულებას ხელს აწერენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ს. დურმიშიძე.

1958 წელს ინსტიტუტმა ფუნქციონირება დაიწყო 18 თანამშრომლით, რომელთაგან მხოლოდ სამი იყო მეცნიერებათა კანდიდატი. ინსტიტუტმა თავისი აქტიურობით, საერთაშორისო დონის მეცნიერული ნაშრომებით, საზოგადოებრივი საქმიანობით მაღე დაამტკიცა მისი არსებობის აუცილებლობა. ამის აღიარება იყო ინსტიტუტისათვის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელის მინიჭება.

1982 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 20 აპრილის დადგენილებაში N286 “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისადმი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის “აკადემიკოსის ნ. ა. ბერძენიშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ” ნათქვამი იყო:

„დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შუამდგომლობა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს მიეკუთვნოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბერძენიშვილის სახელი“.

ინსტიტუტის ნაყოფიერი მეცნიერული შემოქმედებითი საქმიანობა არ დარჩენილა შეუმჩნეველი. 1983 წლიდან ინსტიტუტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1983 წლის 29 დეკემბრის N957 დადგენილებით შრომის ანაზღაურების მეორე კატეგორიაში გადაიყვანეს.

საყურადღებოა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 17 ოქტომბრის ბრძანებით „მეცნიერების განვითარებასა და სამეცნიერო კადრების აღზრდაში დიდი წვლილისათვის და დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების 25 წლისთავს.

1983 წლის 25 ნოემბერს ბათუმში შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გამსვლელი გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების 25 წლისთავს.

პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომის შემდეგ შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელმაც შეაჯამა ინსტიტუტის ოცდახუთწლიანი სამეცნიერო-კვლევოთი მუშაობა და დასახა შემდგომი განვითარების ამოცანები.

პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომასა და გაერთიანებულ საიუ-
ბილეო სესიას თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე.

ინსტიტუტს ოცი წლის განმავლობაში, დაარსებიდან 1977 წლის 26
ივნისამდე, ხელმძღვანელობდა დოცენტი ასლან ინაიშვილი.

მისი გარდაცვალების შემდეგ, 1977 წლის 7 ივლისიდან 1978 წლის 25
იანვრამდე დირექტორის მოვალეობას ასრულებდა ვახტანგ შამილაძე.
1978 წლის 25 იანვრიდან საქართველოს კპ ცპ სამდივნოს გადაწყვეტილე-
ბითა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1978 წლის
25 იანვრის N03-ს ბრძანებით (შემდგომში საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის საერთო კრების 1979 წ. 16 აპრილის დადგენილება N16-2) 1999
წლის 27 თებერვალმდე (გარდაცვალებამდე), 21 წლის განმავლობაში,
ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ეგაფა საქართველოს მეცნიერე-
ბათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფ. დავით ხახუტაიშვილს. 1999
წლის 14 აპრილიდან 9 დეკემბრამდე ინსტიტუტის დირექტორის მოვალეო-
ბას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის N51 დად-
გენილების (1999 წლის 14 აპრილი) შესაბამისად ასრულებდა პროფესორი
გურამ ჩაგანავა. 1999 წლის 9 დეკემბრიდან 2004 წლის 9 დეკემბრამდე
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 2004
წლის 18 ნოემბრის N132 დადგენილების საფუძველზე, ინსტიტუტის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა პროფესორი იური
ბიბილეიშვილი. სამწუხარო იყო ის ფაქტიც, რომ 2001 წლის 25 ივლისს
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა
გამოიტანა დადგენილება N209, რომლის თანახმად ინსტიტუტს შეეცვალა
სახელწოდებაც (ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტი) და სრულიად დაუსაბუთებელი მიზეზით ეწოდა
“ბათუმის აბუსერისძე ტბელის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-
ტუტი”. ეს ინსტიტუტის კოლექტივის ნების საწინააღმდეგო გამოხა-
ტულება იყო. ინსტიტუტისათვის სახელის შეცვლა მოულოდნელი
აღმოჩნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვისაც, რომელმაც
იგი არ ცნო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2004 წლის 9
დეკემბრის N167 დადგენილების თანახმად, საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის ინსტიტუტებში დირექტორის თანამდებობათა დაკავების
მოქმედი წესის შესაბამისად, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2004 წლის 16 ნოემბერს
დირექტორის კანდიდატად შერჩეული იქნა აკადემიის წევრ-კორეს-
პონდენტი, პროფ. ვახტანგ შამილაძე და ასარჩევად წარედგინა აკადემიის
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას. განყოფილების საერთო
კრებამ 2004 წლის 30 ნოემბერს ფარული კენჭისყრით იგი ერთხმად აირჩია
ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე, სადაც მან იმუშავა 2006
წლის 2 მაისამდე. ამ თანამდებობიდან იგი განთავისუფლდა საქართვე-
ლოს პრემიერ-მინისტრის 2006 წლის 2 მაისის ბრძანება N107,
საფუძველზე დაწესებულების რეორგანიზაციის გამო, საქართველოს

შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის “ა” ქვეპუნქტის საფუძველზე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N108-ის თანახმად, 2006 წლის 2 მაისიდან ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ისტორიის მეცნ. კანდიდატი როინ მალაშვილი, რომელიც დღემდე უძღვება ამ დაწესებულებას.

რამდენიმე სიტყვით გვინდა შევეხოთ ინსტიტუტის ამჟამინდელ სახელწოდებას. რატომდაც ინსტიტუტის დელი სახელწოდება “ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი” შეიცვალა და მას “ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი” ეწოდა, რამაც ინსტიტუტის კოლექტივის უქმაყოფილება გამოიწვია.

როგორც ცნობილია, ყველა სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულების სახელწოდებაში სიტყვა “სახელობის” ამოღებული იქნა ზემდგომი ინსტანციების მიერ. ზოგიერთი ლინგვისტის განმარტებით, დაწესებულების სახელწოდებაში (მაგალითად, – “ნიკო ბერძენიშვილის სახელობის”) – სიტყვა “სახელობის” აბსოლუტურად ზედმეტია, რადგან წინამდებარე სიტყვის “ბერძენიშვილი” ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ისედაც მიუთითებს, თუ ვისი სახელობისაა დაწესებულება და ასეთ შემთხვევაში სიტყვა “სახელობის” ქართულში გამოყენება გაუმართლებელია. ამ თვალსაზრისით მისი გამოყენება რუსულის ზეგავლენით მოხდა და აქ რუსულის კალკი დამკვიდრდა. კიდევ უფრო ნაკლებ დირებულია ის არგუმენტი, რომ ინგლისურში ჩვეულებრივ სახელწოდებაში არ გამოიყენება სიტყვა “სახელობის” (თუ დაწესებულება პიროვნების სახელს ატარებს), რადგან ერთი უცხო ენის წესების მიბაძვის საფუძველზე წარმოქმნილი კალკირების ნაცვლად, მეორე უცხო ენის მიბაძვით კალკირების დამკვიდრება მიუღებელი უნდა იყოს.

ჩვენთვის ასევე გაუგებარია, თუ რატომ იქნა ამოღებული სახელწოდებიდან სიტყვები “ბათუმის” ან “სამეცნიერო-კვლევითი”, რომლებიც გარკვევით მიუთითებენ ადგილმდებარეობაზე და საქმიანობის სფეროზე. ამიტომ, ჩვენ გამოვხატავთ ინსტიტუტის თანამშრომლების სურვილს და შესაბამის ზემდგომ ორგანოებს ვთხოვთ დაუბრუნონ ინსტიტუტს მისი ტრადიციული სახელწოდება (“ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი”), რომელიც კარგად მიუთითებს მის საქმიანობაზე, განსაზღვრავს ინსტიტუტის წვლილსა და ფუნქციებს მეცნიერულ საქმიანობაში.

ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ძირითადი მიმართულებები განკირობებულია აჭარისა და მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური), ისტორიული, ფოლკლორული, სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების შესწავლის აუცილებლობით.

ახალი მოთხოვნების შესაბამისად ინსტიტუტი ამჟამებს შემდეგ ფუნდამენტურ, სამთავრობო პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვრულ პროგრამებს:

I სამთავრობო პრიორიტეტი: ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზებით აღდგენისა და სამოქალაქო ერთობა:

პროგრამა 1. აფხაზური დიასპორა აჭარაში. ეთნოკულტურული და ეთნოპოლიტიკური ასპექტები (2008–2009 წლები);

პროგრამა 2. თურქეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ეთნოკულტურული მემკვიდრეობა (ჭოროხის ხეობის ქართველი მოსახლეობის მაგალითზე (2010–2011));

პროგრამა 3. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები უძველესი დროიდან დღემდე;

პროგრამა 4. აჭარის ხალხური პოეზია;

პროგრამა 5. აჭარული კილოს სიტყვის კონა;

II სამთავრობო პრიორიტეტი: მდგრადი ეკონომიკური ზრდა და დასაქმების ხელშეწყობა.

შეისწავლება სხვა პროგრამებიც: 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური პრობლემები საბაზრო ურთიერთობების პირობებში; 2. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების (არქეოლოგიური და ხელოვნების ნიმუშების) კვლევა, დაცვა და პოპულარიზაცია.

ინსტიტუტის არქეოლოგების გამოკვლევები მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა-განვითარების, ანტიკურ სამყაროსთან კოლხეთის ურთიერთობისა და კოლხური რკინის მეტალურგიის ისტორიაში თანამედროვე არქეოლოგიის უმნიშვნელოვანეს შენაძენადაა აღიარებული. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ე.წ. დიუნური დასახლებების, აჭარისწყლის ხეობის არქეოლოგიურ ძეგლების შესწავლას; ეთნოლოგიის დარგში შესწავლილია ტერასული მიწათმოქმედების, ხელოსნობის, აჭარული და ლაზური საცხოვრებელი ნაგებობების გენეზისის, მესაქონლეობის, საოჯახო და სამეურნეო ყოფის, ორნამენტის, ბავშვთა აღზრდის, ეთნოფსიქოლოგიისა და მრავალი სხვა საკითხი.

ინტენსიურად შეისწავლება ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშები, მითოლოგიის, ხალხური პოეტიკის, მუსიკალური ფოლკლორის, ქართული მრავალხმიანობის საკითხები, ქართული ენის აჭარული დიალექტისა და ზანური ენის ლაზური დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ტოპონიმია.

მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული ეკონომიკური კვლევის დარგში. ამჟამად მუშავდება გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის, სოციალური ცვლილებების პრობლემები. საყურადღებო შედეგებია მიღწეული სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემატიკის სფეროში.

ინსტიტუტმა გამოსცა 100-ზე მეტი დარგობრივი კრებული: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“; „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“; „აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“; „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“; „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“; „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები“.

ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს 2000-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 200-მდე მონოგრაფია. აქედან აღსანიშნავია დ. ხახუტაიშვილის „იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები“, 1966; „უფლისციხე“, I, 1964, „უფლისციხე“, II, 1970; “გონიოს განძი”, 1980; “ძველკოლხეური დასახლება ნამჟედური”, 1985; “რინის წარმოება ძველ კოლხეთში”, 1987; ვ. შამილაძის “საქართველოს მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-კონომიკური პრობლემები”, 1979; ა. კახიძის “აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ანტიკურ ეპოქაში”, 1980; ნ. მგელაძის “სისხლის ნათესაობის სისტემა აჭარაში”, 1988; ნ. კახიძის “ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში”, 2000; მ. ქამადაძის “ზემო აჭარის ტოპონიმია”, 1992; ო. თურმანიძის “საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში”, 2001; ნ. ჩელებაძის „ქალი და ოჯახი“, 2005; რ. მალაქაძის „ლიგანის ხეობა“, 2008. უ. ოქროპირიძის “აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან”, 2001; გ. ჩაგანავას “განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები”, 2001; მ. სიორიძის “სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914–1918 წლებში”, 2002; ს. გოგიტიძის “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია”, 2002; ო. შიოშვილის “ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო”, 2002 და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ბოლო ხუთწლედში ინსტიტუტმა დაასრულა მუშაობა აკადემიურ, ოთხეტობის, ფუნდამენტურ ნაშრომზე “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა – I, 2005, რომელიც უკვე იხილა მკითხველმა. იგი ინსტიტუტის მრავალწლიანი შემოქმედებითი მუშაობის უმთავრესი შედეგია. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მომდევნო (II-IV) ტომების სასტამბოდ მომზადებისათვის.

ინსტიტუტი შეუდგა აჭარის ეთნოგრაფიული ატლასის შედგენას. დასრულდა ქედის რაიონის სოფელ ზენდიდის ბეჟანიძეების საგვარეულო ციხისა და მასთან დაკავშირებული თავდაცვითი, სამეურნეო, საეკლესიო, ყოფითი, კულტურული და მმართველობის თავისებურებებისადმი მიძღვნილი კომპლექსური ისტორიულ-ეთნოგრაფიული და არქოლოგიური გამოკვლევა, რომელმაც შუქი მოჰყინა აჭარის ძველი ისტორიის საკითხების კვლევას.

ინსტიტუტი დიდი ხანია სწავლობს ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისეთ რეგიონს, როგორიცაა ტაო, იმერხევი, შავშეთი, ხოლო ბოლო დროს ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლების მიერ მომზადებული შრომების მე-IV ტომმა, რომელიც მთლიანად ლაზეთის პრობლემატიკას მიეძღვნა, საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

2003 წლიდან ინსტიტუტი შეუდგა პოსტსაბჭოური აჭარის სოციალურ-კონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების პრობლემების შესწავლას.

ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები ეწვიან მრავალმხრივ საგანმანათლებლო, საშეფო, საკონსულტაციო საქმიანობას, აქტიურად

მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პროცესში.

ინსტიტუტს აქვს სისტემატური საქმიანი კონტაქტები საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, განსაკუთრებით კი ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოგრაფიის, ფილოსოფიის, დიმიტრი უზნაძის ფილოლოგიის, შოთა რუსთაველის ლიტერატურის, პაატა გუგუშვილის ეკონომიკისა და სხვა ინსტიტუტებთან.

უკანასკნელ წლებში ინსტიტუტმა განავითარა კონტაქტები დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, თურქეთისა და რუსეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან.

მრავალი წლის განმავლობაში ინსტიტუტში არსებობდა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევის, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის სამეცნიერო განყოფილებები. ამჟამად ინსტიტუტის სტრუქტურაშია 5 სამეცნიერო და ერთი საინფორმაციო განყოფილება. ესენია: 1. ისტორიის განყოფილება (უფროსი-ისტ.მეცნ. დოქტორი მ.სიორიძე), 2. ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილება (უფროსი-ისტ. მეცნ. დოქტორი ნ.კახიძე), 3. ფოლკლორისა და ლინგვისტიკის განყოფილება (უფროსი-ფილოლ. მეცნ. დოქტორი მ.ქამადაძე), 4. ეკონომიკური და სოციალურ ურთიერთობათა კვლევის განყოფილება (უფროსი-ეკონ. მეცნ. კანდიდატი ქ.მიქაშვილი), 5. არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის განყოფილება (უფროსი-ისტ. მეცნ. კანდიდატი ნ.ინაიშვილი), 6. ინფორმაციისა და საზოგადოებათან ურთიერთობის სამსახური (უფროსი-ფსიქ. მეცნ. დოქტორი გ.ჩაგანავა).

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში დამთავრდა რეორგანიზაციის პროცესი. განხორციელდა ინსტიტუტის აღმინისტრაციული და სამეცნიერო პერსონალის ოპტიმიზაცია. კონკურსის წესით შერჩეული იქნა სამეცნიერო კადრები. შენარჩუნდა ინსტიტუტის კომპლექსური, მრავალ-დარგობრივი სტრუქტურა, რაც მომავალში განსაზღვრავს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პრობლემების კომპლექსურ შესწავლას.

ამჟამად ინსტიტუტი ტრადიციული პრობლემატიკის გვერდით მუშაობს სხვა პრაქტიკული მნიშვნელობის პრობლემებზე, რომლებიც თანამედროვე სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ გარდაქმნათა ჭრილში იგეგმება და ინსტიტუტის საქმიანობის ახალ პერსპექტივებს განსაზღვრავს. ასეთად მოიაზრება ბათუმის, როგორც ეგროპული დაგეგმარებისა და არქიტექტურის ქალაქის წარსულის, აწმონა და მომავლის შესწავლა ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური განვითარების, ინდუსტრიულ თუ ტურისტულ ცენტრად ჩამოყალიბების პერსპექტივებით. ინსტიტუტი გეგმავს რეგიონებში მიმდინარე ეთნოსოციალური, ეთნო-კონფესიური და კულტურათა ურთიერთზეგავლენის ფაქტორების კვლევას, რაც გლობალიზაციის პროცესში განსაკუთრებულ აუცილებლობას წარმოადგენს. ამ პროცესების საგარაულო ზეგავლენისა და მიმართულებების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია რეგიონის პერსპექ-

ტიული განვითარების წარმართვა. ასევე იგივება საქართველოს ფარგლებს გარეთ (ძირითადად თურქეთში) მცხოვრები ქართული წარმოშობის მოსახლეობის ყოფის, ტრადიციული კულტურის ელემენტების, იდენტობის, მეტყველების თავისებურებებისა და საქართველოსთან ურთიერთობების პრობლემებისა და სხვა მრავალი საკითხის შესწავლა.

ინსტიტუტს დიდი ხანია ძირითადად აფინანსებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი და ნაწილობრივ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ინსტიტუტის სტრუქტურული ცვლილებებისა და სამეცნიერო პოტენციალის ოპტიმიზაციის შემდეგ უნდა გაიზარდოს მისი დაფინანსება, რაც ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს საშუალებას მისცემს სრულფასოვნად შეასრულონ დასახული ამოცანები და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საგანმანათლებლო გარდაქმნათა პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯიხლაძე გ. (რტ.), ქართველოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი პერიოდის სახელმის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 25 წელი. მეცნიერება. თბილისი. 89 გვ.

Роин Малакмадзе

Краткая история Института Нико Бердзенишвили

Резюме

Институт Нико Бердзенишвили является комплексным, многоотраслевым, региональным научно-исследовательским учреждением, который был основан 21 января 1956 года, но реально необходимо принять во внимание, что этот Институт является наследником краеведческого Института, который был основан в 1930 году, и упразднен в 1952 году. Позже, в 1956 году был основан Батумский научно-исследовательский институт по инициативе действительных членов Академии Наук Грузии, академиков Нико Бердзенишвили и Ангия Бочоришвили.

Необходимо отметить, что в противоположность к аналогичным научно-исследовательским институтам Абхазии и Южной Осетии, это научно-исследовательское учреждение не было ограничено границами автономной республики, а было ориентировано на исследование проблем в целом Юго-Западной Грузии. Таким образом Институт не был нацелен на исследование провинциальных проблем на провинциальном уровне «науки», а был ориентирован на изучение глобальных проблем международного значения. Поэтому уровень исследований в Институте был очень высок и многие научные достижения, без сомнений, были очень важными. К примеру мы

можем назвать: проблемы древней металлургии железа (Д. Хахутайшвили); хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства в Грузии (В.Шамиладзе); проблемы каменного века в Юго-Западной Грузии (С.Гогитидзе); проблемы Восточного Причерноморья в античную эпоху (А.Кахидзе); система кровного родства в Аджарии (Н.Мгеладзе); проблемы ремесла в Аджарии (Н.Кахидзе); актуальные проблемы теории априоризации (Г.Чаганава); проблемы Юго-Западной Грузии в 1914-1918 годах (М.Сиоридзе); проблемы моральности в грузинском фольклоре (Т.Шиошвили) и т.д.

Очень важно, что Институт подготовил четырехтомное издание - Очерки по истории Юго-Западной Грузии (Аджарии), первый том которого вышел из печати и заслужил высокую оценку специалистов.

В настоящее время в институте функционирует пять научных отделов: 1. Отдел истории (М. Сиоридзе); 2. Отдел этнологии и культурной антропологии (Н. Кахидзе); 3. Отдел фольклора и лингвистики (М. Камададзе); 4.Отдел исследований экономических и социальных проблем (Ж. Микашавидзе); 5. Отдел археологии и истории искусств (Н. Инаишвили). В институте действует отдел (служба) информации и общественных отношений (Г.Чаганава).

В соответствии с современными требованиями Институт разрабатывает следующие научные программы:

1. Абхазская диаспора в Аджарии. Этно-культурные аспекты (2008-2009);
2. Этно-культурное наследие грузинского населения, проживающего в Турции (Грузинское население Чорохского ущелья), 2010-2012;
3. Проблемы Юго-Западной Грузии от древнейших времен до наших дней;
4. Фольклор Аджарии;
5. Словарь аджарского диалекта;
6. Экономические и социальные проблемы Аджарской автономной республики в условиях рыночного взаимодействия;
7. Исследование, защита и популяризация памятников культурного наследия Аджарии (археологические и художественные образцы).

Roin Malakmadze

The Short History of Niko Berdzenishvili Institute

S u m m a r y

Niko Berdzenishvili Institute is complex, diversified, regional scientific-research establishment, which was founded in 1956, January 21. But really we must take into mind, that Institute is the heir at Law of the Institute of Regional Studies, which was founded in 1930 and closed in 1952. Later, in 1956 was founded Batumi scientific-research institute by initiative of the real members of Academy of Sciences of Georgia, academitions Niko Berdzenishvili and academition Angia Bochorishvili. It is necessary to note that in contrast to analogical scientific-research institutes of Abkhazia and South Ossetia this scientific-research establishment was not limited by the border of the autonomous republic, but was oriented to the investigation of the problems of the whole South-West Georgia. So this Institute was not aimed to study provincial problems on the provincial level of "science", but to study global problems of the international significance. On account of this the level of

investigations in Institute was very high and many scientific achievements, there is no doubt, were very important. For example, we can name: The problems of ancient colchian iron metallurgy (D. Khakhutaishvili); The economic-cultural and social-economical problems of the cattle-breeding in Georgia (V. Shamiladze); The problems of stone age in South-West Georgia (S. Gogitidze); The problems of Estern Black sea coast in antiquity (A. Kakhidze); The system of blood relationship in Adjara (N. Mgelandze); The problems of handicraft in Adjara (N.Kakhidze); The actual problems of the theory of appropriation (G.Chaganava); The problems of South-West Georgia in 1914-1918 (M.Sioridze); The problems of morality in georgian folk-lore (T. Shioshvili) and so on.

Very important that Institute prepared the four volumes of the history of the South -West Georgia (Adjara), and the first volume already was published and was highly estimated. Now in the Institute is functioning five scitntific departments: 1. Department of History (The head M. Sioridze); 2. Department of ethnology and cultural anthropology (The head N. Kakhidze); 3. Department of folk-lore and linguistics (The head M. Kamadadze); 4. Department of the investigation of the economic and social problems (The head Zh.Mikashavidze); 5. Department of the archaeology and history of the art (The head N. Inaishvili). There are also Department (The service) of information and the public relations (The head G. Chaganava).

According to the new requirements Institute is working up the next scientific programs:

1. Abkhazian diaspora in Adjara. Ethno-cultural and ethnopolitical aspects (2008-2009);
2. Ethno-cultural inheritance of the georgian population residing in Turkey (Georgian population of Chorokhi gorge) 2010-2012;
3. The problems of South-West Georgia from the ancient time up to now ;
4. The folklore of Adjara;
5. Dictionary of Adjarian dialect;
6. The economic and social problems of Adjarian autonomous republic in the conditions of marketing interactions;
7. The investigation, protection and popularization of the monuments of cultural inheritance of Adjara (Archaeological and art specimens)/

ვახტანგ შამილაძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 50 წლისთავი. მიღწევები და პერსაექტივები

ისტორიული კოლექტის ტერიტორია უძველესი პერიოდიდან წინააზიურ-კავკასიური ტომების ეთნო-კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინს წარმოადგენდა. არგონაგვების მოგზაურობისა და ოქროს საწმინდის ლეგენდარულ გადმოცემებში, კავკასიონის მთაზე მიჯაჭვულ პრომეთეს თქმულებასა თუ ძველი კოლხეთის ზღაპრული დიდების შესახებ ბერძენ და რომაელ მოგზაურ-მკვლევართა მიერ ჩაწერილ ნახევრად მითოლოგიურ ქრონიკებშია ჩახლართული ქართველი ხალხის უძველესი ისტორიისა და ეთნოგრაფიის დღემდებარებული და უცნობი რეალიები. და ეს - არც თუ უსაფუძვლოდ. ძველი მსოფლიოს ცივილიზაციის ერთ-ერთ ადრინდელ კერად აღიარებულ ამ რეგიონშია თავმოყრილი პალეოლიტისა და ენეოლიტ-ბრინჯაოს ხანის კოლხურ-ყობანური თუ მტკვარ-არაქსის უძველესი ცივილიზაციის მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლები, მსოფლიოში არნახული ეთნიკური სიჭრელე და კავკასიის ველებსა და მთიან ხეობებში განსახლებული ტრადიციული საზოგადოებების, ხალხებისა და ქვეყნების უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა, ეთნოგრაფიულ თავისებურებათა დიდი მრავალფეროვნება, რომელთა უდავო კუთვნილება “ერთიანი კავკასიური კულტურული სამყაროსადმი” დღეს უკვე საყოველთაოდაა აღიარებული მეცნიერ-კავკასიოლოგთა მიერ.

ქართველ და უცხოელ მეცნიერთა და მოგზაურ-მკვლევართა უდიდეს ინტერესს იწვევდა და იწვევს დასავლეთ ამიერკავკასია, ისტორიული საქართველოს ამ ვრცელი რეგიონიდან კი – სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორია, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს თანამედროვე აჭარის ტერიტორიაც წარმოადგენს. სწორედ ამ რეგიონშია თავმოყრილი უძველესი ხანის არქეოლოგიური ძეგლები – ქობულეთისა და მახვილაურის ნეოლიტური დასახლებები, ბათუმის ციხე, ფიჭნარის ნაქალაქარი, ნამჭედურის ტორფქვეშა ნამოსახლარები, ბერძნულ-რომაული პოლისები – გონიო-აფსაროსი, პეტრა-ციხისძირი და ა.შ.

შეა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უკავშირდება ცეოდალური ხანის ქართული სახელმწიფოებრიობის ადრინდელი

ადმაგლობა, რომლის დროსაც შეიქმნა მსოფლიო ცივილიზაციის დარი ქართული სახულიერი და საერო არქიტექტურის თვალსაჩინო ძეგლები – მრავალრიცხოვანი ეკლესიები და ტაძრები, ციხესიმაგრეები, სასახლეები, თაღოვანი ხიდები, დამწერლობისა და ლიტერატურის, საეკლესიო და საერო მუსიკის, მონუმენტური ფერწერისა და ქანდაკების უზადო ნიმუშები და ა.შ., რაც მეცნიერებაში აღიარებული აღმოსავლური რენესანსის გამორჩეულ კომპონენტებს შეადგენდნენ.

ფეოდალური ხანის ისტორიული წყაროები ამ რეგიონის, კერძოდ, აჭარის წარსულის შესახებ, ძალზე მწირი და ფრაგმენტულია. ამ პერიოდის აჭარის ეთნოგრაფიული წარსულის არაერთი შტრიხი შეიძლება ამოვიკითხოთ მეცამეტე საუკუნის ცნობილი მწერლისა და მოაზროვნის ტბელ აბუსერისმის თხულებაში, რომელიც შუარტყალში აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესიის აღმშენებლობას ეხება. გვიანფერდალური ხანის ავტორთაგან ასევე საყურადღებოა ვ. ბაგრატიონის ცნობები აჭარელთა ხითხურობისა და რძის მეურნეობის მაღალი დონის შესახებ.

აფასებდა რა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ რეგიონის კულტურულ-ისტორიულ ვითარებას, მის ადგილსა და როლს კავკასიური ცივილიზაციის მიღწევებში, აკად. დ. ბაქრაძე სამართლიანად მიუთითებდა, რომ პოსტანტიკური და ბიზანტიური ხანის იძერიასა და აღმოსავლეთის სხვა მომიჯნავე ქვეყნებში კულტურული გავლენების მძლავრი ნაკადი სწორედ ამ რეგიონიდან უნდა შედგეულიყო.

სამწუხაროდ, ადრე ბიზანტია-ირანის დაუსრულებელმა მეტოქეობამ, ხოლო შემდგომ ოურქოსმალთა მრავალჯერადმა შემოსევებმა და აჭარის, სამცხე-ჯავახეთისა და ტაო-კლარჯეთის მიტაცებამ, შინაგანი კავშირები ქვეყნის შიგნით და გარე სამყაროსთან შეზღუდა და შეანელა, რამაც გამოიწვია კულტურული ტრადიციების, ენისა და, საბოლოო ჯამში კი, ცხოვრების წესის გარკვეული კონსერვაცია.

ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ აჭარელთა ეროვნული ცნობიერების აღდგენისა და განმტკიცების საქმეს დიდი ენერგია შეალიეს ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა, რევოლუციამდელი ინტელიგენციის არაერთმა თაობამ.

ინტერესი აჭარის მიმართ განსაკუთრებით გაძლიერდა XIX ს-ის 70-იანი წლების დასაწყისიდან. რუსეთ-ოსმალეთის ომის წინა წლებში ქართული პროგრესული პრესა, განსაკუთრებით კი “დროება”, რომელსაც იმ დროს სერგეი მესხი მეთაურობდა, და რომლის თანამშრომელთა შორის გამორჩეული ადგილი ეჭირათ ი.ჭავჭავაძეს, ა.წერეთელს, გ.წერეთელსა და სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს, ცხოველ ინტერესს იჩენდა აჭარის მიმართ. 1873–1876 წლებში აქ სისტემატურად ქვეყნდება კორესპონდენციები “დროების დღიურის” სახელწოდებით, რომელშიც უკანასკნელი იყო გამახვილებული ოსმალეთის წინააღმდეგ “მოძრაობის” საკითხებზე.

ოსმალთა იმპერიის მფლობელობაში მყოფი საქართველოს ამ ძირგველი კუთხის შესწავლა ჯერ კიდევ გორგი ყაზბეგისა და დიმიტრი ბაქრაძის მიერ დაიწყო, შემდგომ კი ზ. ჭიჭინაძის, თ.სახოკიას, ა.მიქე

ლაპის, ა.ფრენკელის, გ.ლისოვსკის და სხვა ქართველ, რუს თუ უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა სახელთანაა დაკავშირებული. ამ ნაშრომებსა და პუბლიცისტური ხასიათის წერილებში, რომლებიც დროდადრო იძეჭდებოდა იმდროინდელ ქართულ და რუსულ პერიოდებით პრესაში, ეთნოგრაფიული ხასიათის ცალკეულ საკითხებზეც იყო საუბარი. ეთნოგრაფიული მასალების სიუხვით რამდენადმე გამოირჩევა თ. სახოკიას წერილები აჭარაზე, რომლებიც გასული საუკუნის დასასრულს იძეჭდებოდა უერნალ “მოამბეში”.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ აჭარის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან, მაშინ როდესაც აჭარა ოსმალთა 300 წლოვანი ბატონობის შემდეგ დედასამშობლოს – საქართველოს დაუბრუნდა. საერთოდ, რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების ომის, სანსტეფანოს ზავისა და ბერლინის ტრაქტატის შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთება საქართველოსთან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდეგნის უპრეცენდენტო მაგალითი გახდდათ, რომელსაც დავით აღმაშენებლის ეპოქის შემდეგ იშვიათი პარალელი თუ მოექცენება და, რომელიც სამწუხაროდ გარკვეული პოლიტიკური კონიუნქტურის გამო ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არაა სათანადო შეფასებული.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლის ფორმირება-ჩამოყალიბების პროცესში აჭარაში ეთნოგრაფიულმა კვლევა-ძიებამ ახალი მიმართულება მიიღო. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აჭარის მხარეთმცოდნების ინსტიტუტის საქმიანობა, რომელიც გაურკვეველი მიზეზების გამო 1952 წელს დაიხურა.

აჭარის ეთნოგრაფიულ შესწავლაში დიდი როლი შეასრულა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნ.მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა გ. ჩიტაია და რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე, სტ. მენიეშვილი და სხვ. ამავე ექსპედიციაში მონაწილეობდა ჯ. ნოდაიდელი, რომელიც ძირითადად აჭარაში შინამრეწველობის შესახებ მასალის შეკრებით იყო დაინტერესებული.

აჭარისა და საქართოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფისა და კულტურის გეგმაზომიერ მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა 1958 წლიდან, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებითა და რესპუბლიკის სამთავრობო ორგანოების მხარდაჭერით ბათუმში გაიხსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მრავალპროფილიანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და ეკონომიკის განვითარებით. მოგვიანებით მას დაემატა არქეოლოგის, დიალექტოლოგის, სოციოლოგისა და ისტორიის მიმართულებები და იგი აჭარაში ქართველოლოგიური კვლევების მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა.

ინსტიტუტის მეცნიერულმა კოლექტივმა განვლიდ პერიოდში ჩატარებული ფართომასშტაბიანი, კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციებისა და კამერალური მუშაობის შედეგად მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ცალკეული სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით, კერძოდ, ეთნოგრაფიის ხაზით შესწავლილი იქნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის უმნიშვნელოვანების საკითხები. კომპლექსური ხასიათის მრავალწლიანი თემებიდან “აჭარული სოფელი ძველად და ახლა” და “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა” საფუძვლიანადაა შესწავლილი დასახლების ფორმები, კერძოდ დასახლების ტოპოგრაფია და მორფოლოგია ზემო აჭარაში. გამოკვლეულია აჭარისა და მომიჯნავე რეგიონების ტრადიციული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, ნათესაობის სისტემისა და ოჯახის, სამეურნეო ყოფის, კერძოდ, მთური მიწათმოქმედებისა და ალპური მესაქონლეობის, ხელოსნობისა და შინამრეწველობის, აჭარული ორნამენტის, ტანსაცმლის, სოფლის თანამედროვე ყოფისა და ქალაქური ეთნოგრაფიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

ჩატარებული საველე-ეთნოგრაფიული და კამერალური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილი და დადგენილია აჭარის ბარის, გარდამავალი ზოლისა და მთიანეთის მოსახლეობის დასახლების ტიპოლოგიური სახესხვაობანი, მორფოლოგიური შემადგენლობა, ეთნოსოციალური და დემოგრაფიული, აგრეთვე შიგა და გარემიგრაციული პროცესები და მათი დამახასიათებელი ნიშნები. შესწავლილია საოჯახო თემის, გვარისა და პატრონომიის ტრადიციული თავისებურებები, ქორწინებისა და, საერთოდ ნათესაობის სისტემის ლოკალური ასპექტები, გამოკვლეულია საცხოვრებელი, სამეურნეო და საფორტიფიკაციო, აგრეთვე სასულიერო ხასიათის შენობა-ნაგებობათა არქიტექტურული იერსახის, მშენებლობის ხელოვნებისა და ნაგებობათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ლოკალურ-რეგიონალური მახასიათებლები, ნაჩვენებია მათი ადგილი და როლი საერთოდ ქართული საცხოვრებელი ნაგებობების ისტორიული განვითარების ეტაპობრივ პროცესებში, მოცემულია საცხოვრის მატერიალური, სოციალური და სულიერი ფუნქციების კვლევა და ანალიზი.

საინგერესო ეთნოგრაფიული მასალადა გამოვლენილი და გაანალიზებული მეურნეობის დარგებისა და ფორმების კვლევა-ძიების მიმართულებითაც. ამ თვალსაზრისით აჭარასა და მომიჯნავე რეგიონებში გამოკვლეულია მიწათმოქმედება-მესაქონლეობის სიმბიოზური ფორმების – მთური ტერასული მიწათმოქმედებისა და ალპური მესაქონლეობის თავისებურებები, დადგენილია სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი იარაღ-ინვენტარისა და ხელსაწყოების უნიკალური კოლექციები, რომლებიც ტრადიციული კულტურის სხვა კომპონეტებთან ერთად აშკარად ავლენენ ზოგადქართულ ბუნებასა და ხასიათს, მიუთითებენ მათ ორგანულ და მუდმივ კავშირებზე საქართველოს სხვა რეგიონების კულტურისა და ყოფის ტრადიციულ ფორმებთან.

აჭარის მოსახლეობის კულტურული მემკვიდრეობის კვლევა და ანალიზი ამ თვალთახედვით კიდევ ერთხელ ადასტურებს აჭარის

მოსახლეობის უწყვეტ მონაწილეობას საერთოქართულ ეროვნულ კულტურულ ღირებულებათა შექმნისა და ჩამოყალიბების ხანგრძლივ და მრავალმხრივ პროცესებში, რომელსაც, თავის მხრივ, ღირსეული ადგილი უჭირავს კავკასიური ცივილიზაციის საგანძურში.

ბოლო ათწლეულებში ინსტიტუტის ეთნოგრაფებმა გააფართოვეს კვლევის არეალი, არაერთი კომპლექსური ექსპედიცია გამართეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთში, გურიაში, სამეგრელოში, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში, ზემო და ქვემო სვანეთში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა (ზემო და შიდა ქართლი) და მთიანეთის (ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთი) ზოგიერთ კუთხეში. ამ ექსპედიციებსა და ცალკეულ მივლინებებში მოპოვებული მასალების საფუძველზე მომზადდა არაერთი განმაზოგადობებული მონოგრაფია, რომლებიც საფუძვლად დაედო საკანდიდატო და სადოქტორო საკვალიფიკაციო ნაშრომებს.

1991 წლიდან ეთნოლოგის განყოფილების სამეცნიერო-კვლევითი ოემატიკა განისაზღვრა “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოკულტურული და დემოგრაფიული პრობლემების” კვლევის მიმართულებით, რაც მიზნად ისახავდა აჭარისა და მომიჯნავე რეგიონების მოსახლეობის ტრადიციული და თანამედროვე ყოფისა და კულტურის შესწავლის შემდგომ გაფართოებას. თემატიკა მოიცავდა არა მარტო ისტორიულ-დემოგრაფიული და თანამედროვე მიგრაციული პროცესების გამომწვევი მიზეზების, მისი დინამიურობისა და პერსპექტიული განვითარების ხედვის კვლევასა და ანალიზს, არამედ, მიღებული შედეგებიდან გამომდინარე რეკომენდაციების, ზოგ შემთხვევაში კი მათი რეგულირებისა და მართვის გზებისა და საშუალებების გამონახვასა და შესწავლას.

ეთნოლოგთა ყურადღება იყო მიმართული ეთნოსისა და ეთნიკური პროცესების, ეთნოლოგის საგნისა და ამოცანების, მეცნიერების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე, განსაკუთრებით კი ბოლო ათწლეულებში ადმოცენებული ახალი და უახლესი თეორიული მიმდინარეობების, წყაროთმცოდნეობითი ბაზისა და მეთოდოლოგიური საკითხების კვლევა-ძიებისადმი. კვლევის არეალში მოექცა საქართველოს როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყნის წინაშე წამოჭრილი აქტუალური პრობლემების, კერძოდ თანამედროვე ეთნოპოლიტიკური და ეთნოსოციალური საკითხების, მათ შორის ეროვნული უმცირესობის კულტურულ-ანთროპოლოგიური ასპექტების, ეთნოკონფლიქტების, ეროვნული ცნობიერებისა და ეთნიკური იდენტიფიკაციის, ეთნოტურიზმისა და გამოყენებითი ეთნოლოგიის სადღეისო საჭირობორიგო მხარეების შესწავლა და განზოგადი ადგილობრივი კულტურის, მრავალი ნაშრომი, მონოგრაფია და ა.შ.

აჭარისა და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მატერიალური და სულიერი კულტურის, სოციალური ურთიერთობის ამ პრობლემებისადმია მიძღვნილი ინსტიტუტის 20-ზე მეტი სერიული ეთნოგრაფიული კრებული – “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა”, მრავალი ნაშრომი, მონოგრაფია და ა.შ.

მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული მხარის არქეოლოგიური შესწავლის საქმეშიც. არქეოლოგების გამოკვლევები მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა-განვითარების, ანტიკურ სამყაროსთან კოლხეთის ურთიერთობისა და კოლხური რკინის მეტალურგიის ისტორიაში თანამედროვე ქართული არქეოლოგიის უმნიშვნელოვანების შენაძენადაა აღიარებული.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში გამოვლენილი და შესწავლილია ს.ქობულეთის, ხუცუბნის, კვირიკეს, ჯიხანჯურისა და მახვილაურის ნეოლითური ნამოსახლარებით მდიდარი არქეოლოგიურ ძეგლთა ჯგუფი, რაც ამ რეგიონში მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა-განვითარების უტყუარ საბუთს წარმოადგენს. ამავე თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი მონაცემებია მოპოვებული ისპანის ტორფქვეშა და მომდევნო შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამჭედურის ნამოსახლარებზე, ე.წ. დიუნურ დასახლებათა არქეოლოგიურ ძეგლებზე და ა.შ. კოლხური ცივილიზაციის უმნიშვნელოვანების მონაპოვარს წარმოადგენს ჭოროხისა და ჩოლოქონისამურის აუზებში ადმონებნილი ლითონის მოპოვება-დამუშავების მსხვილი კერძი, რომელთა გათხრების შედეგებზე გამოთქმული ვარაუდით, აღნიშნული ძეგლები ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის კავკასიურ-წინააზიური კულტურის წამყვან ცენტრებს უნდა წარმოადგენდნენ.

ინსტიტუტის არქეოლოგთა მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ფიჭვნარ-ქობულეთის, ციხისძირისა და გონიო-აფსაროსის ძეგლებზე წარმოებული კვლევა-ძიება, რომელიც საყურადღებო მონაცემებს გააწვდის ანტიკურ სამყაროსთან კოლხეთის ურთიერთობის გასაშუქებლად, კოლხეთში ბერძნული ცივილიზაციის პროცესის ხასიათის გასარკვევად და, რაც მთავარია, თვით კოლხური პროტო-ქალაქური და ქალაქური კულტურის თავისებურებათა გამოსავლენად, ელინური და ელინისტური ცივილიზაციების ელემენტების შესასწავლად.

გარკვეული წარმატებებია მოპოვებული აჭარისწყლის ხეობასა და მომიჯნავე ტერიტორიების ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლების კვლევა-ძიების საქმეშიც. კვლევის ეს შედეგები შუქს ფენს ფეოდალური საქართველოს ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ადგილსა და როლს არა მარტო კავკასიურ, არამედ წინა აზიურ კულტურულ-ისტორიულ და პოლიტიკურ არენაზე.

ბოლო პერიოდში ინტენსიური კვლევა-ძიება ტარდება ანტიკური ხანის ფიჭვნარის ნაქალაქარისა და გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე. ფიჭვნარის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების წარმატებები მნიშვნელოვანწილად განაპირობა უცხოელ მეცნიერთა დაინტერესებამ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის ბერძნული ქალაქ-პოლისების ისტორიითა და არქეოლოგიით. კერძოდ, უკანასკნელ წლებში არქეოლოგიის განყოფილების საგელე და კამერალურ კვლევა-ძიებაში აქტიურად მონაწილეობენ ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, რომელთა დაფინანსებითაც რეგულარულად ეწყობა არქეოლოგიური ექსპედიციები, სამეცნიერო მივლინებები, ერთობლივი

სამეცნიერო კონფერენციები და, რაც მთავარია საერთაშორისო სტანდარტების დონეზე შესრულებული სერიული გამოცემები, შრომები და მონოგრაფიები.

მნიშვნელოვანი ხასიათის სიახლეები განხორციელდა გონიოს შიდა ციხის ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის საქმეშიც. სამთავრობო ორგანოების გადაწყვეტილებით გონიოს ციხე და მისი შემოგარენი გამოცხადდა ნაკრძალად, რამაც ხელი შეუწყო დაფინანსების გაზრდას არქეოლოგიური კვლევების განსახორციელებლად. გარკვეული სამუშაოები ჩატარდა ძეგლის ვიზუალური კეთილმოწყობისა და მომავალში ტურისტულ ქსელში ჩასართავადაც.

ინსტიტუტის არქეოლოგთა მიერ განხორციელებული კვლევა-ძიების შედეგები აისახა მრავალტომიან სერიაში “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები”, აგრეთვე ცალკეულ ნაშრომებსა და მონოგრაფიებში.

ნახევარსაუკუნოვანი საველე და კამერალური კვლევა-ძიების შედეგებიდან ჩანს, რომ მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის მიმართულებით. ეს არცად გასაკვირი, რადგანაც აჭარაში – ძველი საქართველოს ამ ისტორიულ კუთხეში თავს იყრის კოლხური და იბერიული კულტურები, ადრინდელი ლაზურ-ჭანური და მეგრული ფენები, ტაო-კლარჯული და მესხურ-ჯავახური ტრადიციები, აგრეთვე – ბერძნული და სხვა უცხოური ელემენტები. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ ინსტიტუტის ფოლკლორისტთა თავდაპირველი პერსპექტიული პრობლემა “აჭარის ზეპირსიტყვიერების უანრები” შემდგომში გაფართოვდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასშტაბით და კომპლექსური საველე-საექსპედიციო სამუშაოები გაიშალა გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხეუმში, სვანეთში, მესხეთ-ჯავახეთსა და სხვა მხარეებში.

ზეპირსიტყვიერი მასალების სისტემური შეკრებისა და კვლევის საფუძველზე შესწავლითია აჭარისა და აღნიშნული რეგიონების სიტყვიერი და მუსიკალური ფოლკლორის რიგი უანრები და პრობლემები. კერძოდ: შრომის პოეზია, საწესხვეულებო სიტყვიერება, მუსიკალური ფოლკლორის ძირითადი უანრები, საისტორიო სიტყვიერება, ლირიკული პოეზია, ლაზური სიტყვიერების უანრები, ქების ლექსი, ელეგიური ლექსი, შაირი, გაბაასება-გაშაირების ტრადიციები, ანდაზა, გამოცანა, ფოლკლორულ-ლიტერატურული ურთიერთობანი, ხალხური მთქმელები და მათი რეპერტუარი, შესრულების ტრადიცია, ხალხური დრამის საკითხები, ხალხური პროზაული უანრები და ზღაპრულ-მითოლოგიური პერსონაჟები, თანამედროვე ხალხური პოეზია და ა.შ.

მნელია ამ პრობლემებზე მოპოვებული, დღეს უკვე ქართულ ფოლკლორისტიკაში აღიარებული და მტკიცედ დამკვიდრებული ყველა მიღწევების უბრალოდ ჩამოთვლაც კი, მაგრამ შეუძლებელია არ აღინიშნოს შრომის პოეზიის ისეთი სფეროები როგორიცაა სამიწაომოქმედო (უანური), საფეიქრო, სავენახო, მესაქონლეობა-მემთვევრობის, ხელხვავისა და მძიმე ტვირთის გადაზიდვის ლექს-სიმღერები, რომელთა

უდიდესი ნაწილი გუნდურ საშემსრულებლო ოეპერტუარს გულისხმობს. მათ დირსეული ადგილი უჭირავთ ქართული მუსიკალური კულტურის საგანძურში.

მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული საწესჩვეულებო სიტყვიერების კვლევის საქმეში. შესწავლილია სამეცნიერო-კალენდარული და საოჯახო-საწესჩვეულებო პოეზია, რომელიც გვიდასტურებს წარმართული, ქრისტიანული და მუსლიმანური რწმენა-წარმოდგენების ურთიერთკავშირს. გარკვეულია, რომ ისლამის რელიგიური დოგმების ზემოქმედების მიუხედავად ქრისტიანობამდებლი წარმართული რწმენა-წარმოდგენები, რიტუალური ჩვეულებები და სიტყვიერი ტექსტები აჭარის სიტყვიერებაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ადგილს ინარჩუნებენ. დადასტურდა, რომ წარმართული წესჩვეულებანი, რიტუალები და მაგიური ტექსტები ხშირ შემთხვევაში ენაცვლებიან არა მხოლოდ მუსლიმანურ, არამედ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებსაც.

უანრობრივ-თემატური მრავალფეროვნებით ხასიათდება აჭარის საისტორიო სიტყვიერება, რომლის მხატვრულ ნიმუშებს საფუძვლად უდევს წარსულის კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილე. მასში ასახულია სოციალური უთანასწორობა და კლასთა ბრძოლა, თავისუფლებისათვის მებრძოლ სახალხო გმირთა თავგადასავალი, ფირალობა, თურქთა ბატონობის პერიოდის ცხოვრება და ისლამის რელიგიური დოგმები. საისტორიო სიტყვიერებაში ხშირად გვხდებით რუსეთ-თურქეთის ომების, მუჰაჯირობის ამსახველ სიუჟეტებს, ბრძოლას ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს. გვხვდება, აგრეთვე საქართველოს ისტორიის ამსახველი ზეპირსიტყვიერი ნიმუშები. მეტად მრავალფეროვანია ქართველი მეფის – თამარის სახელის მაღიდებელი ლექსები და ლეგენდა – თქმულებები. მანიშნებელია, რომ ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთი შედევრი “ათასი კაბა ყმა მყავდა”, რომელშიც გვირგვინოსანი თამარის შთამაგონებელი სახე და მისი უძლევებლივი გადმოცემული, გასული საუკუნის მეორე ნახევარში პირველად აჭარაში იქნა ჩაწერილი.

და ბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ინსტიტუტის მიერ განვლილ პერიოდში მოპოვებული მუსიკალური ფოლკლორის მანამდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი უნიკალური ნიმუშები, რომლებიც შექს ფენენ ქართული პოლიფონიური მუსიკის აშკარად გამოხატულ, ორიგინალურ ხასიათს და მის ადგილსა და როლს მსოფლიოს ხალხთა მუსიკალურ ციფილიზაციის საგანძურში.

ინსტიტუტის ფოლკლორისტთა მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებისადმია მიძღვნილი ათზე მეტი სერიული თემატიკური კრებული – “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება”, თანამშრომელთა ასზე მეტი მონოგრაფია, ნაშრომი, სტატიები და წერილები.

ინსტიტუტის მეცნიერულ მიღწევებში უდავოდ თვალსაჩინო ადგილს იქცერს დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. აჭარული დიალექტი, კერძოდ მისი ზემოაჭარული პლასტი ერთობ საყურადღებოა სამხრეთ საქართველოს მეტყველების პროფილის დასადგენად. ცნობილია, რომ

წვენი სამშობლოს ამ მხარეში მომხდარი ისტორიული პროცესების წერტილით ქართული ენის სამხრეთულმა მეტყველებამ ძირეული ცვლილებები განიცადა. ჭოროხის ხეობის, ისევე როგორც მტკვრის აუზის ქართული დიალექტური ერთეულის უცხო ენობრივ სინამდვილესთან კატასტროფულმა შეხებამ გადაშენების გზაზე დააყენა მესხური დიალექტის ის ძევლი სახე, რომელიც გარკვეულ საუკუნეებში ქართული სალიტერატურო ენის შენებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. VIII-IX საუკუნეებიდან ამ მხარის მეტყველება საფუძვლად დაედო ქართულ სალიტერატურო ენას. ტაო-კლარჯეთში შემუშავებული სალიტერატურო სკოლების ტრადიცია უამთა უკუღმართობის გამო შეწყდა და იქაური მეტყველება ფრაგმენტული სახით შემოგვრჩა. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლინგვისტთა ჯგუფს განსაკუთრებული მისია ეკისრებოდა. დღის წესრიგში იდგა ერთეულ, საკმაოდ ნაყოფიერ მკვლევართა მიერ წარმატებით დაწყებული საქმის გაგრძელება და მისი აკადემიურ დონეზე აყვანა. ეს საქმე ინსტიტუტის ფოლკლორისტთა კვლევების პოზიციებიდან დაიწყო. აჭარულ დიალექტზე სისტემატურმა დაკვირვებამ ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება მიიყვანა დიალექტოლოგიურ კვლევა-ძიებამდე. 1969 წელს ფოლკლორის განყოფილებასთან შეიქმნა დიალექტოლოგიური ჯგუფი, რომელმაც მუშაობა დაიწყო თემაზე “აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა”. ამან განაპირობა განყოფილების შემდგომი პროფილი და სტრუქტურაც. 1976 წლიდან იგი იწოდება ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილებად.

დღეს უკვე გამართულად შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, რომ აჭარასა და მომიჯნავე რეგიონში ჩატარებულმა დიალექტოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ქართულ ენათმეცნიერებას დიდი წარმატებები მოუტანა. ზემო და ქვემო აჭარაში სისტემატურმა საველე-საექსპედიციო და ინდივიდუალურმა მუშაობამ განყოფილებას საშუალება მისცა შეეკრიბა მდიდარი ლექსიკური მასალა. გამოვლინდა ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც აჭარული დიალექტის შესახებ არსებული მეცნიერული ლიტერატურისათვის მანამდე უცნობი იყო. შემქრებლობითი მუშაობის შედეგად შეიქმნა ინსტიტუტის დიალექტოლოგიურ ხელნაწერთა ფონდი, რომელსაც ფასდაუდებელი დირექტულება აქვს მშობლიური ენის ლექსიკური განძის მეცნიერული შესწავლისათვის.

მდიდარი მასალა მოპოვებული აჭარულის დარგობრივ ლექსიკაში. შეკრებილი მასალის ძირითადი ნაწილი ასახავს მეურნეობის ისეთ დარგებსა და ცხოვრებისეულ მხარეებს, როგორიცაა: მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, შინამრეწველობა და ხელოსნობა, მშენებლობა, შრომის იარაღები, ნივთები, ტანსაცმელი და სამკაული, ხალხური კულინარია, ხალხური ტრანსპორტი, თიბვა, მეფრინველეობა, ნაოსნობა-მეთევზეობა, ხალხური მედიცინა, საოჯახო და ნათესაური ურთიერთობა, ქორწინება, წესჩვეულებანი და ტრადიციები, რელიგია, ხალხური მმართველობა და ა.შ. შეკრებილი მასალის დიდი ნაწილი კამერალურად დამუშავებული და

შესწავლიდია. სადღეისოდ მასალის დიდი ნაწილი უკვე მზადაა დიალექტოლოგიური ლექსიკონის შესადგენად.

აჭარული დიალექტის, მისი კილოკაური განშტოების კვლევა საშუალებას იძლევა გამოვამზეუროთ ეროვნული ენის ლექსიკური ფონდის კუთვნილებანი, რომლებიც გარდასულ დროთა ვითარების გამო წარსულში ერთგვარ ჩრდილში მოქცეულა, ან სამეურნეო-კულტურული ყოფის განვითარებასა და თაობათა ცვლასთან ერთად თანდაობან დაგიწყებას ეძლევა. სანიმუშოდ შეიძლება ხაზი გავუსვათ შინამრეწველობის ტრადიციულ დარგებთან დაკავშირებული სიტყვების არაერთ ნიმუშს, რომლებიც ძირითადად აჭარელ ქალთა მებსიერებას შემოუნახავს. ასევე ფასეული და საშურია ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომლებიც მხატვრული აზროვნების ნაყოფს წარმოადგენენ, განსაკუთრებულ ადგილს იჭერენ ენაში და ამშვერებენ ენის ლექსიკურ ფონდს.

დღეს უკვე ადიარებულია, რომ აჭარული კილოს მეცნიერულ კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისითაც. მასში უხვად ვლინდება არქაიზმები რომლებიც ნიშანდობლივი იყო ძველი ქართული ენისა და მისი დიალექტურ-კილოკაური დანაყოფებისათვის. აქვე ვლინდება ქართველურ ენათა ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკურ-ტოპონიმური დაფენება. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ზანიზმები.

ენისა და მისი დიალექტების ლექსიკურ ფონდში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ონომასტიკას. სპეციალური ყურადღება მიექცა ტოპონიმთა მორფოლოგიური სტრუქტურის დადგენას, დამახასიათებელ ფონეტიკურ პროცესებსა და ცალკეულ ტოპონიმთა ეტიმოლოგიურ კვლევა-ძიებას. მიღებული დასკვნები გვიჩვენებენ, რომ აჭარის მაკრო და მიკრო ტოპონიმიკისათვის ნიშანდობლივია ყველა ის ტიპი და საწარმონაქმნო მოდელი, რაც დამახასიათებელია საერთო ქართული ტოპონიმიკისათვის.

ტოპონიმიკური მასალების პარალელურად ინსტიტუტში დაიწყო ანთროპონიმების სისტემატიკური აღნუსხვა-შესწავლა. დადგენილია, რომ აჭარაში ძირითადად გვხვდება -ძე, -შვილ, -ელ, -ურ მაწარმოებლებით წარმოქმნილი გვარები. შეინიშნება აგრეთვე -იან სუფიქსით დაბოლოებული გვარებიც. გავრცელებულ გვარსახელთა შორის გვხვდება ხელობის ან პროფესიის აღმნიშვნელი სახელებიდან მომდინარე ანთროპონიმები. როგორც ცნობილია, ტოპონიმიკურ-ანთროპონიმიკული სახელები მნიშვნელოვნი წყაროს წარმოადგენს მხარის, თუ ქვეყნის ისტორიული წარსულისა და აწმეოს, მისი სამეურნეო-კულტურული ყოფისა და ცხოვრების სხვა ასპექტების ისტორიულ-გეოგრაფიულ ჟრილში კვლევა-ძიების საქმეშიც.

აჭარული და ლაზური დიალექტური მასალების მეცნიერული აღნუსხვისა და ლინგვისტური კვლევა-ძიების დარგში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაობის შედეგები ქართული ენათმეცნიერების ღისეული შენაძენია. საგულისხმოა, რომ ამ ეროვნულ

საქმეს ემსახურებიან მაღალგალიფიციური კადრები, რომლებიც ამავე დროს აქტიურად მონაწილეობენ დიალექტოლოგიის საკითხებზე რესპუბლიკური და საერთაშორისო სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების მუშაობაში. ადსანიშნავია ისიც, რომ ამ მუშაობის შედეგებისადმია მიძღვნილი განყოფილების რამდენიმე სერიული თემატიკური კრებული “აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა”, სპეციალური მონოგრაფიები, ნაშრომები, სტატიები და ა.შ.

აჭარა საქართველოს ერთიანი ეკონომიკური და სოციალური კომპლექსის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე ეკონომიკური კვლევა-ძიება ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში თავიდანვე ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ჩამოყალიბდა და მას აჭარისა და მისი რაიონების რეგიონალური ეკონომიკური პრობლემების შესწავლა დაეკისრა.

ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილების მუშაკებმა განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა გაწიეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხების მეცნიერულ შესწავლა-განალიზების მხრივ. თავისი გამოკვლევებითა და დასკვნებით მათ ხელი შეუწევს არაერთი პრობლემის სწორად გადაჭრას და რეგიონის ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას. ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო იყო აჭარისა და მისი რეგიონების ეკონომიკური პრობლემების შესწავლა სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მეცნიერულად დასაბუთებული წინადაღებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და წარმოება-დაწესებულებებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა. დასახული პროგრამის რეალიზაციის მიზნით ინსტიტუტის ეკონომისტები, პირველ რიგში, შეუდგნენ აჭარის სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მშენებლობის განვითარების, წარმოების ეფექტიანობის რეზერვებისა და გზების მიებას. მიღწეული დონის ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, აგრეთვე მოწინავე გამოცდილების განზოგადების ფონზე მრავალი საყურადღებო დასკვნა გაკეთდა და მრავალი პრაქტიკული რეკომენდაციაც შემუშავდა.

აჭარაში მომუშავე მეცნიერი ეკონომისტების უპირველეს ამოცანად დაისახა ავტონომიური რესპუბლიკის აგრარულ-ინდუსტრიული განვითარების აქტუალური საკითხების დამუშავება. აქედან გამომდინარე ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილების საჭმიანობაში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების ეკონომიკური, ხოლო უფრო მოგვიანებით სოციალური პრობლემების შესწავლამ ძირითადი ადგილი დაიჭირა.

ეკონომიკის განყოფილებამ იმთავითვე მოჰყიდა ხელი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის აქტუალური საკითხების შესწავლას. ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მეჩაიერების, მეხილეობის, მეთამბაქოეობის, მევენახეობის, მეციტრუსეობის, მებოსტნეობის, მეცხოველეობის განვითარების საკითხები, აჭარაში მეჩაიერებისა და მეხილეობის განვითარების ისტორია რევოლუციამდელი პერიოდიდან დღემდე, სოფლის მეურნეობრივი წარმოების გადადგილებისა და სპეციალიზაციის კანონმიერებათა თეორიული კვლევა, ახალი

ტექნიკის, შრომითი და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და სხვა საკითხები.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილების მეცნიერმა მუშაკებმა ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლეს აგრეთვე აჭარის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის – მეციტრუსეობის ეკონომიკა. განხილულია ამ კულტურის განვითარების ისტორია საქართველოში, მეციტრუსეობაში მოსავლიანობისა და რენტაბელობის გადიდების, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენებისა და სხვა აქტუალური საკითხები, გაკეთებულია მრავალი საყურადღებო მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნა.

ინსტიტუტმა საკვლევი პრობლემების სფეროში იმთავითვე მოაქცია აჭარის არ ჩაის მრეწველობის ეკონომიკის საკითხები. ამ მხრივ უურადღებას იმსახურებს ჩაის ფოთლის გადამუშავების მრეწველობის განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების საკითხები, ჩაის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და წარმოების დანახარჯთა შემცირების, შრომის ორგანიზაციისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხები.

უაღრესად მნიშვნელოვანი საკვლევაძიებო სამუშაოები განხორციელდა მებოსტნეობა-მებაღჩეობის ეკონომიკის საკითხების შესწავლის მიმართულებითაც. ამას, უპირველეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების ინტენსიური ზრდა განაპირობებდა. მებოსტნეობა-მებაღჩეობა მჭიდრო კავშირშია საგარეუბნო მეურნეობის პერსპექტივებთან, აგრეთვე მეურნეობრივი მიწის ფონდების რაციონალური გამოყენების შესაძლებლობასთან.

ცალკე მიმართულება დაეთმო აჭარის მეცხოველეობის შესწავლის საქმესაც. ფაქტობრივი მასალების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ მეცხოველეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წარმოებრივი პროცესების მექანიზაცია, ტენიკური აღჭურვილობა, წარმოების სპეციალიზაცია-კონცერნზრაცია და შრომის ორგანიზაცია ჯერ კიდევ დაბალ დონეზე იდგა. ამ ნაკლოვანებათა გათვალისწინებით ყურადღება გამახვილდა წარმოების სპეციალიზაცია-კონცერნზრაციის გადრმავებისა და მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო კომპლექსების შექმნის აუცილებლობაზე, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის თვითდირებულების შემცირების საკითხებზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადაადგილებასა და სპეციალიზაციის სრულყოფის პრობლემებზე.

ინსტიტუტში მნიშვნელოვანი კვლევა-ძიება განხორციელდა აჭარის მრეწველობისა და მშენებლობის დარგების ეკონომიკური პრობლემების შესასწავლად. საყურადღებო გამოკვლევები დაიწერა აჭარის მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებისა და ეკონომიკის საკითხებზე. პირველად ინსტიტუტში დამუშავდა ავტონომიური რესპუბლიკის საშენი მასალებისა და კონსტრუქციების წარმოების განვითარების წინადაღებანი ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე, გამოვლინდა ამ დარგის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების

რეზერვები და შემუშავდა რეკომენდაციები მათ გამოსაყენებლად. მაღალპროფესიულ დონეზეა გამოკვლეული და შესწავლილი საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების დარგში შრომის მწარმოებლურობის ამაღლების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ტექნიკური პროგრესის დანერგვის, საწარმოთა რენტაბელობის დონისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკითხები.

განვლილ პერიოდში უაღრესად ნაყოფიერი მუშაობად გაწეული აჭარის მსუბუქი მრეწველობის დარგების ეკონომიკის შესასწავლად. ამ მიმართულებით დღემდე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებში ასახულია საქართველოს, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტყავ-ფეხსაცმლის წარმოების განვითარების შესაძლებლობანი, მისი სანედლეულო და ტექნიკური ბაზა, საწარმოებში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის ეფექტიანობა, პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის სრულყოფის წინადადებანი, რენტაბელობის ამაღლების დონისძიებანი. ამ გამოკლევებმა და შესაბამისმა პრაქტიკულმა წინადადება-რეკომენდაციებმა თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის მრეწველობის ამ მტკიცნეული პრობლემების მოგვარებისა და გადაწყვეტის საქმეში.

ეკონომიკის განყოფილებაში შესრულდა აგრეთვე სხვა გამოკლევებიც, რომლებიც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შრომითი რესურსების ფორმირებას და რაციონალურ გამოყენებას, სახალხო მეურნეობაში მართვის ავტომატიზირებული სისტემების დანერგვისა და ამის ბაზაზე წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას ეხებოდა.

1969 წლიდან ინსტიტუტი შეუდგა აგრეთვე სოციოლოგიური გამოკლევების ჩატარებას. 1975 წელს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების საფუძველზე ბათუმის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ჩამოყალიბდა კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის ჯგუფი, რომელმაც უკვე გასწია ნაყოფიერი მუშაობა. კერძოდ, ინსტიტუტის სოციოლოგებმა განაგრძეს ქ. ბათუმის სამრეწველო საწარმოების წარმოების ეფექტიანობის ამაღლების სოციალური ფაქტორების შესწავლა, გამოიკვლიეს საწარმოებში მუშაკთა დენადობის მიზეზები, მისი შემცირებისა და რეგულირების გზები, შრომითი კოლექტივების სოციალური აქტივობის პრობლემები და სხვ. სოციოლოგთა გამოკლევებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების განვითარებისა და შრომითი რესურსების, მოსახლეობის სიკვდილიანობის, შობადობის, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, მთიან რაიონებში შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და სხვა საკითხებს.

1979 წელს კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის ჯგუფი შეუერთდა ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილებას და ეს უკანასკნელი ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევის განყოფილებად გადაკეთდა. ამ განყოფილების შექმნით ინსტიტუტში საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სისტემატიურ, გეგმაზომიერ კვლევა-ძიებას აჭარაში, რამაც უშეალო ზეგავლენა მოახდინა შესაბამისი მეცნიერული კადრების ჩამოყალიბებაზე, მათი

კვალიფიკაციის ამაღლებაზე. განყოფილების თანამშრომლებმა განვლილ პერიოდში გამოაქვეყნეს 200-ზე მეტი ნაშრომი – ბროშურები, მონოგრაფიები, მოხსენებათა ოქტოსები, რეცენზიები და ა.შ. განყოფილებამ სხვადასხვა სახელწოდებებით გამოსცა ათავსდე სერიული ოქმატიური ქრებული.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის კონკრეტულ მიმართულებათა კვლევის გაღრმავებისა და შემდგომი გაფართოების, აღნიშნული რეგიონის საქართველოს ისტორიის ერთიან ქარგაში სრულყოფილი წარმოჩენის მიზნით, 1986 წლიდან ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაიხსნა ისტორიის განყოფილება. განყოფილებაში დაიწყო და მუშავდება მხარის უძველესი და ძველი ისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემები, კერძოდ “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები” და “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გეოპოლიტიკური პრობლემები”. განყოფილების ამ მიმდინარე და პერსპექტიულ მიმართულებებში დიდი ყურადღება ექცევა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს ადრეული სახელმწიფო ბრივი წარმონაქმნების, მოსახლეობის ვინაობის, მათი განსახლების კონკრეტული გზებისა და აღნიშნულ ტერიტორიაზე ქართველ ტომთა ლოკალიზაციის კვლევასა და ანალიზს.

არქეოლოგებთან ერთად მიმდინარეობს მხარის მეტალურგიული წარმოების უძველესი კერების, საქართველოს შავიზღვისპირეთის ზოლში ბერძნული და რომაული კოლონიზაციის პრობლემათა ინტენსიური კვლევა. ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ შუქი მოჰყინა შავიზღვისპირეთში ბერძნულ-რომაული ექსპანსიის ზოგიერთ თავისებურებას, აგრეთვე ანტიკურ კულტურულ სამყაროში კოლხეთისა და იბერიის ინტეგრაციის რთულ პროცესებსა და ა.შ.

ზღვისპირეთსა და მთიან ზოლში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით დადგენილია, რომ შესასწავლი რეგიონი იყო კოლხეური სამყაროს არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური, არამედ სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვანი კერაც, რაც კარგადაა ასახული არქეოლოგიური გათხრების პროცესში გამოვლენილი ნივთიერი კულტურით. ადრებრინჯაოს ხანიდან დასტურდება ამ რეგიონში დვთაებათა პანთეონის ფორმირების პირველი ნიშნები, კერძოდ, ზღვისპირეთში – ხარის, გველის, წყლის კულტის არსებობა, ხოლო მთის რეგიონში – ქვაკაცები, ვეზაპონიდები და სხვა ღვთაებები.

შუა და გვიანთეოდალური ხანის ისტორიის საკითხებიდან კვლევის არეალშია მოქცეული აჭარის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრების რთული პრობლემები, ტბელ აბუსერისძის ეპოქის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის, სოციალური ურთიერთობის პრობლემები და ა.შ. გარკვეული სამუშაოები განხორციელდა ფეოდალური ხანის ნივთიერი კულტურისა და წერილობითი წყაროების გამოსავლენად და შესასწავლად.

ახალი და უახლესი ისტორიიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის იმ მონაკვეთს,

რომელიც აქ ოსმალეთის იმპერიის სამსაუკუნოვან ბატონობას ეხება და რიგი სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება. ხაზგასმულია ქართული მოსახლეობის, ქართული გენის ის სიმტკიცე და მდგრადობა, რომელიც აქაურმა ქართველობამ ოსმალთა ბატონობის პერიოდში გამოიარა და თოთქმის ხელუხლებლივ შემოინახა ქართული ტრადიციები და ცხოვრების ქართული წესი.

მხარის ახალი ისტორიის საკითხებიდან ახლებურადაა შესწავლილი და გაშუქებული ოსმალთა მმართველი წრეების რევანშისტული გეოპოლიტიკური გეგმები საქართველოს მიმართ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების და განსაკუთრებით კი, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. ნაჩვენებია, რომ ომისწინა და ომის პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველო იყო ოსმალეთის ექსპანსიური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რასაც იყო გეგმაზომიერად ახორციელებდა გერმანიის არანაკლებ რეგანშისტულად განწყობილ პოლიტიკურ წრეებთან აღიანსის წყალობით.

ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემებიდან ისტორიის განყოფილების პრიორიტეტულ საკითხებად რჩება აჭარა და აქ მიმდინარე ურთულესი პოლიტიკური ძვრები საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი ძალისმიერი ანექსიის შემდეგდროინდელ პერიოდში. შესწავლილი და გაანალიზებულია აჭარის ავტონომიზაციის მრავალმხრივი პროცესები და მასთან დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკური ძვრები, მხარის განათლებისა და კულტურის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, რელიგიურ-კონფესიონალური, დემოგრაფიული და მიგრაციული თავისებურებების გათვალისწინებით.

ახალი ისტორიის განხრით მნიშვნელოვანი გამოკვლევებია შესრულებული მხარის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების, ბათუმის პორტში ნაოსნობის განვითარების, კერძოდ თავისუფალი ეკონომიკური ზონის ე.წ. პორტო ფრანკოს გამოცხადებაზე და ა.შ.

დაწყებულია ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის, კერძოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ქვეყნის სუვერენიტეტის ძიების გზეზე მომხდარი ურთულესი პროცესების კვლევა და ანალიზი.

ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობაში მიღწეული წარმატებები განპირობებული იყო სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ორგანიზაციული საქმიანობის შედეგად.

ინსტიტუტის დაარსების პირველსავე წლებში განისაზღვრა მეცნიერული მიმართულებანი და ჩამოყალიბდა სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც გზადაგზა იხვეწებოდა და სრულყოფილი ხდებოდა. ასე მაგ., დაარსებისას ჩამოყალიბებულ ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და ეკონომიკის განყოფილებებს შემდგომში დაემატა ახალი სამეცნიერო მიმართულებები არქეოლოგიის, დიალექტოლოგიის, სოციოლოგიისა და ისტორიის განხრით, შეიქმნა საოანადო სტრუქტურები განყოფილებებისა და პრობლემური ჯგუფების სახით. ბოლო წლებში შეიქმნა საინფორმაციო განყოფილება ინსტიტუტის სამეცნიერო მიმართულებების ახალი და უახლესი მეცნიერული მონაცემებით უზრუნველყოფის კონკრეტული მიზანდასახულობით და ა.შ.

სამეცნიერო მიმართულებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბება-ფორმირებასთან ერთად ინსტიტუტმა დიდი მუშაობა გასწია ახალგაზრდა კადრების მომზადების მხრივ. მეცნიერებათა აკადემიის გამუდმებული მზრუნველობისა და მხარდაჭერის შედეგად ამა თუ იმ მიმართულებებში თავდაპირველად მოწვეულ გამოცდილ კადრებს მაღე გვერდში ამოუდგნენ აკადემიის პრეზიდიუმისა და სათავო ინსტიტუტების, პარალელურად კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში აღზრდილი ახალგაზრდა სამეცნიერო კადრები. შედეგად ინსტიტუტის დაარსების პირველ წლებში აქ მომუშავე 5 მეცნიერთანამშრომლის ნაცვლად, 2006 წლის დასაწყისისათვის ინსტიტუტის სამეცნიერო სექტორი მოითვლიდა 72 მეცნიერ თანამშრომელს, რომელთა შორისაც მთავარი და წამყვანი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობები 15 მეცნიერთა დოქტორსა და 27 მეცნიერებათა კანდიდატს ეჭირა. მარტო ბოლო ათწლეულებში მომზადდა და დაცული იქნა 12 სადოქტორო და 20-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია. მომზადებულია დასაცავად ათობით სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები, ინსტიტუტს ჰყავს ხარისხის მაძიებლები და ასპირანტები, პრაქტიკანტები და სტაუიორები.

ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობაში მიღწეულ წარმატებებს დიდად შეუწყო ხელი პირველსავე წლებიდან დაგეგმილმა და შემდგომში თანდათანობით გაფართოებულმა საველე-საექსპედიციო საქმიანობამ. ამის საილუსტრაციოდ საქმარისია დავასახელოთ თავისი ამოცანებითა და მიზანდასახულობით განხორციელებული ფართომასშტაბიანი კომპლუქსური ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური ექსპედიციები აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა მომიჯნავე რეგიონებში, საერთოდ ქვეყანაში და უცხოეთში. კერძოდ, სხვადასხვა წლებში მოეწყო არაერთი სტაციონარული და სამარშრუტო საველე ექსპედიციები და მივლინებები აჭარის, გურიის, აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთის, რაჭა-ლეჩხეუმის ზემო და ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ზემო და ქვემო ქართლის, კახეთის, ფშავ-ხევსურეთისა და სხვ. მომიჯნავე, ახლო და შორეული რეგიონების, ამიერ (სომხეთი, აზერბაიჯანი) და ჩრდილო კავკასიის (ჩეხეთი, ინგუშეთი, ოსეთი, დაღესტანი და სხვ.), თურქეთის (ტაო-კლარჯეთი, შავშეთი, იმერევეთი) სხვადასხვა ხეობაში, სპეციალური სამეცნიერო მივლინებები დასახელებულ და სხვა (საბერძნეთი, რუსეთის ფედერაცია, გერმანია, საფრანგეთი და სხვ.) ქვეყნების სამეცნიერო სამუზეუმო და საარქივო ცენტრებში და ა.შ.

განვლილ პერიოდში ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა სპეციალობათა მიხედვით (ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ისტორია, სოციოლოგია, ეკონომიკა და ა.შ.) მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში (ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, პოლანდია, აშშ, თურქეთი, ირანი, რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვ.) გამართულ საერთაშორისო კონგრესებში, კონფერენციებსა და სესიებში, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებსა და ქალაქებში გამართულ

საკავშირო სამეცნიერო სესიებში, სკოლა-სემინარებში და სხვა უმაღლესი რანგის სამეცნიერო ფორუმებში.

სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ამ და სხვა დონისძიებებს მოყვა მჭიდრო სამეცნიერო თანამშრომლობა და ერთობლივი სამეცნიერო თემატიკის დამუშავება მსოფლიოს არაერთი წამყვანი ქვეყნის (რუსეთი, თურქეთი, საბერძნეთი, გერმანია, ინგლისი და ა.შ.) ცნობილ მეცნიერებთან. ამ პროცესებთან იქნ დაკავშირებული სამეცნიერო კადრების გაცვლის, სტაჟირებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მეტად საჭირო და აუცილებელი ღონისძიებებიც. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა დავასახლოთ საკავშირო და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების სათავო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და დაწესებულებები, აგრეთვე უნივერსიტეტები თბილისში, მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგში და ა.შ., სადაც მომზადდა ინსტიტუტის ათობით მაღალკვალიფიციური მეცნიერი თანამშრომელი, დაცული იქნა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სამეცნიერო პროდუქციის პუბლიკაციის საქმეშიც. სამსრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, ეკონომიკისა და სოციოლოგიის პროფილით გამოცემულია ზემოთ უკვე აღნიშნული მრავალტომიანი სერიული კრებულები. გარდა სპეციალური კრებულებისა და სხვა პერიოდული გამოცემებისა, ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ გამოცემულია დაახლოებით ორი ათასამდე ნაშრომი და მონოგრაფია, მრავალრიცხოვანი სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული და სამეცნიერო-პუბლიცისტური ნარკვევები, სტატიები და წერილები ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და თურქულ ენებზე. დასახელებული თემატიკური კრებულები, ნაშრომები და მონოგრაფიები შესრულებულია საერთაშორისო სტანდარტების დონეზე და მრავალი მათგანი რეფერირებულია შესაბამის უცხოურ გამოცემებში. ინსტიტუტის მეცნიერული კოლექტივის მიერ მომზადდა “სამსრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა) ისტორიის საკითხების” ოთხტომეული, რომლის პირველი ტომი 2007 წელს გამოვიდა.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ გამოცემულმა კრებულებმა და მონოგრაფიებმა უკვე მოიპოვეს სპეციალისტთა ფართო აღიარება და მყარი ადგილი დაიმკვიდრეს ქვეყნისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო მიმოქცევაში.

ინსტიტუტის მიღწევების უდიდესი მნიშვნელობა სამსრეთ-დასავლეთ და საერთოდ საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის, ეკონომიკისა და სოციოლოგიის ფუნდამენტურ პრობლემათა კვლევების სფეროებში მარტო პუბლიკაციებით როდი ამოიწურება. გასული ნახევარი საუკუნის მანძილზე ზემოაღნიშნულ ექსპედიციებსა და მივლინებებში თუ საველე არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებულია ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი უმდიდრესი, ფასდაუდებელი რეალიები, რომლებიც დაცულია ინსტიტუტისა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ.ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მოპოვებული ეს ნახევარსაუკუნოვანი წარმატებები მეცნიერული კოლექტივის სამი თაობის მუხლიაუხერელი შრომისა და გარჯის შედეგადაა მიღწეული. სამწუხაროდ, ეს უანგარო შრომა და გარჯა, რომელიც ინსტიტუტის არაერთ ცნობილ მეცნიერსა და მოღვაწეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა, ჩვენს ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, სერიოზულ დაბრკოლებებს ხვდებოდა. საქმარისია აღვნიშნოთ, რომ ხრუშჩოვისა და ბრეჟენევის მმართველობის პერიოდში ბათუმში სააკადემიო ინსტიტუტის უფრინა-არყოფნის საკითხი ორჯერ ბეწვზე გაიდა და მხოლოდ მეცნიერებათა აკადემიის, ადგილობრივი ხელისუფლების, ინსტიტუტის კოლექტივისა და ფართო საზოგადოებრიობის არნახული ძალისხმეულისა და მხარდაჭერის შედეგად გადარჩა.

და მაინც, დღეს თავისუფალ და სუვერენულ საქართველოში ინსტიტუტის მეცნიერული კოლექტივი თავის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს განათლებისა და მეცნიერების სფეროში ეკროპული სტანდარტების რეფორმებით ფრთაშეკვეთილი, აკადემიის სისტემიდან გამოძევებული და ქვეყნის განათლების სისტემაში ჯერ კიდევ სათანადოდ დაუმკვიდრებელი, ამასთან ინსტიტუტის მეცნიერულ კოლექტივთან შეუთანხმებლად მონათლული კ.წ. “ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის” სახელწოდებით ხვდება. ჩვენს ქვეყანაში სააკადემიო ფუნდამენტური მეცნიერების რდევევისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე კ.წ. ვიზუალური მეცნიერების აღმშენებლობის პროცესში ყოფლად გაუმართლებელ და გაუაზრებელ ინტეგრაციებს, ინსტიტუტი კვლავ თავისი კოლექტივისა და მისი ხელმძღვანელობის, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის რადიკალური მხარდაჭერის წყალობით გადაურჩა და ამჯერადაც დამოუკიდებელი არსებობის სტატუსი შეინარჩუნა. მანიშნებელია ისიც, რომ სადღეისოდ, ამ გაუაზრებელი ინტეგრაციების მოკლე პერიოდშიც კი, თავი იჩინა სერიოზულმა ხარვეზებმა, რამაც დღის წესრიგში დააყენა ზოგიერთი ხელოვნურად შექმნილი თავკომბალა დაწესებულების დეზინტეგრაციის პროცესის აუცილებლობა.

ინსტიტუტის მეცნიერულ კოლექტივსა და მის ხელმძღვანელობას ნათლად აქვთ გააზრებული და შეგნებული ჩვენი ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების წინაშე მდგარი ამოცანები. უკან დარჩა რეფორმების ძირითადი ეტაპები – ახალი წესდების მოთხოვნებთან შესაბამისად დაიხვეწა ინსტიტუტის სტრუქტურა, მეტ-ნაკლები ტკიფილებით ჩატარდა თანამშრომელთა ატესტაცია, შემუშავდა სათანადო რეგლამენტი და სტრუქტურათა დებულებები, მოწესრიგდა საფინანსო და სამეურნეო სფეროთა საქმიანობა, თუმცა კვლავ მთელი სიმწვავით იჩენს თავს თანამშრომელთა ხელფასის წარმოუდგენლად დაბალი დონე, ძირითადი და დამხმარე ნაგებობათა გადაუდებელი რემონტის, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური აპარატურისა და დანადგარ-შექმნის აუცილებლობა, რაც რადიკალურად შეცვლის თანამშრომელთა ამჟამინდელ გაუსაძლის სამუშაო პირობებს.

გაითვალისწინა რა დამოუკიდებელი, სუვერენული საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემები და ამოცანები, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, გამომდინარე არსებული მეცნიერული პოტენციალიდან თავის პერსპექტიულ სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებში მაქსიმალურად გაითვალისწინა საერთო-სახელმწიფოებრივი პრიორიტეტები. ამ მხრივ ინსტიტუტის ჰუმანიტარულ მიმართულებათა კულტურულ-ისტორიული პრობლემების კვლევა დაკავშირებულია ისეთ სადღესის ასპექტებთან, როგორიცაა რეგიონის რელიგიურ-კონფესიონალური სიტუაციის ანალიზი. ამ მხრივ გასარკვევია თურქეთის ბატონობის დროინდებულ აჭარაში ქართული მენტალობის სამების – ენა, მამული, სარწმუნოება – ძალისმიერი გახლებისა და სარწმუნოების არსებითად შეცლის პირობებში, სხვა ქართული ისტორიული პროვინციების მსგავსად, ენისა და მამულის, შესაბამისად კი ეროვნული თვითშეგნების ფერმენტის შემონახულობა, რაც აჭარის მოსახლეობის საქართველოს სხვა კუთხეებთან მუდმივი და განუწყვეტელი კავშირულთიერთობის შედეგი უნდა ყოფილიყო. ამასთან სამოქალაქო საზოგადოების სტაბილურობის აუცილებლობა გადაუდებლივ მოითხოვს იმის გათვალისწინებას, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში მუსლიმან და ქრისტიან თანამემამულებით შორის მძაფრი დაპირისპირება და საუკუნოვან პრობლემად ქცეული ანტიგონიზმი, საბოლოოდ კი აშკარა სეპარატიზმი, აჭარაში არასოდეს არ მდგარა დღის წესრიგში, ურთიერთობა მაკმადიან და ქრისტიან ქართველობას შორის არასოდეს ქცეულა დაპირისპირებისა და გაუცხოების მიზეზი.

დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების პარმონიული განვითარების პოტენციურ შესაძლებლობათა გამონახვა და დამკვიდრება, ეთნოგრაფიული აჭარის კულტურულ-ისტორიული ვითარების პროგრამით გათვალისწინებული მრავალმხრივი მონიტორინგის პირობებში, საყურადღებო შედეგებს მოგვცემს ზოგადად საქართველოში და, კერძოდ აჭარაში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში შემოსახლებულ (მეზობელ ქვეყნებიდან დევნილ და დეპორტირებულ) ეროვნულ უმცირესობებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების თვალთახედვით. ამ შემთხვევაში მაკმადიან აჭარელთა შემწყნარებლური დამოკიდებულება ჩვენთან შემოხიზულ ბერძენ, სომებს თუ აფხაზ მიგრანტებთან, მათი მიღება და დასახლება ბათუმის შემოგარენში, უფრო მეტიც, მათთვის ქრისტიანულ ეკლესიათა მშენებლობაში ხელშეწყობა და დახმარება, ქართული ტოლერანტული მენტალობის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია, რომლის სათანადო მეცნიერული ახსნა და დასაბუთება შესაძლოა მნიშვნელოვან ფაქტორად იქცეს არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს სხვა ეთნიკურად ფეთქებადსაშიში რეგიონების ერთაშორისი ურთიერთობის პრობლემების გადასაწყვეტად.

სამთავრობო პრიორიტეტების პროგრამით გათვალისწინებულ კვლევებში დიდი ადგილი დაეთმობა ბათუმისა და მისი შემოგარენის თანამედროვე პრობლემებს. კერძოდ, გაშუქებული იქნება ბათუმის როგორც აწყოსა და მომავლის საუნივერსიტეტო, უმნიშვნელოვანების საზღვაო-სანაო-

სნო, საპატიო-საპორტო და საბაჟო ქალაქის, ფართომასშტაბიანი საერთა-შორისო ტურიზმის ეთნოსოციალური და ეთნოკულტურული ასპექტები. ნაჩვენები იქნება მათ ბაზაზე აღმოცენებული ახალი სტერეოტიპებისა და შესაბამისი მენტალობის ადგილი და როლი არა მარტო ქართული, არამედ მეზობელი ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში, რაც ხელს შეუწყობს ახალი ტიპის სუვერენული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის წარმატებულ პროცესს.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მრავალპროფილიან მეცნიერულ პოტენციალს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ამჟამად მდგარი სხვა პრიორიტეტული მიმართულებების კვლევა-ძიების საქმეშიც. უკანასკნელი ათწლეულების მოვლენებმა ახალი პერსპექტივები შექმნეს საუკუნეების წინ თსმალეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ძირძველი პროვინციების – ტაო-კლარჯეთის, შავშეთის, იმერხევისა და ლაზეთის ძირძველი მოსახლეობის, აგრეთვე XIX ს. მეორე ნახევარში აჭარიდან და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებიდან გადასახლებული ლტოლვილების – ე.წ. მუჰაჯირების ისტორიულ-ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ლინგვისტური და ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების მიმართულებით.

თურქეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის პირველი სერიოზული ცდები 1877–1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომებში რუსეთის გამარჯვების შედეგად განხორციელდა. მაგრამ ეს იყო ცალკეულ ენთუზიასტ ქართველ თუ უცხოელ (რუს და დასავლეთ ევროპელ) მოგზაურ-მკალევართა დაინტერესების საგანი.

საერთაშორისო არენაზე შექმნილი პოლიტიკური მოვლენების კვალდაკვალ 1921 წლიდან ჭოროხის ხეობისა და ლაზეთის დიდი ნაწილი, რომელიც ყოფილი ბათუმის ოლქის ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში შედიოდა, კვლავ თურქეთის საზღვრებში მოექცა. ამის გამო ქართველ მეცნიერებს დიდი ხნით არ ეძლეოდათ საშუალება ქართველებით დასახლებული კუთხეები მეცნიერულად ყოველმხრივ გამოიკვლიათ. ამდენად ფართო მას-შტაბის კომპლექსური, გეგმაზომიერი შესწავლა აღნიშნული რაიონებისა, დღემდე არ მომხდარა. მართალია, უკანასკნელ წლებში ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში (ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომუშავე ცალკეულ მკვლევართა მონაწილეობით, მაგრამ მათ საქმიანობას მეტწილად მაინც სამარშრუტო-ინფორმაციული და ვიზუალური ფიქსაციის ხასიათი ჰქონდა.

თურქეთის რესპუბლიკაში ქართველების, კერძოდ, ჭოროხის ხეობისა და ლაზეთის მოსახლეობის პრობლემური შესწავლა, პირველ რიგში, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული კოლექტივების საზრუნავს წარმოადგენს. ეს ამოცანა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წინაშე მისი

დაარსებიდან (1958 წელი) დაისგა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ითვალისწინებდა, რომ დადგებოდა დრო, როდესაც აჭარის ისტორიულ, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ლინგვისტიური და ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური შესწავლის პარალელურად, დაიწყებოდა თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მეცნიერული შესწავლაც. ეს დრო უკვე დადგა.

მეცნიერებისათვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა და დღესაც იწვევს, ჭოროხის ხეობა, სადაც დაირჩა ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი. ჭოროხის აუზი სახელგანთქმული კოლხური კულტურის უძველესი და უმთავრესი კერაა. სწორედ აქ ჩაისახა და იმდროისათვის განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ჯერ სპილენძ-ბრინჯაოს სამთამადნო-მეტალურგიულმა წარმოებამ, შემდეგ კი რკინის მეტალურგიამ. ჭოროხის აუზის პრიორიტეტი სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარებაში და ამ საქმეში აქ მოსახლე ქართველური მოდგმის ტომების-მოსინიებისა და ხალიბების ადგილი და როლი ერთხმადაა იღიარებული არა მარტო ქართველ, არამედ, რაც უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანია, ამ პრობლემების შესწავლით დაინტერესებულ უცხოელ მეცნიერთა მიერ. ბუნებრივია, ეს ვითარება კიდევ უფრო აძლიერებს ქართველ მეცნიერთა მონაწილეობის აუცილებლობას ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის შესწავლის საქმეში და ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაშლა-გაფართოებას მოითხოვს.

სამეცნიერო-კვლევითი პრობლემატიკის ასეთი კორექტირების პროცესში გათვალისწინებულია იმ რეზერვების მაქსიმალური გამოძებნა და გამოყენება, რომელიც განსაზღვრულია ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის საფინანსო პოლიტიკით და საბიუჯეტო სახსრებთან ერთად ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევების თვითდაფინანსებას.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის წარმატებები ახალი ათასწლეულის მიჯნაზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონში მეცნიერების განვითარების ახალ პრესპექტივებს სახავს, რომლის რეალური ხედვისა და განხორციელების მეტად საჭირო და საპასუხისმგებლო საქმეს ინსტიტუტის მეცნიერული კვლებზე კვლებაც დიდი მონდომებითა და განსაკუთრებული ყურადღებით მოვკიდება.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ჲ ლ ო ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ინაიშვილი ა. ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ამოცანები, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, I (ბსკიშ, I), ბათუმი, 1960.
2. მოურავიძე დ. ეკონომიკური და სოციალური კვლევა-ძიება ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ქართველოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი კერა. ნ.ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 25 წელი (ქმბ.25), თბ. 1986.

3. რობაქიძე ა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების მოკლე ანგარიში 1958–1969 წწ., სამხერეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, I (სდხმექს, I), თბილისი, 1973.
4. რობაქიძე ა. ეთნოგრაფიული კვლევა ნ.ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ქმ. 25), თბ. 1986.
5. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 1958–2007 წლების სამეცნიერო-კვლევითი და ორგანიზაციული მუშაობის ანგარიშები (ისკომა, 1958–2007), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქივი, ბათუმი, 1958–2007.
6. შამილაძე ვ. ქართული ეთნოლოგიის მიღწევები და პერსპექტივები, ისტორია და თანამედროვეობა, ქართული ეთნოლოგია, I, თბ., 2005.
7. ჩიტაია გ. ქართული ეთნოგრაფია XX ს., შრომები, III, თბილისი, 2001.
8. ჩიქოვანი მ., ბარდაველიძე ჯ. ფოლკლორისტული საქმიანობა ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ქმ. 25), თბილისი, 1986.
9. ძიძიგური შ., დიალექტოლოგიური კვლევა ბათუმის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში (ქმ. 25), თბილისი, 1986.
10. ხახუტაიშვილი დ. ნ.ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საქართველოს არქეოლოგია (ქმ. 25), თბილისი, 1986.
11. Очерки этнографии Аджарии, Тбилиси, 1982.
12. Робакидзе А.И. Пути развития грузинской советской этнографии (1922 -1982 гг.), Тбилиси, 1983.
13. Шамиладзе В.М. Батумский научно-исследовательский институт им.Н.А. Бердзенишвили АН Грузии на пороге нового столетия: Основные итоги научно-исследовательской и организационной деятельности за 1958-2006 гг., Археология, этнография, фольклористика Кавказа. Сб.: Краткое содержание докладов Международной научно конференции НАН Грузии, Тбилиси, 2007.

Вахтанг Шамиладзе

**50-летие Батумского научно-исследовательского института
им. Н. А. Бердзенишвили АН Грузии.
Достижения и перспективы**

Р е з ю м е

Изучение культурно-исторических проблем Аджарии имеет давнюю историю, однако до 50-ых годов прошлого столетия эти усилия не получили планомерного научного характера. Лишь в 1958 году, со дня основания академического учреждения—Батумского научно-исследовательского института АН Грузии, изучение исторического прошлого и современные проблемы Аджарии, как и в целом Юго-Западной Грузии, встали на твердую научную основу.

В результате широко поставленных полевых работ накоплен богатейший этнографический материал, анализ которого дал возможность по новому осветить важнейшие стороны культуры и быта населения Аджарии в прошлом и настоящем. Изучены историко-этнографические аспекты традиционных форм жилища и хозяйственных построек, горного земледелия и альпийского скотоводства, ремесла и домашние промыслы, орнамента, одежду, семьи и семейного быта, родственных взаимоотношений и т.д. Важные результаты были достигнуты в изучении современного быта сельского населения, а также городской этнографии, в разработке некоторых теоретических и методологических проблем общей и грузинской этнографии.

Институт стал значительным центром систематических археологических исследований Черноморского побережья Юго-Западной Грузии. Выявлены и изучены богатые неолитическими поселениями археологические памятники, являющиеся неопровергимым доказательством развитого производящего хозяйства края. В бассейнах рек Чорохи, Чолоки и Очхамури обнаружены крупные очаги добычи и переработки бронзовой и железной металлургии. Высказано предположение, что указанный регион Древней Колхиды являлся ведущим центром бронзовой и железной металлургии Кавказско-Переднеазиатского культурного ареала.

Самым значительным достижением археологов института надо признать проведенные полевые и камеральные исследования памятников античного причерноморья, которые дают весьма ценные сведения для освещения узловых вопросов во взаимоотношениях Колхиды с античным миром. Немаловажны результаты изучения археологических памятников феодальной эпохи ущелья реки Аджарисцкали и смежных с ней районов и т.д.

Группа лингвистов Батумского НИИ провела значительную работу в области изучения аджарского диалекта грузинского языка. Были собраны оригинальные образцы аджарского диалекта, отображающие разнообразные стороны жизни и быта таких отраслей хозяйства как земледелие, животноводство, ремесло и домашние промыслы, одежда и украшения, народная кулинария и т.д. Большинство этих материалов обработаны камерально, изучены и проанализированы на общегрузинском лингвистическом фоне и подготовлены для издания словаря.

Начаты и проведены фундаментальные исследования и в области ономастики и антропонимии. Исследования ученых-лингвистов в этом направлении интересны не только с лингвистической стороны, но и для освещения вопросов исторического прошлого края, изучения вопросов хозяйственно-культурного быта и других аспектов жизни в историко-географическом разрезе.

Работники отдела экономики института за прошедший период провели значительную работу в сфере исследования экономических и социальных проблем экономики Аджарской Автономной Республики. Научная проблематика отдела экономики с самого начала охватывала актуальные проблемы сельского хозяйства и промышленного производства. В первую очередь, надо

отметить достижения в изучении проблем экономики субтропических культур, табаководства, виноградарства, фруктоводства и овощеводства, истории развития субтропиков в Аджарии и т.д. Значительная работа была проделана и в области изучения экономики промышленности и строительства.

Социологи института систематически изучали социальные факторы повышения эффективности на промышленных предприятиях г. Батуми, проблемы повышения эффективности производства и социальной активности работников предприятий и т.д.

За последние десятилетия в отделе истории разработаны значительные проблемы древнейшей и древней истории края, в частности, большое внимание уделяется ранним государственным образованиям Южной и Западной Грузии, проблемам этничности этих раннеклассовых государств и их локализации, указывающих на конкретные пути расселения и ареалы бытания древнегрузинских племен на этой территории.

Наряду с археологами ведется интенсивное исследование истории древнейших очагов металлургии края, вопросов греческой и римской колонизации в Причерноморье Грузии. Исследования в этом направлении проясняют место и роль Колхиды и Иберии в сложных процессах интеграции региона в античном культурном мире.

Из проблем новейшей истории следует отметить работы по истории городов и городской жизни, развитого судоходства в Батумском порту, событиям, связанным с I мировой войны, вопросам Демократической Республики Грузии и т.д.

Батумский НИИ проделал большую работу по подготовке научных кадров. Посредством аспирантуры и соискательства в институтах АН Грузии и в Тбилисском государственном университете, были подготовлены десятки молодых ученых кандидатов и докторов наук.

Большие успехи достигнуты в сфере научных публикаций. Изданые институтом труды и монографии получили широкое признание в специальной литературе иочно вошли в научный обиход в стране и за её пределами.

Ведущие ученые института, в том числе и молодёжь, принимают активное участие в международных конгрессах, конференциях, сессиях и симпозиумах самого высокого ранга. Установлены тесные научные контакты с учёными России, Англии, Франции, Германии, Греции, Турции и других зарубежных стран, организованы совместные научные экспедиции, намечены и выполняются общие научные темы, публикуются совместные научные труды, сборники и монографии.

Батумский НИИ стоит на пороге больших перемен. Реформы, проведенные в системе науки и просвещения, должны вывести академическую науку на новые рубежи научно-исследовательской работы.

Vakhtang Shamiladze

**50 Anniversary of N. A. Berdzenishvili Batumi Scientific-Research Institute
of Georgian Academy of Sciences. Achievements and Perspectives**

S u m m a r y

The investigation of the cultural – historical problems of Adjara has the long history, but until the 50-th of the last century these efforts had not got aimed scientific nature. Only from 1958, after the foundation of the academic establishment - **Batumi Scientific-Research Institute of Georgian Academy of Sciences**, the investigation of the historical past and the modern problems of Adjara as well as the whole South – Western Georgia has got the solid scientific background.

As a result of widely performed scientific field researches was accumulated very rich ethnographical material, the analysis of which had given to scientists the new possibility to elucidate the important specifics of the culture and way of life of the population of Adjara in the past and the present. There were investigated the historical – ethnographical aspects of traditional forms of dwellings and household buildings, mountainous agriculture and the alpine cattle-breeding, handicraft and household trade, ornament, wear, family and way of life of a family, kinship and so on. The important results were achieved in sphere of the investigation of the modern way of life of the agricultural population and also in the sphere of the urban ethnography, in the exploration of some theoretical and methodical problems of the general and georgian ethnography.

Institute converted into valuable center of systematic archeological investigation of the Black sea coast of the South – Western Georgia. It is exposed and investigated the important archeological monuments of neolithic settlements, which are irrefutable demonstration of the development productive economics of this region. In the basins of the rivers Chorokhi, Choloki and Ochkhamuri there were discovered the large – scale centers of iron – ore output and the processing, bronze and iron metallurgy. It is expressed the supposition, that the indicated region of Ancient Colchis was the leading centre of bronze and iron metallurgy of the cultural area of the Caucasus – Fore-part of Asia cultural area.

It is necessary to recognize that the most important achievements of archeologists of the Institute were obtained during the Field and later the laboratory exploration of the monuments of ancient Black sea coast, which gives very important information for elucidation the cardinal questions of the interaction of Ancient Colchis with ancient world. Important results were obtained during the exploration of archeological monuments of the feudal period of the gorge of the river Adjaristskali and its adjacent districts and so on.

The group of Batumi scientific- research institute linguists carried out important work in the sphere of the investigation of Adjarian dialect of Georgian language. There were collected original models of Adjarian dialect, which reflects the different spheres of way of life and such branches of economics as agriculture, cattle-breeding, handicraft, household trade, ornament, wear and cookery and so on. Majority of this materials on the background of general georgian linguistics were analysed, explored in the laboratory and prepared as the dictionary for the publication.

It was started and carried out the fundamental investigations in the onomastics and anthroponimy. The investigations of linguists-scientists in this direction is important not only from the linguistic point of view, but also for the elucidation the questions of the historical past of the region, the study of the economic-cultural questions of way of life and other aspects of the life in the historical-geographical dimension.

The scientists of the department of the economics of Institute in this period carried out important work in the sphere of investigations of the economic and social problems of the economics of Adjarian Autonomous Republic. The scientific

problems of the department of economics from the beginning were connected with the investigation of the actual problems of the agriculture and industry. For the first time it is necessary to note the achievements in the investigation of the problems of the economics of the subtropical cultures, tobacco-cultivation, viticulture, fruit-cultivation, vegetable-growing, the problems of the history of the development of subtropical cultures in Adjara and so on. The important investigations were carried out in sphere of the study of the economics of the industry and building.

The sociologists of the Institute systematically were investigating the social factors of the increasing of the effectiveness in the industrial enterprises of Batumi, the problems of the increasing of the effectiveness of the industrial production and the social activity of the workers of the enterprises and so on.

During the last tens of years in the department of history there explored a lot of important problems of ancient history of the region, particularly it was paid great attention to the early state formations in the South and the West Georgia, the problems of ethnic belonging of the population of this states and their localization pointing to the specific ways of settling and the areas of the residence of the ancient Georgian tribes on this territory.

Side by side with archeologists in this department is carrying out the intensive investigations of the ancient centre of the metallurgy of the region, the questions of the Greek and the Roman colonization in the Black sea coast of Georgia. These investigations are brightening up the place and the role of Colchis and Iberia in the complicated processes of the integration of this region in the ancient cultural world.

From the problems of the newest history it is necessary to note the work devoted to the history of towns and urban life, the development of the navigation in Batumi port. There is also valuable the works devoted to the events connected with The First World War and with the questions of Democratic republic of Georgia and so on.

Batum scientific-research institute has considerable deposit in the preparation of the scientific specialists. By the help of post graduated courses in the Institutes of Georgian Academy of Sciences and in Tbilisi State University were prepared tens of young scientists – doctors of sciences.

The great success was reached in the sphere of scientific publication. The scientific articles and monographies have got the wide recognition in the special literature and gained a foothold in the scientific sphere within the limits of a country and beyond the borders of it.

The leading scientists of the Institute including the youth are taking active part in international congresses, conferences, sessions and symposiumia of the highest level. There are practical scientific interactions with the scientists of Russia, Great Britain, France, Germany, Greece, Turkey and other foreign countries. Now it is completely usual the joint scientific expeditions, projecting and performing joint scientific researches, publication of the joint scientific works, collected articles and monographies together with foreign scientists.

Batum scientific-research institute is before important changes. The reforms carrying out in the system of science and public education have to provide the intensification of the scientific – research activity.

ნოდარ პახიძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების 50 წლისთავი

1958 წელს ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებით და აქ ეთნოგრაფიის განყოფილების შექმნით მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ჯერ აჭარის, შემდეგ კი მისი მომიჯნავე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონების გეგმაზომიერ და სისტემატურ ეთნოგრაფიულ (ეთნოლოგიურ) შესწავლას. ამჟამად ინსტიტუტი თავისი ეთნოგრაფიის განყოფილებით (2006 წლიდან იწოდება ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილებად) წარმოადგენს ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას საქართველოში, რომლის მიღწევები ფართოდაა ცნობილი მის ფარგლებს გარეთ.

ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება, რაც განყოფილებამ დაიწყო აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, ორგანული გაგრძელება იყო იმ ეთნოგრაფიული საქმიანობისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს XIX საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილმა და საქვეუნილ ცნობილმა ქართველმა მოგზაურმა მკვლევარებმა დიმიტრი ბაქრაძის, გიორგი ყაზბეგის, ზაქარია ჭიჭინაძისა, თედო სახოკიასა და სხვათა სახით. რუს მოგზაურ მკვლევართაგან ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ა.ფრენკელის, ვ.ლისოვსკის ნაშრომები.

ქართველ და რუს აეტორთა ნაშრომებში მოტანილი ცნობები უტყუარი და სახდო მასალაა XIX საუკუნის მეორე ნახევრის აჭარისა და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიის, ისტორიის, ფოლკლორის და მეცნიერების სხვა დარგის პრობლემური საკითხების შესწავლაში. თითქმის ვერ ნახავთ შემდგომი პერიოდის ეთნოგრაფიული, ფოლკლორული თუ ისტორიული ხასიათის ვერცერთ გამოკვლევას აჭარასა და მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე, რომლებშიც ჩამოთვლილ ავტორთა მონაცემები არ იყოს გამოყენებული და სათანადოდ გაანალიზებული. მათი ნაშრომები დღესაც წყაროს მნიშვნელობისაა ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მომუშავე ეთნოლოგთა, ფოლკლორისტთა თუ ისტორიკოსთა ხელში, რომლებიც იკვლევენ აჭარისა და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიურ პრობლემებს.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებამდე საექსპ-დიციო შემკრებლობითი და ეთნოგრაფიული ხასიათის საქმიანობას ეწერდა აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიურო, რომელიც 1925 წელს შეიქმნა. მისი წინამორბედი იყო ბათუმის საქალაქო მუზეუმი, რომელიც 1908 წელს დაარსდა. მხარეთმცოდნეობის ბიურო შემდეგ მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტად გადაკეთდა, რომელიც 1952 წლიდან იწოდებოდა აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმად.

მუზეუმის ძირითადი ამოცანა თავდაპირველად იყო საექსპოზიციო ეთნოგრაფიული მასალების მოძიება, მაგრამ შემდგომ წმინდა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებითი მუშაობაც გაიშალა. ამჟამად მუზეუმში თავმოყრილია დიდადი უნიკალური კოლექციები და ხელნაწერები, რომელთა მნიშვნელობა დიდია აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლაში. მუზეუმში იწერება ეთნოგრაფიული გამოკვლევები. გამოიცა მუზეუმის შრომები და ეთნოგრაფიული ხასიათის კრებულები.

აჭარის ეთნოგრაფიულ შესწავლაში დიდია წვლილი აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციისა, რომელიც 1933 წლის ზაფხულში მოეწყო ხელოსა და ქედის რაიონებში საქართველოს მუზეუმის (დღევანდელი საქართველოს ეროვნული მუზეუმი) და აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიუროს მიერ. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე, დოცენტი (შემდეგში ფართოდ ცნობილი ეთნოგრაფი-მუცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი) გიორგი ჩიტაია. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ პირველი ქალი მეცნიერი ეთნოგრაფები, დოქტორები ვერა ბარდაველიძე და რუსულან ხარაძე, აგრეთვე მუზეუმის თანამშრომელი სტეფანე მენოვაშაშვილი (თბილისიდან), ჯემალ ნოდაიდელი და ვაჟაულ იაშვილი (ბათუმიდან). ექსპედიციამ შეკრიბა საინტერესო მასალები აჭარის ყოფისა და კულტურის სხვადასხვა საკითხებზე (სამეურნეო და საზოგადოებრივი ყოფა, მატერიალური და სულიერი კულტურა და ა.შ.), მოიძია ეთნოგრაფიული კოლექციები, მოახდინა ფოტო-გადაღებები. საექსპედიციო მასალების ნაწილი წერილობითი თუ ფოტო მასალების სახით ინახება საქართველოს ეროვნებულ მუზეუმში, ივ. ქავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების, აგრეთვე აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში. ექსპედიციის მასალების საფუძველზე მის მონაწილეობა მიერ რამდენიმე სტატიაც დაიბეჭდა (გ.ჩიტაია, სტ. მენოვაშაშვილი, ჯ.ნოდაიდელი).

აჭარის ეთნოგრაფიულ შესწავლაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა დოცენტმა ჯემალ ნოდაიდელმა. იგი ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ფილოლოგიის ფაკულტეტი) სწავლის პერიოდში დაინტერესდა აჭარის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის, დიალექტოლოგიის საკითხების შესწავლით. მან აჭარის მკვიდრთა შორის პირველმა განაგრძო წინამორბედთა შემოქმედებითი გზა. მოგზაურობდა აჭარის სოფლებში და კრებდა ხალხში შემონახულ საისტორიო გადმოცემებს, აჭარის ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველ მასალებს. უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტს უკვე მზად ჰქონდა ხელნაწერი „ეთნოგრაფიული მასალები აჭარელთა ყოფაცხოვრებიდან“. მას დიდი შეფასება მისცა ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც ახალგაზრდა მკვლევარს ლექციებს უკითხავდა საქართველოს ისტორიაში. ივ. ჯავახიშვილის წინადაღებით გადაწყდა აღნიშნული ხელნაწერი ცალკე წიგნად გამოცემულიყო. იგი მართლაც დაიბეჭდა 1935 წელს თბილისში აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიუროს გრიფით. მისი სახელწოდებაა „ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან“.

აჭარის ეთნოგრაფიული ყოფის ბევრი საინტერესო მასალებია შესული ხუთტომეულში „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის”, რომელიც ცხრა წიგნად გამოიცა 1977–1992 წლებში აკადემიკოს ივ.ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. მასალები იკრიბებოდა თითქმის მთელ საქართველოში ივ.ჯავახიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. აჭარაში ამ სახის მასალები 1935 წლის შეკრიბეს შემდეგში ფართოდ ცნობილმა ენათმეცნიერმა ქეთევან ლომთათიძემ და მასწავლებელმა თამარ ანდოულაძემ.

ამრიგად, ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებას შიშველ ადგილზე არ დაუწყია მუშაობა და ამ საქმეში მას წინამორბედებიც ჰყავდა. მაგრამ ის მუშაობა, რაც განყოფილების დაარსებით და აჭარასა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური) კვლევა-ძიების გაშლით დაიწყო, განუზომელად დიდია. ამ ფაქტს სათანადო შეფასება სჭირდება.

წინამდებარე ნაშრომიც, რომელიც განყოფილების განვლილი ორმოცდაათი წლის მუშაობას ასახავს, ამ მიზანს ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ განყოფილება თავიდანვე მცირერიცხოვანი იყო და ხარისხის მქონე არცერთ თანამშრომელს არ ითვლიდა, მან ინტენსიური და ნაყოფიერი მუშაობა გასწია დასმული პრობლემების შესწავლაში.

ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების პირველ ათწლეულში (1958–1968) შეისწავლებოდა აჭარის როგორც ტრადიციული, ასევე თანამედროვე ყოფისა და კულტურის საკითხები. შესაბამისად დამუშავდა ორი პრობლემური თემა: „დასახლების ფორმები აჭარაში“ და „აჭარის სოფელი ძველად და ახლა“. შემდგომ წლებში (1969–1989) მუშაობა მიმდინარეობდა თემაზე: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, ხოლო 1991 წლიდან 2007 წლის ჩათვლით გრძელდებოდა მუშაობა თემაზე „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოკულტურული და დემოგრაფიული პრობლემები“, რომელშიც აჭარის ეთნოგრაფიული ყოფის სხვადასხვა ასპექტით შესწავლას კვლავაც მთავარი ადგილი ეჭირა.

აღნიშნული პრობლემების მეცნიერული დამუშავება ძირითად მიზნად ისახავდა პირველ რიგში აჭარისა და მისი მომიჯნავე რეგიონების სოფლის მოსახლეობის ტრადიციული და ახლი ყოფისა და კულტურის შესწავლას სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-ისტორიულ ჰრილში. შესაბამისად, შესწავლილია აჭარის სოფლის მოსახლეობის გვარობრივი შედეგნილობა, დასახლების ფორმები, ტრადიციული სამეურნეო ყოფა, მატერიალური და სულიერი კულტურა, სოფლის ყოფისა და კულტურის გარდაქმნის გზები.

პარალელურად ეთნოგრაფიული მასალები იკრიბებოდა აჭარის მომიჯნავე და საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონებში საველე ექსპედიციებისა და მივლინებების გზით.

დასახლების ფორმებისა და მოსახლეობის გვარობრივი შემადგენლობის შესწავლა (ალ.რობაქიძე, ვ.მგელაძე) დაიწყო აჭარის მთიანი სოფლების მაგალითზე, რითაც გაირკვა საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. დადგინდა, რომ სოფლების დიდი ნაწილი

მთიან აჭარაში მაინც ერთი გვარით იყო წარმოდგენილი, ე.ი. მონოგენურობით ხასიათდებოდა და სოფლის, მისი ცალკეული პუნქტებისა თუ უბნების სახელწოდებაც ამა თუ იმ გვარიდან მომდინარეობდა. ასეთი სოფლების რიგს ეპუთვნის ადამიერი, ვანაძეები, მეკანიკები, გორგაძეები და სხვ. თუმცა, რიგ შემთხვევაში აჭარის სოფლის მონოგენურობა (ერთგვარიანობა) ხელოვნურ ნიადაგზეც იქმნებოდა და ფიქტურ ხასიათს ატარებდა, რაც სხვადასხვა სოციალური ფაქტორით აიხსნებოდა და ტერიტორიული თემისათვის დამახასიათებელ ნორმებს შეესაბამებოდა (ალ.რობაქიძე). სოფლების მეორე ნაწილი შერეული გვარებით იყო დასახლებული. არის მესამე რიგის სოფლებიც, სადაც მისი სახელის მატარებელი გვარები აქ დიდი ხანია აღარ ცხოვრობენ. სხვადასხვა მიზეზის გამო ისინი აყრილან და სხვაგან გადასახლებულან. ამ რიგისაა სტეფანაშვილები, ინწკირვეთი (დორჯომისა და ჭვანის ხეობები) და სხვა სოფლები.

კვლევის შედეგად დადგენილია დასახლების უძველესი და მოგვიანო ფორმები, თავდაპირველი დასახლებული პუნქტების გენეზისის საკითხები და მისი განვითარების ეტაპები სოფლებად გარდაქმნის გზაზე, მეურნეობრივი თავისებურებებისა და ვერტიკალური ზონალობის გავლენა დასახლების ფორმაზე, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა განვითარებაზე.

ეთნოგრაფიული და სხვა სახის მონაცემების შეჯერების საფუძველზე მთიან აჭარაში დადგინდა საცხოვრებელ ნაგებობათა შემდეგი ტიპები: ძირული ანუ ერთსართულიანი და ზედშედგმული ანუ ორსართულიანი ჯარგვალი და აქედან მიღებული აჭარული ორ-სამსართულიანი ფიცრული სახლი (ალ.რობაქიძე, თ.ჩიქოვანი). სოფელ სარფის მაგალითზე შესწავლილია ლაზური საცხოვრებელი სახლი (გ.ვანილიში, ჯ.მიქელაძე). აჭარული და ლაზური საცხოვრებელი ნაგებობანი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართულ საცხოვრებელ ნაგებობათა გენეზისის საკითხების კვლევაში, ქართული საცხოვრებელი სახლის საკლასიფიკაციო სისტემის შემუშავებაში. დაზური საცხოვრებელი სახლი ეთნოგრაფიულად პირველად შეისწავლა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელმა გიორგი ჩიტაიამ (იხილეთ მისი „შრომები“, გ. III, თბ., 2001).

აჭარაში გავრცელებული საცხოვრებელი სახლის ტიპები კარგადაა წარმოდგენილი ფოტო, ვიდეო და გრაფიკულ საილუსტრაციო მასალებში, რომლებიც დაცულია განყოფილების არქივში. მათი დიდი ნაწილი შესრულებულია ეთნოგრაფისა და მხატვარ-არქიტექტორის ჯ. მიქელაძის მიერ, ნაწილიც - გ. ილიუშინის, ქ. ბურჯულაძის, ვ. პოპლავსკაიას, რ. მიქელაძის, ა. ჯაველიძის, ა. ქალდანისა და სხვათა მიერ. აღნიშნული ილუსტრაციები, ისე როგორც საექსპედიციო მასალები დღიურების სახით, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის ძვირფასი შენაძენია.

საანგარიშო პერიოდში ინტენსიური კვლევა წარიმართა აჭარისა და მეზობელი რეგიონების სამეურნეო ყოფის ისეთი ტრადიციული დარგების შესასწავლად როგორიცაა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მეურნეობის ეს დარგები მთიან აჭარაში სიმბიოზური ფორმით ვითარდებოდა. ქართული და კავკასიური ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების

შეუქმნა მონოგრაფიულადაა შესწავლითი აჭარის მთური, მათ შორის ტერასული მიწათმოქმედება (ნ.ჩიჯავაძე), აჭარის ალპური მესაქონდეობა და მთლიანად საქართველოს მესაქონდეობის კულტურულ-ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ვ.შამილაძე). დადგენილია მეურნეობის ამ წამყვანი დარგების ჩასახვა-განვითარების საფეხურები, მათი ფორმები და სისტემები. პირველად ინსტიტურის ეთნოგრაფიის განყოფილებაში შემუშავდა საქართველოს მესაქონდეობის ფორმათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. ახალი მონაცემებით დაზუსტდა ცნებები: „ალპური (მთური)“ და „ბარული“ მესაქონდეობა (ვ.შამილაძე), „მთური, ბარული და ტერასული“ მიწათმოქმედება. ეთნოგრაფიის განყოფილების თემატიკით პირველად იქნა შესწავლითი ტერასული მიწათმოქმედება მთიანი აჭარისა (ნ.ჩიჯავაძე) და მაჭახლის ხეობის (ნ.კახიძე) მაგალითზე.

ცალკეულმა გამოკვლევებმა (ნ.ჩიჯავაძე, ნ.კახიძე, ც.ჯოხია) ნათელი შეიტანა აჭარის მევენახეობა-მეღვინეობის შესწავლაში, როგორც ფეოდალურ ხანაში (ოსმალთა დაპყრობამდე), ისე ოსმალთა ბატონობისა და შემდგომ პერიოდებში. შესწავლითია მევენახეობა-მეღვინეობის მდგომარეობა და დაცემის მიზეზები ოსმალთა ბატონობის წლებში.

მართალია, ისლამის რელიგია აჭარაში, ისე როგორც სხვა დაპყრობილ რეგიონებში, ჯერ ზღუდავდა, შემდეგ კი კრძალავდა ღვინის დაყენებასა და მოხმარებას, მაგრამ ამან მხოლოდ მეღვინეობაზე იქონია გავლენა და არა საერთოდ მევენახეობის განვითარებაზე. თუმცა ღვინის დაყენებისა და მოხმარების აკრძალვამ საღვინე ჯიშის მევენახეობის განვითარებაზეც იქონია გავლენა. ოსმალთა ბატონობის დროინდელ აჭარაში მევენახეობამ ძირითადად შეინარჩუნა არსებობა. ვენახის ზოგიერთი ძველი ჯიშის დაცემაზე, როგორც ეს დადგენილია, არსებითი გავლენა იქონია ვაზის სხვადასხვა დაავადებებმა, რასაც დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონების მსგავსად, ვერც მაშინდელი აჭარა გადაურჩა. ამდენად, არასწორია ზოგიერთ მეკლევართა გამონათქვამი იმის შესახებ, რომ ოსმალთა ბატონობის პერიოდში აჭარაში ვენახი აიჩეხა და განადგურდა. ანალოგიური ვითარებაა ჭოროხის ხეობის იმ ნაწილში, რომელიც დღესაც თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. აქ დღემდეა შემორჩენილი ვაზის უძველესი ჯიშები.

მონოგრაფიულადაა შესწავლითი ხელოსნობის ტრადიციები აჭარასა და მთლიანად ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაგალითზე (ნ.კახიძე). არქეოლოგიური მონაცემების, წერილობითი წყაროების, საველე ეთნოგრაფიული მასალების და შესაბამისი ლიტერატურის ცნობების საფუძველზე კომპლექსურადაა გამოკვლეული ხელოსნობის ძირითადი დარგები: მჭედლობა, ხით და ქვითხურობა, მეთუნეობა, ფეიქრობა. შესწავლითია ხელოსნობის ცალკეული დარგების გენეზისისა და განვითარების საკითხები, მათი როლი რეგიონის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ხელოსნობის დაწინაურებული დარგი იყო მჭედლობა. მათ შორის ცეცხლსასროლი (ბაჟ-ჩახმახიანი თოფები, დამბაჩები) და ცივი (ხმალ-ხანჯლები, იათაგანი) საბრძოლო იარაღების

დამზადება. ეთნოგრაფიული და სხვა მასალების მიხედვით საბრძოლო იარაღების დამზადებაში XVIII ს მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა მაჭაბლის ხეობა. აქ დამზადებული იარაღები ხეობის ფარგლებს გარეთაც ვრცელდებოდა. დადგენილია პროფესიონალ მეიარადეთა ვინაობა, იარაღის დამზადების ლოკალური კერები და ტექნოლოგია, მისი დაცემის მიზეზები.

ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ერთ-ერთ მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ტრადიციული აჭარული ოჯახისა და საოჯახო ყოფის, ნათესაური და საზოგადოებრივი ურთიერთობების (ვ.მგელაძე, მ.ბერძენიშვილი, საქორწინო ურთიერთობის და ამ ურთიერთობათა სისტემაში აჭარელი ქალის სტატუსის, მისი უფლება-მოვალეობების შესწავლა (ნ.ჩელებაძე). საკითხების შესწავლის შედეგად გაირკვა: ოსმალთა ბატონობამ აჭარაში და აქ ძალით დანერგილმა მუსლიმანურმა კანონმდებლობამ გარკვეული დაღი დაასვა საოჯახო ყოფით ურთიერთობას აჭარაში, განსაკუთრებით კი აჭარელი ქალის საზოგადოებრივ და უფლებრივ მდგომარეობას. მიუხედავად ამისა, აჭარულმა ოჯახმა, აჭარის მოსახლეობამ ამ მძიმე განსაცდელის ქამს, როდესაც მას ეროვნული გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდა, შეინარჩუნა ყოფისა და კულტურის თვითმყოფადი ელემენტები – ქართული ენა, ქართული ზნე-ჩვეულებები. ამაში დიდი როლი სწორედ აჭარელმა ქალმა შეასრულდა. იგი წამყვან როლს თამაშობდა ისეთი ხალხური დღესასწაულის ჩატარების ორგანიზაციასა და მსგლელობაში, როგორიც იყო შუამთობა. ეს დღესასწაული უსსოვარი დროიდან ტარდება მთიან აჭარაში.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ ეთნოგრაფიაში აქტუალურ თემად იქცა მუშათა და კოლმეურნეთა ყოფისა და კულტურის შესწავლა, რაშიც ქართველმა ეთნოგრაფებმა ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით კვლევის საკუთარი მეთოდოლოგია და პრინციპები შეიმუშავეს. ამ საქმეში ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებამაც თავისი წვლილი შეიტანა.

მუშათა ყოფის შესწავლა ბათუმის ნავსადგურის მაგალითზე დაიწყო (ა.სურგულაძე). მოგვიანებით კი ბათუმის უდიდესი სამრეწველო საწარმოს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშათა ყოფა და კულტურა იქნა შესწავლილი (მ.თავაძე). კვლევის შედეგებში აისახა ქარხნის მუშათა კადრისა და ტექნიკური ინტელიგენციის ფორმირების საკითხები, მუშათა ეროვნული და პროფესიული შემადგენლობა, სოციალური სტრუქტურა, მუშათა ინტერნაციონალური კოლექტივის შექმნა, საოჯახო ყოფის ასპექტები. შესწავლილია ის ცვლილებები, რაც აჭარის სოფლად განხორციელდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეგონომიკური ცხოვრების სფეროში, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგებში. ამ საკითხებს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა (ლ.კალანდარიშვილი, ნ.კახიძე). ახლა არავინ ლაპარაკობს მუშათა და კოლმეურნეთა ყოფის შესახებ. ეს თემა და მასზე არსებული ეთნოგრაფიული გამოკვლევებიც წარსულის კუთვნილება გახდა, მაგრამ მეცნიერული დირებულება მათ წარსულის შესწავლისათვის არ დაუკარგავს.

განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი მუცნიერული შედეგებია მოპოვებული მატერიალური და სულიერი კულტურის ისეთი საკითხების კვლევაში, როგორიცაა ხალხური ორნამენტი (ჯ.ვარშალომიძე), ტრადიციული ტანსაცმელი და ჩაცმულობა, სამკაული და შემკულობა, ხალხური კულინარია, ბავშვთა აღზრდის სისტემა (ი.სამხონია), ხალხური დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები (ვ.შამილაძე, ნ.კახიძე, ჯ.ვარშალომიძე, ნ.ჩელებაძე, თ.ლომთათიძე).

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ეთნოგრაფიის განყოფილების პრობლემატიკაში ახალი თემა გაჩნდა. კერძოდ, საფუძველი ჩაეყარა აჭარაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების (ბერძნები, აფხაზები, აისორები, რუსები) ეთნოგრაფიულ შესწავლას (ლ.დემუროვა, ი.ბორიკი, მ.თავაძე). 90-იანი წლებიდან კი დაიწყო სომები მოსახლეობის ყოფითი კულტურის საკითხების კვლევა. სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხების შესწავლა სხვადასხვა მიზეზის გამო ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, ამ საკითხების შემსწავლელ მეცნიერ თანამშრომელთა ინსტიტუტიდან წასვლის გამო.

აჭარაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებიდან ამჟამად შეისწავლება ებრაელთა დიასპორა, მათი ყოფისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტი (მ.ლორია). 2008 წლიდან გათვალისწინებულია აფხაზური დიასპორის შესწავლა, რომელშიც მთელი განყოფილება იქნება ჩაბმული.

ეთნოგრაფიის განყოფილება ყოველთვის აქტიურად ეხმაურებოდა ზემდგომი სახელისუფლებო ორგანოების იმ დადგენილებებსა და მითო-თებებს, რომლებიც მეცნიერული კვლევა-ძიების ცალკეულ მიმართულებებს შეეხებოდა. საქართველოს ისტორიკოსთა ბორჯომის შეხვედრების პროგრამით გათვალისწინებული თემის – „ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული პარალელები“ - დამუშავებაში მონაწილეობდა განყოფილების სამი მეცნიერ-თანამშრომელი. დაიწერა წლიური თემებიც შემდეგ საკითხებზე: „ქართული-აფხაზურ პარალელები მესაქონლეობაში“ (ვ.შამილაძე), „ქართულ-აფხაზური პარალელები ხელოსნობაში“ (ნ.კახიძე), „ქართულ-აფხაზური პარალელები ხალხურ თრნამენტში“ (ჯ.ვარშალომიძე).

ეთნოგრაფიის განყოფილებამ ფოლკლორის განყოფილებასთან ერთად ნაყოფიერი მუშაობა გასწია ზემო აჭარაში მივიწყებული უმცესი ტრადიციული ხალხური დღესასწაულის – შუამთობის შესწავლისათვის. ამ მუშაობას წინ უძღვდა სპეციალური ექსპედიციები ღორჯომში, დიდაჭარაში, სხალთაში, ბეჭუმისა და გოდერძის უდელტეხილის ალპური საძოვების ზონაში, სადაც ზემო აჭარის (ხელოსა და შუახევის რაიონები) მოსახლეობა საზაფხულო სადგომების განლაგებული.

შუამთობის შესახებ მასალები ადრეც იკრიბებოდა ინსტიტუტის ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ ექსპედიციებში (ვ.შამილაძე, ნ.კახიძე, ზ.თანდილავა და სხვ.). ადრეული და ახალი მასალების შესწავლის საფუძველზე საყურადღებო მეცნიერული დასკვნები გაპეოდა დღესასწაულის გენეზისის, მასთან დაკავშირებული რიტუალების, წეს-ჩვეულებების, ასევე დღესასწაულის ადრინდელი დადებითი მხარეების შენარჩუნებისა და მისი თანამედროვეობის შესაბამისად ჩატარების

საკითხებზე. შემუშავდა შესაბამისი წინადაღება-რეკომენდაციებიც (ნ.განიძე, ზ.თანდილავა). რომლებიც მოიწონა აჭარის მაშინდედმა ხელმძღვანელობამ და საჭიროდ ცნო მათი განხორციელება შეამთობის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით. შეამთობის დღესასწაული რომ დღეს ცოცხლობს და ყოველწლიურად ტარდება, ამ საქმეში ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და მისი ეთნოგრაფიის განყოფილების ერთ-ერთი მთავარი დამსახურებაცაა, რაც დღემდე სათანადოდ შეფასებული არ არის. ასევე უნდა ითქვას ტბელობის დღესასწაულის დაწესებაზე, რომლის შესახებ საკითხი 1977 წელს პირველად დაისვა ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში (იხ.: „საქმიანობა-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“ თბ., 1978, გვ.15). 1979 წლიდან ტბელობა ყოველწლიურად ტარდება აბუსერისძე ტბელის მშობლიურ კუთხეში – ხინაძირის ხეობაში.

საქართველოში შექმნილი რთული სოცალურ-პოლიტიკური ვითარების გამო 1990-იანი წლებიდან რამდენადმე შეფერხდა მეცნიერული კვლევა-ძიება. ძალზე შემცირდა სამეცნიერო კვლევა-ძიების დაფინანსება, რის გამოც შესაბამისად შეიზღუდა საექსპედიციო საქმიანობა, სამეცნიერო ნაშრომების მომზადება და გამოცემა, სამეცნიერო მივლინებები.

მიუხედავად ამისა, უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ცალკეულ სამეცნიერო უჯრედებში, მათ შორის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა არ შეფერხებულა და იგი ახალი ასპექტებით გამდიდრდა. არსებითად აღნიშნულ პერიოდში დაიწყო მუშაობა ქალაქ ბათუმისა და მისი შემოგარენის ქართველი მოსახლეობის ტრადიციული და თანამედროვე ყოფითი კულტურის შესწავლისათვის, რაც წინა წლებში კვლევა-ძიების მიღმა რჩებოდა.

მეცნიერული კვლევა-ძიების სფერო ამჟამადაც მოიცავდა როგორც აჭარის, ასევა მეზობელ და სხვა რაიონებს (გურია, სამეგრელი, სამცხე-ნაწილობრივ თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ლიგანა).

1996 წლიდან დაიწყო და 2000 წლამდე გრძელდებოდა მუშაობა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის ქალაქ ბათუმის არქიტექტურული საფორტიფიკაციო და საეკლესიო ნაგებობების ეთნოგრაფიულ და ხუროთმოძღვრულ-არქიტექტურული შესწავლისათვის. შესრულდა დასახელებულ ნაგებობათა გეგმა-ჭრილები, სხვა საილუსტრაციო მასალები.

წარმატებით გრძელებოდა წინა წლებში დაწყებული მუშაობა, რომლის მიზანი იყო აჭარელი ქალის როლის შესწავლა სამეურნეო, საოჯახო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხალხური აღზრდის, ხალხური დღესასწაულების, რწმენა-წარმოდგენების სისტემაში.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღრე არსებული შეხედულებანი აჭარელი ქალის კარხაგეტილობაზე უსაფუძვლო და გადაჭარბებულია. სინამდვილეში აჭარელი ქალი, როგორც ოსმალთა ბატონობის დროს და განსაკუთრებით შემდგომ პერიოდში მამაკაცის გვერდით აქტიურ,

ზოგჯერ გადამწყვეტი, როლს თამაშობდა საოჯახო და სამურნეო ცხოვრებასთან დაკავშირებული პროცესების წარმართვაში.

რამდენიმე თემა დამუშავდა ტრადიციული საზოგადოების სტრუქტურის საკითხებზე გურიის, სვანეთის, რაჭის მაგალითზე, ლაზური და ასახლების სტრუქტურაზე, ლაზურ საქორწინო ტრადიციებზე (ნ. მგელაძე), ოჯახის როლზე მეგრულ-ლაზური ტრადიციული საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში (პ. რურუა). ლაზური საქორწინო ტრადიციების შესწავლით დადგინდა არქაული საქორწინო ფენები, რომლებიც დამატებით მასალას იძლევა ძველი კოლხური საქორწინო ურთიერთობების გასარკვევად.

1993–2003 წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ისტორიული ეთნოგრაფიის კვლევის თვალსაზრისით (ნ. კახიძე). XIX ს. ქართველ და უცხოელ (რუსი, დასავლეთ ევროპელი) მოგზაურ-მკვლევართა ცნობებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით შესწავლილი იქნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა, თურქეთის საზღვრებში მოქცეული ჭოროხის მხარე) ქართველი მოსახლეობის ყოფითი კულტურის საკითხები, რაც მანამდე სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. კვლევის შედეგებით ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ თსმალთა ბატონობის პერიოდშიც აჭარისა და ჭოროხის მხარის მოსახლეობამ ძირითადად შეინარჩუნა სამურნეო და საზოგადოებრივი ყოფის (საქორწინო ურთიერთობების ჩათვლით), მატერიალური და სულიერი კულტურის ტრადიციული ნიშნები, ქართული გვარ-სახელები, წეს-ჩვეულებები, მშობლიური ენა (მეტწილად სოფლად). თუმცა დასახელებულ სფეროებში უცხოურმა ზეგავლენამაც იჩინა თავი, რაც განსაკუთრებით ქართული ლექსიკის დამახინჯებაში გამოიხატება.

2000–2001 წლებში მეორედ ჩატარდა საველე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება თურქეთის საზღვრებში მოქცეული ძველი ლიგანის (ახლანდები ლიგანის) ხეობის ქართველი მოსახლეობის ყოფითი კულტურის შესწავლისათვის. პირველი ექსპედიცია 1958 წ. გაიმართა ხეობაზე მომზადდა და დაცული იქნა საკანდიდატო დისერტაცია (2002 წელი) თემაზე: „ლიგანის ხეობა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა“ (რ. მალაყმაძე). კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ხეობის ქართველ მოსახლეობაში, რომელთა დიდი ნაწილი ქართულად ლაპარაკობს, დღემდე დაცულია ქართული სამეურნეო, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის ტრადიციები, ქართული ხალხური წეს-ჩვეულებები ლაზარობის, ქაშატობის, კანოხის (პირველი თესლის გატანა) სახით და სხვა. აგრეთვე ის წეს-ჩვეულებები, რომელთაც პარალელური ექვენება ქართულ ბერიკაობა-ყევნობასთან.

შესაბამისი დაფინანსებისა და ხელშეწყობის პირობებში განყოფილება და მთელი ინსტიტუტი შეძლებს (და ამის დაინტერესებაც არსებობს) მომავალ წლებში გააგრძელოს მუშაობა თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ჭოროხის ხეობის სხვა კუთხეების, აგრეთვე ლაზეთის მოსახლეობის, მთლიანად თურქეთში მცხოვრები ქართული დიასპორის ტრადიციული ყოფისა და კულტურის, მატერიალური კულ-

ტურის ძეგლების შესასწავლად. ეს განხორციელდება გეგმაზომიერი საველე-საექსპედიციო კვლევა-ძიების შედეგად, რაშიც სავარაუდოდ მონაწილეობას მიიღებენ კოლეგები თურქეთის შესაბამისი სამეცნიერო ცენტრებიდან.

აჭარის მაგალითზე შეისწავლებოდა მემინდვრეობასთან, მესაქონლეობასთან, მონადირეობა-მეოვეზეობასთან, დაბადება-ქორწინებასთან, მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. მემინდვრეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები დამუშავდა საკანდიდატო ნაშრომის სახით (თ.ლომოთათიძე). მასში აისახა არქაული (წარმართული), ქრისტიანული და მუსლიმანური პლასტები, რომლებიც ახალი მონაცემებით ამდიდრებს ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიას.

განყოფილებაში აღნიშნულ წლებში სხვა საკითხებიც შეისწავლებოდა, კერძოდ: ხალხური სახვითი ხელოვნება და ასტრალურ მნათობთა კულტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მცხარეული და ზოომოფული სიმბოლიკა აჭარაში, ხის ავეჯისა და ჭურჭლეულობის შემჯულობა აჭარის, იმერეთისა და სვანეთის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით (ჯ.ვარშალომიძე), წარდვნის მოტივი აჭარაში, გურიასა და სამცხეში ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მონაცემების მიხედვით (ნ.ჩელებაძე), ტრადიციული კერა და ქვის ბუხარი გურიასა და აჭარაში (თ.ტუნაძე).

განყოფილების 1996-2003 წლების გეგმით დაიწერა საქართველოს ეთნოგრაფიის სახელმძღვანელოს (ასეთი სახელმძღვანელო პირველად მომზადდა) თავები, რომელებშიც დახასიათებულია საქართველოს ეთნოგრაფიის საგანი და ამოცანები, წყაროები და ლიტერატურა, საქართველოს მოსახლეობის ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორიის უმთავრესი ეტაპები, მეურნეობის ტრადიციული დარგები, მოცემულია ანთროპოლოგიური კლასიფიკაცია (ვ.შამილაძე).

2004-2005 წლებში ადრე მოძიებული შესაბამისი მასალების (საველე დღიურები, წლიური თემები, გამოქვეყნებული ნაშრომები) საფუძველზე ხელნაწერი სახით მომზადდა აჭარის ეთნოგრაფიული ატლასი, რომელშიც შესულია აჭარის სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხები. ეს და ახლად შექრებილი სხვა მასალები დაედო საფუძვლად 2006 წლის საგარანტიო თემას („აჭარის ისტორიულ-ეთნოლოგიური ატლასი“), რომელიც წარდგენილი იყო საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში. მიუხედავად მაღალი ქულისა (87), საგრანტო თემამ დღის სინათლე ვერ იპოვა. 2007 წელს მომზადდა და სამეცნიერო ფონდს წარედგინა მეორე საგარანტო თემა („ეთნოგრაფიული აჭარა“), რომელშიც განყოფილების ყვალა წევრი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, არც ეს თემა დაფინანსდა.

2006-2007 წლებში განყოფილების პრობლემური თემის ფარგლებში შესრულდა წლიური თემები, რომელთა მიზანი იყო ხულოს რაიონზე ისტორიულ-ეთნოლოგიური ნაშრომის დაწერა. გათვალისწინებული იყო აჭარის სხვა რაიონებზეც მსგავსი მონოგრაფიების მომზადებაც, მაგრამ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალური მომართვის საფუძველზე განყოფილება შეუდგა ახალი პრობლემური თემის დამუშავებას, რომლის მიზანია აჭარაში აფხაზური დიასპორის შესწავლა (2008–2010 წლები). საგარაუდოდ, განყოფილება შემდეგ წლებში გააგრძელებს მუშაობას აჭარის სხვა რაიონებზე ისტორიულ-ეთნოგრაფიური ხასიათის მონოგრაფიების მომზადებას. ასეთი მონოგრაფიების გამოცემა კიდევ უფრო სრულად წარმოაჩნდა აჭარის ყოფისა და ქალბურის სპეციფიკურ თავისებურებებს. მსგავსი გამოკვლევები მოწონებული იქნება თვით აჭარის მოსახლეობისათვის, რომელიც თავად იჩნეს ინტერესს მხარის წარსულისადმი. ასეთი გამოცემები სასარგებლო სამსახურს გაუწევს ყველას, მათ შორის ექსკურსანტებს, ტურისტებს, ვინც დაინტერესებულია საქართველოს თითოეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის გაცნობა-შესწავლისათვის.

განყოფილებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების აჭარის ოთხომეულის მეორე ტომის მომზადებაში. მათ მიერ მომზადებულ სამეცნიერო სტატიებში დახასიათებულია აჭარის სამეურნეო და საზოგადოებრივი ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხები (ნ.კახიძე, ვ.შამილაძე, ნ.მგელაძე, ჯ.ვარშალომიძე, ჯ.მიქელაძე), რითაც ნარკვევში სრული სახე მიეცა ფეოდალური ხანის აჭარის ისტორიული წარსულის გაშუქებას.

1990-იანი წლების ბოლოდან საერთოდ მეცნიერებაში და კერძოდ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში დაინერგა სიახლე, რაც გამოიხატა სამეცნიერო გრანტების მოპოვებაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხაზით 1997–2003 წლებში განყოფილების წევრებმა მოიპოვეს რამდენიმე გრანტი, რომლებშიც შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხელოსნობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული პრობლემები (ნ.კახიძე, ვ.შამილაძე, ჯ.მიქელაძე), ჭოროხის ხეობის ქართველი მოსახლეობა (ნ.კახიძე, ჯ.ვარშალომიძე), პონტოელი ბერძნების აჭარაში დასახლების ისტორია (ნ.მგელაძე, თანაავტორი მ.გიორგაძე), ქალაქ ბათუმის მოსახლეობის მატერიალური და სულიერი კულტურა (ი.სამსონია), აჭარის სოფელი XIX საუკუნის მეორე ნახევარში (ნ.კახიძე, ჯ.ვარშალომიძე), აჭარელი ქალის აღილი მემკვიდრეობით სისტემაში (ნ.ჩელებაძე), ზოომორფული სიმბოლიკა აჭარაში (ნ.მგელაძე, თ.ლომთათიძე).

განყოფილების ორმა თანამშრომელმა მოიპოვა აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ დაწესებული თემი სახოკიას პრემია ნაშრომისათვის „ხელოსნობა აჭარაში“ (ნ.კახიძე, 1990 წელი), ეთნოგრაფიული დოკუმენტური ვიდეოფილმისათვის „ხალხური დღესასწაულები ლიგანის ხეობაში“ (რ.მალაძემაძე, 2003 წელი).

1970–1980-იან წლებში განყოფილებაში სათანადო კურადღება ექცევით კვლევის შედეგებიდან გამომდინარე სხვა პრაქტიკული წინა-დადება-რეკომენდაციების შემუშავებას. ერთ-ერთი მათგანი შეეხებოდა ტრადიციული ხალხური მხატვრული ხელოსნობის დარგების აღორძინებას. ამის შესახებ სპეციალური წერილებიც დაიბეჭდა გაზ. „საბჭოთა

აჭარაში“ (1971, 1977). წინადაღება-რეკომენდაციებმა საზოგადოებრიობისა და ამ საქმის მომწერივებელი სამსახურების ფართო მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა. მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა სოფლად ხელმარჯვე ოსტატთა საქმიანობა ხელოსნობის სხვადასხვა სფეროში, რომელიც მანამდე იზღუდებოდა.

წინადაღება-რეკომენდაციები შემუშავდა და შესაბამის ორგანიზაციებსა და უწყებებს წარედგინა აჭარის მთიანი სოფლებიდან მიგრაციული პროცესების რეგულირებაზე, ქალაქ ბათუმისა და აჭარის რაიონულ, ცენტრალურ ზღვისპირა და გოდერძის უდელტეხილის საკურორტო ზონის რესტორან-სასადილოებში აჭარული ტრადიციული ქართული ხალცური კერძების დამზადებაზე, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშათა თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებაზე და სხვ. წინადაღება რეკომენდაციების საფუძველზე ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯიც გადაიღოა.

მოპოვებული კვლევა-ძიების შედეგებს საფუძვლად უდევს მრავალწლიანი სავალე საექსპედიციო და სამივლინებო მუშაობა. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 50-მდე ექსპედიცია, როგორც საკუთრივ აჭარის, ასევე მის მომიჯნავე რაიონებში (სამცხე-ჯავახეთი, გურია), აგრეთვე რაჭა-ლეჩხემში, სამეგრელოში, იმერეთში, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში.

მარტო აჭარაში განვლილ პერიოდში 30-მდე ექსპედიცია მოეწყო. მასში საკუთრივ განყოფილების წევრებთან ერთად მონაწილეობდნენ ეთნოგრაფები თბილისიდან (ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოლოგიის განყოფილება), მოსკოვიდან (მიკლუხო-მაკლაის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის სექტორი). თბილისელმა და მოსკოველმა ეთნოგრაფებმა აჭარაში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე მხარის ყოფისა და პულტურის საკითხებზე სხვადასხვა გამოცემებში არაერთი სტატიაც დაბეჭდეს. ეთნოგრაფიული ექსპედიციები ჩატარების გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით ასე იწოდებოდა: „აჭარის ეთნოგრაფიული ექსპედიცია“, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული ექსპედიცია“.

განყოფილების ფონდებში მრავლად ინახება საექსპედიციო დდიურები ხელნაწერების სახით და ექსპედიციის ხელმძღვანელთა ანგარიშები, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევს ამ სახის მუშაობის ძირითად შედეგებზე და მნიშვნელობაზე. უკანასკნელი 15 წლის მანძილზე დაუფინანსებლობის გამო ორგანიზებული საექსპედიციო და სამეცნიერო-სამივლინებო საქმიანობა ფერხდებოდა. მიუხედავად ამისა, განყოფილების თნამშრომელთა ნაწილი თავისი სახსრებით ახერხებდა ველზე მუშაობას და სავალე ეთნოგრაფიული მასალების ჩაწერას. მხოლოდ 2001 და 2007 წლებში მოხერხდა შეზღუდული ექსპედიციების გამართვა ჭოროხის ხეობის სოფლებში (კირნათი, მარადიდი) და ბეჭუმ-გოდერის

უღელტეხილის საზაფხულო სამოგრების ზონაში, სადაც ხულოსა და შუახევის რაიონების მესაქონლე მოსახლეობა, აგრეთვე დიდძალი დამსვენებელი იმყოფება აჭარის სხვადასხვა რაიონებიდან.

კირნათ-მარადიდის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. დოქტორი ნ. კახიძე) სოფელ მარადიდში დააფიქსირა ორასი წლის მიწური იატაკიანი ხის საცხოვრებელი სახლი, რომლის მხგავსი აჭარის სხვა სოფლებშიც არსებობდა, მაგრამ ჩვენამდე არ მოღწეულა. ამ სახლის მიხედვით შეიძლება სრული წარმოდგენა ვიქონიოთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (აჭარა, ჭოროხის მხარე) გავრცელებული მსგავსი სახლების შესახებ. კირნათში კი კი დაფიქსირდა ხანები ანუ სასტუმრო სახლები და მის ახლოს არსებული ცხენების სადგომი, რომელიც დაპავშირებულია სპილენძის მადნის ტრანსპორტირებასთან (XIX ს. დამლევი – XX ს. დამდევი) ძანეულიდან და კვარცხანიდან (ართვინის მხარე) სოფელ ერგეს (ხელვაჩაურის რაიონი) სპილენძსადნობ ქარხანაში (აშენდა 1890 წელს). მარადიდში მოპოვებული იქნა დამატებითი მასალები ნავმშენებლობაზე (მარადიდი ჭოროხის ხეობაში ნავმშენებლობის ძირითად ცენტრს წარმოადგენდა), აგრეთვე გვარსახელებზე, რომელთა ნაწილი მოხსენიებულია „ტბეთის სულთა მატიანეში“ (XII-XVII სს).

ბეჭუმში ეთნოგრაფიული ექსპედიცია წინა წლებშიც ტარდებოდა, მაგრამ 2007 წლის ექსპედიციის (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდ. ნ. ჩელებაძე) მთავარი მიზანი იყო დამატებითი მასალების (ფოტო და ვიდეოგადაღებები) მოძიება, რომლის საფუძველზე დაიწერა გზამკვლევი „ალპური დასახლება აჭარაში“ და მოზადდა ამავე დასახლების ეთნოგრაფიული ფილმი. იგი გახმოვანებულია რუსულ და ინგლისურ ენებზეც და კლიპის სახით დართულია გზამკვლევზე, რომელიც ქართულ-რუსულ-ინგლისურ ენებზე მომზადდა.

ექსპედიციებისა და მივლინებების შედეგად დაგროვდა და განყოფილების ფონდებში ინახება დიდძალი წერილობითი, ფოტო და სხვა საილუსტრაციო (ჩანახატები, ჩანახაზები) მასალა. ამ მასალების საფუძველზე დაიწერა 300-მდე წლიური თემა, გამოქვეყნდა 13 მონოგრაფია (მათ შორის 3 რუსულ ენაზე), 23 ეთნოგრაფიული კრებული, დაიტესტდა სამი ეთნოსოციოლოგიური ხასიათის კითხვარი (მათ შორის ერთი ქართულ-რუსულ ენებზე), რომლებიც მიზანად ისახავდა აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტის შესწავლას. ქართულ-რუსულენოვანი კითხვარის თანაავტორები თბილისსა და მოსკოვში მომუშავე ეთნოგრაფი კოლეგებიც იყენენ.

ეთნოგრაფიული კრებულები გამოიცა სხვადასხვა სახელწოდებებით. ესენია: „აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები“ (1966, 1967); „აჭარის სოფელი“ (1969); „აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები (1971); „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა (I-XIX)“ (1973-2007); «Очерки этнографии Аджарии» (1982). კრებულების სერიას „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, ყოფილი სსრ კავშირის გამომცემლებების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის

კომიტეტის 1978 წლის 4 მაისის ბრძანებით მიენიჭა საერთაშორისო სტანდარტის ნომერი ISSN №0135-0676. ეს კრებულები XVII ნომრის ჩათვლით იგზავნებოდა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის ინგლისში და აისახა ოქსფორდის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიულ გამოცემაში.

ჩამოთვლილ ეთნოგრაფიულ კრებულებში, ინსტიტუტის შრომების ხუთტომეტულში, სხვა გამოცემებში განყოფილების მეცნიერმა თანამშრომლებმა 50 წლის მანძილზე დაბეჭდეს 300-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, ადგილობრივ და რესპუბლიკურ პრესაში გამოაქვეყნეს 150-მდე წერილი მეცნიერების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე.

საექსპედიციო მასალები (დღიურები), წლიური თემები, გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, ფოტო და სხვა საილუსტრაციო მონაცემები - ეს არის ძვირფასი მეცნიერული საუნჯე, ფასდაუდებელი კულტურული მემკვიდრეობა, რომლის მნიშვნელობა დიდია არა მარტო აჭარის, არამედ სამხრეთ-დასავლეთ და საერთოდ საქართველოს ეთნოგრაფიისა და ისტორიის მეცნიერულ შესწავლაში. რაც უფრო გავა დრო, ეს კულტურული მემკვიდრეობა მით უფრო მეტ პოპულარობასა და მეცნიერულ დირებულებას შეიძენს.

განყოფილების წევრები სისტემატიურ და აქტიურ მონაწილეობას დებულობდნენ ეთნოგრაფთა, არქეოლოგთა და ანთროპოლოგთა (ადგილობრივ, ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახ. უნივერსიტეტი), საქართველოს რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო სამეცნიერო სესიებში, კონფერენციებში, სადაც წაიკითხეს ასზე მეტი მოხსენება ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური) კვლევა-ძიების საკითხებზე. საქართველოს ეთნოგრაფთა რამდენიმე ასეთი სამეცნიერო სესია ჩატარდა თბილისში, აგრეთვე ბათუმში (1981, 2003), სოხუმში (1985), ცხინვალში (1986), ახალციხეში (1987), ზუგდიდში (1989).

საქართველოს ეთნოგრაფთა რესპუბლიკური სამეცნიერო სესიები ბათუმში განყოფილების ინიციატივით ჩატარდა. პირველი მიემდვნა საქართველოში 1980 წელს ჩატარებული საველე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგებს, მეორე - 1933 წელს აჭარაში ჩატარებული პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის 70 წლისთვის, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი გ. ჩიტაია. ექსპედიციამ სათავე დაუდო აჭარის მომავალ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებსა და რეგიონის ეთნოგრაფიულ შესწავლას, რომელსაც 1958 წლიდან დღემდე წარმატებით აგრძელებს იუბილარი განყოფილება. სესიაზე მოხსენებები წაიკითხეს ისტ. მეცნ. დოქტორებმა, პროფესორებმა ვ. შამილაძემ და ნ. კახიძემ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია განყოფილების წევრთა მონაწილეობა 2001–2007 წლების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, რომლებიც ჩატარდა ნალჩიქში (2001), თბილისში (2002, 2007), ერევანში (2003), ბათუმში (2006, 2007), მახაჩკალაში (2007). მოხსენებები წაიკითხეს

ვ. შამილაძემ, ნ. კახიძემ, ნ. ჩელებაძემ, თ. ლომთათიძემ, პ. რურუამ. ამათგან ვ. შამილაძე ადრეც მონაწილეობდა ყოფილ საკავშირო (სოხუმი, ბაქო, ყაზანი, უფა, კიშინოვი, ჩერნოვიცი) და საერთაშორისო (ჩიკაგო, ვაშინგტონი, სიეტლი, დენვერი, ლონდონი, ჰააგა, თეირანი, ვლადიკავკაზი) კონფერენციებში, სემინარებსა და ბრიფინგებში. იყო მონაწილე და მომსხვებელი ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა კონგრესებზე (მოსკოვი – 1964, დედი – 1976). იგი არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის თავმჯდომარედ. მას მჭიდრო კონტაქტები აქვს დამყარებული კავკასიის რესპუბლიკების, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის შესაბამის სამეცნიერო ცენტრებთან, რომელთა მიზანია ერთობლივი სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების ჩატარება, პუბლიკაციების მომზადება და დაბეჭდვა.

50 წლის მანძილზე ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ეთნოგრაფთა სამეცნიერო კადრების მომზადებაში. განყოფილების გახსნიდან 1965 წლამდე აქ სარისხის მქონე არცერთი ეთნოგრაფი არ იყო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიზნობრივი თუ დაუსწრებელი ასპირანტურის გზით 2007 წლამდე ეთნოგრაფიის ხაზით საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თორმეტმა თანამშრომელმა (ვ. შამილაძე, მ. ბექაია, ნ. ჩიჯავაძე, ნ. კახიძე, ჯ. ვარშალომიძე, ჯ. მიქელაძე, ი. სამსონია, თ. აჩუგბა, ლ. კალანდარიშვილი, თ. ტუნაძე, რ. მალაყმაძე, პ. რურუა), ხოლო ოთხმა – სადოქტორო დისერტაცია (ვ. შამილაძე, ნ. მგელაძე, ნ. კახიძე, თ. ფუტკარაძე).

2007 წლიდან განყოფილებაში მუშაობს ცხრა მეცნიერთანამშრომელი, მათ შორის სამი მეცნიერებათა დოქტორი (ვ. შამილაძე, ნ. კახიძე, თ. ფუტკარაძე), ხუთი მეცნიერებათა კანდიდატი (ჯ. ვარშალომიძე, ჯ. მიქელაძე, ნ. ჩელებაძე, თ. ლომთათიძე, მ. ლორია, პ. რურუა). სხვადასხვა დროს ეთნოგრაფიის განყოფილებაში მუშაობდნენ: ალ. რობაქიძე (1958–1975), ნ. ჩიჯავაძე (1959–1980), მ. ბექაია (1960–1967), ვ. მგელაძე (1960–1966), ნ. მგელაძე (1980–2006), ც. ჯოხია (1980–1995), ნ. ბაჯელიძე (1989–1995), მ. თავაძე (1974–1995), ლ. დემუროვა (1976–1995), დ. კახიძე (1995–1996), ლ. კახიძე (1997–1999), თ. ტუნაძე (2005–2006), რ. მალაყმაძე (2004–2006, - იგი 2006 წლიდან ინსტიტუტის დირექტორია და აქტიურად მონაწილეობს განყოფილების მუშაობაში, სხვადასხვა სამეცნიერო სესიებში).

ზემოთ ხსენებულმა მეცნიერებათა კანდიდატებმა და დოქტორებმა სამეცნიერო კვალიფიკაცია აიმაღლეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში (ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი). აღსანიშნავია ის დიდი წვლილი, რაც ამ საქმეში შეიტანეს აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ, პროფესორებმა ვერა ბარდაველიძემ, ალექსი რობაქიძემ, მიხეილ გეგეშიძემ და სხვებმა. ისინი ხელმძღვანელობდნენ ინსტიტუტიდან პირველად წარგზავნილ ასპირანტთა და სარისხის მაძიებელთა მუშაობას. მათი უშეალო ხელმძღვანე-

ლობით დაიცვეს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ისინი უველთვის თვალყურს ადევნებდნენ ეთნოგრაფიის განყოფილების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მხარდაჭერას და დახმარებას არ აკლებდნენ მას. პროფესორი ალ. რობაქიძე დაარსებიდან 1975 წლამდე ხელმძღვანელობდა განყოფილების სამეცნიერო პრობლემას, ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს. მისი რედაქტორობით მომზადდა და დაიტექტდა განყოფილების ეთნოგრაფიული კრებულების და მონოგრაფიების ნაწილი.

დასახელებული მეცნიერული პრობლემების მიხედვით კვლავაც გრძელდება მუშაობა. ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა წინ აჭარის ტრადიციული თუ თანამედროვე ყოფისა და კულტურის საკითხების ისტორიულ-ეთნოლოგიურ ჭრილში შესწავლის გზაზე. პირველ რიგში დღის წესრიგში დგას ეთნოლოგიის განყოფილების ფონდებში დაცული საველე-ეთნოგრაფიული დღიურების მეცნიერული დამუშავება და გამოსაცემად მომზადება. ყველასათვის ცნობილია, თუ რაოდენ დიდი და საშვილიშვილო საქმე გაკეთდა საქართველოს ყველა კუთხეში 1935 წელს შექრებილი ხელოსნობისა და შინამრეწველობის მასალების ხუთომეულის (9 წიგნად) გამოცემით. ეს მასალები შექრებილ იქნა აკადემიკოს ივაზავახიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. ამ გამოცემებში აჭარაში შეკრებილი მასალებიც აისახა. განყოფილების მიერ 50 წლის მანძილზე შეკრებილი საველე ეთნოგრაფიული მასალების წიგნებად გამოცემა ასევე დიდი მნიშვნელობის მოვლენა იქნება. საქმე ეხება საუკუნოვანი ეთნოგრაფიული კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას, ხალხის წიაღში შექრებილი მასალების მზის სინათლეზე გამოტანას, რასაც მისი შემქმნელი და შემნახველი საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდება.

მეორე მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც განყოფილების და საერთოდ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის წინაშე დგას, მდგომარეობს თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული მკვიდრი და მუჭაჯირი ქართველი მოსახლეობის ისტორიულ-ეთნოლოგიურ შესწავლაში. ამ მხრივ ინსტიტუტის მიერაც გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა და ამგვარი მუშაობა შემდგომ წლებშიც გრძელდება.

განყოფილების სხვა სამომავლო ამოცანებიდან უმთავრესია თანამედროვე ეთნორელიგიური და ეთნოკონფესიური პროცესების შესწავლა, რასაც ადგილი აქვს აჭარის ისტორიულ-ეთნოლოგიურ სინამდვილეში. კვლავაც უნდა გაგრძელდეს მუშაობა აჭარაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების შესასწავლად, მეცნიერული კონტაქტების შემდგომი განვითარებისათვის საქართველოს და საერთაშორისო მასშტაბით.

დასახელებული ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელია განყოფილებისა და საერთოდ ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განყოფილების აღჭურვა თანამედროვე ფოტო და ვიდეოაპარატურით და შესაბამისი კადრებით. გადასინჯვას საჭიროებს საერთოდ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში დღეს არსებული სახელფარი ფონდი და მეცნიერ-თანამშრომელთა ანაზღაურება, რაც საარსებო მინიმუმის ფარგლებსაც ვერ აკმაყოფილებს. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა უმაღლეს სასწავლებლებში კონ-

კურსგავლიდი სრული, ასოცირებული და ასისტენტი პროფესიურის ფულად ანაზღაურებაში. უნდა დაისვას საკითხი - შესაბამისად გაიზარდოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მომუშავე პროფესორების, წამყვანი, მთავარი და მეცნიერ-თანამშრომელის ხელფასის ოდენობაც. ეს კოდევ უფრო შეუწყობს ხელს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერთა და საერთოდ სამეცნიერო მუშაობის ნაყოფიერების ზრდას. სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მომუშავე პროფესორთა მიმართაც უნდა გავრცელდეს ემერიტუსის მინიჭების წესი. სხვანაირად აზრს დაკარგავდა რეფორმების წარმატებით განხორციელება სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.

Нодар Кахидзе

К 50-летию отдела этнологии и культурной антропологии института Нико Бердзенишвили

Р е з ю м е

Отдел этнологии и культурной антропологии (до 2006 года он назывался "Отделом Этнографии" Батумского научно-исследовательского института АН Грузии им. Нико Бердзенишвили) функционирует со дня основания института (1958 год).

С созданием отдела начинается планомерное, проблемное и систематизированное исследование вопросов быта и культуры не только Аджарии, но и соседних регионов Юго-Западной Грузии, которое до этого носило спонтанный характер. Такая специальная этнографическая академическая ячейка до создания отдела в Аджарии не существовала.

В пройденный период был изучен ряд важных этнографических проблем: "Формы сельского поселения Аджарии", "Аджарское село в прошлом и настоящем" (1958-1969); "Быт и культура Юго-Западной Грузии" (1969-1989); "Этнокультурные и этнодемографические проблемы Юго-Западной Грузии" (1990-2007). Эти проблемы охватывали все основные вопросы хозяйственного и общественного быта, материальной и духовной культуры исследуемых регионов.

Основное внимание было уделено изучению быта и культуры населения Аджарии в период нахождения в составе Османской империи. Результаты исследования говорят о том, что несмотря на политическое и религиозное (исламское) влияние, в этот период население Аджарии не прекращало постоянной и активной связи с остальными регионами Грузии. Население Аджарии сохранило в основном грузинские традиции, родной грузинский язык, что является результатом упорной борьбы за сохранение грузинского самосознания и национальной культуры.

Несмотря на малочисленность научных кадров, отдел сумел добиться значительных успехов. В указанный период в разных изданиях на грузинском и иностранных языках опубликовано свыше 300 статей, 15 монографии и 23

этнографических сборников под разными названиями ("Аджарское село", "Вопросы быта и культуры населения Аджарии", "Быт и культура Юго-Западной Грузии"). Архив отдела хранит 300 годовых тем и столько же дневников этнографических экспедиций.

Итоги научной деятельности отдела этнологии являются реальным вкладом в изучении культурного наследия Юго-Западной Грузии.

Nodar Kakhidze

To the 50th anniversary of the Ethnology and cultural Anthropology Department at N. Berdzenishvili Institute

s u m m a r y

The department (former ‘the department at Batumi N. Berdzenishvili Scientific-Research Institute of Georgian Academy of Science) has been operating since the foundation of the Institute(1958).

From the very beginning the department started the planned, problematic, and systematic research of the questions of ways of life and culture not only in Adjara, but also throughout the neighbor regions of South-West Georgia. Such kinds of research were spontaneously held before. There was not any similar ethnographic academic cell before the establishment of the department.

For the period of its operating a number of important ethnographic problems have been learned. Some of them are: “Forms of rural settlement in Adjara”, “Adjarian village in the past and present” (1958-1969), “Lifestyle and culture in South-West Georgia”(1969-1989), “Ethno-cultural and ethno-demographic problems in South-West Georgia” (1990-2007). These question have been essential for farming and social life, material and cultural wealth in the above mentioned regions.

The main attention has been paid to the investigation of the Adjarian lifestyle and culture in the period of Osman Rule. The research results show that despite the political and religious (Islam) influence Adjarian population did not stop keeping in touch with the other regions of Georgia. Adjarians have kept Georgian traditions and the native language, that was the result of stubborn struggle for preservation Georgian self-consciousness and national culture.

In spite of small number of research workers the department managed to be successful. There were over than 300 articles, 15 monographs and 23 ethnographic collections (“Adjarian village”, “Questions of lifestyle and culture of Adjarian people”, “Lifestyle and culture in South-West Georgia”) published in the given period.

The department archives keep more than 300 annual scientific works, and the same number of reports about ethnographic expeditions. The results of scientific works of the ethnology departments is the real contribution in learning of cultural heritage of South-West Georgia.

ისტორიის განყოფილების ანგარიში

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული წარსულის თან-მიმდევრულად შესწავლის მიზნით, 1986 წელს არქეოლოგიისა და მეცნიერების განყოფილებას გამოეყო და ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა ისტორიის განყოფილება. ამ წელს განყოფილებაში მუშაობდა 4 მეცნიერი თანამშრომელი: ნანა ხახუტაიშვილი, ლარისა დემუროვა, ოეიმურაზ აჩუგბა და იური ბორიკი (†1998). მომდევნო წლიდან მათ შეემატენენ გიორგი ხომერიკი და მალხაზ სიორიძე, შემდეგ – უჩა ოქროპირიძე, დავით ბერძენიშვილი, თამაზ დიასამიძე, ნური ძელაძე, სიმონ გოგირიძე, ოთარ თურმანიძე, აბელ სურგულაძე (†2001), ემზარ კახიძე, მზექალა ტეროპირიძე, ციური ქათამაძე, ოლეგ ჯიბაშვილი, ბიჭიკო დიასამიძე, კახა სურგულაძე, რამაზ ხალვაში, შოთა მამულაძე და სულხან ალექსაძე.

განყოფილების კვლევის საერთო თემად შეირჩა: „**სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები** (უძველესი დროიდან - დღემდე)“. ამან თავიდანვე განაპირობა განყოფილების წევრ მეცნიერ-თანამშრომელთა საკვლევი პრობლემების განსხვავებულობა ქრონოლოგიითა და თემატიკით.

აღნიშნული პრობლემის მიხედვით, არსებობის ოცწლიან პერიოდში, ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ შესრულდა სხვადასხვა თემატიკის 150-მდე წლიური (ხელნაწერი) ნაშრომი. ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, თურქულ ენებზე გამოქვეყნდა 450-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 40-ზე მეტი წიგნი და მონოგრაფია, 50-ზე მეტი სამეცნიერო რეცენზია და 300-ზე მეტი საგაზეთო პუბლიკაცია. განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ საკვლევი პრობლემატიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე წაკითხულია ათეულობით მოხსენება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის, ქუთაისის, ახალციხის, თურქეთის, გერმანიის და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში.

ისტორიის განყოფილების ამოქმედების პირველ წლებში აქ შეისწავლებოდა აჭარაში მცხოვრები აფხაზების, ბერძენებისა და რუსების წარმომავლობა, მათი ჩამოსახლების დრო და პირობები, ტრადიციები, სოციალური და სამეურნეო ყოფა (თეიმურაზ აჩუგბა, ლარისა დემუროვა, იური ბორიკი). გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა აგრეთვე ანტიკური პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის მოსახლეობის ეთნიკური სურათის და ამ საკითხზე ანტიკურ ლიტერატურაში არსებული ცნობების (დავით ბერძენიშვილი, გიორგი ხომერიკი) და XIX-XX სს. მიჯნაზე ბათუმში შექმნილი ნაგოობის სარეალიზაციო ინფრასტრუქტურის (თამაზ დიასამიძე) შესწავლის თვალსაზრისით.

შემდეგ წლებში ისტორიის განყოფილებაში კიდევ უფრო გაფართოვდა მეცნიერული საქმიანობის არე და თემატიკა. მან შეიძინა ახალი ასპექტები და მიმართულებები. მეცნიერული კვლევა-ძიების სფერომ გარდა აჭარისა მოიცვა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს სხვა რაიონები, ჭოროხის ხეობის ისტორიული ტერიტორიები და ლაზეთი.

1986-1993 წლებში ისტორიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნ. აკად. ჭ/კორ., პროფ. დავით ხახუტაიშვილი (1924-1999). მეორე მსოფლიო ომიდან დემობილიზაციის შემდეგ დ. ხახუტაიშვილი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, შემდეგ – ასპირანტურაში. 1955 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია - „შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების მიხედვით”, 1967 წელს კი სადოქტორო - „უფლისციებე და იძერის ქალაქთა ისტორიის საკითხები”. 1977 წ. დ. ხახუტაიშვილი დაინიშნა საქართველოს მეცნ. აკად. არქეოლოგიის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილედ, 1978 წ. გადმოიყვანეს ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, რომელსაც ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე. არჩეული იყო 1991 წ. მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრად.

პროფ. დ. ხახუტაიშვილი არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და 15-მდე მონოგრაფიის ავტორი. ნაშრომთა ერთი ჯგუფი მეცნიერმა მიუძღვნა საქართველოში პროტოქალაქური და ქალაქური ცივილიზაციის გენეზის შესწავლას (უფლისციებე და სხვ). შედეგად, მოგვცა კავკასიის იძერის ადრეკლასობრივი ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და ეთნო-კულტურული მოდელი. აგრეთვე შეისწავლა ქობულეთ-ფიჭვნარი, პეტრაციისძირი, გონიო-აფსაროსი, „ბათუმის ციხე” და სხვა ძეგლები.

პროფ. დ. ხახუტაიშვილმა თითქმის 25 წელი მიუძღვნა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში რკინის მეტალურგიის ჩასახვისა და განვითარების საპანძო საკითხების შესწავლას. მის მიერ გამოქვენებულ ნაშრომებში გადაწყვეტილია გლობალური მასშტაბის სამეცნიერო პრობლემა რკინის მეტალურგიის პირველადი სამშობლოს შესახებ, დადგენილია რკინის წარმოების ძველკოლხური ცენტრი სუთი მთავარი საწარმოო კერით, განსაზღვრულია აღნიშნული ცენტრის შემადგენლობა, გეოგრაფია, სანედლეულო ბაზა, ტექნოლოგიის ძირითადი თავისებურებები და ა.შ.

ღვაწლმოსილი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ ამ პრობლემებზე მუშაობა განაგრძო მისმა ქალიშვილმა, ისტ. მეცნ. დოქტორმა, ასოც. პროფ. ნანა ხახუტაიშვილმა. მან არქეოლოგების ჯგუფთან (გ. თავა-მაიშვილი) ერთად გათხარა და შეისწავლა კოლხური რკინის წარმოების ახალი კერა ჩაქვისწყლის ხეობაში. გერმანელი კოლგეგების დახმარებით განისაზღვრა აქ გამოვლენილი რკინის გამოსაღნობი უძველესი სახელოსნოს ქრონოლოგია. ნ. ხახუტაიშვილმა განაგრძო ჭოროხის ხეობის უძველესი რკინის მეტალურგიული კერის შესწავლა, სადაც გამოავლინა ოთხი ახალი სახელოსნო უბანი. ამან კიდევ უფრო გაამყარა პროფ. დ. ხახუტაიშვილის მიერ ადრე გამოთქმული ვარაუდი, რომ

კოლხეთი არის რეინის მეტალურგიის უძველესი სამშობლო. დაღვინდა, რომ ადრეული მეტალურგიის წარმოების ცალკეული კერები არსებობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში და ისინი შეადგენდნენ ჭოროხის ხეობის უძველესი რეინის მეტალურგიის ერთიანი უწყვეტი ჯაჭვის შემადგენელ ნაწილებს. ამ ახალი აღმოჩენის შემდეგ ნ. ხახუტაიშვილის მიერ გერმანიის მეცნიერთა აკადემიის გრანტზე წარდგენილმა პროექტმა „უძველესი რეინის მეტალურგია კავკასიასა და ანატოლიაში (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი)“ გაიმარჯვა და მისი ავტორი ოთხი თვის განმავლობაში იმყოფებოდა და მუშაობდა გერმანიაში, ქ. ბოხუმის არქეომეტალურგიის ინსტიტუტში და ქ. ბერლინის არქეოლოგიის ინსტიტუტში.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში პროფ. ნ. ხახუტაიშვილმა გამოაქვეყნა ერთი მონოგრაფია და ოცდაათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათი ერთი ნაწილი დაბეჭდილია საზღვარგარეთის აკადემიურ გამომცემლობებში ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

ნანა ხახუტაიშვილის სამეცნიერო ნაშრომების მეორე ჯგუფი მიეძღვნა ადრერეინის ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში არსებული ვითარების შესწავლას, ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის სამეცნიერო სახის (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა), ამ მხარისათვის დამახასიათებელი ხელოსნობის დარგებისა და მათი განვითარების დონის გარკვევას, აგრეთვე მათში წარმოჩენილია სავაჭრო ურთიერთობები და ძირითადი საექსპორტო ნაწარმი, გზები და გადაადგილების საშუალებები. რეგიონში არსებული ეთნიკური ვითარება, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა. ამჟამად ნ. ხახუტაიშვილი მუშაობს ამიერკავკასიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლის, ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარის კატალოგზე. იგეგმება მისი გამოქვეყნება, რაც მნიშვნელოვან მასალას შესძენს ქართულ ისტორიულ მეცნიერებას.

საანგარიშო პერიოდში მუშაობა მიმდინარეობდა ძვ. წ. I ათას-წლეულის სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს ადრეული სახელ-მწიფოებრივი წარმონაქმნებისა და გაერთიანებების (აია-კოლხეთი, ჭანეთი, მატიენა, ქათარზა, აფუნი, უიტერუხი და სხვ.) ეთნიკურობისა და ლოკალიზაციის საკითხების დადგენაზე (ისტ. მეცნ. დოქტორი სიმონ გოგიაშვილი). კვლევის შედეგად განმტკიცებულია მოსაზრება, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და მისი მიმდებარე მტკვარ-არაქსისა და ჭოროხის აუზების ტერიტორიები უძველესი დროიდანვე იყო ქართველ ტომთა განსახლების არეალი.

სიმონ გოგიაშვილ 40-მდე ნაშრომის ავტორია, მათ შორის 7 მონოგრაფიის. მის პირველ წიგნში „მირიან მეფე და ქართლის მოქცევა“ (ბათ., 1997) შესწავლილია საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დრო და პირობები. ქართლის მოქცევის თარიღად ავტორი მიიჩნევს 326 წელს. მონოგრაფიაში ასევე გამორკვეულია წმინდა ნინოს, მირიან მეფისა და ნანა დედოფლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები, ქრისტეს რჩეულ მოწაფეთა სამხრეთ საქართველის

ლოში მოღვაწეობის დრო და გარემოებები. მომდევნო მონიგრაფიაში „ძიებანი ვახტანგ გორგასალისდროინდელი ქართლის ისტორიიდან“ (ბათ., 1998) მკვლევარის ყურადღების ორბიტაში მოექცა V საუკუნის ქართლის პოლიტიკური ისტორიისა და საისტორიო გეოგრაფიის საკითხები. ვრცლად ეხება აჭარის სოფელ ხერთვისთან ვახტანგ გორგასალისა და ბიზანტიულების ბრძოლას, რომელსაც 464 წლის დასასრულით ათარიდებს. მონიგრაფიაში „აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხისათვის“ (ბათ., 2002) ს. გოგიტიძე შეისწავლის აჭარის ძელი ისტორიის ზოგიერთ საკვანძო საკითხს. ცდილობს გაარკვიოს სატომო სახელწოდება ვი-ძარ-ების (ბი-ძარ-ების) მიმართება ტერმინ აჭარასთან და მიაჩნია, რომ ეს ძელი ქართული ტომი უნდა იყოს აჭარის მკვიდრთა წინაპარი. ავტორი ასაბუთებს აგრეთვე, რომ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში აჭარა გაძლიერებული ქართლის სამეფოს ნაწილი იყო და არა ლაზიკის სამეფოსი, როგორც ეს მიაჩნია მკვლევართა ნაწილს.

ქ. XII-IV საუკუნეების სამხერეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები განხილულია ს. გოგიტიძის ამავე სახელწოდების წიგნში (ბათ., 2002), ავტორი შეისწავლის სამხერეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ უძველეს სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა (დაიაენი, კოლხა, უიტერუები და სხვ). ლოკალიზაციის პრობლემებს. ავტორი აგრეთვე, აყენებს შეხედულებას ჭანების, შეკონიებისა და მათ მეზობლად მცხოვრები ტომების სვანური წარმომავლობის შესახებ, ცდილობს დააკავშიროს და დაასაბუთოს იგივეობა ანტიკურ წყაროებში მითითებული დასახლება კიკნოსისა – ქობულეთის ფიჭვნართან, მატიუმ მენტები – ბათუმთან, და სხვ. საყურადღებო გამოკვლევაა ს. გოგიტიძის მონიგრაფია „დაიაენი-დიაოხი“ (ბათ., 2006) იგი ეხება ჭოროხის ხეობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე უძველეს პერიოდში არსებული ამავე სახელწოდების მატარებელი ქვეყნის ლოკალიზაციის და ეთნიკური კუთვნილების პრობლემებს, განსაზღვრულია დაიაენი-დიაოხის, მისი შემადგენელი მიკრო-ქვეყნების (ოლქების) და ქალაქების ლოკალიზაცია-ადგილმდებარეობა, მათი სახელწოდებები. ავტორის დასკვნით, ამ ქვეყნების ტოპონიმები, მეფეთა და მმართველთა საკუთარი სახელები არის ქართული წარმომავლობის. ამჟამად ისტ. მეცნ. დოქტორი ს. გოგიტიძე განაგრძობს სამხერეთ კავკასიაში უძველეს პერიოდში არსებული ქვეყნების ლოკალიზაციის და ეთნიკური კუთვნილების კალეგას.

1994 წლიდან ისტორიის განყოფილებაში დამუშავდა რამდენიმე თემა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბერძნული და რომაული კოლონიზაციის საკითხებზე, რომელთა ავტორია ისტ. მეცნ. დოქტორი, ასოც. პროფ. ემზარ კახიძე. მის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართველურ ტომთა და ბერძნთა შორის ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში დაწყებული ურთიერთობები შემდეგ თანდათან განვითარდა. საკოლონიზაციო ტერიტორიაზე მცენლი კოლხური სამეფოს განვრცობაში ბერძნებს ხელი შეუშალა სრულყოფილი კოლონიური საქმიანობის განხორციელებაში, რაც მათ მოახერხეს ისტორიული ჭანეთის ტერიტორიაზე, სადაც

ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინსტიტუტები მოქმედებდნენ. ამან ხელი შეუწყო ელინისტური კულტურის სწრაფ გავრცელებას ამ რეგიონში. ძვ. წ. III საუკუნეში სამხრეთ შავიზღვისპირეთში ჩამოყალიბდა პონტოს ძლიერი სახელმწიფო, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი დასახლებული იყო ქართველური ტომებით. ამ ფაქტორმა განაპირობა ელინიზმის და, შესაბამისად, პონტოს გავლენის გავრცელება თანამედროვე დასავლეთ საქართველოში, რამაც ხელი შეუწყო ანტიკური ფასეულობების დაფუძნებას და ეს რეგიონი შეატადა რომის მსოფლიო იმპერიაში და მსოფლიო ისტორიულ პროცესებში ჩასართველად.

2003 წლს ისტორიის განყოფილებაში შეიქმნა ტბელ აბუსერისძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემსწავლელი ჯგუფი (მეცნ. დოქტორები, პროფესორები ბიჭიკო დიასამიძე, შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში). მუშაობა წარიმართა განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის აჯარის პოლიტიკური ისტორიის, მატერიალური კულტურის ძეგლებისა და თვით ტბელ აბუსერისძის მემკვიდრეობის შესასწავლად. უკრადღება მიექცა იმ გარემოებას, რომ ქვეყნის ავბედობა გამოვლილი აბუსერისებ ტბელის (XII ს. 80-იანი - XIII ს. 40-იანი წლები) იდეები განსხვავდება თამარისა და ლაშა გიორგის ცხოვრებათა აღმწერ მემატიანეთა იდეებისაგან. ამიტომ ტბელის ინფორმაცია განსაკუთრებით საყურადღებო ხეარაზმელებისა და მონდოლების შემოსევების შემდგომი პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ. დაზუსტდა ტბელ აბუსერისძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი დეტალი და მისი შემოქმედებითი კავშირები გარდის, გელათის, მარტყოფის და ალავერდის სავანეებთან. წარმოჩენილია აბუსერისძების ფეოდალური სახლის დამსახურება XI-XIV სს. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ნაჩვენებია სამშობლოსადმი მათი ერთგული სამსახურის ცალკეული მაგალითები. შესწავლილია ტბელთა პერიოდის სამშენებლო და ადგგენითი სამუშაოები. გამოტანილია დასკვნა, რომ აჭარისწყლის ხეობის საეკლესიო და საფორტიფიკაციო ნაგებობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად შექმნილია XI-XIII საუკუნეებში და მათი მშენებლობა დაკავშირებულია აბუსერისძეთა საგარეულო სახლთან.

ტბელ აბუსერისძის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა პროფ. ბ. დიასამიძეს მონოგრაფიისათვის „ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X სს)” (ბათ., 2001). იგი ეძღვნება დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების, პირველი საეკლესიო ცენტრების (საეპისკოპოსოების) წარმოშობას, ბიზანტიის ეკლესიასთან მათ ურთიერთობას და სხვა მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხების შესწავლა-ანალიზს. სპეციალისტებში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კვლევის შედეგად მიღებულმა დასკვნამ, რომლის მიხედვით ადრეშეუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის მიუხედავად ეგრისელთა სახელმწიფო და ღვთისმსახურების ენა იყო ქართული. ამით მკვლევარმა უჭვევეშ დააკეთა ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული საწინააღმდეგო დებულება, კერძოდ, ვიდრე დასავლეთ საქართველო ბიზანტიის პოლი-

ტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, „ოფიციალური, უკლესიისა და სახელმწიფო კანცელარიის ენის როლს ბერძნული ასრულებდა” (ხინ, II, გვ. 428). პრობლემას პროფ. პ. დიასამიძემ ბოლო წლებშიც მიუმდვნა არაერთი ნაშრომი, რითაც თავისი წვლილი შეიტანა დასავლელი და აღმოსავლელი ქართველების გენეტიკური და ენობრივი ერთიანობის დებულების დაცვაში.

2000 წლიდან გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა გვიანფეოდალური ეპოქის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესასწავლად. ამ მხრივ განყოფილებაში მუშავდებოდა პრობლემა: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა იერუსალიმთან XVI-XVIII სს“ (ასოც. პროფ. ციური ქათამაძე). დადგენილია იერუსალიმის ქართული კოლონიისათვის ამ ვრცელი ქართული რეგიონის შენარჩუნებასა და ეროვნული კულტურის საგანძურის გადარჩენაში ცნობილი მწიგნიბრის და საეკლესიო მოღვაწის მარკოზ აჭარელი-სამცხელის დამსახურება, მისი ჯვრის მონასტერში მოღვაწეობის ახალი დეტალები. გამორკვეულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამულები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მეტოქი ეკლესიის დაარსება ჩეხედანაში (ქოდულების მხარე) და ყმა-მამულის მართვის ორგანიზაციული თავისებურებები. ავტორის დასკვნით, XV საუკუნის შემდეგ როგორც პალესტინაში, ისე საქართველოში მიმდინარე რთული პროცესების მიუხედავად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა „წმინდა მიწასთან“ არ შეწყვეტილა.

გვიანფეოდალური ეპოქის შესასწავლად ისტორიის განყოფილებაში მუშავდება მეორე პრობლემაც – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ - პოლიტიკური მდგომარეობა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში“. ისტ. მეცნ. დოქტორს თლევა ჯიბაშვილს საყურადღებო მოსახრებები აქვს გამოთქმული მე-18 საუკუნის 60-70-იან წლებში ოსმალთა მფლობელობაში მყოფ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიმართულებით მეფე ერეკლე II-ის საგარეო-პოლიტიკური კურსის გააქტიურებისა და ამ დონისძიებებისადმი ოსმალთა პოლიტიკურ გავლენაში მოქცეული ქართველების, აგრეთვე, ქურთების და სომხების მიერ გამოვლენილი დაინტერესებების შესახებ. დასაბუთებულია, რომ მე-18 ს. 60-70-იან წლებში ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა ოსმალთა მფლობელობაში მყოფი მესხეთისა და ჭანეთის გათავისუფლებისათვის. ავტორის მტკიცებით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოხსნის გეგმის განუხორციელებლობა განაპირობა რუსეთის მხრივ სამოქავშირო შეთანხმებების დარღვევამ და ქართული საერთო-ეროვნული ინტერესებისადმი რუსეთის დიდმპყრობლური პოზიციებიდან მიღვომამ. რუსეთის ამბიციურმა სწრაფვამ ამიერკავკასიისაკენ და გენერალ ტოტლებენის სამხედრო ღონისძიებებმა და ავანტიურამ მკვეთრად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ოსმალთა მფლობელობაში მოქცეული სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობაში ქართლ-კახეთის სამეფოსთან გაერთიანების სასარგებლო განწყობილებაზე. კიდევ მეტი, რუსეთის ექსპანსიით შეშინებულმა ოსმალეთის მთავრობამ აშკარად გაააქტიურა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ისლამისტური ასიმილატორული პოლიტიკა, გააძლიერა ადგილობრივ მოსახლეობაში მართლმადიდებლური ქრისტია-

ნობის და ეროვნული ცნობიერების დეფნა, რათა მოსალოდნელი შემოჭრის შემთხვევაში რუსულ-ქართულ მართლმადიდებლურ კოალიციას ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში საგარაუდო პოლიტიკური მოქავშირე არ დახვედროდა.

საანგარიშო პერიოდში სერიოზული უურადღება მიექცა მე-16 მე-20 სს. აგრარულ და სოციალურ ურთიერთობათა კვლევას. ისტ. მეცნ. დოქტორ ოთარ თურმანიძის წლიური სამეცნიერო შრომების ერთ ნაწილსა და მონოგრაფიაში „საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVII. - 1878 წ.)”, (ბათ., 2001) შესწავლილია ოსმალთა მფლობელობის პერიოდის მიწისმფლობელობის ფორმები, გადასახადების სახეები და ოსმალური მმართველობის სისტემა. დასაბუთებულია, რომ მიწისმფლობელობის ოსმალური წესების გავრცელებამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხელი შეუწყო ამ მხარეში მაჰმადიანური სარწმუნოების გავრცელებას. მომდევნო პერიოდის საადგილმამულო ურთიერთობები და აგრარული მოძრაობა მკვლევარმა შეისწავლა მონოგრაფიებში: „აჭარის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (1878-1920)”, (ბათ., 1973) და „სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1920 წწ.)”, (ბათ., 2004). მათში გამოკვლეულია ცარიზმის აგრარულ-კოლონიური პოლიტიკა და მისი უარყოფითი შედეგები, დახასიათებულია სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები. შესწავლილია ბათუმის ოლქის სოფელ ადგილებში შექმნილი კაპიტალისტური მეურნეობები, სახოფლო-სამეურნეო საზოგადოებები, რუსული მმართველობის სისტემა და რუსული ახალ შენები.

ო. თურმანიძემ სპეციალურად შეისწავლა და 1979 წ. ცალკე წიგნად გამოსცა გლეხთა მოძრაობა აჭარაში 1905-1907 წლებში. მასში ნაჩვენებია აჭარის გლეხთა გამოსვლების როლი საერთო ეროვნულ სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობაში რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

პროფ. ოთარ თურმანიძემ მონოგრაფიულად შეისწავლა აგრეთვე 1946-1990 წლების პერიოდის აჭარის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ძირითადი საკითხები („სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში ომისშემდგომ პერიოდში”, ბათ., 2005). წიგნში განხილულია მრეწველობა, კაპიტალური მშენებლობა, ტრანსპორტი, ტურიზმი, კავშირგაბმულობა და სოფლის მეურნეობა. გაანალიზებულია რეგიონის დემოგრაფიული მდგომარეობა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, მოსახლეობის ცხოვრების პირობები და ა.შ. ო. თურმანიძემ რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა 1930-40-იან წლებში საბჭოთა სისტემის მიერ განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების შესახებაც.

1987 წლიდან ისტორიის განყოფილებაში შეისწავლება ახალი და უახლესი პერიოდების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკვანძო პრობლემები. ისტორიის განყოფილების გამგის (1993 წლიდან), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ მალხაზ სიონიძის წლიურ ნაშრომებში შესწავლილია მე-19 საუკუნისა და მე-20 პირველი მეოთხედის

ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ბათუმის ადგილი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში XIX ს. პირველ ნახევარში, ცარიზმის დემოგრაფიული პოლიტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, სამთო-მომპოვებელი და მეტალურგიული (სპილენძის) წარმოება აჭარასა და მდ. ჭოროხის ხეობაში, ბათუმის ნავსადგურისა და ნაოსნობის განვითარება, ნავთობის წარმოება და ექსპორტი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, პირველი მსოფლიო ომის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციები, ტრაპიზონის და ბათუმის საზაფო კონფერენციები, აგრეთვე ამ რეგიონთან დაკავშირებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხვა საგარეო-პოლიტიკური ღონისძიებები და სხვ., რაც აისახა კიდევ მის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებში, აგრეთვე, 2002 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში – სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 1914-1918 წლებში (ხოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება).

მ. სიორიძის რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა ქალაქ ბათუმის ისტორიის შესწავლას. ამ მხრივ აღსანიშნავია პროფ. აბ. სურგულაძესთან თანაავტორობით გამოქვეყნებული წიგნი „პორტო-ფრანგო ბათუმში“ (ბათ., 1996). ეს არის პირველი სპეციალური მონოგრაფია ამ საკითხის შესასწავლად. ავტორებმა აჩვენეს ბათუმში თავისუფალი ქალაქ-ნავსადგურის ჩამოყალიბება და მოქმედება 1878-1886 წლებში, საზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი, პორტო-ფრანგოს მნიშვნელობა ბათუმში კონომიკური ცხოვრების გააქტიურებასა და საქალაქო ინფრასტრუქტურის განვითარებაში. აქვე განხილულია 1919-1920 წლების მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები და ანტანტის ქვეყნების მიერ ბათუმის კვლავ პორტო-ფრანგოდ გამოცხადება 1920 წელს და მასთან დაკავშირებული საკითხები

ძველ ბათუმში საქალაქო ცხოვრების, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების შესახებ ზოგიერთ საყურადღებო ცნობას ვხვდებით აგრეთვე მ. სიორიძის წიგნში „ბათუმის საბაჟო“ (ბათ., 2003). აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი სპეციალური გამოკვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელშიც თანმიმდევრულადაა შესწავლილი ბათუმის საბაჟოს ისტორია და მასთან დაკავშირებული საკითხები მე-19 ს. 30-იანი წლებიდან - დღემდე. აქვე ვხვდებით ცნობებს ამიერკავკასიის სხვა პუნქტებში არსებული საბაჟო დაწესებულებების შესახებაც.

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის საკითხებს ეხება მ. სიორიძის რამდენიმე ნაშრომი და სპეციალური მონოგრაფია (საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), ბათ., 1998). წიგნში შესწავლილია დამოუკიდებლობის კომიტეტის (დამკომი) პოლიტიკური მოდვაწეობა საზღვარგარეთ და საქართველოში, ქართული ლეგიონის შექმნა და საქმიანობა, 1916-1918 წლებში ბერლინში გამომავალი დამკომის ბეჭდური ორგანო „ქართული გაზეთი“. ნაჩვენებია დამკომის დვაწლი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ევროპის სახელმწიფოების წინაშე აქტიურად დასმის და განხორციელების საქმეში.

ისტორიის განყოფილებაში, ისტ. მეცნ. დოქტორის უჩა ოქროპირიძის მიერ შესრულდა რამდენიმე წლიური ნაშრომი მე-20 ს. დასაწყისის ბათუმის სამრეწველო და საფაბრიკო-საქარხნო მუშათა სოციალური და ეროვნული შემადგენლობის შესახებ. მათში შესწავლილია მუშათა საყოფაცხოვებო და შრომის პირობები, მუშათა წვლილი საერთო სოციალურ მოძრაობაში. ავტორმა დაარღვია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკავიდრებული მუშათა მოძრაობის მხოლოდ დადებითად შეფასების ტენდენცია და დაასაბუთა საფაბრიკო - საქარხნო ინსპექციის პოზიტიური როლი მუშათა პრობლემების მოგვარების საქმეში.

მეორე პრობლემა, რომელსაც უ. ოქროპირიძე იკვლევს, არის აჭარის ავტონომიის შექმნა, მისი წარმოშობის წანამდგრები და სამართლებრივი სტატუსი. ამ საკითხებს ავტორი განიხილავს აჭარაში ეროვნული იდეებისათვის ბრძოლასთან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) საშინაო და საგარეო საკითხებთან კავშირში. ეს საკითხები გაშექმნებულია აგრეთვე უ. ოქროპირიძის ორ მონოგრაფიაში: „აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან“ (ბათ., 2001) და „საქართველოს სახელმწიფო გენერაციული აღდგენა და აჭარის ავტონომიის პრობლემა“ (ბათ., 2005).

მესამე პრობლემა, რომლის შესწავლაც უ. ოქროპირიძემ უკანასკნელ წლებში დაიწყო, არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1988-1991 წლებში და აჭარაში განვითარებული პროცესები. იგი დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით გვიჩვენებს, თუ როგორ ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლება ეროვნული მოძრაობის ძალთა დაჭურვაცებას, აჭარის მთისა და ბარის მოსახლეობის დაპირისპირებას. ავტორის დასკვით, ეროვნულ ძალთა მიერ გაწეული ნაყოფიერი მუშაობის გამო რუსეთის იმპერიულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული სცენარის აჭარაში განხორციელება.

უახლესი ისტორიის საკითხებს იკვლევს ისტორიის განყოფილების ახალი წევრი, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი სულხან ალექსაიძა. მისი თემაა „ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის XX ს. 90-იან წლებში“. შეისწავლის ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების გაჩადებას და ესკალაციას. განიხილავს ამ საკითხთან დაკავშირებულ შეთანხმებებს, საერთაშორისო ორგანიზაციების, დასავლეთის სახელმწიფოების, აშშ და რუსეთის დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხისადმი. ავტორი გამოთქვამს საკუთარ მოსახრებებს ამ კონფლიქტების გაჩადების მიზებისა და მათი აღმოფხვრის გზებზე.

საანგარიშო პერიოდში განყოფილებამ წარმატებები მოიპოვა სამეცნიერო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ოვალსაზრისით. მ. სიორიძემ და რ. ხალვაშა დაიცვეს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ს. გოგიტიძემ, ე. კახიძემ და ც. ქათამაძემ – საქანდიდატო დისერტაციები, 2008 წ. ზაფხულში ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ უ. ოქროპირიძეს და ო. ჯიბაშვილს.

ისტორიის განვითარების მკვლევართა აქტიური თანამშრომდობით მომზადებ „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I – აჭარა“, ოთხომეული, რომელიც გამოქვეყნების პროცესშია.

სამომავლოდ ისტორიის განვითარების წევრთა საკვლევი თემატიკა მიესადაგება ისეთ საერთაშორისო კვლევით მიმართულებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ კავკასიის და შავი ზღვის აუზის წარსული და თანამედროვე ისტორიის და პულტურის საკანონო პრობლემების ინტერნაციონალურ კვლევას.

Малхаз Сиоридзе

Отчет отдела истории

Р е з ю м е

Отдел истории был создан в 1986 году. Общей исследовательской темой являются вопросы истории Юго-Западной Грузии (с древнейших времён по сегодняшние дни). Ввиду этого, исследования научных сотрудников отдела различаются хронологией и тематикой. В частности, исследования проводились по следующим направлениям: 1) Происхождение, традиции, социальный и хозяйственный быт проживающих в Аджарии абхазов, греков и русских (Теймураз Ачугба, Лариса Демурова, Юрий Борик); 2) Картвельские племена позднебронзового–раннекорабельного периода, городская жизнь раннеклассовой Иберии и генезис цивилизации, возникновение и развитие металлургии железа (Давид Хахутаишвили), материальная и духовная культура, социальный и хозяйственный быт населения восточного побережья Чёрного моря в вышеуказанный период (Нана Хахутаишвили); 3) Ранние грузинские племенные объединения и государственные образования (Симон Гогитидзе); 4) Особенности греческой и римской колонизации восточного побережья Чёрного моря (Эмзар Каидзе); 5) Проблемы социально-экономической и политической истории Юго-Западной Грузии в XIX-XX веках (Малхаз Сиоридзе, Отар Турманидзе, Абель Сургуладзе, Уча Окропиридзе, Сулхан Алексая).

С 2000 года в отделе начались исследования проблем социально-политического положения позднефеодальной (Олег Джигиашвили, Циури Катамадзе), а также эпохи развитого феодализма (Бичико Диасамидзе, Шота Мамуладзе, Рамаз Халваши) Юго-Западной Грузии. Вышеперечисленные проблемы в 1986-2007 годах были представлены в до 150 годовых темах, кроме этого – в более, чем 450 опубликованных на грузинском, русском, английском, немецком и турецком языках научных трудах, в том числе – более 40 книгах и монографиях и более 300 газетных публикаций.

За двадцатилетний период существования в отделе подготовлено 7 докторских и кандидатских диссертаций. При активном участии сотрудников отдела был подготовлен к изданию четырёхтомник "Очерки истории Юго-Западной Грузии" (I, Аджария).

Современная тематика исследований отдела истории учитывает такие международные исследовательские направления, которые ставят своей целью изучение ключевых проблем прошлой и современной истории и культуры

Кавказа и черноморского бассейна.

С 1986 года по 1993 год отделом руководил директор института, член-корр. Академии наук Грузии, проф. Давид Хахутаишвили (1924-1999 г.г.). С 1993 года по сегодняшний день отделом руководит докт. ист. наук, проф. Малхаз Сиоридзе.

Malkhaz Sioridze

Department of History

Resume

The department of history was created in 1986. The common theme of research of the department was: ``the questions of Southern-Western Georgia history``. The problems of research differ from one another according to the chronologies and themes. The research went in the following directions: 1. The origin, tradition, social and economic life of Abkhazian, Greek and Russian inhabitants; 2. The Georgian tribes of the Late Bronze Age, the urban life of Iberia and its genesis, development of iron metallurgy (Davit Khakhutaishvili). The social and economic life of Black Seaside population, material and spiritual culture (Nana Khakhutaishvili), 3. Early Georgian State unifications (Simon Gogitidze), 4. Aspects of Greek and Rome colonization in eastern Black seaside (Emzar Kakhidze), 5. Social-economic and political problems of XIX-XX century of Western Georgia history (Malkhaz Sioridze, Otar Turmanidze, Abel Surguladze, Ucha Okropiridze, Sulkhan Aleksaia).

In 2000 the department began to study the period of late feudal development of southern-western Georgia (Bichiko Diasamidze, Shota Mamuladze, Ramaz Khalvashi).

The mentioned problems were reflected in the following works: in more than 150 annual works performed by scientists of the department; also in more than 450 works published in Georgian, Russian, German and Turkish languages; in more than 40 books and monographies; in more than 50 scientific reviews and newspaper publications. During 20 years existence the department prepared 7 candidatural and doctoral theses.

The Department prepared four volumes of ``Study of Southern-Western Georgia History``.

The members of the Department will dedicate their future work to such research theatics as past, modern history and international analysis of cultural problems of Caucasia an Black Sea basin.

In 1986-1993 the head of the Department was the member of Georgian Scientific Academy, Prof. Davit Khakhutaishvili (1924-1999); since 1993 the department is led by the Doctor of Historical Sciences, Prof. Malkhaz Sioridze.

ნინო ინაიშვილი

არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის განყოფილება

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კვლევა ჯერ კიდევ ექ. თაყაიშვილმა წამოიწყო და იგი გაგრძელდა XX საუკუნის 50-იან წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ (ნინო ხოშტარია). 1960 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების (1958 წ.) შემდეგ დაიწყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საფუძვლიანი არქეოლოგიური შესწავლა. არქეოლოგიური კვლევის ობიექტებად იქცა ძველი სადგომები და ნამოსახლარები, ნაქალაქარები, ნაციხეარები, ნაეკლესიარები, სხვადასხვა პერიოდის და ტიპის სახელოსნოები, ნედლეულის მოპოვებასთან დაკავშირებული კომპლექსები (ე.წ. დიუნური ნამოსახლარები), სამაროვნები, მელიორაცია განძები და სხვ.

არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენასა და მათ პვლევაზე იღვწოდა სხვადასხვა თაობის მკვლევართა დიდი ჯგუფი (ექ. თაყაიშვილი, ს. ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, ნინო ბერძენიშვილი, ნ. ხოშტარია, ა. აფაქიძე, ი. გძელიშვილი, ოთ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, ა. ინაიშვილი, ოთ. ჯაფარიძე, დ. ხახუტაიშვილი, ა. კახიძე, ალ. რამიშვილი, ს. გოგიტიძე, ნ. ვაშაკიძე, ლ. ჩხაიძე, ნ. ინაიშვილი, ნ. ხახუტაიშვილი, ირ. ჩავლეიშვილი, გ. თავამაიშვილი, ი. იაშვილი, ა. ჯაველიძე). არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები ასახულია ზემოხსენებულ მკვლევართა მონოგრაფიებსა და სტატიებში, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“. აღნიშნული პუბლიკაციების წყალობით აჭარის არქეოლოგიური აღმოჩენები საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაშია შესული. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურმა შესწავლამ გაამდიდრა არა მარტო საქართველოს, არამედ საზოგადოდ კავკასიის, შავიზელვისპირეთის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად მოპოვებული ნივთები დაცულია ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის სახელმწიფო და ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმებში და არაერთხელ ყოფილა ექსპონირებული საურთაშორისო გამოფენებზე.

ქვის ხანა

ქვის ხანის ძეგლების განთავსების თვალსაზრისით საქართველო უაღრესად საინტერესო უბანს წარმოადგენს. ძველი ქვის ხანის, კერძოდ ადრეაშელური, აშელური, მუსტიესა და აშელ მუსტიეს ეპოქის ნამოსახლარები მიკვლეულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც. რაც შეეხება აჭარის რეგიონს, ამ ეპოქის ძეგლთა რიცხვი ჯერჯერო-

ბით მხოლოდ ერთეულია. მხედველობაში გვაქვს ბეშუმში, ბულულას სერზე ანდეზიტ-ბაზალტისაგან ნაკეთი იარაღ-ანატკეცები, რომლებიც აშელური ეპოქით თარიღდება (გ. გრიგოლია).

შეა ქვის ხანის (მეზოლითის) ეპოქის ძეგლები მრავლადაა მიკვლეული დასავლეთ საქართველოში, მაგრამ აჭარის ტერიტორიაზე ჯერჯერობით არ დასტურდება აღნიშნული პერიოდის უძრავი ფენების შემცველი ნამოსახლარები.

სამხერეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში გამოვლენილ არქეოლოგიურ ძეგლთა უძველესი ჯგუფი გვიანძებულითური, ადრე და განვითარებული ნეოლითის ნამოსახლარებითაა წარმოდგენილი (სს. ქობულეთი, ხუცუბანი, კვირიკე, ჯიხანჯური, მახვილაური). ზღვისპირეთის ნეოლითურ ნამოსახლართა ჯგუფში წარმოდგენილია როგორც განვითარებული (ე.წ. კერამიკული ხანის), ისე ადრენეოლითური (წინაკერამიკული ხანის) სადგომები (ს. გოგიტიძე). ამ ხანის ნამოსახლართა სისშირე და მათი განლაგება მდინარეთა ტერასებზე იმის მოწმობად უნდა მივიჩნიოთ, რომ მწარმოებლური მეურნეობის ადრეული საფეხურის მოსახლეობის ყოფაში მდინარეს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ამრიგად, სამხერეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური შესწავლის პირველი დიდი შედეგია იმ ფაქტის დაღგენა, რომ ეს რეგიონი შეადგენდა ადრემწარმოებლური და ადრესამიწათმოქმედო ცივილიზაციების ჩასახვა-განვითარების ახლოადმოსავლურ-კავკასიური ზონის ნაწილს. მომავალი კვლევა-ძიება გვიჩვენებს, თუ რამდენად არსებითი იყო სამხერეთ-დასავლეთ საქართველოს წვლილი ამ უძველესი ცივილიზაციის ჩამოყალიბება-განვითარებაში.

ადრებრინჯაოს ხანა

დიდი მეცნიერული დირებულების აღმოჩნდა ადრესამიწათმოქმედო კულტურის მომდევნო საფეხურის ძეგლის - ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარის არქეოლოგიური მონაცემები, რომელიც ქ. ქობულეთის აღმოსავლეთითა გამოვლენილი (დ.ხახუტაშვილი, ა.ინაიშვილი). გაირკვა, რომ ნამოსახლარი წარმოადგენდა ძვ.წ. III ათასწლეულის ზღვისპირა დასახლების ნაშთს, რომელსაც ახლა ზემოდან ადევს ტორფის 2 მეტრის სისქის ფენა. ნამოსახლარის გათხრებისას გამოვლენილი ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭლების ერთი ჯგუფი თავისი ფორმით ჯერჯერობით უნიკალურია კოლხეთის ნივთიერ კულტურაში და, ამდენად, განსაკუთრებულ უურადღებას იმსახურებს. ცენტრალური ამიერკავკასიიდან ჩანს შემოტანილი თიხის ჭურჭლების ერთი ჯგუფი, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის შეა ხანას მიეკუთვნება. ამავე ასაგზე მიუთითებს ნამოსახლარის გათხრისას მოპოვებული კაჟის ისრის წვერი, ყუამილიანი ცულის ხის მოდელი და ამგვარივე ცულის ჩამოსახმელი ყალიბები. ნამოსახლარის ასაკი განისაზღვრა აგრეთვე რადიოკარბონული მეთოდით (ძვ.წ. XXVI საუკუნე). ნამოსახლარის წარმოქმნა ძვ.წ. IV და III ათასწლეულის მიჯნით თარიღდება.

გარდა ყუამილიანი ცულის მოდელისა და ყალიბებისა, ნამოსახლარის გათხრისას გამოვლენილი იყო აგრეთვე საბერველების საქმენი

მიღების და ტიგელების მოღელები, თიხის მცირე ქანდაკებები, ხელსაფქვავები და სანაყი ქვები, რიყის ქვებისაგან დამზადებული საწაფები, თიხის, წაბლისა და რკოს ნაჟუჭები და ა.შ. დაცულია ორი პერიოდის ძელური ნაგებობის ნაშთები. მათგან, ზედა დონის ნაგებობანი ხიმინჯებზე ყოფილა გამართული, ხოლო ქვედა დონის სახლები (ჯარგვალები) ზღვისპირა სილაზე მდგარა.

ნამოსახლარის წარმოქმნის დროიდან მის დაღუპვამდე საკმაო დროს გაუველია. ამას სხვა ფაქტორებთან ერთად კერამიკული ნაწარმის ფორმების ევოლუცია გვიდასტურებს. კერძოდ, ქვედა დონის კერამიკა, რომელიც უპირატესად ქილებითა და დერებითაა წარმოდგენილი, ხელითაა ნაძერწი მსხვილი სტრუქტურის თიხისაგან. მათვის დამახასიათებელია ფორმების შედარებითი სიტლანქე. ზედა დონის კერამიკაც ხელითაა ნაძერწი, მაგრამ აქ ფორმებიც უფრო დახვეწილია, თიხაც უკეთ დამუშავებული. რაც შეეხება აქაური მაცხოვრებლების მიერ დასახლების მიტოვებასა და მისი გაპარტახების მიზეზებს, აქ, როგორც ჩანს, პირველ რიგში ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გეომორფოლოგიურ პროცესებს, რაც კოლხეთის ზღვისპირეთში ამ 4-5 ათასი წლის წინ მიმდინარეობდა. ვიურმის გამყინვარების პერიოდის დასასრულს დაწყებულმა დათბობამ დააჩქარა მყინვარების დნობა, რასაც მოჰყვა ოკეანის დონის ამაღლება. წყლის დონის აწევას ახალშავზღვურ ხანაში შედეგად მოჰყვა კოლხეთის მდინარეების მიერ ჩამოტანილი ინერტული მასის ინტენსიური აკუმულაცია ზღვისპირა თავთხელებში, დაბლობის დონის თანდათანობით აწევა და მდინარეთა ერთ-ზოული ბაზისის ამაღლება. დადგენილია, რომ დაახლოებით 4000-4500 წლის წინ შავი ზღვის დონე თანამედროვე დონესთან შედარებით 2-3 მეტრით უფრო მაღლა აწევდა. სწორედ ამ დროს დაწყებულა ე.წ. ახალშავზღვური ტერასის (დიუნას) წარმოქმნა, რომელიც კარგადაა გამოსახული მთელ შავზღვისპირეთში.

სწორედ ახალშავზღვური ტერასის წარმოქმნის წინ, როგორც დადასტურდა, ისპანის დასახლება ზღვის ნაპირას იყო გაშლილი. ზღვის დონის აწევის პარალელურად დაიწყო მდინარეთა შესართავების ტერიტორიების დაჭაობება და მოშლამვა. თანდათანობით ფორმდება ის ზღვისპირა ქედი (დიუნა), რომელზეც ახლა ქალაქი ქობულეთია გაშენებული, ჩაკეტა დაბლობის მდინარეთა (ოჩხამური, ხოლოქი, ნატანები და ა.შ.) შესართავები, მიმართულება შეუცვალა მათ და აიძულა ქედის მიღებნებით ედინათ. სწორედ ამ ეპოქაში, როგორც ჩანს, მდ. ოჩხამური მდ. ხოლოქის შენაკადი გამხდარა.

ისპანის დასახლების მცხოვრებლებმა, რომლებიც ჯარგვალის ტიპის სახლებში ცხოვრობდნენ, დაჭაობებისაგან თავის დაცვის მიზნით ხიმინჯებზე მდგარი სახლების აგება დაიწყეს, მაგრამ წყლის მოძალების გამო, ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდნენ მამაკაპეული სამოსახლო მიეტოვებინათ.

ამგვარად, ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარის ქვედა დონე ძვ.წ. IV და III ათასწლეულთა მიჯნის დროინდელი ძეგლია. მხოლოდ რამდენიმე საუკუნით გვიანდელი შეიძლება იყოს ამ ნამოსახლარის ზედა დონე (ძვ.წ. XXVI საუკუნე). ეს ახალშავზღვური ტრანსგრევების ხანაა,

რაც ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებამდე, ე.ი. ფანაგორიული რეგისიის დასაწყისამდე გაგრძელდა.

ისპანის ნამოსახლარის შესწავლისას მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზღვისპირა ზოლის აკუმულაციურ დაბლობებზე ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები განლაგებულია ახალშავზღვური ტერასის (დიუნის) უკან წარმოდგენილ ტორფნარებში (ისპანი-ქობულეთი, ფოთი, უკლევი, ანაკლია და ა.შ.), სადაც მათი კონსერვაციის საუკათესო პირობები არსებობდა.

გვიანბრინჯაო-ადრეზერჯინის ხანა

კოლხური ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთ გამორჩეულ კერას სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, კერძოდ ზღვისპირა ზოლი წარმოადგენდა. აქ გამოვლენილია ამ ეპოქის სამოსახლოები და სადგომები, საკულტო ადგილები და სამაროვნები, ლითონის განძები. მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან ერთად, ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად, პრიორიტეტულ დარგად ყალიბდება მეტალურგია. გარკვეულ წარმოდგენის ლითონის დამუშავების ტრადიციის არსებობის თაობაზე ვიქმნით ბრინჯაოს ბრწყინვალე ნაკეთობების, გამორჩეულად კოლხური ცულების, აღმოჩენის კვალობაზე. სრული საფუძველი გვაქვს ასევე ვამტკიცოთ, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი წარმოადგენდა უძველესი რკინის მეტალურგიის კერასაც (ი.გძელიშვილი, დ.ხახუჭავაშვილი, ნ.ხახუჭავაშვილი). რკინის გამოსაღნობი სახელოსნოები მიკვლეულია მდინარეების ჭოროხის, ჩაქისწყლისა და ხოლოქის ხეობებსა და გარსმომცველ ტერიტორიებზე.

საყურადღებო მონაცემებია მიღებული ე.წ. დიუნურ დასახლებათა არქეოლოგიური შესწავლის პროცესში. გაირკვა დიუნურ დასახლებათა აბსოლუტური ასაკი, გავრცელების არეალი და ხასიათი. გამყარდა მოსაზრება, რომ ზღვისპირა ზოლის რკინის საღნობი ქურა-სახელოსნოები ნედლეულად იყენებდნენ არა რკინის მაღანეს, არამედ მაგნეტიტურ ქვიშებს, რომელთა დამუშავება-ფლოტაცია სწორედ საქართველოს ზღვისპირა ზოლში შესწავლილ დიუნურ სადგომებზე ხდებოდა (ი.გძელიშვილი, დ.ხახუჭავაშვილი, ალ. რამიშვილი, გ. თავამაიშვილი).

ანტიკური ხანა

საქართველოში უკანასკნელ ათწლეულებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ თვალითალივ გვაჩვენა, რომ ანტიკური ხანის კოლხეთის მატერიალური თუ სულიერი კულტურის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანა სამხრეთ-დასავლეთ საქართველომ, ამ რეგიონის ზღვისპირა ზოლის, მთისწინეთისა და მთიანეთის მოსახლეობამ. არქეოლოგიურმა კვლევამ საფუძვლიანად შეავსო ჩვენი ცოდნა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: კოლხეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ბერძნულ სამყა-

როსთან, ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული ყოფა და კულტურა, უძველესი რწმენა-წარმოდგენები.

ქობულეთ-ფიჭვნარი. კოლხეთის ანტიკურ სამყაროსთან სავაჭრო-კონომიკური, პოლიტიკური ოუ კულტურული ურთიერთობების კვლევის პროცესში გამორჩეული ადგილი უკავია ფიჭვნარის ნაქალაქარს (ნ. ხოშგარია, რ. ფუთურიძე, დ. ხახუბაიშვილი, ა. ინაიშვილი, ალ. რამიშვილი, ა. კახიძე, ს. გოგიძიძე, ნ. ვაშაკიძე, ლ. ჩხაიძე, ა. ჯაველიძე, ირ. ჩავლეიშვილი და სხვ). არქეოლოგიური სამუშაოები ფიჭვნარში გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო, ხოლო 60-იანი წლებიდან სისტემატიკური ხასიათი მიიღო.

მდ. ჩოლოქისა და მდ. ოჩხამურის შესართავის მიდამოებში გამოვლენილ იქნა ადრერკინის ხანის დასახლებათა მთელი კომპლექსი, რომელთაც განსაკუთრებულ აყვავებას ადრეული ბერძნული კოლონიზაციის წინარე ხანაში მიაღწიეს, ხოლო შემდგომი განვითარება ანტიკურ სამყაროსთან კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში გააგრძელეს. ბერძნული და კოლხური ცივილიზაციების შეხვედრის ამ ჟუნქტში გაფორმდა მსხვილი, როგორც ჩანს, ქალაქური ტიპის დასახლება ცენტრალური სამოსახლოთი, რომელიც „ნამჭედურის“ სახელითაა ცხობილი. ანტიკურ ხანაში ეს ციხე-სამოსახლო თხრილით შემოისაზღვრა, რომელიც მდინარე ოჩხამურის კალაპოტს უერთდებოდა. თხრილი ერთის მხრივ თავდაცვით ფუნქციას ასრულებდა, ამავე დროს ფრიად საჭირო და მოსახერხებელი იყო წყლის ტრანსპორტით გადაადგილებისთვისაც. როგორც ჩანს, ნამჭედურის გორასამოსახლოს „ნამჭედურ II“-ის პერიოდში (ძვწ. VI საუკუნე) ადნიშნული ქალაქური ტიპის დასახლების საფორტიფიკაციო ფუნქცია პქონდა დაკისრებული.

საცხოვრებლად ადგილობრივი მოსახლეობა „ჯარგვალის“ ტიპის ხის სახლებს აგებდა, რომელიც მოგვიანებით ბათქაშით შელესილი ძელური ნაგებობებით შეიცვალა (ი. ჩავლეიშვილი). მეურნეობის დარგებიდან ადნიშნულ პერიოდში დაწინაურებული ჩანს მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეთევზეობა, მეტალურგია, მეთუნეობა, საფეიქრო საქმე და სხვ.

ისეთ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენაზე, როგორიც ბერძნული კოლონიზაცია, გამორჩეულად საინტერესო მასალას იძლევა ფიჭვნარის სამაროვნები (ა. კახიძე, ნ. ვაშაკიძე, ლ. ჩხაიძე). როგორც ირკვევა, ფიჭვნარის ტერიტორიაზე თავისი სამოსახლო და სამაროვანი პქონდა როგორც მკვიდრ მოსახლეობას, ასევე კოლონიზაციის ტალღაზე ჩამოსულ ბერძნულ ეთნიკურ ჯგუფს. ფიჭვნარში შესწავლის პროცესშია ძვწ. V საუკუნის აბორიგენი მოსახლეობისა და ძვწ. V-IV საუკუნეების ბერძენი მოახალშენების, ასევე ელინისტური პერიოდის სამარხები. ორი ეთნიკური ჯგუფის სამაროვნის არსებობა მეზობელ ტერიტორიაზე ფრიად საყურადღებო და საინტერესო მოვლენაა.

ფიჭვნარის სამაროვნის მასალა საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ანტიკურ პერიოდში გავრცელებულ დაკრალების წესია და რიტუალზე. სამაროვანზე ძირითადად ინცუმაციური სამარხებია წარმოდგენილი, მცირე რაოდენობით დასტურდება კრემაციული სამარხები და ამფორა-სამარხები. იშვიათად გვხვდება კო-

ლექტიური სამარხები. სამარხთა აბსოლუტური უმრავლესობა ინდივიდუალურია.

ანტიკური პერიოდის კოლექტის ზღვისპირა ზოლში, ისევე როგორც შიდა რაიონებში, გაღრმავდა საზოგადოების ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი. ეს რეალობა პარგად გამოჩნდა ფიჭვნარის სამაროვნების კვლევისას. აქ დაკრძალული არიან სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები. სამარხთა უმეტესობა ნაკლებად შეძლებული ან დარიბი მოსახლეობისაა. მოსახლეობის მეტ-ნაკლებად შეძლებული ნაწილი ხის კუბოებშია დაკრძალული თანხმლები მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარით, ნაკლებად შეძლებულთა სამარხები მხოლოდ ხის სახურავითაა გადახურული, ხოლო დარიბთა და სრულიად უპოვართა ნეშტები უბრალოდ გრუნტში ჩაჭრილი წაგრძელებული ფორმის ორმოებშია ჩასვენებული. ბერძენ მოახალშენეთა დაკრძალვის რიტუალისათვის დამახასიათებელი ჩანს აღაპის წესის შესრულება, რისი კვალიცაა სამარხების თავთან მიკვლეული ჩამსხვრეული ჭურჭლების, კალცირებული ძვლებისა და ხის ნახშირის შემცველი მოედნები. როგორც კოლხურ, ასევე ბერძნულ სამაროვანზე დასტურდება მიცვალებულისათვის მონეტის ჩაყოლების ტრადიცია. თუკი ფიჭვნარის ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით ვიმსჯელებთ, შეგვიძლია გთქვათ, რომ როგორც კოლხეთში ზოგადად, ასევე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც, საშინაო ბაზარს “კოლხური თეთრი” ემსახურებოდა.

სამარხეული ინვენტარის დამზადების ცენტრების პლევა გვიჩვენებს, რომ ადგილობრივ დასახლებას ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა როგორც კოლხეთის, ასევე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ბალკანეთის ცენტრებთან. როგორც მკვლევარები ვარაუდობენ ძვ.წ. V საუკუნეში ამ ურთიერთობაში წამყვან როლს ათენი ასრულებდა, ხოლო მოგვიანებით - სინოპე და პერაკლეა. სამარხეულ ინვენტარზე დაკვირვებით კეთდება დასკვნა, რომ ძვ.წ. IV-III საუკუნეებში ფიჭვნარში ადგილი ჰქონდა ეთნიკური ჯგუფების ასიმილაციის პროცესს, რადგან ელინისტურ ხანაში დაკრძალვის წესიცა და ინვენტარიც მიცვალებულთა ეთნიკური ნიშნით გამიჯვნის საშუალებას უკვე აღარ იძლევა.

ბათუმის ციხე. ფიჭვნარ-ჩოლოქში მიღებული მონაცემების ფონდს საგრძნობლად ავსებს ბათუმის ციხის (დ.ხახუბაიშვილი. ი.გძელიშვილი, ა.ინაიშვილი, ა.ქახიძე, ნ.ვაშაკიძე, ლ.ჩხაიძე და სხვები), პეტრაციხისძირის (ს.ჯანაშია, ნ.ბერძენიშვილი, ი.გძელიშვილი, დ.ხახუბაიშვილი, ა.ინაიშვილი, ა.ქახიძე, ნ.ვაშაკიძე, ლ.ჩხაიძე და სხვ.), გონიო-აფსაროსის (ოთ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, ი.გძელიშვილი, დ.ხახუბაიშვილი, ა.ინაიშვილი, ა.ქახიძე, ნ.ვაშაკიძე, ლ.ჩხაიძე და სხვ.) და ანტიკური ხანის სხვა ძეგლთა გათხრებისას მოპოვებული მასალები.

ბათუმის ციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ანტიკური პერიოდის მრავალფეროვანი კერამიკული მასალა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ კლასიკურ ხანაში ეს ურბანიზებული გორასამოსახლოც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ათენის ცენტრებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში. იმპორტულ კერამიკულ მასალაში წარმოდგენილია კერამიკული ტარა (ქიოსური, სამოსური, ლესბოსური, თაზოსური, სოლოხა I ტიპის, მენდეს, სინოპეს

ამფორები), სადაზოდიანი იონური კერამიკა და ატიკური შავლაკიანი კერამიკა. ადგილობრივ კერამიკულ ნაწარმში სჭარბობს კოლხური ქვევრები და დერგები. სხვა სახის მასალიდან უნდა გამოვყოთ რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული და საკულტო ხასიათის ნივთები.

ანტიკურ ხანაში ბათუმის ციხის სამოსახლოს უხდა ჰქონდა თავისი სასოფლო-სამეურნეო რაიონი, რომლის მოწმობადაც მიჩნეულია სოფ. განთიადის თანადროული სამოსახლო.

ციხისძირი. ანტიკური პერიოდის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს პეტრა-ციხისძირი. ციხისძირში 1964 წელს მიკვლეული იქნა ძველკოლხური ნამოსახლარი. ნამოსახლარის კულტურული ფენებიდან უკელაზე ადრეული, მეოთხე ფენა, შეიცავდა წინაანტიკური ხანის მასალებს, მესამე ფენაში კოლხურ კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა ძვ.წ. VI საუკუნის მეორე ნახევრისა და ძვ.წ. V საუკუნის იმპორტული კერამიკის ნიმუშები. საგარაუდოდ, ადრეანტიკურ ხანაში ციხისძირის გორაკ-ბორცვებზე საფორტიფიკაციო სისტემით შექრული კოლხური ნამოსახლარები იყო გამართული. მოგვიანებით, იქვე, ზღვისპირა ზოლში, ამ ნამოსახლარების თანადროული ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის სამაროვანი იქნა შესწავლილი. ანტიკური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე ჯერჯერობით შესწავლილია 313 სამარხი. სამარხების ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ დიდია (ძვ.წ. V ს – ა.წ. VI ს) და მოიცავს პერიოდს ადრეანტიკური ხანიდან ადრე შუა საუკუნეების ჩათვლით. გათხრების პროცესში აღმოჩენილია მდიდარი არქეოლოგიური მასალა: კერამიკული და მინის ნაწარმი, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის სამკაულები, ქვისა და მინის მძივები, იარაღები და მონეტები.

არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ ახალი წელთაღრიცხვის დამდეგიდან პეტრა-ციხისძირი ახალ ფუნქციას იძენს და ხდება კოლხეთის ზღვისპირა რეგიონის მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული, სავაჭრო-სამეურნეო და საეკლესიო ცენტრი.

გონიო-აფსაროსი. პეტრა-ციხისძირთან ერთად ა.წ. წ. II საუკუნის დასაწყისიდან ასევე მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრად ყალიბდება გონიო-აფსაროსი. ადრეანტიკური ხანის მასალა ჯერჯერობით ნაკლებადა გამოვლენილი, თუმცა უკანასკნელ წლებში გონიო-აფსაროსის ციხის გარეთ ანტიკური პერიოდის კოლხური სამარხებია მიკვლეული. შედარებით ინტენსიური ცხოვრების კვალი იკვეთება ელინისტურ პერიოდში. მაგრამ ყველაზე მრავალფეროვანი მასალა მაინც ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისს განეკუთვნება. რომაელების მმართველობის ეპოქაში აფსაროსი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა საფორტიფიკაციო ბაზებთან ერთად რომაელთა უმნიშვნელოვანები სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი ხდება. ამავე პერიოდში, სამხედრო შენაგრობების დასაბანაკებლად, აფსაროსში შენდება კასტელუმი თავისი სპეციფიკური ინფრასტრუქტურით. გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრე ზღვის პირას სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილასაა აგებული. სწორედ აქ გადიოდა ტრაპეზუნტიდან ფასის-სებასტოპოლისისაკენ მიმავალი გზა და მეორეს მხრივ, ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობებით სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოსთან და მცირე არმენიასთან დამაკავშირებელი გზები.

არქეოლოგიური სამუშაოების დაწყება გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე დაკავშირებულია 6. ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურ ექსპედიციასთან, რომელმაც განახორციელა სადაზვერვო და მცირე მასშტაბის საველე სამუშაოები როგორც ციხის შიგნით, ისე მის გარეთ. დადგინდა გონიო-აფსაროსის განვითარების ძირითადი ეტაპები, გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის ნაგებობათა ნაშთები და გაითხარა ოსმალური პერიოდის აბანოები, წყალგაყანილობის სისტემები და საკანალიზაციო არხები. ახალი ეტაპი გონიო-აფსაროსის კვლევის ისტორიაში იწყება 1995 წლიდან, როცა შეიქმნა გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი (დირექტორი შ.მამულაძე) და გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელები დ.ხახუტაიშვილი, ა.კახიძე).

აჭარისწყლის ხეობა. ანტიკურ ხანაში ინტენსიური ცხოვრების კვალი ჩანს აჭარისწყლის ხეობაში. კვაშტის ნამოსახლარი, რომელიც ტერასული ხასიათისაა, ძვ.წ. V საუკუნით თარიღდება (ა.კახიძე, შ.მამულაძე). მეცნიერობით, იგი წარმოადგენდა გამაგრებულ სათვალთვალო პუნქტს, რომელიც აკონტროლებდა აჭარისწყლის ხეობის მნიშვნელოვან მონაკვეთს. სავარაუდოდ, კვაშტის ნამოსახლარი ხანძრის შედეგად განადგურდა.

აჭარისწყლის ხეობის სხვა პუნქტებში ანტიკური ხანის მასალა გამოვლენილია ხიხაძირის, ფუშრუქაულის, ჭვანისა და კოლოტაურის ძეგლებზე.

ანტიკური ხანაში დასახლებული ჩანს ჩაქვისწყლის ხეობაც, რისი მოწმობაცაა ჩაქვის ჩაისუბანში (ადგილი ლომიჩამური) ძვ.წ. II-I საუკუნეებით დათარიღებული საიუველირო ნაკეთობების მიკლევის ფაქტი.

ადრე შუა საუკუნეები

ციხისძირი. ციხისძირი, სადაც აღმოჩენილია არქეოლოგიური ძეგლები გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანიდან გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების ძეგლია.

ამ მიდამოებში შემორჩენილი ციხე-სიმაგრის ნაგრევებისა და სხვა სიძველეებისადმი დიდი ხანია ცხოველ ინტერესს იჩენდნენ როგორც უცხოელი მეცნიერები და მოგზაურები, ასევე ქართული საზოგადოებაც. XIX ს. საგაზეთო პუბლიკაციებში გაჩნდა ცნობები ციხისძირში შემთხვევით აღმოჩენილი ძვირფასი ნივთებისა და ნუმიზმატიკური მასალის შესახებ. XX ს. პირველ ათწლეულში ციხისძირის სანაპირო ზოლში აგარაკების შექნებლობისას შემთხვევით აღმოჩნდა მრავალი ძველი საინტერესო ნივთი. კერძოდ, ბრინჯაოს მელითონეთა განძები, ნაციხარის მიდამოებში მოაგარაკების მიერ ნაპოვნი რომაული დამდიანი აგური, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთების კოლექცია, რომელიც 1907 წლიდან ერმიტაჟში ინახება. ციხისძირის მიდამოებთან დაკავშირებულია მრავალი შემთხვევითი ნუმიზმატიკური აღმოჩენაც. მათ შორისაა ბერძნული, რომაული, პართული, სასანური, ბიზანტიური, არაბული და ოსმალური მონეტები. ამ ნივთებიდან ზოგმა დაიდო ბინა სხვადასხვა მუზეუმსა თუ კოლექციებში, ზოგიც უკვა-

ლოდ დაიკარგა. ამის გამო აუცილებელი ჩანდა გეგმაზომიერი არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება, მაგრამ ამ საქმეს საფუძველი მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში ჩაეყარა.

1962-1965 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებული ექსპედიცია აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს ციხისძირის ციხის ტერიტორიაზე. გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ციხე-სიმაგრის ნაშთები განლაგებული იყო ორ ბორცვზე. მძლავრი კედლითა და კოშკებით შემოსაზღვრული შიდაციხე კარგად გააზრებულ საფორტიფიკაციო სისტემას შეადგენდა. შიდაციხის ტერიტორიაზე შესწავლილია სხვადასხვა პერიოდის და ხასიათის ნაგებობა, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენამდე საკმაოდ დაზიანებული სახითაა მოღწეული.

ციხის კედლების მშენებლობაში ორი სამშენებლო პერიოდი გამოიყვა: ადრე შუა საუკუნეებისა და ოსმალების დროინდები. შიდაციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გათხარა ადრე შუა საუკუნეების კარიბჭე, რომლის თაღი აგურებით იყო ამოფანილი, ხოლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან აღჭურვილი იყო კონტრფორსებით. აღმოსავლეთის მხრიდან კარიბჭეს ჩრდილოეთი კედლის წყობაში აღმოჩნდა დარიანი კრამიტებით შესრულებული ბოლოებაფართოებული ჯვრის გამოსახულება, რომელიც ოსმალებს კირით გადაულესავთ და დაუფარავთ. ჩრდილოეთ ბორცვზე განლაგებული საფორტიფიკაციო ნაგებობები ორმაგი კედლითაა დაკავშირებული სამხრეთ-დასავლეთ ბორცვზე არსებულ კოშკთან. ორმაგი კედლიდან დასავლეთით მდგარე კედელი შედარებით მაღალია და იგი ძირითად კედელს წარმოადგენს, რომლის წინ აღმართულია დამცავი კედელი ანუ პროტეინზა. იგი ძირითადი კედლისკენ მიმართული მხრიდან აღჭურვილია სწორკუთხა კონტრფორსებით, რომლებიც თაღებითაა გადახურული. ძირითადი კედლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა კარიბჭე, რომელსაც დასავლეთის მხრიდან დამცავი სწორკუთხა კოშკი აქვს. ორმაგი კედელი რომ პროკოპის დროინდელია, ამაზე მეტყველებს მათ წყობაში დადასტურებული აგურის სარტყლები და ამ უბანზე აღმოჩენილი მხოლოდ ადრეული ხანის არქეოლოგიური მასალები.

მოგზაურთა და მკვლევართა ურადღებას ადრიდანვე იქცევდა შიდაციხის ცენტრში შემორჩენილი ნაგებობის ნაშთები. გათხრების შედეგად წარმოჩნდა მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესია ნახევარწრიული აბსიდით. იგი ოსმალთა მფლობელობის პერიოდში გადაკეთებული იყო სამეურნეო სათავსოდ. ეკლესია გადახურული იყო კამარით, აბსიდი კი – კონქით. ნაგებობას შესასვლელი ჰქონდა დასავლეთიდანაც და სამხრეთიდანაც. ეს აღგილი გვიან ამოუქოლავთ. ეკლესია ნაგებია დაუმუშავებელი ქვებით და კირხსნარითაა განმტკიცებული. საყდრის გაწმენდისას გამოვლენილი ფრესკების ფრაგმენტები მიგვანიშნებს მისი შემსრულებელი ხელოვანის მაღალ ოსტატობაზე. ეკლესია, არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით, თარიღდება X-XIV საუკუნით. იგი აუგიათ სამნავიანი ბაზილიკის დანგრევის შემდეგ.

სამნავიან ბაზილიკას აქვს წაგრძელებული პროპორციები, ხუთწახნაგა აბსიდი, სამნაწილიანი ნართექსი. შიდა საყრდენებიდან გადარჩენილია რამდენიმე ბოძის საძირკველი. ჩანს, თითო რიგში ხუთ-ხუთი

ბოძი იყო განლაგებული. ბაზილიკა ნაგებია დაუმუშავებელი ქვებითა და დუღაბით. აბსიდი გარედან მოპირკეთებულია თანაბარი ზომის თლილი ქვებით. სავარაუდოა, რომ ბაზილიკა გადახურული იყო ნის კოჭებისა და ნივნივებისაგან შედგენილი კონსტრუქციით. ციხისძირის სამხავიან ბაზილიკას უველა მკვლევარი VI ს. ათარიღებს და თვლის, რომ ეს იყო პეტრას საკათედრო ტაძარი. მათი აზრით, ამით აიხსნება მისი სიდიდე, რითაც იგი გამოიჩინა დასავლეთ საქართველოს თანადროული ბაზილიკებისგან.

სამხავიანი ბაზილიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით გაითხარა აბანო, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიმართული წაგრძელებული სწორკუთხედის მოყანილობის ნაგებობაა და შედგება ანფილადურად განლაგებული ხუთი განყოფილებისგან: ესენია – გასახდელ-მოსაცდელი, ცივი, თბილი, ცხელი წყლის განყოფილებები და საქვაბე.

ბაზილიკა და აბანო ერთიან არქიტექტურულ ანსამბლს ქმნის. აბანოს გაუქმების შემდეგ, მის ტერიტორიაზე მარანი იყო გამართული.

ბაზილიკისა და აბანოს თანადროულია შიდაციხის სამხრეთ-და-სავლეთ ნაწილში გამოვლენილი, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართული 25 მ სიგრძისა და 5 მ სიგანის ნაგებობა, რომელიც ორი განივი ტიხარით გამიჯნულია სამ ნაწილად. კედლები, რომელთა სისქე 1 მ-ია, შიგნიდან კირსხნარითაა შელესილი. აღნიშნული ნაგებობა სურსათის შესანახი სამეურნეო ხარო იყო.

შიდაციხეზე 1962-63 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე გვიანდელი ფენა XVIII-XIX სს. განებუთვნება და დაკავშირებულია აქ თსმალური გარნიზონის დგომასთან. თსმალთა დროინდელია ჩრდილოეთ ბორცვზე შემორჩენილი ციხის კედლების უმეტესი ნაწილი. დარბაზული ეკლესია, გადაკეთებული სახით, თსმალთა მიერ გამოყენებული იყო სამეურნეო დანიშნულების ნაგებობად. გვიანდელ ფენაში აღმოჩნდა თოფისა და ზარბაზის ჭურვები, აგურისა და კრამიტის ფრაგმენტები, ფაიფურისა და მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები, ჩიბუხები.

მეორე ფენა შუაფეოდალურ ხანას (X-XIV სს.) განეკუთვნება და დანარჩენ ფენებთან შედარებით, სუსტად არის წარმოდგენილი. ამ პერიოდისაა დარბაზული ეკლესია და მის ჩრდილოეთით გამოვლენილი სამეურნეო სათავსის კედლის ნაშთები, აგრეთვე აბანოს ტერიტორიაზე აღმოჩნდილია დუღაბში ჩასმული ქვევრების, დერგების და მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები, მინის სამაჯურის ნატეხი, ვერცხლის თასის ნაწილები, ქვის ემბაზი. საყურადღებო მონაპოვარს წარმოადგენს წმინდა გიორგის გამოსახულებიანი ტყვიის შეკიდული ბეჭედი, რომელიც ეკუთვნოდა ვინმე გიორგი მაკეტის. იკონოგრაფიული და პალეოგრაფიული ნიშნებით ბეჭედი X-XI სს თარიღდება.

ნაგებობების კედლების ყველაზე ძველი ფენა VI საუკუნისაა. ამ ხანას განეკუთვნება ციხის კედლების აღრებული ფენა, სამხავიანი ბაზილიკა, სამეურნეო სათავსო და არქეოლოგიური მასალები: წელშეზნექილი და ტანდალაკიანი თეფშების, ღოქების, ქოთნების და სამშენებლო კერამიკის (აგური, კრამიტი) ფრაგმენტები. ამ პერიოდის მინა

წარმოდგენილია ქუსლიანი სასმისებით, ჭრაქებით და სარკმლის მინის ნატეხებით.

1966 წელს ციხის ჩრდილოეთით, ზღვისპირა დაბლობში, სუბტროპიკულ მცენარეთა სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა და ნაწილობრივ გაითხარა ეკლესიის ნაშთები. ნაეკლესიარის გათხრების დროს აღმოჩნდა ქვის კაპიტელის, ქვის კუნძებით აწყობილი იატაკის მოზაიკის, მარმარილოს დეტალების ფრაგმენტები, ჯვრისგამოსახულებიანი ქვა. არქეოლოგიური მასალებიდან აღსანიშნავია სასარკმლე მინის, მინის ქუსლიანი სასმისების და ჭრაქების ნატეხები, ამფორების, წითელლაკიანი თეფშების და სამშენებლო კერამიკის ფრაგმენტები. ამ აღმოჩენების საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ პეტრას ნაქალაქარი მდებარეობდა ციხის ჩრდილოეთით, ზღვის სანაპირო ზოლში და ვრცელდებოდა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე.

1983-88 წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ნ.ინაიშვილი, ნ.ვაშაკიძე, ლ.ჩხაიძე, ს.გოგიძიძე) ბობოფვათის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე განახორციელა არქეოლოგიური სამუშაოები, სადაც გამოვლინდა ხუროთმოძღვრული ძეგლები: ახ.წ. IV საუკუნით დათარიდგებული ორი აბანო, ადრებიზანტიური ხანის ვილა და ვრცელი სამაროვანი. ციხისძირის აკროპოლისის აბანოს მსგავსად, ახლადგამოვლენილი აბანოებიც ანფილადურია და შედგება გასახდელ-მოსაცდელის, ციფი, თბილი და ცხელი წყლის განყოფილებებისაგან. მათგან ერთი საზოგადოებრივი დანიშნულებისაა, მეორე, შედარებით პატარა - კერძო. ადრებიზანტიური ხანის ვილა შედგება საცხოვრებელი ნაგებობების, შიდა ეზოს, აბანოსა და მარნისაგან. სამაროვნის ტერიტორიაზე გაითხარა აღრე შუა საუკუნეების ხანის სამარხები. მოპოვებულია აგრეთვე, საინტერესო ნუმიზმატიკური კოლექცია, რომელიც შეიცავს პართულ, რომაულ, ბიზანტიურ, არაბულ და ოსმალურ მონეტებს.

2001 წელს არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 1966 წელს გამოვლენილი ნაეკლესიარის ტერიტორიაზე. გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ძეგლი მრავალფენიანია. აქ, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, სამი სხვადასხვა ეკლესია იდგა. თავდაპირველად აუგიათ პატარა დარბაზული ეკლესია მეორე სამშენებლო პერიოდს განეკუთვნება. შედარებით მოზრდილი დარბაზული ეკლესია, რომელსაც აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი მინაშენები, ხოლო დასავლეთით აღჭურვილია კარიბჭით. შემდგომ ეტაპზე დარბაზული ეკლესია კიდევ უფრო გააფართოვეს ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი მინაშენების ხარჯზე. ამ მინაშენების საზღვრებში მოექცა ის სამარხები, რომლებიც დარბაზული ეკლესიის ფუნქციონირების პერიოდში იყო გამართული. ეკლესის ტერიტორიაზე 11 ორმოსამარხი გაითხარა. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია და ამდენად, უინგენტარო. მხოლოდ ორ სამარხში აღმოჩნდა მშვიდდესაკინძი, რომელიც სამოსის ატრიბუტს შეადგენს. გაითხარა ერთი ამფორა-სამარხიც, რომელშიც ჩვილი ბავშვი იყო დაკრძალული. ხსენებული ნაეკლესიარი და სამარხები ახ.წ. VI-VII სს-ით თარიღდება. იგი ციხისძირის ტერიტორიაზე აღმოჩენილი რიგით მეოთხე ეკლესიაა. ასეთი ადრეული ხანის საეკლესიო ნაგებობები აჭარის ტერიტორიაზე, ჯერჯერობით, მხოლოდ ციხისძირშია გამოვლენილი, რაც კიდევ ერთხელ აღასტურებს

წერილობითი წყაროებით კარგად ცნობილ ფაქტს, რომ პეტრა-ციხისძირი ისტორიული ლაზიების ერთ-ერთ საეპისკოპოსო ცენტრს წარმოადგენდა. წერილობით წყაროებში მექქვე საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის იხსენიება პეტრელი პისკოპოსი ოთანე.

წერილობითი წყაროების მონაცემებთან ერთად, არქეოლოგიური აღმოჩენებიც ადასტურებს იმას, რომ ციხისძირი, დროის გარკვეულ მონაკვეთში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტსა და ციხე-ქალაქს წარმოადგნდა.

განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეები

აჭარისწყლის ხეობა. განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დაწინაურების პერიოდია. ქვეყნის დაწინაურებას თან მოჰყვა მისი ცალკეული მხარეების აღმავლობაც. აჭარისწყლის ხეობისათვის ეს აყვავების პერიოდია, რაზეც მეტყველებს აქ შემორჩენილი მიწისზედა მატერიალური კულტურის ძეგლების სიმრავლე, რომელთა მიმართ მოგზაურთა და მკვლევართა ინტერესი უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება (დ. ბაქრაძე, გ. უაზბეგი, პ. უგაროვა, თ. სახოკია, ზ. ჭიჭინაძე და სხვ). 1988 წელს პ. უგაროვამ იმოგზაურა აჭარა-შავშეთში და მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა აგარაში (ვანაძეები).

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა დაიწყო აჭარისწყლის ხეობის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა. არქეოლოგიური ექსპედიციების (ხელმძღვანელი – შ. მამულაძე) შედეგად გამოვლენილი და შესწავლილი იქნა აჭარისწყლის ხეობის ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები: ჭვანის (ტაკიძეების), კავიანის, ციხისყელის, ხიხანის, დარჩიძეების (გოგოლაურის) ციხე, ვარდციხის ნაციხეარები და თხილვანას, ვერნების, ხიხანის, კალოთას, საციხეურის (ჯვართნის), სხალთის, ვანაძეების (აგარის) ეკლესიები და სამაროვნები. გამოვლენილი იქნა შესანიშნავი მასალები შუა საუკუნეების თითქმის ყველა პერიოდის ისტორიის ისეთი საუკუნედებო საკითხების შესწავლისათვის, როგორიცაა მეურნეობა, მშენებლობის ხელოვნება, რელიგია, სავაჭრო და კულტურული კავშირები. დადასტურდა, რომ საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, აჭარისწყლის ხეობაც შუა საუკუნეებში დაფარული იყო საფორტიფიკაციო სისტემების ფართო ქსელით. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნამ, ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ სამხრეთ საქართველოსთან მეზობლობამ განაპირობა მხარის ეკონომიკურ-კულტურული განვითარება, რაც გამოიხატა გზების, თაღიანი ხიდების, ეკლესია-მონასტრების, ციხე-კოშებისა და სარწყავი არხების მშენებლობაში.

კინტრიშის ხეობა. მდინარე კინტრიშის ხეობის ძეგლებს შორის ხინოწმინდის ეკლესია გამორჩეულია იმით, რომ საუკუნეების მანძილზე აქ იჯდა ეპისკოპოსი „მწყემსი ხინოწმინდის სახეოთისა ჭოროხამდე“. ხინოს ეპისკოპოსები ხინოწმინდელებად იწოდებოდნენ. ხინოწმინდის ეპარქიის ჩამოყალიბება მას შემდეგ უნდა მომხდარიყო, რაც

კონსტანტინებოლის დაქვემდებარებაში მყოფმა ლაზიკის ცენტრებმა, მათ შორის პეტრას საეპისკოპოსომ არსებობა შეწყვიტა. პეტრას კათედრა, რომელიც ციხისძირში ივარაუდება, ადგილობრივი საეკლესიო დამოუკიდებლობის განმტკიცების პირობებში გადადის ხინოში, რაც სიმოხ ჯანაშიას აზრით, „სათანადო პოლიტიკური გეოგრაფიის კანონზომიერი გამოხატულება იყო“. ეს პროცესი IX-X სს-ში დაიწყო.

ხინოწმინდის არქეოლოგიური შესწავლა განხორციელდა 1989-1990 წლებში (გ.თავაშაიშვილი). გათხრითი სამუშაოები ჩატარდა ეკლესიის შიგნით და გალავნით შემოსაზღვრული ეზოს ტერიტორიაზე. გათხრების შედეგად გამოვლინდა მოზრდილი დარბაზული ეკლესიის ნაშთები, რომელსაც სამხრეთის მხრიდან მინაშენი ეკვროდა. ხინოწმინდის ეკლესიის არქიტექტურა შედარებით გვიანი ხანის ბაზილიკების ნიშნებს ავლენს. გრძივი ღერძის დამოკლების, ცენტრულობისაგან სწრაფვის ტენდენცია, ბოძების „თავისუფალი“ განლაგების პრინციპი, მშენებლობის ტექნიკა და ქვის წყობის ხასიათი ხინოწმინდის ეკლესიას VIII-IX სს-ის ქართული არქიტექტურის ნიმუშებთან აახლოებს. ეკლესიის ეზოს გარკვეული ნაწილი სამაროვანს, ნაწილი კი მარანს ეთმობა. ხინოწმინდის არქეოლოგიურ მონაცვარში წარმოდგენილია როგორც X-XI საუკუნეების, ასევე მოგვიანო პერიოდის სადა და უკითლად, ცისფრად, მწვანედ მოჭიქული კერამიკისა და ფაიფურის ფრაგმენტები, სადიაკვნეში და სამკვეთლოში ნაპოვნია რკინის ჯვრები და სპილენძის ასტამი. ასევე ნაპოვნია ვერცხლის ჯვრები. გათხრების დროს აღმოჩნდა აგრეთვე ვერცხლის სადა სპილენძის მონეტები, რომლებიც XVIII-XIX საუკუნეების თურქულ ნომინალებს წარმოადგენენ და, მეტწილად, ეკლესიის არსებობის უბანასენელ პერიოდს უკავშირდებიან. ხინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრამ არსებობა XVIII ს-ის მეორე ნახევარში, ოსმალთა მოძალების გამო შეწყვიტა.

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევა

მონუმენტური კედლის მხატვრობა (სხალთის ფრესკები). სხალთის ტაძარი ქართული ხელოვნების საგანძურში ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია. შუა საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურისა და კედლის მხატვრობის ეს შესანიშნავი ნიმუში ერთადერთია ისტორიული აჭარის მიწა-წყალზე. მის მოვლა-პატრონობას და კვლევას, ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიაში კუთვნილი აღგილის მიხენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს დიდი წვლილი მიუძღვის სხალთის ფრესკების გადარჩენისა და მისი ხელოვნებათმცოდნეობითი კუთხით კვლევის საქმეში (მჭიჭილეიშვილი). რესტავრაციის შედეგად „ხელმეორედ აღმოჩნილი“ სხალთის ფრესკები ქართული ხელოვნების საგანძუროს მნიშვნელოვანი შენაძენია. იგი იძლევა მეტად მდიდარ მასალას შუა საუკუნეების მონუმენტური კედლის მხატვრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის პალეოლითოსთა ეპოქის ქართული ფერწერის განვითარების შესახებ.

ხუროთმოძღვრება. განვითარებული შუასაუკუნეების აჭარაში სალოცავების ძირითად ნაწილს ერთნავიანი, დარბაზული ეკლესიები შეადგენდნენ. საფორტიფიკაციო და საინჟინრო ნაგებობებისაგან გან-

სხვავებით აჭარაში საკულტო შენობების დიდი ნაწილი განადგურებულია. შუასაუკუნეების ეკლესიების უმეტესობა არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის გამოვლენილი. დარბაზული ტიპის ეკლესიები აჭარისწყლის ხეობაში ინტენსიურად X-XIII საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა. აღნიშნული ფაქტი განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდში მაღალმთიანი აჭარის დაწინაურებასა და აქტიურ კულტურულ ცხოვრებაზე მეტყველებს. ეს ბუნებრივია, რადგან ისტორიული პირობები, საქართველოს ერთ-ერთ ძლიერ კუთხესთან – ტაო-კლარჯეთთან მეზობლობა და მჭიდრო ურთიერთობები ხელს უწყობდა ამ პატარა რეგიონის აყვავებას და მის ჩართვას აქტიურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ პროცესებში. თუმცა კუთხის ასეთი დაწინაურება არ გამოიხატა მასშტაბური ტაძრებისა თუ მონასტრების მშენებლობაში. მთიან აჭარაში აქცენტი ძირითადად მცირე სალოცავებზე კეთდება, რაშიც მთის რეგიონებისათვის დამახასიათებელი ტენდენცია ჩანს.

ამდენად, ჩვენს ხელთ არსებული ფაქტობრივი მასალა ამტკიცებს, რომ განვითარებული შუასაუკუნეების აჭარაში დარბაზული ეკლესიები სავალესიო არქიტექტურის ძირითად ტიპს წარმოადგენდა. სალოცავების მხატვრულ-სტილისტური გადაწყვეტის ხასიათი და კონსტრუქციული თავისებურებები ქართული არქიტექტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპის ნიშნებს ავლენს და, უპირატესად, გუმბათოვანი არქიტექტურის მხატვრულ პრინციპებს ეფუძნება (მ. ჭიჭილეიშვილი).

რელიეფები. ხელოვნებათმცოდნეობითი კუთხით შესწავლილია ასევე შუა საუკუნეების რელიეფური ქანდაკების ნიმუშები (კალოთის, ხინოწმინდის, ჩეხედანას რელიეფები). აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული კალოთის ეკლესიის რელიეფი ოსტატისა და ჯვრის გამოსახულებით მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე X ს-ის II ნახევრით თარიღდება. ხინოწმინდის ეკლესიის გათხრების დროს სამხრეთ კედელთან, ნაგრევებში აღმოჩნდა რელიეფური გამოსახულება - მამაკაცის სკულპტურული თავი. მსგავსი ნიმუში ეკლესიის ტერიტორიაზე შემთხვევით იყო ნაპოვნი XX ს-ის 60-იან წლებში. გამოიქმულია ვარაუდი, რომ ეს სკულპტურები სამხრეთის ფასადის შესამკობად იყო გამოყენებული. მხატვრულ-სტილისტური თავისებურებებით ისინი X-XI სს-ის მიჯნის ქართული რელიეფური ქანდაკების ძეგლებს უახლოვდება. ჩეხედანას რელიეფური ფილა წმ. გიორგის გამოსახულებით XVII ს-ის ქართული რელიეფური ქანდაკების ნიმუშია (მ. ჭიჭილეიშვილი).

ასეთია ზოგადად ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-პლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის განყოფილების წვლილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის, კვლევისა და საზოგადოდ კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის, დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში.

Нино Инаишвили

Отдел археологии и истории искусства

Р е з ю м е

Археологическое исследование Юго-Западной Грузии было начато ещё при Эквтиме Такаишвили, и, в дальнейшем, в 50-ых г.г. XX в. оно было продолжено Институтом истории, археологии и этнографии им. Иване Джавахишвили АН Грузии (Нино Хоштария). С 1960 года, после основания Батумского НИИ им. Н. Бердзенишвили АН Грузии (1958 г.), началось основательное археологическое исследование Юго-Западной Грузии. Объектами исследования стали древние стойбища и жилища, городища, развалины крепостей и церквей, мастерские разных типов и периодов, комплексы, связанные с добычей сырья (т.н. дюнныне поселения), могильники, клады литейщиков и др.

На выявление археологических памятников и их исследование трудилась большая группа исследователей разных поколений – Экв. Такаишвили, С. Джанашия, Нико Бердзенишвили, Нино Бердзенишвили, Н. Хоштария, А. Апакидзе, И. Гдзелишвили, О. Лордкипанидзе, Т. Микеладзе, А. Инаишвили, О. Джапаридзе, Д. Хахутаишвили, А. Каходзе. А. Рамишвили, С. Гогитидзе, Н. Вашакидзе, Л. Чхайдзе, Н. Инаишвили, Н. Хахутаишвили, И. Чавлеишвили, Г. Тавамаишвили, И. Иашвили, А. Джавелидзе.

Результаты археологических исследований отражены в монографиях и статьях вышеупомянутых исследователей, часть которых опубликована в сборниках - «Археологические памятники Юго-Западной Грузии». Благодаря отмеченным публикациям археологические находки Аджарии оказались в международном научном обращении.

Археологическое исследование Юго-Западной Грузии обогатило источниковедческую базу истории не только Грузии, но, в общем, и Кавказа, и Причерноморья, и Ближнего Востока.

Найденные в результате археологических открытий предметы хранятся в Государственном музее Аджарии и Батумском археологическом музее. Они неоднократно экспонировались на международных выставках. Отдел археологии и истории искусства также внес свою важную лепту в исследовании образцов древнегрузинского искусства Юго-Западной Грузии.

Nino Inaishvili

Department of Archeology and Art History

S u m m a r y

Archeological research of the South-West Georgia was initiated by Ekvtime Takaishvili and was carried on in 50s of the 20th century by Javakhishvili Institute of History, Archeology and Ethnography (Nino Khoshtaria). Since 1960, after establishment of Batumi N. Berdzenishvili Scientific-Research Institute of the

Georgian Academy of Sciences (1958) the comprehensive archaeological study of the South-West Georgia has been launched. Ancient settlements and sites of cities, fortresses and churches, workshops of different periods and types, sites related to raw material production (the so-called Dune settlements), cemeteries, bronze hoards, etc. have become the objects of the archaeological research.

A large group of researchers of different generations strived for the discovery and research of the archaeological sites (Ek. Takaishvili, S. Janashia, Niko Berdzenishvili, Nino Berdzenishvili, N. Khoshtaria, A. Apakidze, I. Gdzelishvili, O. Lordkipanidze, T. Mikeladze, A. Inaishvili, O. Japaridze, D. Khakhutaishvili, A. Kakhidze, A. Ramishvili, S. Gogitidze, N. Vashakidze, L. Chkhaidze, N. Inaishvili, N. Khakhutaishvili, I. Chavleishvili, G. Tavamaishvili, I. Iashvili, A. Javelidze). The results of the archaeological studies are given in the monographs and articles of the aforementioned researchers, part of which is published in the collections "Archeological Sites of the South-West Georgia." Due to these publications archaeological finds of Ajara entered the international academic circulation. The archaeological research of the South-West Georgia conducted by the Department of Archaeology and Art History of Batumi Berdzenishvili Research Institute has enriched the historical source database in the study of not only the history of Georgia but the Caucasus, the Black Sea region and Near East. The archaeological finds are preserved in the Khariton Akhvlediani Ajara State Museum and Batumi Archeological Museum. They have been exhibited at a number of international exhibitions. The Department of Archaeology and Art History has also made its valuable contribution in the study of the medieval art history of South-West Georgia.

მიხეილ ქამადაძე

ფოლკლორისა და ლინგვისტიკის განყოფილების ნახევარსაუკუნოვანი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები

1983 წელს გამოქვეყნდა ზ. თანდილავას „ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1958–1982 წლები) ანგარიში“ (იხ. „აჭარული დიალექტის დარგობრივი დექსიკა“, IV, თბ., 1983, გვ.74–110). 1986 წელს კი გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების 25-წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული “ქართველოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი კერა”, რომელშიც შესულია ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გამსვლელი გაფართოებული სხდომისა და გაერთიანებული სამეცნიერო სესიის მასალები, მათ შორის – მოსსენებები: “დიალექტოლოგიური კვლევა ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში” (შ. ძიძიგური) და “ფოლკლორული საქმიანობა ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში” (შ. ჩიქოვანი, ჯ. ბარდაველიძე). ამ სტატიებში შეჯამებულია 25 წლის მანძილზე ჩატარებული ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური კვლევა ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

მოცემული სტატია ფაქტიურად წარმოადგენს ზემოთ აღნიშნულ კრებულებში გამოქვეყნებული მასალების შევსებულ ვარიანტს და მოიცავს ფოლკლორისა და ლინგვისტიკის განყოფილების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 50 წლის შედეგებს.

ფოლკლორის განყოფილება ინსტიტუტის დაარსებისთანავე (1958) ჩამოყალიბდა. ასეთი სამეცნიერო განყოფილების შექმნა, პირველ ყოვლისა, ნაკარნახევი იყო აჭარის მდიდარი და მრავალფეროვანი ზეპირსიტყვიერების მეცნიერული შესწავლით. ამასთან, სხვა გარემოებანიც იყო გათვალისწინებული, კერძოდ, ამჟამინდელი აჭარა საქართველოს მირგველი კუთხება, აქ თავს იყრის კოლეური და იბერიული კულტურები, ზანური ფეხა, ტაო-კლარჯული და მესხურ-ჯავახური ტრადიციები, თავს იჩენს, აგრეთვე, ბერძნული და სხვა უცხოური ელემენტები. ყოველივე ეს სისტემურ მეცნიერულ კვლევას მოითხოვდა.

აღნიშნული პრობლემები ფოლკლორის განყოფილებას რთული და საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე აყენებდა. პირველ ეტაპზე საჭირო იყო ზეპირსიტყვიერი შემოქმედებით დაინტერესებული და პერსპექტიული კადრების შერჩევა-მომზადება, ასევე აუცილებელი იყო სამეცნიერო-კვლევითი ოქმატიკის შერჩევა-დამუშავება.

ფოლკლორის განყოფილებას 1958-1966 წლებში სათავეში ედგა გამონენილი მკვლევარი ჯ. ნოღაიძე ლი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აჭარის ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის, აჭარული კილოს შესწავლის საქმეში.

ინსტიტუტის დაარსებიდან ფოლკლორის განყოფილების მეცნიერულ პრობლემას ხელმძღვანელობდა პროფესორი მ. ჩიქოვანი. მისი უშუალო მონაწილეობით 1958 წელს შემუშავდა განყოფილების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერსპექტიული გეგმა. დაიწყო მუშაობა თემაზე “აჭარის ზეპირსიტყვიერების უანრები”. მ. ჩიქოვანის ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა აჭარაში ფოლკლორული კვლევა-ძიება და სათანადო სამეცნიერო კადრების მომზადება.

აჭარაში ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების ფართოდ გაშლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის აწ განსვენებულ ცნობილ მკვლევარს ა. ინაიშვილს, რომელიც დაარსებიდან გარდაცვალებამდე (1977 წ.) სათავეში ედგა ინსტიტუტს. ა. ინაიშვილი სისტემატიურად მონაწილეობდა ფოლკლორულ ექსპედიციებში. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მუსიკალური ფოლკლორის მასალის შეკრება-დამუშავების საქმეში. მკვლევარს გამოთქმული აქვს საყურადღებო მოსაზრებები ზეპირსიტყვიერებისა და მუსიკალური ფოლკლორის საკითხებზე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერებისა და აჭარული კილოს მეცნიერულ შესწავლას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აწ განსვენებული გამოჩენილი მეცნიერი დ. ხახუტაშვილი, რომელიც 1978-1999 წლებში იყო ინსტიტუტის დირექტორი. მისი უშუალო დახმარებით მოწყობით არაერთი ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური სამეცნიერო ექსპედიცია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეში. დ. ხახუტაშვილის ხელშეწყობით გამოიცა განყოფილებაში მომზადებული ნაშრომები, რომლებშიც შესწავლილია ქართული ფოლკლორისა და აჭარული კილოს დარგობრივი ლექსიკის აქტუალური საკითხები.

ფოლკლორის განყოფილება იმთავითვე შეუდგა საველე-შემკრებლობით მუშაობას. სხვადასხვა დროს ექსპედიციებში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, თბილისის, სოხუმის, თელავისა და ბათუმის სხვა სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და მუზეუმების მეცნიერი თანამშრომლები, ლექტორ-მასწავლებლები, ასპირანტები და სტუდენტები, აჭარის სოფლებში მომუშავე მასწავლებლები და კულტურის მუშაკები.

განყოფილებას მუდამ პქონდა და აქვს მჭიდრო მეცნიერული კონტაქტები ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებთან, განსაკუთრებით – შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტოთან და არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტთან. განყოფილებას მუდამ გვერდში ედგნენ და საქმიან მეცნიერულ დახმარებას უწევდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები: ქ. ლომთათიძე, შ. ძიძიგური, გრ. ჩხითაძე, ი. მეგრელიძე, ალ. დლონტი, გ. მაცაბერიძე, ჯ. ბარდაველიძე და სხვ.

საერთოდ, აჭარის ზეპირსიტყვიერების მასალების შეკრება-შესწავლას თითქმის ერთნახევარი საუკუნის ისტორია აქვს. აჭარაში პირველი ფოლკლორული ჩანაწერი (“სოლოდას ლექსი”) 1859 წლით თარიღდება. ამ საქმის პიონერი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქართული კულტურის დიდი მოამაგე პეტრე უმიკაშვილი.

XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან, განსაკუთრებით აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ, ამ მხარის წარსულისა და აწყვეტილი მიმართ ინტერესი გაიზარდა. ქართველი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები დიდ ყურადღებას უთმობდნენ საუკუნეთა განმავლობაში უცხო სოციალურ-პოლიტიკურ გარემოცვაში მყოფ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კუთხებს, მათ შორის – აჭარას. ფოლკლორული მასალების შეკრება მათ მიაჩნდათ დიდ ეროვნულ საქმედ. ამ მხრივ ფასდაუდებელია პ. უმიკაშვილის, ზ. ჭიჭინაძის, გ. წერეთლის, გრ. გურიელის, ნ. მარის, ი. ყიფშიძის, აპ. წულაძის, თ. სახოკიას, ი. ჯაიანის, ი. ნათაძის, დ. წერეთლის და სხვა ქართველ მოღვაწთა წვლილი. მათი ჩანაწერები (ლექს-სიმღერები, ზღაპრები, ლეგენდა-თქმულებები, გადმოცემები, ანდაზები...) სათანადო კომენტარებით ქვეყნდებოდა იმდროინდელ პრესაში (“დროება”, “ივერია”, “ჯეჯილი”, “კვალი” და სხვ). იმ დროისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ზ. ჭიჭინაძის მიერ ცალკე კრებულად გამოცემული “ლექსები თქმული ხუსეინ ხაბაზ - ქამურაძისა” (თბ., 1900).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში ზეპირსიტყვიერების მასალების შეკრება-შესწავლის საქმეში ახალი ეტაპი დაიწყო. ამ მიმართულებით აჭარაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აჭარის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო ბიურო (შემდგომში აჭარის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), რომელმაც გასული საუკუნის 30-იან წლებში შემოიკრიბა სათანადო სპეციალისტები აჭარის ეთნოგრაფიის, ზეპირსიტყვიერი შემოქმედებისა და აჭარული კილოს შესასწავლად. დაიწყო შემქრებლობითი მუშაობა და მასალების გამოქვეყნება. მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო ბიუროს ინიციატივით 1932 წელს გამოიცა მ. ხებუას ნაშრომი “ზემო აჭარის ენობრივი მიმოხილვა”, რომელსაც ერთვის ავტორის მიერ 1922–1926 წლებში ზემო აჭარაში ჩაწერილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშებიც. 1935 წელს გამოქვეყნდა ჯ. ნოღაიდელის “ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფაცხოვრებიდან”, ხოლო 1936 წელს – “აჭარა დიალექტოლოგიურად”, რომელსაც ერთვის ფოლკლორული ტექსტებიც. 1936 წელს გამოიცა ჯ. ნოღაიდელის “აჭარის ხალხური სიტყვიერება” – წიგნი პირველი, ხოლო 1940 წელს – წიგნი მეორე.

აჭარაში ხალხური სიტყვიერების მასალების შეკრება-კუბლიკაციის საქმეში გარკვეული მუშაობა ჩატარდა გასული საუკუნის 50-იან წლებში. 1956 წელს გამოქვეყნდა შ. ძიძიგურის “ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ”, ხოლო 1957 წელს – შ. ნიუარაძის “ზემოაჭარულის თავისებურებანი,” რომლებსაც ერთვის ზემო აჭარაში ჩაწერილი ფოლკლორული ტექსტები.

საბჭოთა პერიოდის ხალხური პოეზიის ნიმუშები ძირითადად წარმოდგენილია 1956 წელს გამოქვეყნებულ კრებულში “აჭარის ხალხური მთქმელები”. 1959 წელს გამოიცა ნაზი ნოღაიდელის მიერ შედგენილი კრებული “აჭარის ზეპირსიტყვიერება”.

ასეთია მოკლედ აჭარაში ჩატარებული ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებამდე.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებისა და აქ ფოლკლორის განყოფილების ჩამოყალიბების დღიდან აჭარის ხალხური სიტყვიერების შესწავლას ორგანიზებული, სისტემური ხასიათი მიეცა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განვლილი 50 წლის მანძილზე ინსტიტუტში აღზრდილმა ფოლკლორისტებმა დამსახურებლად მოიპოვეს მეცნიერული ავტორიტეტი როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, ისე ფართო საზოგადოებაში.

1958–1959 წლებში ფოლკლორის განყოფილებაში მუშაობა დაიწყეს: ჯ. ნოღაიდელმა, ჯ. ჩხეიძემ, ა. მსხალაძემ, ნ. ცქიტიშვილმა, ა. ახვლე-დიანმა, ზ. თანდილავამ. სწორედ მათი მონაწილეობით ფართოდ გაიშალა საველე-შემკრებლობითი მუშაობა. აჭარის რაიონებში ეწყობოდა სამეცნიერო ექსპედიციები. ზეპირსიტყვიერი და მუსიკალური ფოლკლორის მასალები იკრიბებოდა, აგრეთვე, ინდივიდუალური მივლინებების დროს. შემდგომში ანალოგიური მუშაობა ტარდებოდა საქართველოს სხვა რეგიონებშიც (გურია, იმერეთი, სამეგრელო, რაჭა-ლუმისმი, სვანეთი, აფხაზეთი, მესხეთ-ჯავახეთი, ქართლი და სხვ.). ამგარმა მუშაობამ დღის წესრიგში დააყენა მეცნიერული თემატიკის გაფართოების საკითხი და 1976 წლიდან განყოფილება მუშაობს თემაზე “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება”.

შემკრებლობითი მუშაობის პროცესში ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების თანამშრომლები ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ ფოლკლორულ ტექსტებს ენათმეცნიერული დირებულებაც აქვს. აქედან გამომდინარე, ზეპირსიტყვიერი მასალების ჩაწერისას მთქმელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებების დაცვა ფოლკლორისტთა მუშაობის ერთ-ერთ ძირითად და პრინციპულ ამოცანას წარმოადგენდა. ამდენად, განყოფილების ხელნაწერ ფოლკლორულ არქივში დაცული მასალა დიალექტოლოგიურადაც სახდოა. იკრიბებოდა, აგრეთვე, ონომასტიკური მასალაც.

ქართული ენის კილოური განშტოება - აჭარული დიალექტი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ქართულ დიალექტოლოგიაში. მისი დრმა და საფუძვლიანი შესწავლა ფრიად ფასეულია ქართული ენის ისტორიის კვლევა-ძიებისათვის. აჭარული მეტყველება ერთადერთი მსხვილი კოლოური ერთეულია, რომელიც “ცოცხალი მოწმეა” ქართული ენის სამხრელი დიალექტური ჯგუფის ისტორიული ვითარებისა, მესხეთის მეტყველების სტრუქტურის მაჩვენებელი, მესხეთი კი ერთ დროს ქართული კულტურის ავანგარდს წარმოადგენდა.

აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნების შემდეგ აჭარულმა კილომ ძირები ცვლილებები განიცადა. განახლებული და აღორძინებული აჭარის კულტურულმა ცხოვრებამ ქართული სალიტერატურო ენის გავრცელებას არნახული ასპარეზი გადაუშალა. თანდათან დავიწყებას ეძლევა საუკუნეთა წიაღში შემუშავებული სიტყვები და გამოთქმები, ისინი შეცვალა ახალი ყოფის ამსახველმა ლექსიკამ, იცვლება დიალექტის გრამატიკული სტრუქტურა, მკვიდრდება ლიტერატურული ფორმები. ქრება რა აჭარული მეტყველების არქაული ლექსიკური ერთეულები, ბუნებრივია, საშურია მათი აღნუსხვა და მეცნიერული სისტემატიზაცია. აჭარული კილოს შესწავლამ უნდა ასახოს გარდასული გრამატიკული თუ ლექსიკური ფორმები, ასევე უნდა გამოავლინოს ის ენობრივი ცვლოლებანი, რომლებიც განაპირობა ახალმა ცხოვრებამ.

საერთოდ, აჭარულ კილოსთან დაკავშირებით ჩანაწერები (ლექსიკური ერთეულები, ტოპონიმები, ანთროპონიმები...) გვხვდება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოგზაურ-მკვლევართა (გ. ყაზბეგი, დ. ბაქრაძე, ზ. ჭიჭინაძე, თ. სახოკია...) შრომებში. ხოლო აჭარულის მეცნიერული შესწავლა მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო. ამ პერიოდიდან მოყოლებული, გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი ნაშრომები, კერძოდ: მ. ხუბუას „ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვა”, ბათუმი, 1932; ჯ. ნოღაიძეს „აჭარა დიალექტოლოგიურად”, ბათუმი, 1936; - „აჭარული კილოს თავისებურებანი”, ბათუმი, 1960; შ. ნიუარაძის „ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ”, ბათუმი, 1961; - „ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა”, ბათუმი, 1971; - „აჭარული დიალექტი, ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა”, ბათუმი, 1974.

ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით საყურადღებოა ი. სიხარულიძის გამოკვლევები: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა”, წიგნი I, ბათუმი, 1958; წიგნი II, ბათუმი, 1959.

აჭარული კილოს დამახასიათებელი არაერთი ლექსიკური ერთეულია წარმოჩენილი და გაანალიზებული ეთნოგრაფიული ხასიათის შრომებში. ამ მხრივ ფასეულია ვ. შამილაძის, ნ. ჯახიძის, თ. ფუტკარაძის, ნ. მგელაძის, ვლ. მგელაძის, ალ. დავითაძის, ი. სამსონიას, თ. ტუნაძის, ჯ. ვარშალომიძის, ნ. ჩელებაძის, ჯ. მიქელაძის, რ. უზუნაძის, თ. ლომთათიძის და სხვათა ნაშრომები.

აჭარული დიალექტის მეცნიერული შესწავლისა და საერთოდ, ქართული დიალექტოლოგიის დარგში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს, ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასა და შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის (შემდგომში უნივერსიტეტის) ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას. გამოქვეყნებულია არაერთი მონოგრაფია და მასალათა კრებული. ჩატარებული დიდი მუშაობის მიუხედავად, აჭარული კილოს გრამატიკული თავისებურებანი და ლექსიკური ფონდი ჯერ კიდევ იქცევს მკვლევართა დიდ უურადღებას.

აჭარული დიალექტის მეცნიერულ შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვს ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტს. აქ მომუშავე ფოლკლორისტები იმთავითვე აქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას აჭარული მეტყველების თავისებურებებს, მათ მიერ ჩაწერილი ფოლკლორული ტექსტები აჭარულის შესწავლის საუკეთესო დიალექტურ მასალას წარმოადგენს. აჭარული კილოს სისტემური შესწავლის მიზნით 1969 წელს ფოლკლორის განყოფილებაში შეიქმნა დიალექტოლოგიური უჯრედი, რომელმაც აკად. შ. ძიძიგურის ხელმძღვანელობით მუშაობა დაიწყო თემაზე “აჭარული დიალექტის დარღობრივი ლექსიკა”. ამან განაპირობა განყოფილების შემდგომი სახელწოდებაც: 1976 წლიდან იგი იწოდება ფოლკლორისა და დიალექტოლოგის განყოფილებად, 2006 წლიდან კი-ფოლკლორისა და ლინგვისტიკის განყოფილებად.

განყოფილების არსებობის მანილზე ჩატარდა სამ ათეულზე მეტი ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური ექსპედიცია, რომელიც მიზნად ისახავდა ზეპირსიტყვიერი ტექსტების, მუსიკალური ფოლკლორისა და დიალექტური მასალების შეკრებას. ამგვარი მუშაობის შედეგად შეიქმნა ინსტიტუტის ფოლკლორულ და დიალექტოლოგიურ ხელნაწერთა ფონდები, რომელთა მეცნიერული დირექტულება ფასდაუდებელია ქართული ზეპირსიტყვიერი შემოქმედების, მუსიკალური ფოლკლორისა და დიალექტოლოგიური კვლევა-მიებისათვის.

ტექსტების სისტემური შეკრებისა და მათი კვლევის საფუძველზე ფოლკლორის დარგში შესწავლილია აჭარისა და ზოგადად ქართული ზეპირსიტყვიერების, ასევე მუსიკალური ფოლკლორის რიგი ქანრები და პრობლემები: შრომის პოეზია, საწესხვეულებო სიტყვიერება, საყოფიერო პოეზია, ლაზური ზეპირსიტყვიერების ძირითადი ქანრები, ხალხური ეპოსის საკითხები, ხალხური ლირიკული ლექსი, შაირი და გაშაირების ტრადიციები, ანდაზა, ელეგიური ლექსი, ფოლკლორულ-ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები, ხალხური მთქმელები, მათი რეპერტუარი და პოეტური ტრადიციები, ზღაპრულ-მითოლოგიური პერსონაჟები, ხალხური დრამის საკითხები, თანამედროვე ხალხური პოეზია, ქართული ხალხური კალენდარული საწესხვეულებო პოეზია, წყლის კულტი ქართულ ფოლკლორში, ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო, მაგიური პოეზია, აჭარის სამონადირეო ეპოსი, მითოლოგის საკითხები და სხვ.

დასახელებული ქანრების, თემატური საკითხებისა და რიგი პრობლემების მონოგრაფიულ შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით: ღოც. ჯ.ნოღაიდელს (1958–1966), ფილოლ. მეცნ. დოქტ. ზ. თანდილავას (1959–1996), ფილოლ.მეცნ. კანდიდატებს: ჯ. ჩხეიძეს (1958–1961), ნ. ცეიზი-შვილს (1959–1972), ა. მსხალაძეს (1958–1972), ა. ახვლედიანს (1959–1972), მ. ბერიძეს (1966–1968), ჯ. ჯაყელს (1972–1995), ე. დავითაძეს (1972–1976), ხ. თავდგირიძეს (2006 წლიდან), მ. გიორგაძეს (1983–2006), ნ. მიქელაძეს (2000–2006), მ. ფარტეგაძეს, ფილოლ. მეცნ. დოქტ. თ. შიოშვილს (1985 წლიდან); მეცნიერ-თანამშრომლებს - ე. ზოიძეს (1960 წლიდან), მ. ჯლარკავას (2000–2006), გ. მახარაშვილს (2006 წლიდან) (ფრჩხილებში ნაჩვენებია

ჩამოთვლილ პირთა მუშაობის პერიოდი ბათუმის სამუნიცილო-კვლევით ინსტიტუტში).

ფოლკლორისტიკაში მომზადდა ათი მეცნიერების კანდიდატი, ორი მეცნიერებათა დოქტორი (ზ. თანდილავა, თ. შოთვილი). დღემდე გამოქვეყნებულია 300-მდე ნაშრომი, მათ შორის – 20 მონოგრაფია. გამოცემულია თორმეტი თემატიკური კრებული (“სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება”), ქართული ხალხური ზღაპრების ერთი კრებული, აჭარის ხალხური პოეზია, I, ანდაზები და გამოცანები.

განყოფილებაში 2004-2006 წლებში ხალხური პედაგოგიკის საკითხებზე მუშაობდა პროფ. ი. ბიბილევიშვილი.

2003-2006 წლებში განყოფილებაში შექმნილი იყო აგრეთვე ქართული ლიტერატურის აქტუალური საკითხების შემსწავლელი ჯგუფი (მუშაობდნენ: ფილოლ. მეტნ. დოქტ. შ. ზოიძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომლები – მ. გიორგაძე და ნ. მიქელოძე) და თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის შემსწავლელი ჯგუფი (მუშაობდნენ: პროფ. შ. ფუტკარაძე, მეცნიერი თანამშრომლები - ელზა და იამზე ფუტკარაძეები, სტაჟიორი ტ. ნაკაიძე).

განყოფილების თანამშრომელთა მონიგრაფიულ გამოკვლევებსა და ცალკეულ სტატიებში ნაჩვენებია ზეპირპოეტური შემოქმედებისა და მუსიკალური ფოლკლორის ეროვნული ტრადიციები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ვრცლადა დახასიათებული ისტორიული მოვლენები და იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებანი, მხარის მკვიდრთა კულტურული ყოფა და სამეურნეო-საოჯახო ტრადიციები, წესჩერებულებანი, რელიგიურ-მითოლოგიური შეხედულებანი და ყოფა-ცხოვრების სხვა ასპექტები, რაც უშეალოდ აისახებოდა ხალხურ ლიტერატურაში.

დადგენილია, რომ აჭარისა და, საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერებაში ფოლკლორული შემოქმედების ყველა უანრია წარმოდგენილი მრავალფეროვანი თემატიკით და მოტივებით. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შრომის პოეზიას. გვაქვს როგორც უშეალოდ შრომის პროცესში წარმოქმნილი, ისე მასთან დაკავშირებული სასიმღერო ტექსტები: სამიწათმოქმედო, საფეიქრო, სავენახო, მემთევრობის, წველის, ხელხვავისა და მძიმე ტვირთის გადატანა-გადაზიდვის ლექს-სიმღერები.

აჭარაში გავრცელებული შრომის სიმღერები ძირითადად კოლექტიური, ანუ ნადური შრომის სიმღერებია. ასეთებია: სამიწათმოქმედო-ყანური, საფეიქრო, სავენახო, ხელხვავისა და მძიმე ტვირთის გადატანის სიმღერები. ზოგიერთი სიმღერა (საფეიქრო – “ხერტლის ნადი”..., სავენახო – ”ჩადმა ჩაყრილო ვენახო”... ხელხვავის) თითქმის მივიწყებული ჩანს, ხოლო მძიმე ტვირთის კოლექტიური გადატანის სიმღერა “ელესა”, რომლის სიტყვიერი ტექსტი ძირითადად შეძახილებისაგან შედგება და ხალხური მუსიკალური კულტურის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშს წარმოადგენს, სრულდებოდა აგრეთვე ყანური (ნადური) შრომის დასასრულს.

საქმაოდ უხვი პოეტური მასალა მოგვეპოვება სამიწათმოქმედო-ყანური (თოხნა, თესვა...) შრომის პროცესებთან დაკავშირებით. ამ სახის ლექს-სიმღერების მთელი ციკლი გვაქვს (“დიელო”, “ყარანაი”, “რაშა”, “ყანური”, “მოვიდოდა მშვიდობაო”, “ქალი ვიყავ აზნაური”, “შავი შაშვი ჩიოდაო”, “ელია თუ მელიაო”, “ჩიორ-ჩიტი”, “ცელაზურავ”, “დორჯო ირემს გაჰკიდია”, “მთას ხოხობი აფრენილა”, “შარშანდელსა ნაყანევსა”, “ვად თუ დილით კურდდელმაო”, “ქალო შავო, შავითაო”, “ალგის ხეი მოხეთქილა” და სხვ.). საყურადღებოა, რომ შრომის პროცესებთან დაკავშირებულ უკელა სასიმღერო ტექსტს თავისი მუსიკალური მელოდია გააჩნია, რომლებიც სამ და ოთხ ხმაზე იმდევრება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს განყოფილების მუსიკალურ ფოლკლორში ჩატარებული მუშაობა. 1958-1966 წლებში 15-მდე სპეციალური ექსპედიცია მიეძღვნა მუსიკალური ფოლკლორის მასალების შეკრებას. საგულისხმოა, რომ აჭარაში გავრცელებული ნადური (ყანური) სიმღერები ქართული მუსიკალური კულტურის იმ უძველეს საფეხურებს განეკუთვნება, რომლებიც სათავეს იღებენ ხელოვნების თავდაპირველ სინკრეტიზმში. აქაური სიმღერების უმეტესობა ოთხხმიანია, ისინი ქართული მუსიკის უმნიშვნელოვანებს მონაკოვარსა და მსოფლიოს ხალხთა მუსიკალური კულტურის უნიკალურ ნიმუშებს წარმოადგენენ.

ზოგადქართული ხალხური მრავალხმიანობის პრინციპსა და მისი განვითარებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებაზეა დამყარებული ყანური (ნადური) სიმღერების მთელი ციკლი, რომელიც უკელაზე უკეთ ქობულების რაიონშია შემონახული. ხაზგასმითა აღსანიშნავი, რომ ამ სიმღერების გამოვლენასა და მეცნიერული შესწავლის საქმეში პრიორიტეტი ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ეკუთვნის. ჯ. ნოღაიდელს ოთხხმიანობა შენიშნული პქნედა ჯერ კიდევ XX საუკუნის ოცდაათიან წლებში. მისი ცნობის საფუძველზე ივჯავახიშვილმა კაპიტალურ ნაშრომში (“ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები”, თბ., 1938) საგანგიბოდ აღნიშნა ამ თავისებური მოვლენის არსებობა. შემდეგში ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა აღნიშნულ პრობლემას (ა. ინაიშვილი, ჯ. ნოღაიდელი, გრ. ჩხიგაძე, “აჭარული მუსიკალური ფოლკლორის მასალები”. ბათუმი, 1961).

შრომის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მემთევრობა-მესაქონლეობის ლექს-სიმღერებს. ამ ციკლის ლექსების შესწავლას სპეციალური ყურადღება დაეთმო. გამოვლენილი და ჩაწერილია არაერთი ნიმუში ვარიანტებითურთ. საერთოდ, მემთევრობა აღპურ მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომითი საქმიანობაა, მისი ამსახველი პოეტური ნიმუშები, როგორც სასიმღერო ტექსტები, ხაკლებად გვხვდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წევლის სიმღერა, რომელსაც გააჩნია მუსიკალური მელოდია და შესაბამისი ტექსტი. იგი ინდივიდუალური სიმღერაა. მას ასრულებს ქალი ძროხის წველისას. ამ სიმღერის ფუნქცია ურჩი ძროხის მოთვინიერებაა. მწველავმა ტრადიციულად

იცის, რომ სათანადო სიმღერა საქონელზე კეთილ გავლენას ახდენს, ათვინიურებს. ეს გარემოება მწველავს საშუალებას აძლევს წინააღმდეგობის გარეშე მოწველოს ძროხა. წველის სიმღერის მუსიკალური და სიტყვიური ტექსტები მტკიცედ დადგენილი არ არის. ადგილი აქვს როგორც სიტყვიურ, ისე მუსიკალურ იმპროფიზაციას. მიუხედავად ამისა, შეკრებილი ვარიანტები, როგორც მუსიკალური, ისე ტექსტობრივი თვალსაზრისით, მაინც ძლიერ ახლოს დგას ერთმანეთთან.

წველის სიმღერის მელოდია მეტად მარტივია, არც სიტყვიურ ტექსტებს აქვს მაღალმხასატვრულობის პრეტენზია. მისი გავრცელების არე ძირითადად ზემო აჭარაა. წველის სიმღერა საკმაოდ ტრადიციული ჩანს, იგი საინტერესოა მუსიკალური თვალსაზრისითაც.

თვალსაჩინო შედეგებია მოპოვებული საწესჩვეულებო სიტყვიურების შესწავლაში. გვაქვს როგორც კალენდარული, ისე საოჯახო საწესჩვეულებლო პოეზია, რომლებიც მჭიდრო კავშირს გვიჩვენებენ წარმართულ, ქრისტიანულ და მუსლიმანურ რწმენა-შეხედულებებთან. ადსანიშნავია, რომ ისლამის რელიგიური ფანაგიზმის მიუხედავად, წარმართული რწმენა-წარმოდგენები, შესაბამისი რიტუალები და სიტყვიური ტექსტები აჭარის ზეპირსიტყვიერებაში ჯერ კიდევ გარკვეულ ადგილს ინარჩუნებენ. უფრო მეტიც, წარმართული წეს-ჩვეულებანი და რიტუალები ხშირ შემთხვევაში ჩრდილავენ ქრისტიანულ და ისლამურ რიტუალურ ჩვეულებებს.

ზოგიერთი კალენდარული ჩვეულების შესახებ (“ახალ მთვარესთან შეხვედრა”, “რწყილის გადალოცვა”, “ლაზარია”...) მაგიური ტექსტები და შესრულების შესაბამისი წესები აჭარაში ბოლო დორმდე იყო შემონახული. განსაკუთრებით – “ლაზარია”, “ლაზარობა”. ხანგრძლივი გვალვის ან განუწყვეტელი ნალექის გამო შეწუხებული მორწმუნე შეურნე ჭირნახულისათვის საჭირო ამინდის დაგომის მიზნით ევედრებოდა ტაროსის დვთაებას. სხალთისა და მარითის ხეობების მკვიდრნი ხანგრძლივი გაგალვის პერიოდში ამ წეს-ჩვეულებას ხშირად მაღალ მთაზე ეწ. “ქვაკაცების” მახლობლად ასრულებდნენ.

კალენდარულ წეს-ჩვეულებათა ციკლში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს “შუამთობას”. ეს ხალხური დღესასწაულიც ძირითადად ზემო აჭარისთვისაა დამახასიათებელი. იგი ყოველწლიურად (ზაფხულში – ივლისის ბოლოსა და აგვისტოს დასაწყისში) საზაფხულო საძოვრების ტერიტორიაზე (იაილებზე) ტარდება. წარსულში ამ ხალხურ დღესასწაულს საკულტო დანიშნულება უნდა პქონოდა და ქალთა დღესასწაულად იყო მიჩნეული. შემდგომში “შუამთობამ” თანდათან დაკარგა ადრინდელი ფუნქცია, უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო და ბოლოს შრომისა და დასვენების დღესასწაულად იქცა. მასთან დაკავშირებულია ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ლექსები, საკულტო დრამის სახეები, ხალხური თამაშობანი და სხვ.

საოჯახო საწესჩვეულებო პოეზიაში გვაქვს ლექს-სიმღერების სამი ძირითადი ციკლი: საქორწილო, საძეობო და სამგლოვიარო. მათ შორის პოეტური და მუსიკალური ნიმუშების სიუხვით გამოირჩევა საქორწილო

ლექს-სიმღერები, რომლებიც თემატიკურად სატრფიალო, საყოფაცხოვ-რებო და სხვა ჟანრის ლექს-სიმღერებს წარმოადგენენ. ამ ციკლის ნიმუშებს ხშირ შემთხვევაში დაკარგული აქვთ თავიანთი ადრინდელი ჟანრობრივი სახე და საქორწილო რეპერტუარში დამკვიდრებულია. ასეთებია: მაყრული, სუფრული, საპატარძლოსთან გამოსამშვიდობებელი ლექს-სიმღერები და სხვ. გვაქვს ისეთი ლექსებიც, რომლებიც უშუალოდ საქორწილო წეს-ჩვეულებებს უკავშირდება და მოცემულია სასიძო-საპატარძლოს ქება, დახასიათებულია მაყრები, დედამთილ-ახლობლები და სხვ.

აჭარის საისტორიო სიტყვიერება, რომელიც საქმაოდ კოლორიტულია, ძირითადად შესწავლილია. მასში ასახულია სხვადასხვა ისტორიული მოვლენა, კერძოდ: სოციალური უთანასწორობა და კლასთა ბრძოლა, თავისუფლებისათვის მებრძოლ სახალხო გმირთა ცხოვრება, ფირალობა, თურქთა ბატონობის დროინდელი ცხოვრება, ისლამის რელიგიური დოგ-მები, რუსეთ-თურქეთის ომები, მუჭაჯირობა, რევოლუციური მოძრაობა, ბრძოლა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, რევოლუციამ-დელი თუ რევოლუციის შემდეგდროინდელი ცხოვრების სხვა ასპექტები.

აჭარის ხალხური პოეზია მდიდარია ლირიკული ლექსით. მასში გამოიყოფა მთელი რიგი ჟანრები: საყოფაცხოვრებო და ფილოსოფიური ლირიკის, სატრფიალო, პატრიოტული, სათავგადასავლო ლექსები და სხვ. ამ სახის ლექს-სიმღერების თემატიკა მრავალფეროვანია, კერძოდ: ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება, ქალ-ვაჟის ურთიერთობა, სოციალური ურთიერთობანი, ანტაგონიზმი და საზოგადოებრივი ყოფის სხვა მხარეები; გადმოცემულია ხალხური ფილოსოფიური შეხედულებანი, პატრიოტული გრძნობები, განცდები, მიზნები და მისწრაფებანი; სატირულ-იუმორისტულ ფორმებში ნაჩვენებია ცხოვრების ავ-კარგი.

მდიდარი ზეპირპოეტური მასალების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ საყოფაცხოვრებო, სატრფიალო და ფილოსოფიურ ლექს-სიმღერებთან თემატიკად ახლოს დგას ქების, ელეგიური ლექსის, გაბაასება-გაშაირების ტექსტები, რომლებსაც აჭარის ხალხურ პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ.

განვლილ პერიოდში შესწავლილია აჭარის ხალხური პოეზიის მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც: მთქმელთა და ავტორმთქმელთა რეპერტუარი, ქალ მთქმელთა რეპერტუარის თავისებურებანი, მელექსეობისა და პოეტური გაშაირება-პაექტობის ტრადიციები, ხალხური ლექსოწყობის საკითხები და სხვ. მრ. ასევე შესწავლილია ანდაზებთან, გამოცანებსა და მაგიურ პოეზიასთან დაკავშირებული საკითხები.

ქართულ ფოლკლორისტიკაში წყლის კულტს არაერთი მკვლევარი შეეხო. გამოქვეყნებულია ცალკეული სტატიები, სხვა პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით ნაშრომებში გვხვდება კომენტარები და ა.შ. მაგრამ ქართულ ფოლკლორულ შემოქმედებაში ასახული წყლის კულტის პრობლემა მონოგრაფიულად ფილოლ. მეცნ. დოქტ. ზ. თანდილაგამ შეისწავლა. მონოგრაფიაში (წყლის კულტი ქართულ ფოლკლორში. ბათუმი,

1996) განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: წყლის მაგიური ძალისადმი რწმენის ამსახველი მოტივები, წყლის ნაყოფიერების ფუნქცია, წყლის სტიქის განმასახიერებელ მითოლოგიურ პერსონაჟთა ზოგიერთი ღვთაებრივი სახე და წყლის კულტის კვალი ამირანის თქმულებაში.

ბოლო პერიოდში ყურადღება მიექცა ზნეობრივი საკითხების ასახვას ქართულ ფოლკლორში. ამ პრობლემას მიეძვნა ფილოლ. მეცნ. დოქტ. პროფ. თ. შიოშვილის ორგომიანი მონოგრაფია (ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო, წიგნი I, ბათუმი, 2002; წიგნი II, ბათუმი, 2004), რომელშიც შესწავლილია სიკეთისა და ბოროტების პრობლემა, სიკვდილ-სიცოცხლის ღირებულება, პუმანიზმის იდეები, სტუმარმასპინძლობის ტრადიცია, პატრიოტიზმი, სასულიერო ფოლკლორის ზნეობრივ-აღმზრდელობითი იდეალები და სხვ. ავტორი ზნეობრივ პრობლემატიკას განიხილავს ქრისტიანულ მორალთან მიმართებით. თ. შიოშვილმა გამოსცა აგრეთვე სამი ფოლკლორული კრებული: ქართული ხალხური შედოვები, ბათუმი, 1994; ვინც ამას ვერ გამოიცნობს (ქართული ხალხური გამოცანები), ბათუმი, 1996; პირი ხისკენ მიქნია (ქართული ხალხური წევალა), თბ., 2006.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ქართული მითოლოგიის სხვადასხვა საკითხის შესწავლაში. მკვლევარ ხ. თავდგირიძის მონოგრაფიაში „მითოლოგიური გადმოცემები აჭარაში“ (ბათუმი, 2001) განხილულია წერაქვეთას მითი. წარმოჩენილია ლუქმანის თქმულებათა ქართული ვერსიები, ხოლო მის მეორე მონოგრაფიაში “აჭარული სამონადირეო მითოსი” (ბათუმი, 2004) შესწავლილია ისეთი საკითხები, როგორიცაა: უძველესი რწმენა-წარმოდგენები და ტრადიციები სამონადირეო მითოსში, მონადირის საიდუმლო ენა, ნადირთდვთაებათა პანთეონი (კლდის ქალღმერთი, ტყის „ნადირთა მეფე“, კლდის ბერი, ნადირთმწყემსი ოჩოპინტრე); თქმულებათა ციკლი დელი დემურჩისა და ავჯი მემედზე; დვთაებრივ ფრინველზე ნადირობის ციკლი; მგლისგან გატაცებული ბავშვის მითოლოგმა; სამონადირეო მითიური ძაღლის ყურშას ორული – შავი შაშვი. ავტორის მიერ შესწავლილია, აგრეთვე ქართულ-აღმოსავლური ფოლკლორულ-მითოლოგიური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი; აღმოსავლური დემონოლოგიური პერსონაჟის – ფერიას თქმულებათა ქართული ვერსიები; ქართული მითოსის ხთონური სამყარო და ა. შ.

საყურადღებო მიღწევებია ფოლკლორულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევა-ძიების საქმეშიც. შესწავლილია ალ-ყაზბეგის, მ. ლერმონტოვის, რ. მარგარინის, ნ. მალაზონიას, ფრ. ხალვაშის, პ. რურუას, მ. ვარშანიძისა და სხვათა პოეტური შემოქმედების ფოლკლორული წყაროები. კვლევის შედეგები გვიჩვენებენ, რომ თანამედროვე ქართული მწერლობა უხვად იყენებს ხალხური სიბრძნის – ხალხური პოეზიისა და პროზის ნიმუშებს. ქართული ზეპირპოეტური შემოქმედება სამწერლობო ლიტერატურაშიც განაგრძობს სიცოცხლეს და ამდიდრებს მას.

განვლილ პერიოდში შესწავლილია აგრეთვე საბჭოური პერიოდის ზეპირსიტყვიერი შემოქმედება, რომელიც ძირითადად პოეზიის სახით

არის წარმოდგენილი. საგულისხმოა, რომ თანამედროვე ქართული ხალხური პოეზიის აჭარაში შექმნილ ნიმუშებში შეინიშნება ტრადიციული სიუჟეტური ტექსტების ახლებური გაფორმებისა და ახალი ვარიანტების შექმნის ტენდენცია, რაც ფოლკლორული შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ტრადიციული და სპეციფიკური ნიშანია. ადრინდელ ეპოქებში შექმნილი ტექსტების ახლებური გადამუშავება, მასში ახალი აზრის შეტანა ქმნის ეპოქისათვის ნიშანდობლივ პლასტებს და ასე გადაეცემა ფოლკლორული ნაწარმოები მომდევნო თაობებს.

დიდი შრომაა გაწეული ხალხური პროზის მასალების შეკრება-შესწავლის საქმეში. შეკრებილი მასალების კლასიფიკაცია გვიჩვენებს, რომ აჭარაში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, გვხვდება ხალხური პროზის შემდეგი ძირითადი ჟანრები: ზღაპარი, ლეგენდა, თქმულება. მათ შორის ზღაპარი ყველაზე გავრცელებული ჟანრია და დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მკიდრადაა დაცული ზღაპრის ოქმის ტრადიცია. აჭარაში იყვნენ და დღესაც არიან ზღაპრული სიუჟეტების საუკეთესო მცოდნენი, რომელთა რეპერტუარი ზოგჯერ “ამოუწურავია”. ასეთი პირები, მომღერალ-მოშაირების მსგავსად, დიდი პატივით სარგებლობენ. მათი რეპერტუარი ზამთრის გრძელი დამებისა და შეკრებების პერიოდში გართობის საშუალებას წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ წარსულში ზღაპრის მცოდნებს, ზღაპრის “თხრობის ოსტატებს”, სოფლიდან სოფელში იწვევდნენ.

პრაქტიკულთან ერთად ზღაპარს აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს, რაც ხალხურმა მთქმელებმა კარგად იცოდნენ და ზღაპარში ხაზ-გასმით მიუთითებდნენ სათანადო მომენტებზე. ამასთან ყველა ზღაპარი დიდაქტიკური შევორნებით მთავრდება.

დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვს აგრეთვე ლეგენდებსა და თქმულებებს, რომლებიც უხვად გვხვდება აჭარის ზეპირსიტყვიერებაში. დასტურდება როგორც ბიბლიური (ქვეყნის გაჩენის, ადამიანის წარმოშობის, წარდგნის...), ისე ღმერთებთან და წმინდანებთან, მითოლოგიურ პერსონაჟებთან, ტოპონიმებთან დაკავშირებული ლეგენდა-თქმულებები.

აჭარის ზეპირსიტყვიერებასთან ერთად შესწავლილია ლაზური ზეპირსიტყვიერების ზოგიერთი ჟანრი (პოეზია, მუსიკალური ფოლკლორი, პროზა). ლაზურ ფოლკლორში ინტერესს იწვევს სამიწაომოქმედო (ყანური) შრომის ლექსები და სიმღერები. სპეციალურ ყურადღებას იმსახურებს ზღვაოსნობის ლექს-სიმღერები, სპეციფიკურია, რომ ლაზურ მუსიკალურ ფოლკლორში “ჰელესსა” მეზღვაურთა სიმღერაა. მეთევზეობა-ზღვაოსნობის ამსახველი ლაზური ლექს-სიმღერები თვალსაჩინო ადგილს იქცეს ქართული ხალხური პოეზიის ძირძველ საგანძურში.

შესწავლილია, აგრეთვე, ლაზური საისტორიო სიტყვიერება, საწეს-ჩვეულებო პოეზია და ხალხური პროზა. აღსანიშნავია, რომ ლაზური ფოლკლორის გავრცელების ძირითადი არეალი თანამედროვე ეთნოგრაფიული ლაზეთია, მშობლიურ ლაზურ (ჭანურ) ენობრივ მასალაზე აგებული პროზითა და პოეზით, ქართულ-მეგრული ფოლკლორისათვის

დამახასიათებელი პერსონაჟებით, აგებულებით და სტილისტური დეტალებით მყარად დგას ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ქართულ ეროვნულ ტრადიციებზე.

დიალექტოლოგის დარგში დასმული პრობლემა მიზნად ისახავდა როგორც რევოლუციამდელ, ისე თანამედროვე პერიოდში აჭარის მხარისათვის დამახასიათებელი საოჯახო და სამეურნეო ყოფის, სულიერი კულტურისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის მრავალფეროვან ასპექტებთან დაკავშირებული სიტყვიერი მასალის შესწავლას. მუშაობა სწორედ ამ მიმართებით წარიმართა. შეკრებილი მასალის ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია მეურნეობის ისეთ დარგებსა და ცხოვრებისეულ მხარეებთან, როგორიცაა: მიწათმოქმედება, მშენებლობა, შინამრეწველობა და ხელოსნობა, შრომის იარაღები, ნივთები, ტანსაცმელი და შემკულობა, ხალხური ტრანსპორტი, მესაქონლეობა, თიბგა, მეფრინველეობა, მეფუტერეობა, ნაოსნობა-მეთევზეობა, ხალხური კულინარია, ხალხური მედიცინა, საოჯახო და ნათესაური ურთიერთობა, ხალხური ჩვეულებანი და ტრადიციები, რელიგია და კულტმსახურება, ხალხური მმართველობა და ა.შ. შეკრებილი ლექსიკური მასალის დიდი ნაწილი ძირითადად დამუშავებული და შესწავლილია. გამოქვეყნებულია 250-მდე ნაშრომი, მათ შორის – 3 მონოგრაფია, “აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკის” ცხრა კრებული.

ზემოთ აღნიშნული მასალების შეკრებასა და ცალკეული საკითხების შესწავლაში, სამეცნიერო სტატიების, მონოგრაფიების, თემატიკური კრებულების მომზადება-გამოცემაში დიდი წვლილი მიუძღვით განცოლებულებაში მომუშავე ენათმეცნიერებს: მთავარ მეცნიერ-თანამშრომლებს მ. ქამადაძეს (1979 წლიდან) და შ. ფუტკარაძეს (2003 წლიდან), უფროს მეცნიერ-თანამშრომლებს: ნ. ცქიტიშვილს (1969–1972), ნ. ახვლევიანს (1996 წლიდან), ქ. ფუტკარაძეს (2003 წლიდან), მეცნიერ-თანამშრომლებს ნ. სურმავას (1972–1988), ო. კუპულაძეს (1974 წლიდან), ც. ნარაკიძეს (1975 წლიდან), ნ. ნოდაიდელს (1969 წლიდან).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აჭარული კილოს მეცნიერულ შესწავლაში ფასდაუდებელი დვაწლი მიუძღვის აწ განსვენებულ ენათმეცნიერს პროფ. შ. ნიუარაძეს, აჭარის ტოპონიმის საკითხებს არაერთი ნაშრომი მიუძღვნა აწ განსვენებულმა მკვლევარმა დოც. გ. ლიასამიძემ.

აჭარულისა და საერთოდ ქართული ენის სამხრეული კილოების, ასევე ლაზურის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე მკვლევრებმა: მ. ფალავამ, მ. ცინცაძემ, ო. მემიშიშვილი, ნ. ცეცხლაძემ და სხვ.

განვლილ პერიოდში აჭარულის ლექსიკა იკრიბებოდა სამეურნეო დარგების მიხედვით. საერთოდ, დარგობრივი ლექსიკის შეკრება მოითხოვს საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის გარკვეულ მეთოდს. ადამიანის მოქმედების, საქმიანობის, საგნის, მოვლენის დეტალური აღწერა მკვლევარ-შემკრებს საშუალებას აძლევს ზედმიწევნით დრმად ჩაიხედოს დიალექტის ლექსიკურ ფონდში. ამ მეთოდით მუშაობის ეფექტურობა დამოკიდებულია არა მარტო მთხოვბელ-ინფორმატორზე,

არამედ იმაზეც, თუ მასალის შემკრები რამდენადაა ჩახედული მხარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ყოფასა და აქაურ მკვიდრთა მეტყველების თავისებურებებში. დიალექტოლოგი აფიქსირებს უკელა სიტყვას თავისი გრამატიკული ფორმით და შინაარსით. ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში ამ მეთოდით მუშაობდა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც ივ-ჯავახიშვილის ინიციატივით ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა მხარეში. აჭარაში მასალები შეკრიბეს ამ ექსპედიციის წევრებმა ქლომთათიძემ და თ. ანდლულაძემ. კვლევა-ძიების ეს მეთოდი წარმატებით გამოიყენებოდა ქართულ ენაომეცნიერებაში და გამოიყენება დღესაც. სწორედ ამ მეთოდით იკრიბებოდა აჭარულის ლექსიკა: თითოეული სიტყვა წარმოდგენილია ისეთ კონტექსტში, რომელშიც სიტყვის სემანტიკურ მნიშვნელობასთან ერთად დაცულია აჭარული კილოსათვის ნიშანდობლივი ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურებანი. ასეთ კონტექსტს სალექსიკონო სიტყვა-სტატიისათვის სათანადო მეცნიერული დირექტულება აქვს. მაგალითები:

გაუყება – მიწის დასვენება, განოყიერება (“შვიდ-რვა წელში ყანა გაუყდებოდა ხამათ”).

ასეთ განმარტებასთან ერთად ყურადღება ექცევა სიტყვის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ და სემანტიკურ ანალიზს, მის შედარებით – ეტიმოლოგიურ კვლევას. შესაღარებლად მოხმობილია როგორც ბველ, ისე თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში დაძებნილი პარალელური ფორმები, მაგალითად:

ქეშელა – სულის ხუთვა, ქოშინი. “სირბილისაგან ქეშელა ქონდა ამუარდნილი” (შდრ. იმერ. ქეშელი – ქოშინი, ქოქინი, ქლოშინი; გურ. ქეშელი – სირბილის შემდეგ მეტისმეტად აჩქარებული სუნთქვა).

მარდა – სხვადასხვა ფერის თვალების მქონე ცხენი. ძვ. ქართულში გვაქვს მარდი თეთრთვალას მნიშვნელობით (იხ. საბა: მარდი – თვალ თეთრი).

დამხვირული – დამტვრეული. “გუშინაც დასრილი, დამხვირული ამოვდა თხრილებიდან”. ასევე გურულშიც. სხვა დიალექტებში კი განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება: მოხეურში **ხვირი** გამხმარი ჩალის ან თივის დეროა; რაჭულში, მთიულურსა და იმერულში – სასუქის საზიდი ლასტი (იხ. ქეგლ.; კაიშ. მთ.), ხოლო ზემოიმერულში, რაჭულსა და ლეჩეუმურში – თევზსაჭერი ან სანაკელე გოდორი, ან კიდევ დაბალკედლიანი ძარი (იხ.: ალავ., წერეთ., ზ.იმერ., ძიძიგ.).

მოგანება/მოგანვება/მონაგვება – ძროხაშ რომ რძე ადვილად “ჩამოყაროს”, მოწველის წინ ხბოს მიუშვებენ და მოაწოვებენ. ამას მოგანება/მოგანვება/მონაგვებას ეძახიან. “ჩვენ ძროხას მოგანება უნდა, ქეს არ ჩამოყრის, თუ არ მუაგანვე”. ამავე მნიშვნელობით იმერულში იხმარება გენვა. მეგრულში გვაქვს ზმნა “მოგანუ”, რაც ხბოს მიერ ძროხის გამოწოვას აღნიშნავს და ეტიმოლოგიურად “გენ” ძირს უკავშირდება (ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა). “გენ” ძირი ჭანურშიც გვაქვს. აქ გენი ხბოს ნიშნავს. შესაძლებელია, აჭარულსა თუ სხვა დიალექტებში გენ (მოგანება)

მომდინარეობს ფორმიდან მოგენ(ე)გბა და მეგრულ-ჭანურის გავლენით იყოს დამკვიდრებული.

ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის ფონეტიკურ-მორფოლოგიური და შინაარსობრივი ახსნა სპეციალურ კალევა-ძიებას მოითხოვს. ერთ-ერთი ასეთია **ბებრეუთი**, რომელიც ხულოს რაიონის მკვიდრთა მეტყველებაში დაღულეთის მნიშვნელობით გვხვდება. ამ სიტყვის ეტიმოლოგია სცადა ნ.ნოდაიდელმა. მკვლევრის აზრით, **ბებრეუთი** უნდა მომდინარეობდეს სიტყვიდან **ბებერი/ბებერა**, რომელიც მესხურ-ჯავახურში ბებიას აღნიშვნას და ამავე მნიშვნელობით ზემოაჭარულ მეტყველებაშიც უნდა გვქონოდა. ავტორის დასკვნით, **ბებრეუთი** ბებიის საცხოვრისს ნიშნავს და შვილიშვილის გაგებაში დადგულეთის ფარდია.

განყოფილების თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში მასალათა ნაწილი წარმოდგენილია აღწერითი ტექსტების, ხოლო ნაწილი – ლექსიკონის სახით. მოცემულია აგრეთვე ფონეტიკურ-მორფოლოგიური ანალიზი, ეტიმოლოგიური დაკვირვებანი. ყურადღება გამახვილებულია ასიმილაცია-დისიმილაციის, ხმოვანთა რედუქციის, ხმოვანთა კომპლექსების, თანხმოვანთა დაკარგვა-განვითარებისა და სუბსტიტუციის საკითხებზე. ამ მიმართებით ყურადღებას იქცევს ნ.სურმავას ნაშრომი “აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკიდან”. ხმოვანთა განვითარების საკითხთან დაკაგშირებით ავტორი ასახელებს სიტყვებს: კიბილი, კილდე, თიბილი, გამოჩინდა, ჩიდილი, ძიმისწული, წიგინელი, ხიშირი, ქიფილი, ხობო, ცხომორისი, კალარჭული, აკალდამა და სხვ., რომლებშიც განვითარებულია ხმოვნები: ი,ო,ა.

ნ.სურმავა ხმოვანთა განვითარებას აჭარულში ქართული ენის ფონეტიკური კანონზომიერების ნიადაგზე ხსნის: ხმოვნები ი,ა,ო ჩაერთვის ყოველთვის იმ ორ ბგერას შორის, რომელთაგან პირველი უკანა წარმოებისაა, ხოლო მომდევნო-წინა წარმოებისა, ე.წ. აქცესიურ კომპლექსებში-კბ, კლ, ჩნ, ხბ, მბ, გნ, კნ,ქჟ, ჩდ, ჭლ, ხშ. ავტორი უარყოფს ნ.გურგენიძის მოსაზრებას (იხ.ნ.გურგენიძე. აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბ., 1973, გვ.153), რომლის მიხედვით, აჭარულში ხმოვანთა განვითარება თურქული ენის გავლენის შედეგია.

ნ. გურგენიძე აჭარული კილოსათვის დამახასიათებელი ხმოვანჩარ-თული სიტყვების რიგში განიხილავს აგრეთვე ზმნის მესამე პირის ფორმას ადგება (ადგა) და მასში ე ხმოვანს განვითარებულ ან ჩართულ ხმოვნად მიიჩნევს. ნ.სურმავას მიხედვით კი “ადეგა” წარმოადგენს ზმნის მესამე პირის შეუკუმშავ ფორმას: ა-ვ-დეგ (მე); ა-დეგ (შენ); ა-დეგ-ა (ის).

ნ. სურმავას შენიშნული აქვს ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებლად და-ო პრეფიქს-სუფიქსის გამოყენება (ქედის რაიონის მერისის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში). იგი გვხვდება ძირითადად ფერისა და გემოს აღმნიშვნელ სიტყვებთან: დაწითლო, დაყვითლო, დათეთრო, დამწარო...

ზემოაჭარულ მეტყველებაში ზ.თანდილავას შენიშნული აქვს ნაცვალ-სახელთა მეტად თავისებური კონსტრუქცია: ჩემთვინ იგი (მე), შენთვინ იგი

(შენ), **მისთვინ იგი** (ის). საინტერესოა, რომ ეს კონსტრუქცია იბრუნვის პიდეც. გვხვდება სახელობით, მოთხოვით, მიცემით, ნათესაობითსა და წოდებით ბრუნვებში.

სახ. ჩემთვინ იგი (“ჩემთვინ იგი არ უხსენებია”.=მე არ უუხსენებივარ).

მოთხ. ჩემთვინ იმან (“ჩემთვინ იმან გათოხნაო”.=უთქვამს, რომ მე გავთოხნებ).

მიც. ჩემთვინ იმას (“ჩემთვინ იმას ბრალი არა აქო”.=განუცხადებია, რომ მე ბრალი არ მაქს).

ნათ. ჩემთვინ იმის (“ჩემთვინ იმისი არაფერი არ მინდაო”=უთქვამს, რომ ჩემი არაფერი არ უნდა).

მოქ. –

გით. –

წოდ. ჩემთვინ იმავ.

ასევე იბრუნვის მეორე პირის ფორმა “შენთვინ იგი”.

სახ. შენთვინ იგი (“შენთვინ იგი არ მოვდაო”).

მოთხ. შენთვინ იმან (“შენთვინ იმანა მომიტანოსო”).

მიც. შენთვინ იმას (“შენთვინ იმას რამეს არ მიცემენ”).

ნათ. შენთვინ იმის (“შენთვინ იმის აზრი არ მომწოდაო”).

მოქ. –

გით. –

წოდ. შენთვინ იმავ (მოსალოდნელი ფორმა).

მესამე პირის ფორმას (“მისთვინ იგი”) არ გააჩნია მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი ბრუნვები.

ცნობილია, რომ ქართველურ ენათა ზოგიერთ დიალექტში (იმერხეული, აჭარული, ლაზური (ჭანური), ინგილოური და მესხურ-ჯავახური) შედარებით მოჭარბებულია უცხო წარმომავლობის სიტყვები. აჭარულ ში უცხო ენობრივი დანაშრევის შესწავლას ყოველთვის მნიშვნელოვან ურადღებას აქცევდნენ ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების თანამშრომლები.

აჭარული დიალექტური ლექსიკის შეკრებისა და მეცნიერული შესწავლის შედეგები საშუალებას იძლევა გამოვამზეუროთ ჩვენი დედაენის ლექსიკური ფონდის საუკეთესო მარგალიტები, რომლებიც ისტორიულ-პოლიტიკური პირობების გამო წარსულში ერთგვარ ჩრდილ ში მოქცეულა ან თანდათან დავიწყებას ეძლევა სამეურნეო-კულტურული ყოფის განვითარებასა და თაობათა ცვლასთან ერთად. სანიმუშოდ შეიძლება დასახელდეს შინამრეწველობის ისეთი ტრადიციული დარგი, როგორიცაა როვა-ქსოვა და საქსოვი მასალის დამზადება-დამუშავება. შეკრებილი და შესწავლილია ამ დარგთან დაკავშირებული დიალექტური სიტყვების საუკეთესო ნიმუშები, რომლებიც ძირითადად აჭარელ ქალთა მეხსიერების შემოუნახავს. მაგ., წინდაზე გამოყვანილი ორნამენტთა (“ნამჭრელთა”) სახელწოდებები: აკაკბული, ასტმიტარა, გრეხილა, ეწრიფურცელა, ლორუბა, მასქლავა, შრაფაჭრელა, ჩამწნილი, ჩიტითვალა, ჭიბოშანა, ხარითვალა, ხუწუწა და სხვ. საკითხი გამოწვლილ-

ეით შეისწავლა ნ.ნოღაიდელმა. მანგე წარმოაჩინა სხვა ლექსიკური ერთეულები (ნამშალი-ახალამოყრილი ყლორტი; ქურუხი-ღრუბლიანი ამინდი; ფათხი-ხის ხმელი ტოტი; ტიტვირი-ტუხი...) და ხატოვანი სიტყვა-თქმები: გზას სიმდერა ვუთხრათ; რძეს სამსახური უნდა; გიგიტინა ფეხის თითებში; ცეცხლი წინწალში იცინის...; ანდაზები: სხვისი ბაწრით ჭაში არ ჩაისვლებაო; ჭკუას თვალი არ ეცემა და სხვ.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ქართული ენის სამხრული კილოების შესწავლის საქმეში. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ქართველი ენათმეცნიერებისათვის ცნობილი იყო მხოლოდ აკად. ნ.მარის მიერ ჩაწერილი იმერხევული მეტყველების ამსახვლი მასალები. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული შ. ფუტკარაძე სისტემატურად იკვლევდა ქართული ენის სამხრულ კილოებს. პირველმა შეკრიბა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ტაოს, ნიგალის, კლარჯეთის ქართული მეტყველების ნიმუშები. სათანადო დიალექტური მასალების ენათმეცნიერული ანალიზის საფუძველზე საკვლევ რეგიონში გამოყო სამი დიალექტი: იმერხევული, ნიგალური და ტაოს ქართული.

შ.ფუტკარაძემ შემკრებლობითი მუშაობა ჩაატარა სამხრეთ საქართველოს შემდეგ მხარეებში: იმერხევი, ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, ერუშეთი, კოლა, ფოცხოვი, ჩილდირი. მასალები ჩაწერილი აქვს, აგრეთვე, შეა ანატოლიის ზეგნის იმ სოფლებში, სადაც ცხოვრობენ ისტორიული ზემო ქართლიდან გადახვეწილი (მუჰაჯირი) ქართველები. ავტორის მიერ მოპოვებული უაღრესად საინტერესო დიალექტური მასალები მოცემულია მის წიგნში “ჩვენებურების ქართული” (ბათუმი, 1993), რომელიც ქართული ენათმეცნიერების დიდი შენაძენია. არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნა აჭარული დიალექტის დარგობრივ ლექსიკასთან დაკავშირებითაც.

შ. ფუტკარაძის გამოკვლევების საფუძველზე საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდმა 2001 წლის ნოემბერში წმინდანად შერაცხა წმიდა მოწამე ოევდორე აჭარელი, რომელიც 1822 წელს ეწამა. მკვლევარი სწავლობს, აგრეთვე, სტამბოლის არქიეპისტი დაცულ საქართველოს შესახებ არსებულ ისტორიულ წყაროებს. 1998 წელს მან მიაკვლია 1566–1574 წლების აჭარის აღწერის მასალებს. თანამშრომლობს თურქეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოებთან, თურქეთში გამომავალ ქურნალ-გაზეთებთან და ა.შ.

ბოლო პერიოდში ყურადღება მიექცა ქართული ენის გრამატიკის საკითხების კვლევას, კერძოდ, მონოგრაფიულად შესწავლილია საშუალი გვარის უდვლილების თავისებურებანი საშუალ ქართულში. წარმონებილია ამ ტიპის ზმინთა უდვლილების თავისებურებანი ძველი და ახალი ქართულის ფორმებთან შეპირისპირების საფუძველზე. საკითხს იკვლევს უფროსი მეცნ.თანამშრ. ე. ფუტკარაძე, რომელმაც აღნიშნულ პრობლემას მიუძღვნა რამდენიმე სტატიაც.

აჭარულ დიალექტებთან ერთად განყოფილებაში შეისწავლება ლაზურის (ჭანურის) ლექსიკაც. აჭარაში მოსახლე ლაზურად მეტყველ მოსახლეობაში მასალების შეკრება 1978 წლიდან დაიწყო. მეცნ.თანამშრ.

ც.ნარაკიძემ შეკრიბა ლაზურის დარგობრივი ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. გამოვლენილია ბევრი ისეთი სიტყვა, რომელიც პირველად შემოვიდა მეცნიერულ მიმოქცევაში. მაგ., ატეკნე (ბერძ. უშვილო), ოხორმანჯე (მეოჯახე, ოჯახის მოყვარული მამაკაცი), გონტახეი წევი (ნელთბილი წყალი), დოლონი (კვირა), კანკა (მარტოხელა ადამიანი), კატაფხა (სუსტი აღნაგობის ადამიანი), ბობლანი (ძონძი) და სხვ. ლაზურის დარგობრივი ლექსიკის შესახებ ც.ნარაკიძემ გამოაქვეყნა არაერთი სტატია.

ენისა თუ მისი დიალექტების ლექსიკაში დიდი ადგილი უჭირავს ონომასტიკას. ინსტიტუტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილება ამ მიმართებით მუშაობას 1979 წლიდან შეუდგა (მ.ქამადაძე, თ.კუპულაძე). ამრიგად განყოფილების სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა კიდევ უფრო გაფართოვდა და შედეგებიც თვალსაჩინოა. გარკვეულია, რომ აჭარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში გვაქვს როგორც საკუთრივ ქართული (და იგი ძირითადია), ისე ზანური წარმომავლობის ტოპონიმები. შეინიშნება, აგრეთვე, თურქული, ბერძნული და სხვა ენებიდან მომდინარე გეოგრაფიული სახელები.

შემკრებებით მუშაობასთან ერთად სპეციალური კურადღება დაეთმო ტოპონიმთა მორფოლოგიურ სტრუქტურას, დამახასიათებელ ფონეტიკურ პროცესებს და ცალკეულ ტოპონიმთა ეტიმოლოგიურ კვლევა-ძიებას. მიღებული დასკვნები გვიჩვენებს, რომ აჭარის ტოპონიმისათვის ნიშანდობლივია ყველა ის საწარმოქმნო მოდელი, რაც დამახასიათებელია საერთო ქართული ტოპონიმისათვის. გვაქვს მარტივფუძიანი, აფიქსებით ნაწარმოები და თხზული ტოპონიმები. მაწარმოებელთაგან პროდუქტიულია სუფიქსები: -ა, -იან, -ურ, (//ულ), -ნარ (//ნალ), -ეთ, -ოვან... პრე-ფიქს-სუფიქსები: ნა-არ (//ნა-ალ), ნა-ავ, ნა-ეპ, ნა-ურ, სა-ია, სა-ო, სა-ე... შედარებით შეზღუდულია მხოლოდ პრეფიქსებით (ნა-, სა-) ტოპონიმების გაფორმება.

თხზული ტოპონიმები მეტწილად მსაზღვრელ-საზღვრულის სახით არის წარმოდგენილი. გვხვდება ორ, სამ და ოთხშემადგენლიანი ონიმები, გვაქვს ფუძის გაორკეცებით მიღებული ტოპონიმებიც.

ზანური წარმომავლობის ტოპონიმები გვხვდება როგორც ზემო, ისე ქვემო აჭარაში. ზანური შრე უფრო თვალსაჩინოდა მოცემული აჭარის ზღვისპირა ზოლში. ამ საკითხს არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს მ.ქამადაძემ და თ.კუპულაძემ, ხოლო ნ. ახვლედიანმა სპეციალურად შეისწავლა ზანიზმები აჭარის ტოპონიმიაში.

საგულისხმოა ცალკეულ ტოპონიმთა სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ანალიზის საფუძველზე გამოთქმული მოსაზრებები. მაგ., ბობოყვათის, ონტოროთის... შესახებ (თ. კუპულაძე).

არანაკლებ ინტერესს იწვევს ანთოროპონიმული წარმომავლობის ტოპონიმები, რომლებიც აჭარაში საქმაოდ ხშირად გვხვდება. ამ რიგის ტოპონიმებს განეკუთვნება ზემო აჭარის დასახლებული პუნქტების სახელები: ლომსიანეთი, ვახტანგეთი, ლაპლაკეთი, მოფრინეთი და სხვ. მრ. ეს

ტოპონიმები XIX საუკუნის 80-იანი წლების ქართულ პრესაში და სხვა მასალებშიც დადასტურებულია ფორმით: ლომსაძენი//ლომსიანიძე, ვახტანგისძენი //ვახტანგიძე, ლაკლაკიძე, მოფრინიძე. როგორც ჩანს, ამ გეოგრაფიული სახელების ოფიციალურად –**ეთ** სუფიქსით გაფორმება შემდგომი მოვლენაა. ასევე XIX საუკუნის მეორე ნახევრის მასალებში გვხვდება სოფლების სახელები: გოგაძე, ჯაბნიძე, მახალაკიძე, დარჩიძე... ამჟამად ეს სახელები მრავლობითის –**ებ** სუფიქსითაა გაფორმებული (გოგაძეები, ჯაბნიძეები...). მაშასადამე, ამ სახელების –**ებ** სუფიქსით გაფორმებაც გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს (მ.ქამადაძე).

ტოპონიმიური მასალების შეკრება-შესწავლის პარალელურად მიმდინარეობდა აჭარაში გავრცელებული გვარების შეკრება-შესწავლაც. გარკვეულია, რომ აჭარაში ძირითადად გვხვდება **ძე** დაბოლოების გვარები, შემდეგ მოდის **შვილ** დაბოლოებიანი გვარები, იშვიათად გვხვდება –**ელ**, –**ურ** და –**იან** მაწარმოებლებით წარმოქმნილი გვარები. გარკვეული ადგილი უჭირავს ხელობის თუ პროფესიის აღმნიშვნელი სახელებიდან მომდინარე ანთროპონიმებს: მემარნე, ხაბაზი, ხარაზი (ქობულეთის რაიონი). გვხვდება ზანური წარმომავლობის გვარები: ხალვაში, ჭყონია, კვირკველია, გუგუნავა და სხვ.

გვარსახელთა დიდი ნაწილი საკუთარი სახელებისაგან არის ნაწარმოები: ბეჭანიძე, მახარაძე, ცეცხლაძე, კაკალაძე და ა.შ. გვხვდება, აგრეთვე, ეთნონიმური და ტოპონიმური წარმომავლობის გვარები: ლაზი-შვილი, ჭანიძე, მესხებიძე, კირჩხელი, ქედელიძე...

საწარმოქმნო ყალიბებთან ერთად გარკვეულ ინტერესს იწვევს ანთროპონიმების ძირეული ნაწილების გენეზისა და მათი ენობრივი კუთვნილების საკითხი. აჭარაში ძირითადად დასტურდება ქართველური გვარები. იშვიათად გვხვდება, აგრეთვე, აღმოსავლური, ბერძნული თუ სხვა წარმომავლობის გვარები.

ამჟამად მონოგრაფიულად შესწავლილია ზემო აჭარის ტოპონიმია და აჭარის ონომასტიკა (მ.ქამადაძე).

არ იქნება ინტერესმოკლებული, აქვე წარმოვადგინოთ განვლილ პერიოდში განყოფილების გამგეების მოკლე ბიოგრაფიული ცნობები:

1. ჯიმშერ (ჯემალ) იზეთის ძე ნოღაიდელი, დაიბადა 1907 წლის 10 მარტს ქობულეთის რაიონის სოფ. წყავროკაში, გლეხის ოჯახში. 1914–1926 წლებში სხვადასხვა დროს სწავლობდა ქობულეთის რის სოფ. ალამბრის (1914 წლიდან), თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში (1916 წლიდან), ბათუმის მეცნიერების სახელობის სკოლაში (1919 წლიდან), ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში (1921 წლიდან), აჭარის პედაგოგიურ ტექნიკუმში (1924–1926 წწ.). 1926–1928 წლებში მუშაობდა ბათუმის რაიონის სოფ. ანგისის შეიდწლიანი სკოლის გამგედ.

ჯ.ნოღაიდელი 1928–1931 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის აჭარელ ქალთა პედტექნიკუმში სასწავლო ნაწილის გამგედ და დირექტორის მოადგილედ; აჭარის სამხრეთმცოდნეო

სამეცნიერო ბიუროს სწავლული მდივნის მოადგილედ (1933–1936 წწ.). 1936 წელს აღნიშნული სამეცნიერო ბიურო გადაკეთდა სამხარეთმცოდნეო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად და ჯ. ნოდაიდელი დაინიშნა ამ ინსტიტუტის სწავლულ მდივნად. 1940 წლიდან უფროსი მეცნიერობაში მუშაობდა აჭარის პედოგენიკუმში, სუბტროპიკულ მუშაოქასა და რეინიგზის ტექნიკუმში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1935–1940 წლებში მუშაობდა ბათუმის სამასწავლებლო, შემდგომში პედინსტიტუტში ქართული ენის კათედრის ასისტენტად, ხოლო 1940–1958 წლებში – ბათუმის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრის დოცენტია. 1938 წელს გაიარა ასპირანტურის კურსი და 1940 წლის 25 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ჯ. ნოდაიდელი 1958 წლიდან გარდაცვალებამდე (1966 წ.) იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების გამგე. ამაგდარი მეცნიერი გარდაიცვალა 1966 ოლის 29 მარტს. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ წყავროკაში.

2. მერაბ მემედის ძე ბერიძე, დაიბადა 1929 წლის 15 იანვარს ქედის რნის სოფ. კვაშებაში, მოსამსახურის ოჯახში. 1935 წელს სწავლა დაიწყო ბათუმის ვოდნიკების სახელობის საშუალო სკოლაში. 1945–1949 წლებში სწავლობდა ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ბათუმის გემთმშენებელ ქარხანაში ოსტატად. 1951–1954 წლებში კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში მუშაობდა. 1954–1958 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტში რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. 1958–1963 წლებში კვლავ პარტიულ სამუშაოზე იყო. 1963–1966 წლებში სწავლობდა მოსკოვში საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1966 წლის სექტემბრიდან 1969 წლის ივნისამდე ხელმძღვანელობდა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებას.

3. აზიზ არიფის ძე ახვლედიანი, დაიბადა 1928 წლის 15 ივნისს სოფ. მახინჯაურში. 1935–1945 წლებში სწავლობდა მახინჯაურის საშ. სკოლაში. 1949–1953 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტში რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ხელოს საშუალო სკოლაში (1953–1955 წწ.), შემდეგ მახინჯაურის საშუალო სკოლაში (1955–1959 წწ.). 1959 წელს მუშაობა დაიწყო ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ კი უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1967 წელს დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1969–1972 წლებში იყო ფოლკლორის განყოფილების გამგე.

4. ზურაბ ოსმანის ძე თანდილავა, დაიბადა 1928 წლის 14 სექტემბერს ბათუმის რაიონის სოფ. სარფში, გლეხის ოჯახში. დაამთავრა სარფის შვიდწლიანი სკოლა. 1943–1947 წლებში სწავლობდა გონიოს საშ. სკოლაში. 1947–1952 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. 1952–1959 წლებში მუშაობდა სარფის რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1959 წლის მაისიდან მუშაობა დაიწყო ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1967 წელს დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, 1995 წელს კი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1972–1976 წლებში ხელმძღვანელობდა ფოლკლორის, ხოლო 1976–1996 წლებში – ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილებას. პარალელურად (1984–1995 წწ.) იყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 1972 წლიდან არჩეული იყო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად, იყო, აგრეთვე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს, ასევე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-კავკასიური და აღმოსავლური ენების ფუნდამენტური კვლევის პროგრამის სამეცნიერო საბჭოს წევრი. ზ. თანდილავა გარდაიცვალა 1996 წლის 2 ნოემბერს. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ სარფში.

5. მიხეილ რეჯების ძე ქამადაძე, დაიბადა 1946 წლის 15 მარტს ხელოს რაიონის სოფ. ყინჩაურში, გლეხის ოჯახში. 1953–1964 წლებში სწავლობდა ყინჩაურის საშუალო სკოლაში, 1964–1969 წლებში – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1969 წლის აგვისტოდან ნოემბრამდე მუშაობდა ყინჩაურის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1969 წლის ნოემბრიდან 1970 წლის დეკემბრამდე გაწვეული იყო სავალდებულო სამსახური სამსახურში. შემდეგ მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ქობულეთის რაიონის ჩაქვის ქართულ (1971.I-VIII), სოფ. ზენითის (1971. VIII-1974.X.), სოფ. ცეცხლაურის (1974. XI-1976.XI) საშუალო სკოლებში. 1974–1978 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის (ჯერ დაუსწრებელი, შემდეგ დასწრებული სწავლების) ასპირანტურაში. 1979 წლის 29 მაისს დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, 1999 წლის 2 ნოემბერს კი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

მ.ქამადაძემ 1979 წელს მუშაობა დაიწყო ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1982 წლიდან იყო უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1986 წლიდან – წამყვანი მეცნიერი თანამშ-

რომელი. ხელმძღვანელობდა დიალექტოლოგიური კვლევის დაბორატორიას (1984–1990 წწ.). 1997–2006 წლებში იყო ფოლკლორისა და დიალექტოლოგის განყოფილების გამგე. 2006 წლის სექტემბრიდან არჩეულია ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომლად// ფოლკლორისა და ლინგვისტიკის განყოფილების უფროსად. პარალელურად მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კითხულობს ქართული დიალექტოლოგის კურსს (1998 წელს აირჩიეს დოკომენტად, 2001 წელს კი – პროფესორად).

მ. ქამადაძე 1982 წლიდან ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრია. 1990 წლიდან არის, აგრეთვე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ქართული ენის მეცნიერული ჟესტავლის საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

Михаил Камададзе

Итоги полувековой научно-исследовательской работы отделения фольклора и лингвистики Института Нико Бердзенишвили

Р е з ю м е

Отделение фольклора в Батумском научно-исследовательском институте было создано со дня его основания (1958 г.). Оно поставило своей целью изучение жанров устного народного творчества Аджарии. Сначала же была развернута широкая работа по сбору фольклорного материала.

На основе системного научного исследования, работающие в институте фольклористы изучили актуальные вопросы аджарского и грузинского фольклора в целом. В частности: трудовую поэзию, обрядовую и историческую словесность, бытовую поэзию, жанры лазского устного народного творчества, вопросы народного эпоса, лирические стихотворения, пословицы, элегии и т.д.

Особенно следует отметить тот факт, что приоритет в выявлении и изучении уникальных образцов грузинского народного музыкального творчества мирового значения - четырёхголосных песен принадлежит именно Институту Нико Бердзенишвили.

С 1958 года постепенно расширилась тематика научно-исследовательской работы, и с 1976 года отделение работает над темой «Устное народное творчество Юго-Западной Грузии».

За 50 лет в области фольклора опубликовано до 300 работ, из них около 20-ти монографий. Опубликовано также 12 тематических сборников, сборники сказок и пословиц и т.д.

С 1969 года в отделении началось изучение отраслевой лексики аджарского диалекта. Поэтому с 1976 года оно называется отделением фольклора и диалектологии, а с 2006 года - отделением фольклора и лингвистики.

На сегодняшний день собрана отраслевая лексика аджарского диалекта, отображающая разные сферы хозяйства: земледелие, строительство, домашнее

производство и ремесло, орудия труда, народный транспорт, скотоводство, народную кулинарию и медицину, семейные отношения и т.д.

В области диалектологии опубликовано до 250-ти исследований. Из них 3 монографии, 9 тематических сборников и др.

Значительные успехи достигнуты также в деле исследования ономастики Юго-Западной Грузии.

Mikhael Kamadadze

The results of the Semi-centennial Scientific Research work of the Department of Folklore and Linguistics of Niko Berdzenishvili Institute

S u m m a r y

The department of folk-lore at the Batumi Scientific Research Institute was formed in 1958, when the Institute was founded and its aim was to study the spoken genres in Adjara.

At the same time the vast work was begun to collect materials in folk-lore.

By the systematic scientific research work, folklorists of the Institute (J.Noghaideli, Al.Mskhaladze, Z.Tandilava, T.Shioshvili and others) studied actual points of Adjarian, and generally, Georgian folk-lore, peculiarly: labour poetry, historical and ceremonial oral sayings, poetry of the real world, Lazian folk-speech ,points of folk-epos, lyric verse, proverbs,elegiac verse, etc.

particularly should be mentioned the fact that N. Berdzenishvili Institute has the priority to study so-called four-voiced songs, which are the worldwide unique example of Georgian folk-music art.

since 1958 themes of scientific research work has widened gradually and since 1976 the department has worked on the topic—"Folk- speech in South-West of Georgia.

About 300 works have been published for the last 50 years, among them there are about 20 monographs. There were also published 12 thematic selections, selections of tales and proverbs, etc.

Since 1969 the department has been studying as well "The Branch Lexics of Adjarian Dialect" and in 1976 it was named the Department of Folk-lore and Dialectology".

The branch lexics of Adjarian dialects have been collected so far, which reflects different branches of Economy (building, agriculture, cattle -breeding, domestic industry and workmanship, labour tools, folk-transportation, folk cookery and medicine, family relations, etc).

In dialectology there have been published about 250 research work so far, among them there are three monographs, 9 thematic selections, etc. The important Success is achieved in the research work of Onomastics of south- west of Georgia.

ეპონომიკური და სოციოლოგიური კვლევა-ძიება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში¹

საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში აჭარას ერთ-ერთი წამყვანი აღგილი უქირავს. ჩაისა და ციტრუსების წარმოების, აგრეთვე საზღვაო ტრანსპორტის მხრივ ავტონომიური რესპუბლიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. აჭარა საქართველოს ერთიანი ეკონომიკური და სოციალური კომპლექსის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში სწრაფად ვითარდებოდა. ამიტომ იყო, რომ ეკონომიკური კვლევა-ძიება ბათუმის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში თავიდანვე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოზიციად ჩამოყალიბდა. ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის განყოფილებებთან ერთად ინსტიტუტში იმთავითვე შეიქმნა ეკონომიკის განყოფილება, რომელსაც აჭარისა და მისი რაიონების რეგიონული ეკონომიკური პრობლემების შესწავლა დაეკისრა.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ტექნიკური და სოციალური პროგრესის მაშინდელ ეტაპზე მეცნიერების მრავალ დარგში ნათლად გამოიკვეთა რეგიონული ასპექტები. სულ უფრო მეტად ხდებოდა აუცილებელი მეცნიერებას აქტიურად მოეკიდა ხელი რეგიონული პრობლემების შესწავლისათვის, გამოევლინებინა და შეეფასებინა ის თავისებურებანი, რაც ამა თუ იმ რეგიონის ტექნიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას ახასიათებდა, ამის შესაბამისად შეემუშავებინა მეცნიერული რეკომენდაციები პრაქტიკისათვის.

აღსანიშნავია, რომ საწარმოო ძალთა განვითარება და განლაგება, მთლიანად ეკონომიკა სივრცობრივი პარამეტრებით, ტერიტორიული ორგანიზაციით ხასიათდება. ამიტომ ეკონომიკური განვითარების პროცესს საერთო კანონზომიერებებთან ერთად მრავალი რეგიონული თავისებურებაც გააჩნია. მატერიალური წარმოების ამა თუ იმ დარგის, საერთოდ სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის განვითარებაზე აქტიურ ზეგავლენას ახდენენ ისეთი რეგიონული ფაქტორები, როგორიცაა: ბუნებრივ-კლიმატური პირობები, რელიეფის თავისებურებანი, სატრანსპორტო პირობები, მოსახლეობა და შრომითი რესურსები, რეგიონის მცხოვრებთა ისტორიულად ჩამოყალიბებული შრომითი ჩვევები და საწარმოო გამოცდილება, კულტურა, ცხოვრების ფაიდა, ადათ-ჩვევები და სხვა. ამასთან, ეს რეგიონული ფაქტორები ზემოქმედებს არა მარტო წარმოების სტრუქტურაზე, მისი ზრდის ტემპებსა და ეფექტია-

¹ წინამდებარე სტატიაში ძირითადად გამოყენებულია დ. მოურავიძის სტატიის – ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევა-ძიება ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ნ. ბერძენიშვილის ისტოტუტის 25 წლის საობილეო კრბული - „ქართველოლოგიური კვლევას მნიშვნელოვანი კერა“, „მეცნიერება“, თბ., 1986) – მასალები. აქ ავტორისეული მოსაზრებები და შეფასებები ამა თუ იმ საკითხზე გადმოტანილია უცლელად ან უმნიშვნელო ცვლილებით.

ნობაზე, არამედ ზეგავლენას ახდენენ აგრეთვე წარმოებრივ ურთიერთობათა შინაარსზე, რეგიონის წარმოებრივ სპეციალიზაციაზე, წარმოებების ორგანიზაციაზე, ხალხის ცხოვრების დონეზე, გარესამყაროსთან ურთიერთობის ფორმებსა და ინტენსივობაზე. თავის მხრივ, რეგიონის ეკონომიკა, მისი თავისებურებანი უკუზემოქმედებას ახდენენ ხალხის ცხოვრების წესზე და მთლიანად სოციალურ განვითარებაზე.

ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილების მუშაკებმა განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს აჭარის აგრონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხების მეცნიერულ შესწავლა-გაანალიზებაში, თავისი გამოკვლევებითა და დასკვნებით მათ ხელი შეუწევს ბევრი პრობლემის სწორად გადაჭრას და რეგიონის ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას.

ეს განაპირობა იმან, რომ ეკონომიკური კვლევა-ძიების დარგში ინსტიტუტმა თავიდანევე კონკრეტული ამოცანების გადაჭრა დაისახა მიზნად. ამ ამოცანების შესაბამისად ინსტიტუტის მუშაკები, პირველ რიგში, შეუდგნენ აჭარის სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მშენებლობის განვითარების, წარმოების უფექტიანობის ამაღლების რეზერვებისა და გზების ძიებას. მიღწეული დონის ანალიზისა და პრიტიკული შეფასების, აგრეთვე მოწინავე გამოცდილების განხოგადების ფონზე ბევრი საყურადღებო დასკვნა გააკეთა და მრავალი პრაქტიკული რეცომენდაციაც შემუშავდა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა რეგიონის ეკონომიკური და თანამედროვე სოციალური პრობლემის შესწავლა თითქმის ცარიელი ადგილიდან დაიწყო. გასული საუკუნის ომამდელ და ომისშემდგომ პერიოდში, 50-იან წლების დასასრულამდე, აჭარის ეკონომიკის განვითარების შესახებ არც ერთი სერიოზული მონოგრაფიული გამოკვლევა არ დაწერილა. მართალია, გამოქვეყნდა რამდენიმე სტატია თუ ბროშურა, ეკონომიკურ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეკონომიკური ნაშრომები, რომლებშიც განიხილებოდა აჭარის სახალხო მეურნეობის განვითარების ცალკეული საკითხები, მაგრამ გეგმაზომიერი და სისტემატური ეკონომიკური კვლევა-ძიება მხოლოდ ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის შემდეგ დაიწყო.

ეკონომიკის დარგში მეცნიერული მუშაობის დაწყებას სერიოზულად ამნელებდა ისიც, რომ ამ პერიოდისათვის რეგიონში არ იყო აგრეთვე კვალიფიციურ მეცნიერ-ეკონომისტთა კადრები. აჭარაში მომუშავე მეცნიერი ეკონომისტების უპირველესი ამოცანა იყო აგრონომიური რესპუბლიკის აგრარულ-ინდუსტრიული განვითარების აქტუალური საკითხების დამუშავება. ამიტომ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების ეკონომიკური, ხოლო უფრო მოგვიანებით სოციალური პრობლემების შესწავლამ ძირითადი ადგილი დაიჭირა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილების საქმიანობაში.

ეკონომიკის განყოფილების ყოფილი გამგის, აწ განსვენებული დოც. პ. ბაბილონის მიერ ინსტიტუტში შესრულებულ 12-ზე მეტ სოლი-დურ მეცნიერულ ნაშრომში გამოკვლეულია ზემოთ დასახელებული დარგების განვითარების პერსპექტივები აჭარაში, წარმოების ეფექტიანობის გადიდების ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა: შრომის

ნაყოფიერების ამაღლება, პროდუქციის თვითდირებულების შემცირება, ჩაის ნედლეულის, აგრეთვე მირითადი და საბრუნავი ფონდების გამოყენების გაუმჯობესება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობის გადიდება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადაადგილებისა და სპეციალიზაციის სრულყოფა, მუშაკთა ეკონომიკური სტიმულირება და ბევრი სხვა საკითხი.

ნაყოფიერ კვლევასთან ერთად კ. ბაბილონე გულმოდგინედ ექვებდა და ზრდიდა ახალგაზრდა კადრებს. იგი ბათუმის სამეცნიერო-კვლევოთი ინსტიტუტის დამაარსებელთაგანია, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. სამწუხაროდ, მას არ დასცალდა შავე გამოქვეყნებულ მონოგრაფიაზე დაყცვა სადოქტორო დისერტაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს იმ ენთუზიაზმის, დაუდალავი და შეგნებული მხარდაჭერის შესახებ, რასაც ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევა-ძიების განვითარებისადმი იქნება ინსტიტუტის ყოფილი დირექტორები, აწ განსვენებულნი ა. ინაიშვილი და დ. ხახუტაიშვილი. ისინი მუდმივად ზრუნავდნენ იმ სიძნელეთა დასაძლევად, რასაც ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილება კადრების დარგში განიცდიდა.

ეკონომიკის განყოფილებამ იმთავითვე მოჰკიდა ხელი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის აქტუალური საკითხების შესწავლას. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მეჩაიერების, მეხილეობის, მეთამბაქოების, მევენახობის, მეციტრუსეობის, მებოსტნეობის, მეცხოველეობის განვითარების საკითხები, აჭარაში მეჩაიერებისა და მეხილეობის განვითარების ისტორია საქართველოს გასაბჭოების პერიოდიდან დღემდე, სოფლის მეურნეობრივი წარმოების გადაადგილებისა და სპეციალიზაციის კანონზომიერებათა თეორიული კვლევა, ახალი ტექნიკის, შრომითი და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და სხვა საკითხები.

აჭარის მაღალმთიანი რაიონების მეხილეობის ეკონომიკას განსაკუთრებული ინტენსივობით სწავლობდა დოც. კ. ბაბილონე. მან გამოიკვლია და დაასაბუთა ამ რეგიონისათვის შესაფერისი ხეხილის მაღალპროდუქტიული ჯიშების შერჩევისა და გაშენების აუცილებლობა. მას მაღალმთიანი რაიონების ეკონომიკური ძლიერების ერთერთ მთავარ ფაქტორად მეხილეობის რაციონალური განვითარება მიაჩნდა. ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში დოც. კ. ბაბილონემ აჭარაში მეჩაიერებისა და მეხილეობის განვითარებისა და ამ დარგის ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე 15-მდე მეცნიერული სტატია და რამდენიმე მონოგრაფია გამოიქვენა. ამ ნაშრომებიდან უურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ორ მონოგრაფიაზე: პირველ მონოგრაფიაში – „შრომის მაწარმოებლების გადიდების რეზერვები ჩაის ნედლეულის წარმოებაში“ („მეცნიერება“, თბ. 1963, 250 გვ.) შესწავლილია შრომის ნაყოფიერების არხი, მნიშვნელობა და მისი გადიდების თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები აჭარის რეგიონის მეჩაიერების დარგის საწარმოების მასალებზე. გაანალიზებულია შრომის ნაყოფიერების ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ჩაის პლანტაციის სრულყოფილი გამოყენება და სპეციტარო მოსავლიანობის ზრდა, შრომის მექანიზაციისა და ორგანიზაციის გაუმჯობესება, მეჩაიერა მატერიალური დაინტერესების ამაღლება და შრომის პირობების სრულყოფა, პლანტაციის

ციების მოვლა-დამუშავებისა და ექსპლოატაციის აგროწესების განუხერელი დაცვა, ჩაის ახალი უხემოსავლიანი სელექციური ჯიშების ფართოდ დანერგვა, ჩაის დამზადებისა და ტრანსპორტირებისას დანაკარგების შემცირება და სხვა. ნაჩვენებია ჩაის წარმოების ოვით-დირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების რეზერვები და მისი გამოყენების გზები.

მეორე მონოგრაფიაში – „**მეხილეობის ეკონომიკის საკითხები**“ („მეცნიერება“ თბ. 1974, 220 გვ) – შესწავლილია სოფლის მეურნეობრივი წარმოების გადაადგილებისა და სპეციალიზაციის დარგობრივი თავისებურებანი, კრიტიკულადაა განხილული ამ საკითხთან დაკავშირებული ზოგიერთი ეკონომისტის მოსაზრება. გაანალიზებულია სოფლის მეურნეობრივ დარგთა შეთანაწყობის ძირითადი პრინციპები, დასაბუთებულია მეხილობის განვითარების მნიშვნელობა მცირეშემოსავლიანი მთიანი რაიონების ეკონომიკის განმტკიცების, მოსახლეობის, მოაგარაკეთა და ტურისტთა ხილზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და ხილის გადამამუშავებელ საწარმოთა ნედლეულით მომარაგების უზრუნველსაყოფად. ნაჩვენებია მეხილეობის დარგის განვითარების პერსპექტივები და პროგნოზები.

მეთამბაქოეობა აჭარის მაღალმთიანი რაიონების ეკონომიკის ერთეული მნიშვნელოვანი დარგია. მისი განვითარებისა და ეფექტიანობის გადიდების საკითხებზე განყოფილების მეცნიერმა თანამშრომელმა **თ. გორგილაძემ** რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა (1958-1970 წწ.). ამ ნაშრომებში გამოკვლეულია თამბაქოს მოსავლის გადიდების, ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესების, შრომის მწარმოებლობის ამაღლების, მისი ორგანიზაციისა და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფის საკითხები.

ო. გორგილაძემ გამოიკვლია აგრეთვე მიწის ფართობების რაციონალური გამოყენების, სპეციალიზაციის, დარგთა და პულტურათა სწორი შეთანწყობის, აგრეთვე მევენახეობის განვითარების საკითხები აჭარის მაღალმთიან რაიონებში. იგი შეეცადა კოლმეურნეობებში მიერორაიონების მიხედვით დაედგინა მათი განვითარების პროფილი, წამყვანი, ძირითადი და დამსმარე დარგების პერსპექტივები, წარმოების დანახარჯები და ნედლეულის თვითდირებულება, საერთო-საწარმოო და სამეურნეო დანახარჯების როლი პროდუქციის თვითდირებულების შემცირებაში, მეთამბაქოეობის რენტაბელობის ამაღლებაში და სხვ.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილების მეცნიერმა მუშაკებმა დრმად და საფუძვლიანად შეისწავლეს აგრეთვე აჭარის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის – მეციტრუსეობის ეკონომიკა. მეციტრუსეობის განვითარების საკითხებზე აჭარაში, რა თქმა უნდა, ბევრი გამოკვლევა დაიწერა, მაგრამ ამ დარგის ეკონომიკური პრობლემები სათანადო სიღრმით პირველად ინსტიტუტის მუშაკებმა **პ. ბაბილონებმა, პ. ელიზარაშვილმა** და **კ. ლლონგმა** დაამუშავეს.

მეციტრუსეობის ეკონომიკის საკითხები განსაკუთრებით დრმად შეისწავლა **კ. ლლონგმა**. მან აჭარის კოლმეურნეობებში მეციტრუსეობის ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე დაწერა 7 სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც განხილულია ამ კულტურის განვითარების ისტორია საქართველოში, მეციტრუსეობაში მოსავლიანობისა და რენტაბელობის

გადიდების, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენებისა და სხვა აქტუალური საკითხები, გაპერებულია ბევრი საყურადღებო მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნა, სათანადო მასალისა და ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე გადრმავებულია აზრი საქართველოში მეციტრუსეობის განვითარების შესახებ, განსაზღვრულია მისი ადგილი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში, შესწავლილია ციტრუსების წარმოქბის გაფართოებისა და საერთოდ დარგის განვითარების პერსპექტივები. განსაკუთრებით გამახვილებულია უერადღება სპეციალიზაციის და დარგის შეთანაწყობის, შრომის მწარმოებლურობისა და პროდუქციის თვითდირებულების საკითხებზე, მეჩხერიანობის ლიკვიდაციის, არასრულმოსავლიანი და მოუსავლიანი პლანტაციების ხვედრითი წილის შემცირების აუცილებლობაზე. მეციტრუსეობის განვითარებისა და ეკონომიკის საკითხებზე **პ. დლონგმა** რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა ინსტიტუტის მიერ გამოცემულ სამეცნიერო კრებულებში.

აჭარის პირობებში უაღრესად აქტუალურია მებოსტნეობა-მებადნეობის კონკრეტული საკითხების შესწავლა, ამას, უპირველეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების ინტენსიური ზრდა განაპირობებს. მებოსტნეობა-მებადჩეობა მჭიდრო კავშირშია საგარეუბნო მეურნეობის პერსპექტივებთან, აგრეთვე სახნავ-სათეატრო მიწის ფონდების რაციონალური გამოყენების შესაძლებლობასთან. ამიტომ ამ საკითხებმა განყოფილების თემატიკაში ჯეროვანი ადგილი დაიკავა და საყურადღებო გამოკვლევები შესრულდა მებოსტნეობა-მებადჩეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივულობაზე.

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა, ეკონომიკის განყოფილების ყოფილმა გამგემ, აწ განსვენებულმა **თ. მიქელაშვილმა** (1972-1974 წწ.) აღნიშნულ საკითხებზე რამდენიმე ნაშრომი შეასრულა, რომლებშიც გამოკვლეულია ბათუმისა და აჭარის საკურორტო ზონის მოსახლეობის ბოსტნეულით უზრუნველყოფის წყაროები და ორგანიზაციული ღონისძიებანი, მთლიანად საგარეუბნო სოფლის მეურნეობის განვითარების აქტუალური საკითხები. ავტორმა დაასაბუთა, რომ საგარეუბნო მებოსტნეობა-მებადჩეობისა და მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარება აუცილებელია როგორც მოსახლეობისა და დამსვენებლების ახალი ხილ-ბოსტნეულით, ხორცით, რძითა და რძის პროდუქტებით უზრუნველყოფის, ისე სასოფლო-სამეურნეო მიწების და საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ამაღლებისათვის. **თ. მიქელაშვილის** ნაშრომებში სათანადო მასალების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე გამოკვლეულია ბოსტნეულითა და ბადნეულით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მდგომარეობა და დონე აჭარის ასსრ-ში, დასახულია საკურორტო ზონის მოსახლეობის ბოსტნეულით მომარაგების სეზონურობის დაძლევის გზები, გაანგარიშებულია მებოსტნეობა-მებადჩეობის სპეციალიზაციის გაღრმავებისა და კონცენტრაციის ამაღლების ეკონომიკური ეფექტიანობა, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისა და პროდუქციის თვითდირებულების შემცირების რეზურვები, დასახულია ლია და დახურული გრუნტის მებოსტნეობის განვითარების პერსპექტივები 1990 წლამდე.

სწორედ აღნიშნული ნაშრომები დაედო საფუძვლად **თ. მიქელა-შვილის** საკანდიდატო დისერტაციას – „აჭარის აგტონომიური რესპუბლიკის მებოსტნეობისა და მებაღჩეობის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები“ (1972 წ.), უფრო მოვიანებით, ამავე საკითხებზე მან გამოაქვეყნა მონოგრაფია – „მებოსტნეობისა და მებაღჩეობის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები აჭარის ასსრ-ში“ („მეცნიერება“, თბ., 1974, 128 გვ.), სადაც მდიდარი ეკონომიკურ-სტატისტიკურ მასალების გამოყენებით გაანალიზებულია აჭარის მებოსტნეობისა და მებაღჩეობის ეკონომიკის მირითადი საკითხები. ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში **თ. მიქელა-შვილმა** შეასრულა რამდენიმე მეცნიერული გამოკვლევა და გამოაქვეყნა 10-მდე მეცნიერული სტატია.

საგარეუბნო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით შესწავლილია მემცნარეობისა და მეცხოველეობის განვითარების მხრივ არსებული სიძრებულები, ქალაქ ბათუმისა და საკურორტო ზონის მოსახლეობის ხორცისა და რძის პროდუქტებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხები. აჭარისათვის, როგორც მთლიანად ჩვენი რესპუბლიკისათვის, განსაკუთრებით აქტუალურია მეცხოველეობის განვითარებისა და მისი ეკონომიკის საკითხების შესწავლა, დამატებითი რეზერვების გამონახვა მეცხოველეობის პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის. ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილების მეცნიერმა თანამშრომელმა **ლ. მიქელა-შვილმა** ამ პროდლემებს რამდენიმე საყურადღებო გამოკვლევა მიუძღვნა. ავტორმა თავის ნაშრომებში შეისწავლა ამ დარგის ადგილი და როლი რესპუბლიკის ეკონომიკაში, მისი განვითარების დონე და შესაძლებლობანი აჭარაში, წამოაყენა პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც ნაწილობრივ მის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებშიც აისახა. ავტორმა დაასაბუთა, რომ მეცხოველეობის საკვებწარმოების დარგში არსებობს ბევრი რეზერვი და საჭიროა მათი რაციონალური გამოყენება. განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მეცხოველეობის ინდუსტრიალიზაციისა და საკვებწარმოების სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის პრაქტიკაზე, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების წარმოებაში ფართოდ დანერგვის შესაძლებლობაზე.

ფაქტობრივი მასალების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ მეცხოველეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წარმოებრივი პროცესების მექანიზაცია, ტექნიკური აღჭურვილობა, წარმოების სპეციალიზაცია-პონცენტრაცია და შრომის ორგანიზაცია ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა. ამ ნაკლოვანებათა გათვალისწინებით ავტორი ყურადღებას ამასხვილებს წარმოების სპეციალიზაცია-პონცენტრაციის გაღრმავებისა და მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორის კომპლექსების შექმნის აუცილებლობაზე, როგორც შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისა და პროდუქციის თვითდირებულობის შემცირების არსებით პირობაზე წარმოების ინდუსტრიალიზაციის პირობებში.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ მკაცრად დააყენა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აგროსექტორის სოციალურ-ეკონომიკური გარ-

დაქმნების განხორციელება მოითხოვს სისტემური მიღებომის, ქვეყნის რეგიონების თავისებურების, დარგობრვი სპეციფიკისა და ტრადიციების მხედველობაში მიიღებას. ქვეყანაში და, კერძოდ, აჭარის რეგიონის აგრარული სექტორის არასახარბიელო მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა 90-იან წლების დასაწყისში, მრავალი მიზეზით იქმ განპირობებული. სწორედ ამ მიზეზების მეცნიერული ანალიზი და არსებული კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიებას მიედღვნა განყოფილების მეცნიერი თანამშრომლის **ლ. მიქელაშვილის** 1991-2006 წლების გამოკვლევები. მის მიერ ამ პერიოდში შესწავლილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ეფექტინობის პრობლემები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. განხილულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა და დინამიკა, სოფლის მეურნეობის მაპროცესი დარგების განვითარების ძირითადი მაჩვენებლები. ნაჩვენებია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და მეცხოველეობის წარმოების დონე და დინამიკა, აგრეთვე ხელმისაწვდომი სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში. დადგენილია მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და გადაადგილების ძირითადი მაჩვენებლები, კერძოდ, მიწის ნაყოფიერება და მისი გამოყენების დონე, შრომითი და მატერიალური რესურსების დანახარჯების დონე და სტრუქტურა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ბუნებრივი სავარგულების მოსავლიანობა, პირუტევის პროდუქტიულობა, აგრეთვე პროდუქციის ოვითლირებულება, წარმოებაზე გაწეული შრომითი დანახარჯები. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ფერმერული (საოჯახო) მეურნეობის განვითარების საკითხებზე, კერძოდ მატერალურ-ტექნიკურ ბაზაზე, სიდიდეზე, დაფინანსების ორგანიზაციასა და სხვა საკითხებზე. კვლევის შედეგად დადგენილია, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლაშ გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო რეგიონის მეცხოველეობის განვითარებაში, გაიზარდა ამ დარის პროდუქციის წარმოების ნატურალური და ღირებულებითი მაჩვენებლები, მაგრამ არსებული მდგომარეობა მაინც არადამაკმაყოფილებელია. ავტორის აზრით პირველ რიგში, უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის რეფორმებისათვის საჭირო სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის შექმნა და სახელმწიფოს მხრიდან სტიქიური პროცესების რეგულირება და მოქცევა გარკვეულ საკანონმდებლო ჩარჩოებში. აუცილებელია მხარდაჭერილი იქნას სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-განმტკიცება, რადიკალურად გაუმჯობესდეს საინვესტიციო გარემო და სხვა.

ინსტიტუტში მეცნიერული საქმიანობის პერიოდში აჭარის მეცხოველეობის განვითარების პრობლემებს **ლ. მიქელაშვილმა** მიუძღვნა 20-მდე მეცნიერული გამოკვლევა, რამდენიმე მონოგრაფია, 30-ზე მეტი მეცნიერული სტატია, სამეცნიერო კონფერენციებსა თუ სესიებზე წარდგენილ მოსსექნებათა ოქნისები და სხვა. გამოქვეყნებული მონოგრაფიებიდან ყურადღებას იმსახურებს – „**აჭარის ასსრ საზოგადოებრივი მეცხოველეობის ეკონომიკის საკითხები**“ („საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1987, 130 გვ.). ნაშრომში შესწავლილია აჭარის საზოგადოებრივი მეცხოველეობის არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების ტენდენციები. გაანალიზებულია მეცხოველეობის დარგობრივი სტრუქტურისა და დინამიკის, შრომის ნაყოფიერების, მეცხოველეობის ოვით-

ღირებულებისა და რენტაბელობის, ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების, წარმოების ინტენსიფიკაციისა და დარგის სპეციალიზე-ცია-კონცენტრაციის საკითხები. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული მეცნეველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისა და მოსახლეობის მეცნეველეობის პროდუქტებით დაქმაყოფილების პრობლემებზე. მდიდარი ეკონომიკურ-სტატისტიკური მასალების საფუძველზე ნაჩვენებია დარგის განვითარების პრესკექტივები.

ინსტიტუტში მნიშვნელოვანი კალეგა-ძიება განხორციელდა აჭარის მრეწველობისა და მშენებლობის დარგების ეკონომიკური პრობლემების შესასწავლად. საყურადღებო გამოკვლევები დაიწერა, მაგალითად, აჭარის მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებისა და ეკონომიკის საკითხებზე. კერძოდ, პირველად ინსტიტუტში დამუშავდა ავტონომიური რესპუბლიკის საშენი მასალებისა და კონსტრუქციების წარმოების განვითარების საკითხები ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე, გაანალიზებული იქნა ამ დარგის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები და შემუშავდა რეკომენდაციები მათ გამოსაყენებლად.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში საქმაოდ ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში (1959-1969 წ.წ.) აღნიშნული დარგის განვითარებისა და ეკონომიკის საკითხების კვლევა-ძიებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტის ყოფილი სწავლელი მდივანი, ეკონ. მეცნ. კანდიდატი აწ განსაკენებული დ. მოურავიძე. აჭარაში მშენებლობისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების საკითხებზე მან ათზე მეტი გამოკვლევა დაწერა. ამ ნაშრომებში შესწავლილია საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების დარგში შრომის მწარმოებლურობის ამაღლების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, პროდუქციის თვითდირებულების შემცირების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის, საწარმოთა რენტაბელობის დონისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკითხები.

ხსნებული გამოკვლევები საინტერესოა რეგიონული ჭრილის შერჩევის თვალსაზრისით. ავტორი იკვლევს საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების პერსპექტივებს, მათ მოთხოვნა-მიწოდებისა და რესპუბლიკის საშენ მასალათა წარმოების სანედლეულო ბაზის, ახალ საწარმოთა მშენებლობის, უფრო ეფექტური ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების ათვისების საკითხები.

აღნიშნულთან ერთად დ. მოურავიძემ ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში გამოქვეყნა რამდენიმე თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის სტატია პროდუქციის თვითდირებულების კატეგორიის არსისა და გამოვლინების ფორმების, მისი ელემენტების, სტრუქტურისა და ადრიცხვის სრულყოფის შესახებ. აგრეთვე მონოგრაფია „პროდუქციის თვითდირებულების შემცირების საკითხები საშენ მასალათა მრეწველობაში“ („მეცნიერება“, თბ., 1965, 240 გვ). აღნიშნულ მონოგრაფიაში, რომელიც საფუძვლად დაედო ამავე სახელწოდების მისივე საკანდიდატო დისერტაციას (1966 წ.), სადაც პირველადაა შესწავლილი მძიმე მრეწველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის – საშენ მასალათა მრეწველობის – წარმოების დანახარჯთა შემცირების ყველა საკანდიდატო საკითხი. მასში განხილულია პროდუქციის თვითდირებულების არსი და შემცირების მნიშვნელობა საერთოდ, და განსაკუთ-

რებით, საშენ მასალათა მრეწველობაში; დახასიათებულია საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობა, მისი პროდუქციის თვითდირებულების დინამიკა, საწარმოთა რენატაბელობა და ფინანსური მდგრმარეობა. საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის ძირითადი დარგების საწარმოთა მუშაობის გამოცდილებისა და ახალი სტატისტიკურ-ეკონომიკური მასალების განზოგადების საფუძველზე შესწავლილია წარმოების დანახარჯთა სტრუქტურა, მისი თავისებურებანი და ძირითადი ტენდენციები საშენ მასალათა მრეწველობაში, მოცემულია თვითდირებულების მოძრაობის განმსაზღვრელ ფაქტორთა ანალიზი და მათი კლასიფიკაცია, გამოკვლეულია საშენ მასალათა თვითდირებულების შემცირების რეზიუმები და დასახულია კონკრეტული გზები მათ ასათვისებლად.

ინსტიტუტმა საკვლევი პრობლემების სფეროში, როგორც ითქვა, იმთავითვე მოაქცია აჭარის ჩაის მრეწველობის ეკონომიკის საკითხები. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს **ი. ბაჟვაძის** ნაშრომები ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების საკითხებზე. წლების განმავლობაში (1959-1963 წწ.) იგი იკვლევდა ჩაის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და წარმოების დანახარჯთა შემცირების, შრომის ორგანიზაციისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხებს. ამ კვლევის შედეგები ასახულია მის მიერ შესრულებულ მეცნიერულ ნაშრომებში და გამოქვეყნებულ სტატიებსა და მონოგრაფიაში.

დ. მოურავიძის ინსტიტუტიდან წასვლის შემდეგ, აჭარის რეგიონის საშენ მასალათა ეკონომიკის საკითხების კვლევაზე მუშაობას შეუდგა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი **ნ. ჩუბინიძე**. მან ინსტიტუტში მუშაობის (1974-1993 წწ.) მანილზე, დაასაბუთა საშენი მასალების წარმოებისათვის ადგილობრივი რესურსების ათვისების, უფლებისათვის, კაპიტალური მშენებლობის საშენი მასალით უზრუნველყოფის, რეგიონში მშენებლობის ინდუსტრიული ბაზრის დაგეგმვის და ფორმირების სრულყოფის, სამშენებლო წარმოების კომპლექსური განვითარების, საშენ მასალათა მრეწველობაში წარმოებისა და ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის, დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის, მშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობის ზრდის ტემპების თანაფარდობისა და ეკონომიკის სხვა აქტუალური საკითხები. ამასთან ერთად, მან ერთ-ერთმა პირველმა გაანალიზა რეგიონის სახალხო მეურნეობაში ძირითადი საწარმოო ფონდების მოქმედებაში შეყვანის პრობლემები და კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურის სრულყოფის გზები. მის გამოკვლეული აჭარის კაპიტალური მშენებლობა შესწავლილია მისი ინდუსტრიული ბაზის განვითარების თავისებურებებთან, სპეციალიზეციასთან, სამშენებლო წარმოების ინდუსტრიალიზაციასთან, პროგრესული საწარმო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან და სამშენებლო წარმოების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საკითხებთან მჭიდრო კავშირში. აღნიშნულ პრობლემებზე **ნ. ჩუბინიძე** დაწერა 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი და ამდენივე სამეცნიერო სტატია, მოხსენებათა თეზისი და სხვა სამეცნიერო პუბლიკაციები. ინსტიტუტში წარმოებული გამოკვლევები დაედო საფუძვლად **ნ. ჩუბინიძის** საკანდიდატო დისერტაციას –

„საშენ მასალათა წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა რეგიონში“ (1989 წ.). ნაშრომში პირველადაა განხილული საშენ მასალათა მრეწველობა კაპიტალურ მშენებლობასთან უშუალოდ კავშირში, როგორც მისი ინდუსტრიული ბაზის განვითარების უმთავრესი პირობა, გაანალიზებულია წარმოების ეფექტიანობის უმთავრესი მაჩვენებლები: ფონდურუგება, ფონდტევადობა, შრომის ნაყოფიერება, მატერიალური და შრომითი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე და მასზე მოქმედი ფაქტორები. რეგიონის საშენ მასალათა მრეწველობის ეფექტიანობის კვლევისას ანალიზის ტრადიციულ მეთოდებთან ერთად გამოყენებულია კორელაციურ-რეგრესიული მეთოდები. გამოკვლევაში შემოთავაზებულია წინადაღებები და რეკომენდაციები, რომლებიც ითვალისწინებენ საშენ მასალათა მრეწველობაში ეფექტიანობის რეზერვების გამოვლენას დაგეგმვის და მართვის სრულყოფისა და წარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველზე.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა აჭარის რეგიონის სამრეწველო და სამშენებლო კომპლექსების ცალკეული დარგების შესასწავლად ინსტიტუტების განყოფილების გამგე, გკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოკონტი ჟ. მიქაშავიძე. მან დრმად შეისწავლა (1976-1980 წწ.) საქართველოსა და მათ შორის აჭარის ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის განვითარების შესაძლებლობანი, მისი სანედლეულო და ტექნიკური ბაზა, დარგის საწარმოებში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის ეფექტიანობა, პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის სრულყოფის საკითხები, წარმოების რენტაბელობის ამაღლების პრობლემები. ჟ. მიქაშავიძის მიერ გაწეული კვლევის შედეგები აისახა მის სტატიებში და საკანდიდატო დისერტაციაში – „წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები დარგთაშორის კომპლექსებში“ (საქართველოს ფეხსაცმლის კომპლექსის მასალებზე, 1979 წ.). გამოკვლევაში პირველად იქნა განხორციელებული დარგთაშორის კომპლექსში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების კომპლექსური ანალიზის მეთოდისა და მეთოდოლოგიის სრულყოფის ძირითადი დებულებების განსაზღვრა და ამ რეზერვების გამოვლენა საქართველოს ფეხსაცმლის საწარმოო კომპლექსში.

ნაშრომში განსაზღვრულია წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის არსი დარგთაშორის კომპლექსში და დაგენილია მისი მაჩვენებლების ურთიერთყავშირი; დადგენილია დარგთაშორისი ფეხსაცმლის საწარმოო კომპლექსის ცნება და განსაზღვრულია მისი განვითარების ეტაპები საქართველოს ტერიტორიაზე; კლასიფიკაცია მიეცა ეკონომიკური ანალიზის მეთოდებს, რომლებიც გამოყენებული იქნა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების კვლევისას დარგთაშორის კომპლექსის ჩარჩოებში; დამუშავდა და ექსპერიმენტაციურად შემოწმდა საქართველოს ფეხსაცმლის საწარმოების მასალებზე შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის მასალათტევადობის შემცირების, ფონდურუგების ამაღლების, პროდუქციის თვითდირებულების შემცირებისა და წარმოების რენტაბელობის ზრდის რეზერვების გამოვლენის მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია რეგრესული და ფაქტორული ანალიზისა და ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებაზე. დამუშავდა და ექსპერიმენტაციურად შემოწმდა დარგის განვითარების ხან-

გრძლივრადიანი პროგნოზების მეთოდიკა საწარმო ფუნქციების გამოყენების საფუძველზე.

ნაშრომის პარაპტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტორული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ფეხსაცმლის წარმოების ეფექტიანობის ზრდის რეზერვები სამამულო და საზღვარგარეთული მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით; გამოვლენილია წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უმთავრესი მიმართულებები საქართველოს ფეხსაცმლის დარგთაშორის კომპლექსში; დამუშავებულია პროდუქციის მასალატევადობის შემცირების, დეფიციტური ძვირადლირებული ტრადიციული მასალების ახალი, უფრო პროგრესული, იაფი ხელოვნური მასალებით შეცვლის საკითხები; დასაბუთებულია პროდუქციის შრომატევადობის შემცირების და საწარმოო სიმძლავრეების ინტენსიფიკაციის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, პროდუქციის ასორტიმენტის არსებითი ცვლილების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დანერგვის ძირითადი მიმართულებები; განისაზღვრა დარგში ფონდუგუგების და საწარმოო სიმძლავრეების ამაღლების გზები; შემოთავაზებულია დარგის განვითარების ძირითადი ტენდენციების პროგნოზი.

1981-1990 წლებში ჟ. მიქაშავიძე შეუდგა აჭარის მსუბუქი მრეწველობისა და მთლიანად რეგიონის მრეწველობის ეკონომიკის ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლების პრობლემების ინტენსიურ კვლევას. მან გამოიკვლია ჯერ მსუბუქი და შემდეგ მთელი რეგიონის მრეწველობის ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების, წარმოების საბრუნავი ფონდების ბრუნვადობის დაჩქარების, ძირითადი და დამხმარე მასალების გამოყენების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის თვითდირებულების შემცირებისა და წარმოების რენტაბელობის ამაღლების ფაქტორები და რეზერვები. შეიმუშავა წინადადება-რეკომენდაციები ამ რეზერვთა ათვისებისთვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და წარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველზე. ჟ. მიქაშავიძემ ამ პრობლემას მიუძღვნა 10-მდე მეცნიერული გამოკლევა და ამდენივე მეცნიერული სტატია.

ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების თანამშრომლები 1991-2007 წლებში აგრძელებდნენ მუშაობას აჭარის რეგიონში ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანების საკითხების შესწავლაზე. კერძოდ, განვლილ პერიოდში განყოფილებაში ეკონომიკური კვლევის მიმართულებით შესწავლილი იქნა წვენს ქვეყანაში და, კერძოდ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები, გაანალიზებულია მთლიანად რეგიონის და მისი უმნიშვნელოვანების დარგების გარდამავალი ეკონომიკის სიმძლეები, შექმნილი ენერგეტიკული, სანედლეულო, ტექნიკური და ფინანსური კრიზისი. ნაჩვენებია კრიზისის დაძლევის გზები საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბების დაჩქარების, რეგიონული მართვისა და დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების, საწარმოო რეზერვების უფრო სრულიად გამოყენების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და სხვა ფაქტორების საფუძველზე. კერძოდ, ჟ. მიქაშავიძის მიერ აღნიშნულ პერიოდში შესწავლილია გარდამავალი ეკონომიკის პირობებში აჭარის ტექნიკური პროგრესის საბაზო

დარგების – მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობისა და ინვესტიციურ-სამშენებლო კომპლექსის საქმიანობის მდგრმარეობა და განვითარების პერსპექტივები. გაანალიზებულია აღნიშნული დარგების წარმოების ტექნიკური დონის, პროდუქციის გამოშვებისა და ასორტიმენტის სრულყოფის, ძირითადი ფონდებისა და მისი აქტიური ნაწილის ინტენსიური განახლებისა და მოდერნიზაციის საკითხები. ნაჩვენებია შრომის ნაყოფიერების ზრდის, ძირითადი ფონდებისა და საწარმო სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესების, წარმოების ინტენსიფიკაციის, ეფექტიანობის ამაღლებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები.

გამოკვლევის შედეგად დადგენილია, რომ 90-იან წლებში საქართველოში განვითარებულმა პროცესებმა – საბჭოთა კავშირის დაშლამ და ტრადიციულად ჩამოყალიბებული საწარმოო კავშირების მოშლამ, არსებული რესურსებისა და გასაღების უზარმაზარი ბაზრის დაკარგვამ, სამოქალაქო ომმა და სხვა ნებატიურმა მოვლენებმა უარყოფითად იმოქმედა მთლიანად ჩვენი ქვეყნისა და კერძოდ, აჭარის ეკონომიკაზე. კატასტროფულად დაუცა რეგიონის სამრეწველო და პირველ რიგში მანქანათმშენებლობის, ქიმიური და საშენ მასალათა მრეწველობის, აგრეთვე ინვესტიციურ-სამშენებლო კომპლექსის პოტენციალი, მათი ეფექტიანობა, დასაქმება და საბიუჯეტო შემოსავლები. ამის შედეგად საკვლევი დარგების და მთლიანად რეგიონის ეკონომიკა მოიცვა მძიმე საწარმოო, საფინანსო-ეკონომიკურმა და მენეჯმენტის კრიზისში, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო ურთითობებზე თანდათანობითმა გადაყვანამ, ეროვნულ მეურნეობაში მოქმედ საკანონმდებლო აქტებში სათანადო ცვლილებების შეგანაშ გარკვეულ წილად შეცვალა ეკონომიკური პოლიტიკა, შერბილდა არსებული კრიზისული სიტუაცია, შეჩერდა წარმოების დაცემის ტენდენცია და 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო მთლიანად რეგიონის და მათ შორის საანალიზო დარგების წარმოების ერთგვარი აღმავლობა, რაც კიდევ უფრო ნათლად გამოიხატა ვარგების რევოლუციის შემდეგ.

გამოკვლევის საფუძველზე ნაჩვენებია საკვლევი დარგების განვითარების გზები და პერსპექტივები. ესაა რეგიონის ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობების რეალური განხორციელება და გაღრმავება საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაცია და რესტრუქტურიზაცია, სამეწარმეო და საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღება, მეწარმეთა ინტერესების დაცვა, სახელწიფო რეგიონული პოლიტიკის გაძლიერება, სამეწარმეო საქმიანობის შემდგომი განვითარება, დღეისათვის ჩამოყალიბებული ეკონომიკური სისტემის რეფორმირება და სხვ. საკვლევი დარგების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს უკრაზიის სატრანზიტო დერეფნის სრული სიმძლავრით ამოქმედება, რომელიც არ იქნება შემოფარგლული მარტო სატრანსპორტო-სავაჭრო ფუნქციით და ბიძგს მისცემს მრეწველობის, ტრანსპორტის, ინვესტიციურ-სამშენებლო კომპლექსისა და სხვა დარგების ინტენსიურ განვითარებას. **ჟ. მიქაშავიძემ** ინსტიტუტში მუშაობის ხანგრძლივი პერიოდის (1976-2007 წწ.) მანძილზე შეასრულა 30-მდე სერიოზული მეცნიერული გამოკვლევა რეგიონის ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე, გამოაქვეყნა 70-მდე მეცნიერული სტატია, სამეცნიერო კონფერენციებსა

თუ სესიებზე წაკითხულ მოხსენებათა თეზისები, რეცენზიები, გამოხატულებები და სხვა პუბლიკაცია.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან სულ უფრო ძლიერდებოდა ტენდენცია ქვეყნის ეკონომიკისა და კერძოდ მრეწველობის ეფექტიანობის ამაღლებისა და მისი ინტენსიური გზით განვითარებისადმი. აქედან გამომდინარე, ინსტიტუტის თემატიკაში მეტად საინტერესო საკითხი იქნა შემოტანილი – აჭარის რეგიონის სამრეწველო კომპლექსის საწარმოო აპარატის ეფექტიანობის ამაღლებისა და ინტენსიფიკაციის პროცესის მეტადლემები. ამ პროცესის შესწავლას 1987 წლიდან შეუდგა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი ა. მახაძე ასპირანტურის დამთავრების შემდეგ. მან საფუძვლიანად გამოიკვლია აჭარის რეგიონის სამრეწველო კომპლექსის საწარმოო აპარატის კვლავწარმოების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და დარგის ეფექტიანობის ამაღლების ინტენსიფიკაციის გზები და მიმართულებანი. ამ საკითხებს მიუძღვნა მან რამდენიმე გამოკვლევა, მეცნიერული სტატია და საკანდიდატო დისერტაცია „სამრეწველო წარმოების ინტენსიფიკაციის მართვა აჭარის ასსრ-ში“ (1988 წ.).

სადისერტაციო ნაშრომში პირველად იქნა კომპლექსურად შესწავლილი აჭარის სამრეწველო წარმოების რეზერვების მართვის სისტემა, დაზუსტებულია ინტენსიფიკაციის რეგიონული რეზერვების სტრუქტურა და ურთიერთკავშირი. გამოკვლევაში განსაზღვრულია სამრეწველო საწარმოების დონეზე წარმოების ინტენსიფიკაციის ისეთი ფაქტორების გავლენა, როგორიცაა დარგობრივი თავისებურება, დაქვემდებარებების ფორმა, სამომხმარებლო მოთხოვნის ხარისხი და მოცულობა, საწარმოს რეზერვების რაოდენობა და ათვისების თავისებურება და სხვა. დადგენილია სამრეწველო წარმოების ინტენსიფიკაციის რეგიონული რეზერვების დონე, ხასიათი, როლი და მათი ამოქმედების თანმიმდევრობა; დასაბუთებულია სამრეწველო საწარმოების რეგიონული პროგრამის შემუშავების აუცილებლობა, ნაჩვენებია პრობლემათა წრე, რომელიც განხილული უნდა იყოს ამ პროგრამის ჩარჩოებში, დასახულია მისი დამუშავების პროცედურა. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაზე, რომ დისერტაციაში შემუშავებულია რეგიონული რეზერვების გამოყენების კონკრეტული რეკომენდაციები და ლონისძიებები, რომელთა რეალიზაცია ხელს შეუწყობს აჭარის სამრეწველო წარმოების ინტენსიფიკაციისა და კომპლექსურობის ამაღლებას, რაც შესაძლებელია წარმატებით იქნას გამოყენებული აგრეთვე მრეწველობაში სხვა, შედარებით მცირე ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებისთვისაც.

1995-2005 წლებში ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. მახაძე შეუდგა აჭარის რეგიონში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების კანონზომიერებების ინტენსიურ კვლევას. ამ პერიოდისათვის მის მიერ შესწავლილი იქნა საბაზრო ეკონომიკის პირობებში აჭარის რეგიონის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების, საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროპორციებისა და სტრუქტურის სრულყოფის, წარმოების მოცულობის ზრდის, უმუშევრობის დონის და შრომითი რესურსების გამოყენების, რეგიონის ბაზრებსა და ბაზრობებზე ფასების ფორმირების, აჭარის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და რეგიონის ტრანსპორტით უზრუნველყოფის და სხვა საკითხები.

დადგენილია, რომ რეგიონის ეკონომიკის განვითარებაზე მეტად უარყოფითი როლი ითამაშა ქვეყანაში განვითარებულმა ცნობილმა მოვლენებმა, ერთიანი ეკონომიკური სივრცის დაკარგვამ, აჭარის რეგიონში ჩამოყალიბებულმა კლანურ-მაფიოზური სისტემის იზოდაციონისტურმა პოლიტიკაში ქვეყნის მიმართ. ამის შედეგად, რეგიონი აღმოჩნდა მძიმე და ყოველმხრივი კრიზისის წინაშე. ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ საბაზრო რეფორმების აბრით მოხდა ქონების გადანაწილება და რეგიონის ეკონომიკის მონოპოლიზაცია საზოგადოების მცირე გავლენიან ჯგუფებს შორის. ამ სახით ჩატარებულმა „ეკონომიკურმა რეფორმაში“ დადგებითი შედეგი ვერ გამოიღო. ატასტროფულად დაცვა რეგიონის უმნიშვნელოვანებს დარგთა წარმოების მოცულობა და მისი ეფექტურობა, დასაქმება, მოსახლეობისა და ბიუჯეტის შემოსავლები. კვლავ გრძელდებოდა მწვავე საწარმოო, სტრუქტურული, ორგანიზაციული, სანედლეულო, ენერგეტიკული, პროდუქციის გასაღების, საინკუსტიციო, მენეჯმენტის კრიზისი და სხვ. ბევრი საწარმო საერთოდ ლიკვიდირებული იქნა, ან ასეთი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამასთან ერთად, ვარდების რევოლუციის შემდეგ აჭარა რეალურად დაუბრუნდა ქართულ სივრცეს. ამ დროიდან რეგიონში შეინიშნება ეკონომიკის გამოცვლება და სამრეწველო და აგრარული კომპლექსების, ენერგეტიკის და ვაჭრობის გარკვეული განვითარება, აგრეთვე ტრანსპორტის ერთგვარი აღმავლობა, რაც ამიერკავკასიის სატრანსპორტო დერეფნისა და ე.წ. „აბრეშუმის გზის“ განვითარებას უკავშირდება.

გამოკვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა რეგიონის შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ. იგი ეფუძნება ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობის განვითარების, სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციისა და რესტრუქტურიზაციის გადრმავების, სამეწარმეო და საინკუსტიციო კლიმატის ხელშემწყობი პირობების ჩამოყალიბების, საზოგადოებრივი კვლავწარმოების დარგობრივი პროპრიეტების და სტრუქტურის სრულყოფის, ევრაზიის დეველოპინგის ფუნქციონირების გააქტიურებისა და რეგიონის სატრანსპორტო სისტემის არსებული პოტენციალის სრულად გამოყენების, ტურისტულ-საკურორტო მეურნეობის ამოქმედების პერსპექტივებს. ინსტიტუტში საქმიანობის პერიოდში ა. მახაძემ 15-ზე მეტი სერიოზული გამოკვლევა განახორციელდა. კვლევის შედეგები გამოაქვეყნა 20-მდე სამეცნიერო სტატიაში, სამცნიერო კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებათა თეზისებში, რეცენზიებში და სხვა პუბლიკაციებში.

ქვეყნის ეროვნული მეურნეობის სისტემაში და მათ შორის რეგიონების ეკონომიკაში კაპიტალური მშენებლობას უმნიშვნელოვანების აღგილი უჭირავს, რადგანაც იგი უზრუნველყოფს ყველა დარგის ძირითადი კაპიტალის ნივთობრივი ელემენტების კვლავწარმოებას. ამ დარგის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განვითარების გარეშე წარმოუდგენელია არა მარტო რომელიმე დარგის, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკის კრიზისისაგან გამოსვლა და აღორძინება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალური მშენებლობის განვითარებას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. სწორედ ამიტომ, 2000 წელს ინსტიტუტის თემატიკაში შემოვიდა ასალი საკითხი – კაპიტალური მშენებლობის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები

საბაზრო ურთიერთობის პირობებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში. ამ საკითხის შესწავლას შეუდგა ახალგაზრდა მეცნიერი თანამშრომელი, ეკონ. მეცნ. კანდ. პ. ჩაგანაგა. მან 2000-2007 წწ. საფუძვლიანად შეისწავლა: საქართველოს კაპიტალური მშენებლობის სტრუქტურა და მისი თავისებურებები აჭარაში; რეფორმების ძირითადი მიმართულებები აჭარის კაპიტალურ მშენებლობაში და მისი განხორციელების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები; ლიზინგის გამოყენებისა და იპოთეკური დაკრედიტების განვითარების პირობები რეგიონში და სახელმწიფოს ჩარევის საზღვრები კაპიტალურ მშენებლობაში; რეგიონის კაპიტალურ მშენებლობაში მიმდინარე ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესები – სამშენებლო ობიექტების პრივატიზაციის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლისა და საკუთრების მრავალფეროვნების ჩამოყალიბების, ფასების ლიბერალიზაციისა და მშენებლობის ბაზრის ფორმირებისა და სხვა საკითხები; გაანალიზებულია ეკონომიკური რეფორმების პროცესში დაშვებული შეცდომები და ნაჩვენებია მისი გადაჭრის გზები; დასაბუთებულია მთლიანად ქვეყანაში და კერძოდ აჭარის რეგიონის კაპიტალურ მშენებლობაში სახელმწიფო რეგულირების საზღვრები და საბაზრო ურთიერთობის ფორმირების კანონზომიერებები.

ინსტრუქტიში განხორციელებული კვლევა-ძიების შედეგად პ. ჩაგანავაშ შეასრულა 10-მდე მეცნიერული გამოკვლევა, გამოაქვეყნა 15-ზე მეტი მეცნიერული სტატია, მოამზადა და დაიცა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „რეგიონში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში მშენებლობის დარგის ეფექტიანობის ამაღლების მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები აჭარაში” (2006 წ.).

ნაშრომში გამოკვლეულია რეგიონში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში მშენებლობის დარგის ეფექტიანობის ამაღლების მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები აჭარაში. შესწავლილია აჭარის კაპიტალურ მშენებლობაში ეკონომიკური ურთიერთობის ტრანსფორმაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები. დასახულია გარდამავალ პერიოდში აჭარის სამშენებლო ბაზრის ეფექტიანობის ამაღლების ამოცანა და გარკვეულია მისი პირობები.

დისერტაციაში გაანალიზებულია აჭარის მშენებლობაში საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესი, დადგენილია, თუ რამდენად განსხვავდება რეალური სიტუაცია იდეალური გარიანტისაგან. დადგენილია ასევე გარდამავალ პერიოდში რეგიონის სამშენებლო ბაზრის ეფექტიანობის ზრდის ამოცანა. ნაშრომში განსაზღვრულია ახალი ტერმინები – „სტატიკური ეფექტიანობა” და „დინამიური ეფექტიანობა”. დასაბუთებული იქნა აჭარის სამშენებლო ბაზრის ეფექტიანობის გადიდების მიზნით მშენებლობაზე რეგიონული მოთხოვნისა და სამშენებლო პროდუქციის რეგიონული მიწოდების კომპლექსური რეგულირების აუცილებლობა და მის საფუძველზე დარგის ეფექტიანად მუშაობის პირობები და თეორიული პრინციპები. ნაჩვენებია კაპიტალურ მშენებლობაში რეალურად არსებული მდგომარეობა, პრობლემები, მათი წარმოშობის მიზეზები და არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ინტეგრაცია წარმოადგენს საწარმოო ძალების განვითარების და წარმოების გაფართოების მნიშვნელოვან ეტაპს. იგი მტკიცება საფუძველს ქმნის რიგი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების ეფექტური გადაჭრისათვის და გააჩნია როგორც პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული მნიშვნელობა. აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის მოსახლეობის - სურსათით, ხოლო კვების მრეწველობის - ნედლეულით უზრუნველყოფა. ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია დარღვით არსებული საწარმოო პოტენციალის სრულად და უდანაკარგოდ გამოყენებით. ასეთი სახის ამოცანები გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ჩვენი ქვეყნისა და მათ შორის აჭარის რეგიონის წინაშე. ამ პრობლემის გადაჭრა განსაკუთრებით აქტუალურია დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირობებში, რადგანაც იგი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და უზრუნველყოფს მის სასურსათო უსაფრთხოებას. სწორედ ეს გარემოებები დაედო საფუძვლად ინსტიტუტის საკვლევ თემაზე ახალი საკითხის - აჭარის ასერ აგროსამრეწველო კომპლექსის რეგიონული თავისებურებები და მისი ეფექტიანობის დონე - შემოტანას. ამ საკითხის შესწავლა დაიწყო მეცნიერმა თანამშრომელმა **თ. ჟიუაგაძემ**. მან განვლილ პერიოდში (1987-1990 წწ.) გულდასმით შეისწავლა ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული თავისებურებანი. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აგროსამრეწველო კომპლექსის დარგთაშირისი კავშირების სრულყოფის გზებისა და ჩაისა და ციტრუსების ქამატდებების ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზს. მის მიერ გამოკვლეულია აჭარის აგროსამრეწველო კომპლექსის ჩაისა და ციტრუსების ქვეკომპლექსის ეფექტიანობის დონე და მაჩვენებლები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. დადგენილია პროდუქციის შრომაზევადობის შემცირების, ფონდურების ზრდის, საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების და სხვა საკითხები ტექნიკური პროგრესის ძირითად მიმართულებებთან ურთიერთყავშირში. ნაჩვენებია აჭარის აგროსამრეწველო კომპლექსის ჩაისა და ციტრუსების ქვეკომპლექსის განვითარების პერსპექტივები საბაზო ურთიერთობების პირობებში. დასაბუთებულია წინადაღება - რეკომენდაციები ჩაისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის, როგორც სტრატეგიული პროდუქტის, წარმოება-გადამუშავების გაზრდისა და მისი საექსპორტო უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი მდგრმარეობისათვის მეტად მნიშვნელოვანია უველა რეგიონისა და ეკონომიკური ზონის დაქარებული განვითარება. ამ მხრივ უდიდესი როლის შესრულება შეუძლია ზღვის სანაპირო სუბტროპიკულ ზონას თავისი შესანიშნავი ჰავით, საინტერესო არქიტექტურული მემკვიდრეობით, თვალწარმტაცი ლანდშაფტითა და უნიკალური ბუნებით, რომელსაც ჯერ კიდევ მთლიანად არ შეხებია ტექნიკური პროგრესის უარყოფითი შედეგები. ჩვენი ქვეყნის ზღვისპირეთის ეკონომიკის განვითარების საქმეში დიდი როლი ეკუთვნის ტურიზმს. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების სათანადოდ გამოყენებას. საქართველო თავისი უნიკალური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით

უდიდეს შესაძლებლობას იძლევა, რომ ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი ტურისტული სახელმწიფო იყოს. საქართველოს ეკონომიკის ამ პრიორიტეტული მიმართულების ცხოვრებაში განხორციელებას კი სათანადო მეცნიერული კვლევა-ძიება სჭირდება. სწორედ ამიტომ, ინსტიტუტის კვლევის თემატიკას დაემატა კიდევ ერთი მქმად საინტერესო საკითხი – საქართველოს ზღვისპირეთის ეკონომიკა და ტურიზმის განვითარების პრობლემები (აჭარის ავტონომიური ოესპუბლიკის მასალების მიხედვით). ამ პრობლემების მეცნიერულ შესწავლას ხელი მოჰკიდა თ. ჟიჟავაძემ (1991-2004 წწ.). მის მიერ განვლილ პერიოდში ლიტერატურული წყაროებისა და ეკონომიკურ-სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით გამოკვლეულია საქართველოს ზღვისპირეთის ეკონომიკის მდგომარეობა, განვითარების დონე, დინამიკა, სტრუქტურა. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ზღვისპირეთის ინფრასტრუქტურის თანამედროვე მდგომარეობაზე და არსებულ ნაკლოვანებებზე. განსაზღვრულია ბუნების დაცვისა და საქართველოს ზღვისპირეთის ეკონომიკური ზონის ეკოლოგიური მდგომარეობის აქტუალური საკითხები – ეკონომიკური აქტიურობისა და ეკოლოგიურ წონასწორობის დარღვევას შორის ურთიერთკავშირი, ზიანი, რომელსაც აუქნებს ზღვისპირეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიას არასამართლებრივი ეკონომიკური საქმიანობა – უკანონო მშენებლობა, ხე-ტყის უნებართვო დამზადება, ქვეყნის ფლორისა და ფაუნისადმი მტაცებლური დამოკიდებულება, ზღვაში ქალაქის საწარმოებიდან და მოსახლეობიდან გაუშმენდავი ჩანადენი წყლები და ა.შ. ნაჩენებია ამ ნაკლოვანებების დაძლევის და ზღვისპირეთის ეკონომიკის აღორძინების გზები ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების საფუძველზე. უახლესი პერიოდის გამოკვლეულია გაანალიზებული ტურიზმის როლი ეკონომიკის გაძლიერებაში. განსაკუთრებული ურადღებაა გამახვილებული ზღვისპირეთის კურორტების რეაბილიტაციისა და ახლის მშენებლობის პერსპექტივაზე, მის მნიშვნელობაზე შრომითი რესურსების დასაქმებისა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაში; დასაბუთებულია ტურიზმის აღმავლობისათვის განვითარებული ინფრასტრუქტურის როლი და მნიშვნელობა, საბაზრო ეკონომიკის ელემენტების – მენეჯმენტის, ბიზნესისა და მარკეტინგის – დანერგვის აუცილებლობა, საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პრიორიტეტულობა, ტურიზმის განვითარების სახელწიფო პროგრამის შემუშავების აუცილებლობა და სხვ. თ. ჟიჟავაძემ ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში საკვლევ პრობლემებს მიუძღვნა 15-მდე სერიოზული მეცნიერული გამოკვლევა და გამოაქვეყნა ამდენივე მეცნიერული ნაშრომი და სამეცნიერო კონფერენციებზე და სესიებზე წაკითხული მოხსენებათა თეზისები.

საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე მთლიანად ჩვენს ქვეყანაში და მის ცალკეულ რეგიონებში საბაზრო გარდაქმნების წარმატებით განხორციელებისა და ეკონომიკური კრიზისის დაძლევის საქმეში მთავარი ინსტრუმენტია ფინანსები, რომლის უმნიშვნელოვანები რგოლია სახელწიფო ბიუჯეტი. მას თანამედროვე პირობებში უდიდესი ფუნქციები ეკისრება ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური მართვის თვალსაზრისით. ამიტომ ჩვენი აზრით, საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში თემის – აჭარის ბიუჯეტის შემოსავლებისა

და გასავლების ფორმირების პროცესის კვლევას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამიტომ ამ პროცესის შესწავლა დაევალა განყოფილების ახალგაზრდა უფროს მეცნიერ თანამშრომელს ბ. ბოლქვაძეს, რომელიც ინსტიტუტში 2006 წლიდან შეუდგა მეცნიერულ საქმიანობას. ამ მუშაობის პრზიტიური შედეგები უსათუოდ კონკრეტული წვლილი იქნება რეგიონის საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის ეკონომიკის მეცნიერულ შესწავლაში.

განყოფილებაში ეკონომიკურ საკითხებზე შესრულდა აგრეთვე სხვა გამოკვლევებიც, რომლებიც აჭარის შრომითი რესურსების ფორმირებას და მათი გამოყენების ეფექტიანობას შეეხება. აჭარის მოსახლეობისა და შრომითი რესურსების, მოსახლეობის სიკვდილიანობის, შობადობის, სქესობრივასაკობრივი სტრუქტურის, მთიან რაიონებში შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და სხვა საკითხებზე ინტენსიურად მუშაობდა უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი შ. ართმელაძე. ამ კვლევის შედეგებმა ასახვა პპოვეს სათანადო ჰუბლიკაციებსა და რეკომენდაციებში.

1973-1975 წწ. ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილების ინიციატივით დამუშავდა თემა – მართვის ავტომატიზირებული სისტემის შექმნა და დანერგვა აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში (ხელმძღვანელი უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ა. ართმელაძე). ამგვარი სისტემების ფუნქციონირებას იმ დროისათვის დიდ მოთხოვნებს უკენებდა მთელი ქვეყნის სახალხო მეურნეობა.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ინსტიტუტის თემატიკას კიდევ ერთი საინტერესო საკითხი შეემატა, ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა 6. ვერულიძემ დაიწყო აჭარის აგრარული მეურნეობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების ეფექტიანობის კვლევა (1981-1984 წწ.). მან ოთხი წლის მანძილზე, სათანადოდ გამოიკვლია ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული სექტორის ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების მაჩვენებლები – ფონდუაზება და ფონდტევადობა – გააანალიზა მასზე მოქმედი ფაქტორები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ავტოსატრანსპორტო პარკის გამოყენების არსებულ მდგრამარეობას. დაადგინა საწარმოო ფონდების, კვლავწარმოების ტენდენციები. აღნიშნულ თემატიკას მან მიუძღვნა ოთხი გამიკვლევა და რამდენიმე მეცნიერული სტატია.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ეკონომიკური ანალიზისას სულ უფრო ფართო გამოყენება მოიპოვა ეკონომიკური მაჩვენებლებისა და პროცესების მათემატიკური მოდელირების შეთოდმა, როგორც ეკონომიკაში რაოდენობრივი კვლევის თანამედროვე ხერხმა. აჭარის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების შესწავლის მიზნით განყოლების ახალგაზრდა მეცნიერმა მკვლევარმა ი. სურმანიძემ (1991-1993 წწ.), გამოიკვლია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პირობებში რეგიონი, როგორც პროგნოზირებისა და მოდელირების ობიექტი. მოახდინა ამ რეგიონის პროგნოზირების არსებული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების კლასიფიკაცია და ანალიზი. ამ პროცესებს მან მიუძღვნა რამდენიმე გამოკვლევა და მეცნიერული სტატია.

აღსანიშნავია, რომ 1969 წლიდან ინსტიტუტის საქმიანობაში ახალი ეტაპი დადგა. იგი სხვა პროცესების შესწავლასთან ერთად შეუდგა

სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარებას. მაშინ სოციოლოგიურ კვლევას ხელი მოჰკიდა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდტმა **დ. მოურავიძემ**, რომელმაც რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით დაასაბუთა, რომ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სოციალური ფაქტორების გამოყენებას. შემდეგ, 1975 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილების (1974 წ.) შესაბამისად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების საფუძვლზე ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩამოყალიბდა კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის ჯგუფი, რომელმაც ჯგუფის ხელმძღვანელის - **პ. ლლონგის** უშუალო მონაწილებით უკვე გასწია ნაყოფიერი მუშაობა. კერძოდ, ინსტიტუტის სოციოლოგებმა (**რ. აბუსერიძე, ნ. ვერულიძე, ი. მუხაშავრია, გ. ჩაგანავა, გ. მასალკინი**) განაგრძეს ქ. ბათუმის სამრეწველო საწარმოებში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების სოციალური ფაქტორების შესწავლა, გამოიკვლიეს სამრეწველო საწარმოებში მუშაკთა დენადობის მიზეზები, მისი შემცირებისა და რეგულირების გზები, შრომითი კოლექტივების სოციალური აქტივობის პრობლემები და სხვ. სულ 1975-1985 წლების მანძილზე სოციოლოგიური კვლევის ჯგუფმა შეასრულა 15-ზე მეტი მეცნიერული გამოკვლევა, გამოაქვეყნა ამდენივე სამცნიერო სტატია და სამეცნიერო კონფერენციებზე და სესიებზე წაკითხული მოხსენებათა თეზისები.

ამ ჯგუფისათვის კონკრეტული ეკონომიკურ-სოციოლოგიური კვლევის თემატიკის განსაზღვრაში ინსტიტუტს დახმარება აღმოუჩინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის კათედრის ყოფილმა გამგებ, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, აწ განსვენებულმა პროფესორმა **პ. ქახახიაშ** და საქართველოს საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგებ, აწ განსვენებულმა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა დ. **მოურავიძემ**.

1979 წელს კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის ჯგუფი შეურთდა ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილებას და ეს უკანასკნელი ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევის განყოფილებად გადაკეთდა. 2006 წლიდან განყოფილებამ კვლავ შეიცვალა სახელი და იგი ამჟამად იწოდება ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა კვლევის განყოფილებად. ვფიქრობთ, რომ ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტში კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის არსებობა მიზანშეწონილია. ეს აუცილებელია ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხრივ მრავალი თავისებურებების ქმნები ისეთ რეგიონში, როგორიც აჭარაა. კონკრეტული სოციოლოგიური კვლევა-ძიებისა და შესაბამისი პრაქტიკული რეკომენდაციების განხორციელების გარეშე ამჟამად და, მით უმეტეს, მომავალში დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის ეფექტი ჯეროვანი ვერ იქნება.

ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების თანამშრომლები აგრძელებდნენ მუშაობას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების შესწავლაზე. განვლილ პერიოდში სოციოლოგიური კვლე-

ვის მიმართულებით შესწავლიდი იქნა აჭარის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, ეროვნული თვითშეგნების განვითარების, ცნობიერებისა და სოციოგარემოს ურთიერთდამოკიდებულების, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების, აგრეთვე განწყობის სოციალურ-ფინანსურულ პრობლემები და სხვა საკითხები. კერძოდ: უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის სოციოლოგიური კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის პ. დლონტის მიერ (1991-2006 წწ.) შესწავლილია აჭარის აგზონომიურ რესპუბლიკაში საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, სოციალური ორიენტაციისა და განვითარების, აგრეთვე სოციალური კვლევის მეთოდიკისა და მეთოდოლოგიის საკითხები, გაანალიზებულია ბათუმის სამრეწველო საწარმოებში ადაპტაციის კონკრეტულ-სოციოლოგიური ასპექტები, ბათუმის სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების დონესა და მოთხოვნილებებს შორის თანაფარდობა, ბათუმის მოსახლეობის მიგრაციის საკითხები და მოსწავლე ახალგაზრდობის პროცესიული ორიენტაციისა და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების თანამედროვე პრობლემები, განხილულია ადაპტაციის, როგორც ფსიქოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობა ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის პროცესში; გამოკვლეულია საზოგადოებრივი აზრის, როგორც სოციალური ინფორმაციის წეაროს უმნიშვნელოვანების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები; განხილულია საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ეფექტიანობის საკითხები ზნეობრივი, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური დანაკარგების გათვალისწინებით, პიროვნების ადგილი და როლი საზოგადოების ურთიერთობათ სისტემაში, დადგენილია მეცნიერებულად დასაბუთებული კვლევის მეთოდების გამოყენების აუცილებლობა, როგორც ახალი ცოდნის მიღების არსებითი პირობა; შესწავლილია საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობების სოციოლოგიური პრობლემები. პ. დლონტმა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში შეასრულა 35-მდე მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევა და გამოაქვეყნა 40-მდე მეცნიერული სტატია, სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებზე წაკითხულ მოსსენებათა თეზისები, რეცენზია, გამოხმაურება და სხვა პუბლიკაციები.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ჩხაიძე ინსტიტუტში მუშაობს 1987 წლიდან, მისნობრივი ასპირანტურის დამთავრების შემდეგ. მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მთიანი რაიონებიდან დაბლობ რაიონებში მოსახლეობის მიგრაციის სოციოლოგიური ასპექტები (აჭარის ასსრ მასალებზე)”, 1987 წ. მის საკანდიდატო ნაშრომში შესწავლილია მთიანი აჭარიდან სოფლის მოსახლეობის მიგრაციის ძირითადი მიზეზები და ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ დაბლობ სოფლებში დასახლებულთა ცხოვრების პირობებისადმი სოციალური ადაპტაციის პროცესის მსვლელობას. ნაშრომის სიახლეს წარმოადგენდა ის, რომ რეგიონის ისტორიაში პირველად განხორციელდა გამოკვლევა აქტუალური, მაგრამ ნაკლებად შესწავლილი მთიანი ადგილებიდან დაბლობ სოფლებში მიგრანტების ცხოვრების პირობების სოციალური ადაპტაციის პრობლემის შესახებ. გამოვლენილი იქნა სოფლის მცხოვრებელთა ის დირებულებები, რომლებიც აიძულებენ მათ კვლავ ჩასახლდნენ სასოფლო ადგილებში, მაგრამ არა

ქალაქში; დადგენილ იქნა მცირემიწიანობის გავლენის სოციალური ბუნება სოფლის მოსახლეობის მიგრაციაზე; შემუშავებული იქნა სოფლის მოსახლეობის რეგიონში დამკიდრების გზები, რომლებიც განიცდიან მიწის რესურსების დეფიციტს.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ გამოკვლევაში მოცემულია სოფლის მიგრანტების სასოფლო გარემოში სოციალური ადაპტაციის ძირითად კანონზომიერებათა ანალიზი. გარდა ამისა, ცალკეული დასკვნები და შემოთავაზებული წინადაღება-რეკომენდაციები, რომლებიც ეხება სოფლის მოსახლეობის მთიანი სოფლებიდან მიგრაციის სპეციფიკას, შესაძლებელია წარმატებით იქნას გამოყენებული სოციოლოგთა მიერ, რომლებიც მუშაობენ მოსახლეობის მიგრაციის პრობლემებზე, აგრეთვე ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიგრანტთა ახალ სასოფლო ადგილებში დამკიდრების კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებისათვის.

1991-2007 წწ. 6. ჩხაიძის მიერ შესწავლითია აჭარის მოსახლეობის სოციალურ-პროფესიული სტრუქტურის პარამეტრები ქვეყნად ახალი სოციალურ-ეკონომიკური უერთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში, კერძოდ აჭარის სოფლის ინტელიგენციის შრომისა და ცხოვრების პირობები, სოციალური და მატერიალური მდგომარეობა, არჩეული პროფესიისადმი დამოკიდებულება, თავისუფალი დრო და მისი გამოყენება, დამოკიდებულება მიწის პრივატიზაციისადმი, პროფესიებისადმი და სხვ. ნაჩვენებია აჭარის მთიანი ზონიდან ბარში ჩასახლებული მოსახლეობის მიგრაციის მიზეზები და ფაქტორები, გარკვეულია მიგრანტთა სოციალური სტრუქტურა და მისი ცვლილების პარამეტრები. დადგენილი უმაღლეს სახწავლებლების სტუდენტთა სპეციალობის არჩევის მოტივაცია და სხვ. გამოკვლეულია სოციალური მობილურობის სახეები, მათი წარმოშობის მექანიზმები, მახასიათებლები, მიგრაციული პროცესები. ტიპოლოგიზებულია საზოგადოებაში არსებული ძირითადი სოციალური პროცესები განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მიმოხილულია მცირე სოციალური ჯგუფების კლასიფიკაცია და მათი მოქმედების მექანიზმი, საზოგადოების კლასებად და სტრატებად დაყოფის საკითხები. ნაჩვენებია სოციალური ინსტიტუტების არსებობის განმსაზღვრელი ძირითადი პარამეტრები. დადგენილია, რომ სოციალური ინსტიტუტები ის სპეციფიკური წარმონამქნებია, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებაში სოციალურ კავშირებს და ურთიერთობებს. ამავე დროს თითოეული სოციალური ინსტიტუტი არის კონკრეტული ფუნქციების მატარებელი, რომლებიც სანქციების სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფენ ამა თუ იმ საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას.

6. ჩხაიძის მიერ შესწავლითი და გაანალიზებულია სამეურნეო კონცეფციები, რომლის ძირითადი ელემენტია სისტემური, მწყობრი, მეცნიერულად დასაბუთებულ შესედულებათა ერთობლიობა ეკონომიკაზე, მისი განვითარების გზებზე და გარდაქმნის მეთოდებზე. განხილულია ეკონომიკის განვითარების კონცეფციების რამდენიმე მოდელი, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსერვატიული, ლიბერალური და შერეული (პიბრიდული) მოდელები. ნაჩვენებია, რომ დღევანდელ საქართველოში არცერთი ცნობილი მოდელი სრულყოფილი სახით არ ხორციელდება. 6. ჩხაიძემ ინსტიტუტში საქმიანობის

პერიოდში შეასრულა 20-მდე მეცნიერული გამოკვლევა და გამოაქვეყნა 10-მდე მეცნიერული სტატია.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. მასალენმა ინსტიტუტში მუშაობა დაიწყო კონკრეტულ სოციოლოგიურ პრობლემებზე 1986 წლიდან. მის მიერ 1986-1990 წლებში შესწავლილია შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის დანერგვის მდგრადირება აჭარის სამრეწველო საწარმოებში, დადგენილია მისი ფუნქციონირების სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები; გამოკვლეულია ორგანიზაციის ამ მოწინავე ფორმის რეგიონის მანქანათსაშენ საწარმოებში დანერგვის პროცესში არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებები, ნაჩვენებია მისი დაძლევის გზები; განსაზღვრულია იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობა საქართველოს საზღვაო სანაოსნოში და განსაზღვრულია მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები; განხორციელებულია შერეული ოჯახების სოციოლოგიური გამოკვლევა. ნაჩვენებია შერეული ქორწინების თავისებურებანი; გაანალიზებულია ამ ტიპის ოჯახთა სტრუქტურის, დასაქმებისა და კვალიფიკაციის, შემადგენლობისა და შემოსავლის, ოჯახის სტაბილურობის, ეროვნული თვითშეგნებისა და სხვა საკითხები.

გ. მასალენმა 1990 წ. დაიცვა საპანდიდატო დისერტაცია ფილოსოფიურ თემაზე: „ცნობიერების ანალიტიკური და ხატოვანი მხარეების ურთიერთობის დიალექტიკა“. ამის შემდეგ მან გააგრძელა მუშაობა ფილოსოფიური კვლევის მიმართულებით. მის მიერ 1991-2004 წწ. შესწავლილია ეროვნული თვითშეგნების განვითარების, ადამიანის ცნობიერებაში რწმენისა და ცოდნის შეფარდების და ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პრობლემები. გაანალიზებულია სტერეოტიკული აზროვნების, პოლიტიკური ფორმირების ფსიქოლოგიური გარემოს თავისებურებანი, ცნობიერებისა და სოციოგარემოს ურთიერთდამოკიდებულების, ადამიანის ცნობიერების განსხვავებულ დონეთა (მხარეთა) შეფარდების, ადამიანის ცნობიერების სტრუქტურაში რწმენისა და რაციონალური ადგილისა და მოცულობის, აგრეთვე ცნობიერების განსხვავებულ დონეებსა და ახალგაზრდობის მსოფლიხედველობის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემები და სხვა საკითხები. ჩვენ ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების ფონზე ნაჩვენებია უკანასკნელ წლებში მიმდინარე კატაკლიზმების გავლენით ჩვენი საზოგადოების ცნობიერების სტერეოტიზაცია, სოციო- და ფსიქოგარემოს გავლენა პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესზე, აგრეთვე ცნობიერების ყოველდღიური, მეცნიერული, სტერეოტიკური, ანალიტიკური, ხატოვანი და სხვა დონეთა ურთიერთობის საკითხები.

გამოკვლეულია მართლმადიდებლური ეკლესიის მნიშვნელობა ჩვენს ქვეყანაში სეკულარიზაციისა და რესეკულირაზაციის პროცესების ფონზე. ნაჩვენებია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის როლი საზოგადოების დღვევანდელ მძიმე სულიერ მდგომარეობიდან გამოყვანის თვალსაზრისით. დადგენილია სეკულარიზაციისა და რესეკულარიზაციის პროცესების სპეციფიკა ჩვენს ქვეყანაში და ამ პროცესების განვითარების პერსპექტივები; ნაჩვენებია წინააღმდეგობანი რომელიც არსებობენ საზოგადოების დასავლეთისაკენ სწრაფვასა და მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესებს შორის. გაან-

ლიზებულია ფილოსოფიურ-თეოლიგიური მოსაზრებანი რელიგიისა და ეპლესის დღევანდელ მდგომარეობაზე და რელიგიაში კონსერვატიული და შემოქმედებითი მხარეების პრობლემაზე, აგრეთვე რელიგიური ჭეშმარიტების განვითარებადობისა და მისი სპეციფიკის საკითხებზე. გ. მასალენმა ინსტიტუტში საქმიანობის პრიორში შეასრულა 20-მდე მეცნიერული გამოკვლევა და გამოაქვეყნა ამდენივე მეცნიერული სტატია, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებათა თემისები და სხვა პუბლიკაციები.

ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ინსტიტუტის სწავლული მდივანი 1981-2006 წლებში, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჩაგანავა მუშაობს სოციალური ფსიქოლოგიის პრობლემებზე, თუმცა პარალელურად იკვლევს ეთნოფსიქოლოგიურ, ლინგვისტურ და სხვა საკითხებს. გ. ჩაგანავას კვლევის ძირითადი სფეროა ე.წ. აპროპრიაციის (მიკუთხნების, დაუფლების, დასაკუთრების) ფსიქოლოგია.

1991-2007 წწ. მის მიერ შესწავლილია ინდივიდსა და ჯგუფს შორის მეტოქეობის, საკუთარ თავთან მეტოქეობის, ინდივიდუალური თანამშრომლობის, ინდივიდთან ჯგუფთან თანამშრომლობის და ჯგუფის მიერ ინდივიდთან თანამშრომლობის ფსიქოლოგიური თავისებურებანი; გამოკვლეულია განწყობის კონკრეტული ეფექტის თავისებურებანი და განწყობის ასიმილაციური ეფექტის ინტერპრეტაციის ახალი ვერსია. გაანალიზებულია ცოცხალი არსებების უმარტივესი განწყობისეული გენეტიკური ფორმები. გამოვლენილია უმარტივესი და ამავე დროს უზოგადესი ქვევის სახეები, რომლებიც ცოცხალი არსებების განწყობის ბიოგენეტიკური ფორმით ჩამოყალიბდა. შესწავლილია განწყობისა და ფსიქოლოგიური დროის პრობლემა. დადგენილია, რომ განწყობის მრავალი ეფექტი ფსიქოლოგიურად დროის განცდასთან არის დაკავშირებული.

განვლილ პერიოდში გ. ჩაგანავამ მოამზადა და დაიცვა სადოქტორო დისეტრაცია თემაზე – „აპროპრიაციის ფსიქოლოგიის პრობლემები“ (1995, 653 გვ). ნაშრომში თეორიული, ფსიქოლოგიური, ეთნოლოგიური, მითოლოგიური, ლინგვისტურ-სოციოლოგიური, მეთოდური თრიგინალური ექსპერიმენტალური მონაცემების საფუძველზე ჩამოყალიბებულია აპროპრიაციის ფსიქოლოგიის ძირითადი სტრუქტურა, რომლის მიხედვით ადამიანის ფსიქოგენეტიკური ფორმირება მოიცავს აპროპრიაციული ტენდენციის სხვადასხვა დონის გამოვლინებებს, რაც ვერტიკალური განწყობის სახით, ზოგჯერ პირდაპირ და ზოგჯერ სახეშეცვლილად განაგრძობენ ფსიქიკაზე ზეგავლენას. ამავე დროს დადგინდა, რომ არა მხოლოდ ადამიანის გრძნობების ორგანოებთან დაკავშირებული მოვლენები, არამედ მაღალი ზნეობრივი, ესთეტიკური, ინტელექტუალური პროცესები განპირობებული არიან აპროპრიაციის ტენდენციის შესაფერისი დონის გამოვლინებით, ხოლო ისეთი ფუნდამენტალური სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესები, როგორიცაა კონკურენცია და კოოპერაცია, მთლიანად გარემოსთან ურთიერთობაში აპროპრიაციის ტენდენციის მოქმედების საფუძველზე წარმოქმნილი გარემოს ფენომენოლოგიურ ექვივალენტების (დირებულება, სიახლოვე-დაშორებულობა, საკუთრება და სხვა) ზეგავლენით

არიან განპირობებული. ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში გ. ჩაგანავამ კვლევის შედეგებს მიუძღვნა 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სამი ფუნდამენტური მონოგრაფია.

გ. ჩაგანავას პირველ მონოგრაფიაში – „განწყობის ფსიოქლოგიის აქტუალური პრობლემები“ (გამომც. „აჭარა“, ბათუმი, 2001, 224 გვ.) წარმოდგენილია რამდენიმე ახალი ჰიპოთეზა განწყობის ფორმირების, ფუნქციონირებისა და გამოვლენის შესახებ. ყველაზე მნიშვნელოვანია ჰიპოთეზა აქტიურ აპროპრიაციული და აქტიურ განრიდებითი განწყობის შესახებ.

მეორე მონოგრაფიაში – „ისტორიული და სოციალური ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები“ (გამომც. „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2004, 254 გვ.) განხილულია გენეტიკური, ისტორიული, მითოლოგიური, ეთნოგრაფიული და სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესები, რომლებიც, ავტორის აზრით, ცოცხალი ორგანიზმის გარემოსთან ურთიერთობის ზოგადი ბიოფსიქოლოგიური აპროპრიაციის (მიკუთვნება) ტენდენციის გამოვლენას წარმოადგენს. ნაჩვენებია, რომ აპროპრიაციის ტენდენცია უზრუნველყოფს ფიზიკური სამყაროთი (გარემოთი) სარგებლობის შესაძლებლობას, ცოცხალი ორგანიზმის განვითარების სრულყოფას, გამრავლებას, საკუთარი მდგომარეობისა და სიცოცხლიუნარიანობის შენარჩუნებას, ფიზიკურ გარემოსთან შეგუებას, დაპირისპირებას, მის ათვისებას, გამოყენებას, მოხმარებას და მასზე უპირატესობის მიღწევას. გამოკლეულია პირველური ცოდნის, განრიდებითი ქცევის, კათარზისის, შეჯიბრებისა და თანამშრომლობის ფსიქოლოგიის აქტუალური პროცესები.

მესამე მონოგრაფიაში – „შიშის ფსიქოლოგია, ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (გამომც. „აჭარა“, ბათუმი, 2004, 400 გვ.) – ავტორისეული აპროპრიაციის (მიკუთვნება) მოძღვრების საფუძველზე გაანალიზებულია თითქმის ყველა ძირითადი ნეიროზების და ფსიქიკური სწეულების ფსიქოლოგიური მახასიათებლები და ორიგინალური, ევოლუციურ-გენეტიკური, სოციო-ფსიქოლოგიური და პათოფსიქოლოგიური მონაცემების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ თვითცნობიერებისა და სოციალური ცნობიერების ერთმანეთთან დაპირისპირების, ზოგადი ბიოფსიქიკური განწყობების თავისებური მოქმედების შედეგად შესაძლებელი ხდება ბიოლოგიური ტენდენციების უკუგდება და სოციალიზაციის შედეგად სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბება.

როგორც ვხედავთ, პრობლემატიკა, აქტუალური საკითხების წრე, რომელსაც ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა კალევის განყოფილება სწავლობს, საქმაოდ ფართოა. მიღებულია საყურადღებო მეცნიერებით და პრაქტიკული მნიშვნელობის დასკნები, კერძოდ ეკონომიკური კვლევის ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა 50-ზე მეტი სერიოზული სასიათის დასკვნები. განვლილ პერიოდში და წინადაღება – რეკომენდაციები, რომელთა ნაწილი დაინერგა ცხოვრებაში და იძლევა მნიშვნელოვან სახალხო მეურნეობრივ ეფექტს. კერძოდ, განყოფილების თანამშრომელთა წინადაღებით აიგო ხელვაჩაურის ინერტული მასალების ქარხანა, რომლითაც 60%-ით დაგმაყოფილდა აგტონომიური რესპუბლიკის მოთხოვნილება ამ პროდუქციაზე; რეკონსტრუქცია-გაფართოება ჩაუტარდა ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკას, რის საფუძველზეც საწარმოო

სიმძლავრეები ორჯერ გაიზარდა; მოეწყო ქობულეთის მოსაპირკეთუ-
ბელი ფილების წარმოება, აგრეთვე ბათუმისა და ქობულეთის
სასათბურე მეურნეობა, რომლებიც ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის
საწარმო ანარჩენის ბაზაზე მუშაობდნენ; განხორციელდა აჭარის
ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეცნოველეობის სპეცია-
ლიზაცია-კონცენტრაციის სამუშაოები და სხვა.

კონკრეტული-სოციოლოგიური კვლევის ჯგუფმა სათანადო მეცნიე-
რულ დონეზე შეისწავდა აგტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებ-
რივი ცხოვრების მრავალი აქტუალური საკითხი, მოამზადა 40-ზე მეტი
წინადაღება – რეკომენდაცია, რომელთა უმრავლესობამ ასახვა პპოვა
რეგიონის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებებში. ამ წინა-
დაღებიდან ადსანიშნავია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქალთა
საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმისა და საზოგადოებრივ-
პოლიტიკურ საქმიანობაში მათ აქტივობის ამაღლების ღონისძიებათა
შესახებ; ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ღონისძიე-
ბათა გაუმჯობესების შესახებ; ჩაისა და სუბტროპიკული მეურნეობის
განვითარების ზოგიერთი სოციალური ასპექტის შესახებ; ბათუმის
საზღვაო სასწავლებელში აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ;
სტუდენტთა პროფესიული ორიენტაციისა და პედინსტიტუტებში მისაღები
გამოცდების შესახებ და სხვ.

2000-2005 წლებში განყოფილებაში განსაკუთრებული ყურადღება
მიექცა თანამშრომელთა მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
საგრანტო სამეცნიერო თემების დამუშავებას კონკურსში მონაწილე-
ობისა და გრანტის მოპოვების მიზნით. აღნიშნულ პერიოდში საგ-
რანტო სამეცნიერო თემები დამუშავება და გრანტები მოიპოვეს განყო-
ფილების შემდეგმა თანამშრომლებმა:

- „აჭარის ზღვისპირეთის ეკონომიკის მოწყობა“, 2000 წ. (ხელ-
მძღვანელი და შემსრულებელი ო. უიგაძე);
- „სამყაროსთან დამოკიდებულების ახალი სტრატეგიის სოციალ-
ლურ-პოლიტიკური და თეორიულ-შემცნებითი წინაპირობების კვლე-
ვა“, 2002 წ. (ხელმძღვანელი და შემსრულებელი გ. მასალენი);
- „სოციალური ცვლილების დინამიკა საბჭოთა სოფელში კონკრე-
ტული სოციოლოგიური გამოკვლევების მასალების მიხედვით“, 2003 წ.
(ხელმძღვანელი და შემსრულებელი 6. ჩხაიძე);
- „ბაზრისა და სახელმწიფოს ურთიერთობების რეგიონული
ეკონომიკის ფორმირების პროცესში“, 2003 წ. (ხელმძღვანელი და შემს-
რულებელი ა. მახაძე);
- „აჭარის დარგთაშორისი სამშენებლო კომპლექსი გარდამავალი
ეკონომიკის პირობებში და მისი განვითარების პერსპექტივები“, 2003 წ.
(ხელმძღვანელი ჟ. მიქაშავიძე, შემსრულებელი კ. დლონტი);
- „აჭარის ინფესტიციურ-სამშენებლო კომპლექსის განვითარების
ძირითადი მიმართულებები ეკონომიკური რეფორმის პირობებში“, 2005
წ. (ხელმძღვანელი ჟ. მიქაშავიძე, შემსრულებლები გ. ჩაგანავა, 6. ჩხაი-
ძე).

ზემოაღნიშნულს გარდა, ჟ. მიქაშავიძის უშუალო მონაწილეობით
(პროექტის კონსულტანტი) მოპოვებული იქნა ამერიკის შეერთებული

შტატების საელჩოს მიზნობრივი სასწავლო გრანტი – „მაღალი დონის ბიზნეს-განათლება – საბაზო ეკონომიკის საფუძველი“, 2004 წ.
(ხელმძღვანელი მ. მშვიდობაძე, შემსრულებლები: ქ. მიქაშავიძე, ვ. მიქაშავიძე, ნ. დევაძე, ე. ჭიხვარია და სხვები). გრანტის თანხით შექნილი ტექნიკა განთავსებული იქნა ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ლაბორატორიაში (ამჟამად შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი).

ეკონომიკურ და სოციოლოგიურ კვლევა-ძიებას ინსტიტუტი ახორციელებს სხვა შესაბამის დაწესებულებებთან კოორდინაციაში. კერძოდ, ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების პრობლემატიკა ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის პრობლემატიკასთან, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საგვამო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თემატიკასთან. აღნიშნულ სამეცნიერო დაწესებულებებში დაიცვეს საკანდიდატო დისერტაციები განყოფილების მუშაკებმა დ. მოურავიძემ, ქ. მიქაშავიძემ, თ. მიქელაშვილმა, ნ. ჩუბინიძემ, ა. მახაძემ, პ. ჩაგანავამ.

ამ განყოფილების შექმნით ინსტიტუტში საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სისტემატურ, გეგმაზომიერ კვლევა-ძიებას აჭარაში, რამაც თავისი უშუალო ზეგავლენა მოახდინა შესაბამისი მეცნიერული კადრების ჩამოყალიბებაზე, მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ განყოფილების თანამშრომლებმა განვლილი 50 წლის მანძილზე დაიცვეს რვა საკანდიდატო და ერთი სადოქტორო დისერტაცია, შეასრულეს 300-მდე მეცნიერული გამოკვლევა, გამოაქვეყნეს სხვადასხვა დასახელების 15 დარგობრივი კრებული, 13 მონოგრაფია, 230-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, პროშურა, მოხსენებათა თეზისები, რეცენზია, გამოხმაურება.

რა თქმა უნდა, გასაკეთებელი აჭარის ეკონომიკური და სოციალური განვითარების აქტუალური პრობლემების შესასწავლად კიდევ ბევრი დარჩა, თანაც ცხოვრება სულ ახალ-ახალ საკითხებს აყენებს. ამიტომ, 2007 წლიდან განყოფილება მუშაობს ახალ თემაზე: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური პრობლემები საბაზო ურთიერთობის პირობებში“. მომავალში მონოგრაფიულად შესწავლილი იქნება სახალხო მეურნეობის მატერიალური წარმოების უმნიშვნელოვანების დარგებში (სამრეწველო, სამშენებლო და აგროსამრეწველო კომპლექსები) საბაზო სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემები, გაანალიზდება ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის პირობებში სახელმწიფო საწარმოთა რესტრუქტურიზაციის განსახელმწიფოებრივების, პრივატიზაციისა და სამეწარმეო საქმიანობაში არსებული მდგრადებელი, დადგენილი იქნება გადაუქრელ პრობლემათა დაძლევის გზები და განვითარების ძირითადი მიმართულებები. განყოფილების საკვლევ თემატიკაში მეტი ყურადღება დაეთმობა ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების გამოყენებისა და ტურიზმის განვითარების პრობლემების შესწავლას, აგრეთვე ეკონომიკის იმ დარგების კვლევას, რომელთა ნედლეულით უზრუნველ

ყოფა განპირობებულია ბუნებრივ-კლიმატური პირობებით და რომელ-
თაც აქვთ საერთაშორისო ბაზარზე გატანის ტრადიციები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაბილონ კ. მეხილეობის ეკონომიკის საკითხები. „მეცნიერება“, თბ., 1994, 220გვ.
2. ბაბილონ კ. შრომის მწარმოებლობის გადიდების რეზერვები ჩაის ნედლეულის წარმოებაში. „მეცნიერება“, თბ., 1963, 250 გვ.
3. გაბაიძე გ. გადამამუშავებელ მრეწველობასთან ინტეგრირებული ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობა აჭარის ავტონო-
მიურ რესუბლიკაში. ქ. „ეკონომიკა“, №5, 2006 წ. გვ. 114-118.
4. ინწირველი მ. ბუნებრივი რესურსების გამოყენების მნიშვნე-
ლობა ტურიზმის განვითარებაში. ქ. „ეკონომიკა“, №9-10, 2006 წ. გვ. 77-
80.
5. მასალკინი გ. ცნობიერების ანალიტიკური და ხატოვანი
მხარეების ურთიერთობის დიალექტიკა, თბ., 1989, 22 გვ. საკანდიდატო
დისერტაციის ავტორეფერაცი (რუსულ ენაზე).
6. მასაძე ა. სამრეწველო წარმოების ინტენსიფიკაციის მართვა
აჭარის ასსრ-ში (აჭარის მასალებზე) თბ., 1988, საკანდიდატო დისერ-
ტაცია.
7. მელქაძე ვ. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტის
რეგიონალური სტრუქტურა. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1978, 300 გვ.
8. მესხია ი. ეკონომიკური მეცნიერება და სამეურნეო რეფორმა. ქ.
„ეკონომიკა“, №1-3, 1995, გვ. 36-49.
9. მიქაშავიძე ქ. წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები
დარგთაშორის კომპლექსებში (საქართველოს ფეხსაცმლის კომპლექ-
სის მასალებზე). თბ., 1979, 208 გვ. საკანდიდატო დისერტაცია.
10. მიქაშავიძე ქ. აჭარის მრეწველობის განვითარების ძირითადი
მიმართულებები. საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოცია-
ლური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში. ბათუმი-
თბილისი, 2001, გვ. 185-191.
11. მიქაშავიძე ვ., მიქაშავიძე ქ. მცირე მეწარმეობის განვითარების
საკითხები აჭარის სამშენებლო კომპლექსებში. „პროგრამა ლოგოსი“,
თბ., 2003, გვ. 390-401.
12. მიქელაშვილი თ. მებოსტნეობისა და მებადჩეობის მდგომარეობა
და განვითარების პერსპექტივები აჭარის ასსრ-ში, „მეცნიერება“, თბ.,
1974, 128 გვ.
13. მიქელაშვილი თ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მებოსტ-
ნეობისა და მებადჩეობის მდგომარეობა და განვითარების პერსპექ-
ტივები. თბ., 1972, საკანდიდატო დისერტაცია.
14. მიქელაშვილი ლ. აჭარის ასსრ საზოგადოებრივი მეცხოვე-
ლეობის ეკონომიკის საკითხები. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1987, 130
გვ.

15. მიქელაძე ი. ტერიტორიული დაგეგმვის პრობლემები. „მეცნიერება“, თბ., 1980, 286 გვ.
16. მოურავიძე დ. ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევა-ძიება ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ქართველოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი კერა. „მეცნიერება“, თბ., 1986, გვ. 61-74.
17. მოურავიძე დ. პროდუქციის თვითდირებულების შემცირების საკითხები საშენ მასალათა მრეწველობაში. „მეცნიერება“, თბ., 1965, 240 გვ.
18. ჩაგანავა პ. რეგიონში საბაზო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში მშენებლობის დარგის ეფექტიანობის ამაღლების მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები აჭარაში (აჭარის მასალებზე). თბ., 2006, 175 გვ. საკანდიდატო დისერტაცია.
19. ჩაგანავა გ. აპროპრიაციის ფსიქოლოგიის პრობლემები. თბ., 1995, 653 გვ. სადოქტორო დისერტაცია.
20. ჩაგანავა გ. განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები. „აჭარა“, ბათუმი, 2007, 224 გვ.
21. ჩაგანავა გ. შიშის ფსიქოლოგია. ენციკლოპედიური ლექსიკონი. „აჭარა“, ბათუმი, 2004, 400 გვ.
22. ჩაგანავა გ. ისტორიული და სოციალური ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები. „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2004, 254 გვ.
23. ჩხაიძე ნ. მთიან რაიონებიდან დაბლობ სასოფლო რაიონებში მოსახლეობის მიგრაციის სოციალური ასპექტები (აჭარის მასალებზე). მ., 1987. საკანდიდატო დისერტაცია (რუსულ ენაზე).
24. ჩუბინიძე ნ. საშენ მასალათა წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება და დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა რეგიონში (აჭარის მასალებზე). თბ., 1989, საკანდიდატო დისერტაცია.
25. საბჭოთა საქართველო XII ხუთწლედის მიჯნაზე. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985, 493 გვ. (რუსულ ენაზე).
26. სტატიაში გამოყენებულია ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა კვლევის განყოფილების თანამშრომელთა 1958-2006 წწ. მეცნიერული გამოკვლევები და განყოფილების საქმიანობის ანგარიშები.

Жани Микашавидзе

**Экономическое и социологическое исследование
в институте Нико Бердзенишивили**

Р е з յ о м е

С самого начала решение конкретных задач было обозначено основной целью института в сфере экономических исследований. Было необходимо произвести изучение экономических проблем Аджарии и ее регионов, а так же, с целью повышения эффективности народного хозяйства, разработать научно

обоснованные предложения и рекомендации. В соответствии с данными задачами, сотрудники отдела приступили к изучению актуальных вопросов экономики народного хозяйства, а именно: проблемам развития чаеводства, садоводства, табаководства, виноградарства, цитрусоводства, овощеводства и скотоводства.

В институте было проведено значительное исследование по вопросу развития производства строительных материалов в Аджарии. В частности, впервые в автономной республике, на основе местной сырьевой базы были разработаны предложения по развитию производства строительных материалов и конструкций. Были изучены способы ускорения научно-технического прогресса и повышения эффективности отрасли, восстановления производственного аппарата промышленного комплекса региона на основе интенсификации производства.

В переходный период были изучены трудности перехода на условия рыночной экономики важнейших сфер региона – промышленного, строительного, агропромышленного комплексов, а так же создавшиеся энергетический, сырьевой, технический и финансовый кризисы. Были показаны пути преодоления кризисов на базе ускорения формирования рыночных структур, усовершенствования регионального управления и отраслевых структур, более полного использования производственных резервов, повышения эффективности производства и т.д.

Группа отдела по конкретному социологическому исследованию со дня своего основания провела значительную работу в обществе по изучению текущих социальных, политических, экономических, социально-психологических и других важнейших проблем.

На основе материала полученного в результате экономического и социологического исследования за прошедший период в отделе было обработано около 300 годовых работ, опубликовано под разными названиями 15 отраслевых сборников, 13 монографий, а так же более 280 научных статей, рецензий, отзывов, были защищены одна докторская и 8 кандидатских диссертаций. Изучены до 100 экономических и социологических предложений-рекомендаций конкретного характера, часть которых была внедрена в экономику автономной республики.

С 2007 года, с целью изучения актуальных проблем экономического и социологического развития, отдел ведет работу над новой темой: «Экономические и социологические проблемы Аджарской автономной республики в условиях рыночных отношений». В ходе исследования большее внимание будет уделено использованию природных рекреационных ресурсов и развитию туризма.

Zhani Mikashavidze

Economic and sociological research in Niko Berdzenishvili Institute

R e s u m e

Solution of certain tasks in the economic sphere was initially determined as the main goal of the institute. It was necessary to study economic problems of Adjara and its regions, as well as to work out scientifically reasonable proposals and recommendations aimed at the increase of economy. In accordance with the set tasks, staff of the department started study of important issues of the national economy, in particular: problems of development of tea-growing, gardening, tobacco-growing, wine-growing, citrus-growing, vegetable-growing and cattle breeding.

The institute has carried out the significant research on development of construction materials industry of Adjara. In particular, for the first time, proposals on the development of production of building materials and constructions were worked out on the basis of the local raw material source. Ways of accelerating of scientific and technical progress and the enhancement of branch efficiency, reconstruction of the industrial complex.

During the transition to the market economy, difficulties of transition of main spheres of the region – industrial, construction and agroindustrial complexes – as well as caused energy, raw material, technical and financial crises were scrutinized thoroughly. Ways of the crisis overcoming were demonstrated on the base of acceleration of the market formation, improvement of regional governmental and industrial structures, more efficient utilization of industrial resources and enhancement of production efficiency.

From the very first day of its formation, the department group for the sociological researches has carried out significant study of current social, political, economic, psychological and other important problems.

The department staff used material obtained as a result of economic and sociological research for the past period in about 300 annual transactions, 15 branch publications and 13 monographs, as well as in over 280 scientific articles, reviews, comments, 1 doctoral thesis and 8 Ph.D. thesis, studied about 100 economic and sociological offers and recommendations of certain content, half of which was applied in the autonomous republic's economy.

From 2007 the department started work on the new theme: "Economic and Sociological Problems of Adjarian Autonomous Republic under Conditions of Market Economy." The aim of the work - study of important problems of economic and sociological development. During the study, the main attention will be paid to the utilization of natural recreational resources and tourism development.

გამომცემლობის დირექტორი: ნანა ხახუტაიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი: ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი: ელია ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 16.07.2008
ქაღალდის ზომა 70X108 1/16
ტირაჟი 160

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ქ. ბათუმი, მელიქიშვილის 35